www.PDF.ChiaturaINFO.GE

მილან კუნდერა

ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

ლიტერატურული ბიბლიოთეკა

მილან კუნდერა

ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

პირველი ნაწილი
სიმსუბუქე და სიმძიმე 9
მეორე ნაწილი
სული და სხეული 49
მესამე ნაწილი
ვერგაგებული სიტყვები 95
მეოთხე ნაწილი
სული და სხეული 155
მეხუთე ნაწილი
სიმსუბუქე და სიმძიმე 205
მეექვსე ნაწილი
დიდი ლაშქრობა 289
მეშვიდე ნაწილი
კარენინის ღიმილი 333

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველი ნაწილი

სიმსუბუქე და სიმძიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

მუდმივად გამეორების იდუმალი იდეით ნიცშემ დანარჩენი ფილოსოფოსები ძლიერ დააბნია: როგორი წარმოსადგენია, რომ ყველაფერი ჩვენ მიერ გადატანილი ერთხელაც უცვლელად გამეორდება და თვით ეს გამეორებაც უსასრულოდ გამეორდება! რის თქმა სურს ამ თავგზაამბნევ მითს?

მუდმივად გამეორების მითი per negation[1] გვეუბნება, რომ ცხოვრება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ჩაივლის და აღარასოდეს გამეორდება, აჩრდილის მსგავსია, წონა არ აქვს, მკვდრად შობილია და მიუხედავად იმისა, საშინელი იყო, ლამაზი თუ ამაღლებული, ეს საშინელება, სილამაზე და ამაღლებულობა არაფერს არ ნიშნავს. მას ისე უნდა ვუყუროთ, როგორც მეთოთხმეტე საუკუნეში აფრიკის ორ სახელმწიფოს შორის მომხდარ ომს, რომელიც მსოფლიოს იერსახეს არაფრით დამჩნევია, მიუხედავად იმისა, რომ სამასი ათასი ზანგი მოკვდა წარმოუდგენელი ტანჯვით.

---

[1] უარყოფის გზით (ლათ.)

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიცვლება კი რამე მეთოთხმეტე საუკუნეში აფრიკის ორ სახელმწიფოს შორის ომში, თუ ის მუდმივად გამეორდება?

შეიცვლება: გადაიქცევა საუკუნოდ დამკვიდრებულ მონოლითად, რომლის უაზრობასაც ველარაფერი გამოასწორებს.

საფრანგეთის რევოლუციას მუდმივად გამეორება რომ ეწეროს, ფრანგული ისტორიოგრაფია რობესპიერით ნაკლებად იამაყებდა. მაგრამ რადგან ლაპარაკია იმაზე, რაც აღარ გამეორდება, სისხლიანი წლები ცარიელ სიტყვებად, თეორიად, სასაუბრო თემად გადაიქცა, ბუმბულზე მსუბუქი გახდა და თავზარს აღარ გვცემს. წარმოუდგენელია განსხვავება ერთხელ მოვლენილ რობესპიერსა და იმ რობესპიერს შორის, რომელიც მუდმივად ბრუნდება ფრანგებისათვის თავების წასაცლელად.

მაშ შევთანხმდეთ, რომ მუდმივად გამეორების იდეა გარკვეულ პერსპექტივას ქმნის, როცა მოვლენები ჩვენთვის აქამდე უცნობ არსს იძენს: წარმავლობის შემამსუბუქებელ გარემოებას მოკლებული გვევლინება. ზუსტად ეს შემამსუბუქებელი გარემოება გვიშლის ხელს განაჩენის გამოტანაში. როგორ შეიძლება განაჩენი გამოუტანო იმას, რაც გაქრება? მარადისობაში გაქრობა ნოსტალგიის მომაჯადოებელ შუქს ჰფენს ყველაფერს, გილიოტინასაც კი.

ცოტა ხნის წინ დაუჯერებელი შეგრძნება გამიჩნდა: ჰიტლერის შესახებ წიგნს ვფურცლავდი და ზოგიერთი ფოტო გულს მიჩუყებდა – ჩემი ბავშვობის ხანა მომაგონდა. ომის პერიოდში გავიზარდე; ზოგიერთ ჩემს ნათესავს ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკში აღმოხდა სული; მაგრამ რა არის მათი სიკვდილი იმასთან შედარებით, რომ ჰიტლერის ფოტოებმა ჩემი წარსული ცხოვრება მომაგონა, ხანა, რომელიც აღარასოდეს გამეორდება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰიტლერთან შეგუება წარსულის გამეორების უარყოფაზე დაფუძნებული მსოფლიოს ღრმა ზნეობრივ გარყვნილებაზე მეტყველებს, რადგან ასეთ მსოფლიოში ყველაფერი წინასწარ შენდობილი და, ამდენად, ყველაფერი ცინიკურად ნებადართულია.

2

ჩვენი ცხოვრების ყოველი წამი უთვალავჯერ რომ მეორდებოდეს, მარადისობაზე ვიქნებოდით მიჯაჭვულები, როგორც იესო ჯვარზე. ამის გაფიქრებაც კი შემაძრწუნებელია. მუდმივად გამეორების სამყაროში ჩვენს ყოველ საქციელს აუტანელი პასუხისმგებლობის სიმძიმე აწევს. ამიტომაც უწოდებდა ნიცშე მუდმივად გამეორების იდეას უმძიმეს ტვირთს (das schwerste Gewicht).

თუკი მუდმივად გამეორება უმძიმესი ტვირთია, მის ფონზე ჩვენი ცხოვრება შეიძლება მთელი თავისი მშვენიერი სიმსუბუქით წარმოგვიდგეს. არის კი ეს სიმძიმე მართლაც აუტანელი და სიმსუბუქე მშვენიერი? უზომო ტვირთი გვანადგურებს, წელში გვტეხს, მიწასთან გვასწორებს. მაგრამ ყველა დროის სატრფიალო პოეზიაში ქალი ელტვის კაცის სხეულის სიმძიმის შეგრძნებას. ამდენად, ყველაზე დიდი ტვირთი ამავდროულად ყველაზე აქტიური ცხოვრების ნიშნად გვევლინება. რაც უფრო მძიმეა ტვირთი, მით უფრო ახლოა ჩვენი ცხოვრება მიწიერთან, მით უფრო ნამდვილია ის.

ტვირთის უქონლობა, პირიქით, ადამიანს ჰაერზე მსუბუქს ხდის, მაღლა იტაცებს, მიწას, მიწიერ ყოფას აშორებს, ნახევრად რეალურ არსებად აქცევს და მისი მოძრაობები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმდენადვე მსუბუქია, რამდენადაც მნიშვნელობას მოკლებული.

მაშ რა უნდა ავირჩიოთ: სიმძიმე თუ სიმსუბუქე?

ნიცშე გვახსენებს, რომ იმავე კითხვას სვამდა პარმენიდე ქრისტეს შობამდე ექვსი საუკუნით ადრე. მთელ სამყაროს ის ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილებად ყოფდა: სინათლე-სიბნელე; სინაზე-უხეშობა; სითბო-სიცივე; ყოფნა-არყოფნა. წყვილის ერთი ნაწილი მისთვის პოზიტიური (სინათლე, სინაზე, სითბო, ყოფნა) იყო, მეორე – ნეგატიური. ასეთი დაყოფა შეიძლება ბავშვურადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ როგორც ნიცშე აღნიშნავს, მხოლოდ იქამდე, სანამ არ დავსვამთ შეკითხვას: რომელია პოზიტიური, სიმძიმე თუ სიმსუბუქე? პარმენიდეს პასუხი ასეთი იყო: სიმსუბუქე პოზიტიურია, სიმძიმე – ნეგატიური. მართალი იყო თუ არა? აი ეს არის საკითხავი, თუმცა ერთი რამ ცხადია: წყვილი „სიმსუბუქე-სიმძიმე“ იდუმალებითაა მოცული და ყველაზე მრავალსახაა ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილებს შორის.

3

უკვე წლებია, ტომაშზე ვფიქრობ, მაგრამ მხოლოდ ამ მსჯელობის წყალობით ვხედავ გარკვევით. ვხედავ, როგორ დგას თავისი ბინის ფანჯარასთან, რომელიც მთელ ეზოს გადაჰყურებს, მისჩერებია მოპირდაპირე მრავალბინიანი სახლის კედელს და არ იცის, რა ქნას.

ტერეზას პირველად სამიოდე კვირის წინ შეხვდა ჩეხეთის ერთ პატარა ქალაქში. სულ რაღაც ერთი საათი გაატარეს ერთად. ტერეზამ სადგურამდე მიაცილა და მატარებელში ჩაჯ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დომამდე არ მოშორებია ტომაშს. ათი დღის შემდეგ პრაღაში ჩააკითხა. იმავე დღეს ლოგინში აღმოჩნდნენ. ღამე სიცხემ აუწია და გრიპიანმა მთელი კვირა გაატარა ტომაშის ბინაში.

მაშინ გაუჩნდა ტომაშს ამ თითქმის უცნობი გოგოს მიმართ ყოვლად აუხსნელი სიყვარული. ტერეზა პატარა ბავშვად ეჩვენებოდა, რომელიც ვიღაცამ ფისით ამოგლესილ კალათში ჩააწვინა და მდინარეს მიანდო, რათა ტომაშს თავისი ლოგინის ნაპირზე გამოეყვანა.

ტერეზამ ერთი კვირა დაყო ტომაშთან და გამოჯანმრთელებისთანავე თავის პატარა ქალაქს დაუბრუნდა, რომელიც პრაღიდან ორასიოდე კილომეტრით იყო დაშორებული. ზუსტად მაშინ დადგა წამი, რომელსაც ვიხსენებდი და რომელიც მისი ცხოვრების ამხსნელად მომეჩვენა: იდგა ფანჯარასთან და ჩაფიქრებული მისჩერებოდა მოპირდაპირე სახლის კედელს. მიიპატიჟოს პრაღაში სამუდამოდ? პასუხისმგებლობის ეშინოდა. ტერეზა ხომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდოდა, რომ მთელი თავისი ცხოვრება მისთვის მიეძღვნა. იქნებ საერთოდ არ ღირს შეხმიანება? მაგრამ მაშინ ის ერთი მიგდებული ქალაქის რესტორანში მიმტანად დარჩება და ველარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. უნდოდა კი, რომ ტერეზა ჩამოსულიყო? გაჰყურებდა კედელს და პასუხს ეძებდა.

სულ თვალწინ ედგა ტახტზე მწოლიარე ტერეზას სურათი; არავის არ ჰგავდა მისი წარსული ცხოვრებიდან: არც საყვარელს, არც ცოლს, უბრალოდ ბავშვი იყო, რომელიც ფისით ამოგლესილი კალათიდან თავისი ლოგინის ნაპირზე გადმოიყვანა. ტერეზას ჩაეძინა. მის გვერდით ჩაიჩოქა. ტერეზას სიცხიანი სუნთქვა გაუხშირდა და ოდნავ ამოიკვნესა. სახით მის ლოყას მიეხუტა და ჩაძინებულს ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. მალე ტერეზას სუნთქვა დაუწყნარდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ლოყაც ისე ძლიერად აღარ ეხუტებოდა. გრძნობდა მისი სიცხიანი სუნთქვის სურნელს, ცდილობდა, შეესრუტა ეს სურნელი, თითქოს ტერეზას სხეულის სინაზით უნდოდა აღვსილიყო. უცებ წარმოიდგინა, რომ ის უკვე დიდი ხანია მასთან ცხოვრობს და ახლა უეცრად კვდება. იგრძნო, რომ მის სიკვდილს ვერ გადაიტანდა, გვერდით მიუწვებოდა და სიკვდილს ინატრებდა. ამ წარმოდგენებით გულაჩუყებულმა თავი ტერეზას გვერდით ბალიშში ჩარგო და დიდხანს არ განძრეულა.

ახლა კი ფანჯარასთან იდგა და ამ წუთს იხსენებდა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს, თუ არა სიყვარული, რომელიც ასეთი სახით გამოეცხადა?

მაგრამ იყო კი ეს სიყვარული? ტერეზას გვერდით სიკვდილის სურვილი, ცხადია, გადაჭარბება იყო, მას ხომ მხოლოდ მეორედ ხედავდა ცხოვრებაში! იქნებ ეს იმ ადამიანის ისტერიაა, რომელიც სულის სიღრმეში აცნობიერებს თავის უუნარობას – ვინმე უყვარდეს და ამიტომაც სიყვარულის ინსცენირებას აწყობს? თანაც მისი ქვეცნობიერი ისეთი ქალაჩუნაა, რომ ამ კომედიისათვის აირჩია ერთი საწყალი ოფიციანტი ყველასგან მივიწყებული ქალაქიდან, რომელსაც მის სამყაროში შებიჯების თითქმის არანაირი შანსი არ გააჩნდა!

მისჩერებოდა მოპირდაპირე სახლის ჭუჭყიან კედელს და ხვდებოდა, რომ თვითონაც არ იცოდა, ისტერია იყო ეს თუ სიყვარული. დასანანი იყო, რომ სიტუაციაში, რომელშიც ნამდვილი მამაკაცი მოქმედებას არჩევდა, თვითონ ორჭოფობდა და ყველაზე ლამაზ წამებს, რაც კი ოდესმე განუცდია (მის ლოგინთან იყო დაჩოქილი და გრძნობდა, რომ მის სიკვდილს ვერ გადაიტანდა), შინაარსს აკარგვინებდა.

ბრაზობდა საკუთარ თავზე, ბოლოს კი გაუელვა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სავსებით ბუნებრივია, არ იცოდე, რა გინდა: ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს და არ შეუძლია, ეს ცხოვრება წარსულ ცხოვრებებს შეადაროს ან მომავალ ცხოვრებებში გამოასწოროს.

რა ჯობია, ერთად ყოფნა თუ მარტო დარჩენა? მიღებული გადაწყვეტილების სისწორის შემოწმება შეუძლებელია, რადგან არ გვაქვს საშუალება, რამეს შევადაროთ. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და თანაც სრულიად მოუმზადებლად. ის მსახიობს ჰგავს, რომელიც ურეპეტიციოდ თამაშობს როლს. რად ღირს ეს ცხოვრება, თუ პირველი რეპეტიცია ცხოვრებისათვის თვით ცხოვრებაა? ამიტომაც არის, რომ ცხოვრება ყოველთვის ესკიზს წააგავს. თუმცა სიტყვა „ესკიზი" არ გამოხატავს არსს, რადგან ის რაღაცის ჩანახატია, მზადებაა მომავალი ნახატისთვის, ჩვენი ცხოვრება კი ესკიზია, რომელიც არაფრის ჩანახატს არ წარმოადგენს და რომელიც არასოდეს იქცევა ნახატად.

Einmal ist keinmal, იმეორებდა ტომაში გერმანულ გამოთქმას. რაც ერთხელ მოხდა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არასდროს მომხდარა. და თუ მხოლოდ ერთხელ ცხოვრება გვიწერია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ არ გვიცხოვრია.

4

ერთხელ, ორ ოპერაციას შორის შესვენებისას, ტელეფონთან დაუძახეს. ყურმილიდან ტერეზას ხმა მოესმა. სადგურიდან ურეკავდა. გაუხარდა. სამწუხაროდ, საღამოს უკვე შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომ სახლში მეორე დღისთვის მიიპატიჟა. დათქმული შეხვედრის გადასატანად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დრო საკმარისად ჰქონდა, შეეძლო ტერეზა იმავე საღამოს მოეწვია შინ, ზუსტად ამას საყვედურობდა საკუთარ თავს ყურმილის დაკიდებისთანავე. რა უნდა ეკეთებინა ტერეზას პრაღაში მთელი ოცდათექვსმეტი საათი? ერთი სული ჰქონდა, მანქანაში ჩამჯდარიყო და პრაღის ქუჩებში მოეძებნა.

ტერეზა მეორე საღამოს მოვიდა. მხარზე გრძელსახელურიანი ჩანთა ეკიდა და ტომაშს უფრო ელეგანტური მოეჩვენა, ვიდრე წინა შეხვედრისას. ხელში სქელი წიგნი ეჭირა, ტოლსტოის „ანა კარენინა“. მხიარული იყო, ცოტა ხმაურიანიც კი, უნდოდა, ტომაში დაერწმუნებინა, თითქოს უცაბედად ამოყო თავი მასთან და პრაღაში მხოლოდ საქმეებმა ჩამოიყვანა. სავარაუდოდ (შეკითხვებს გაურკვევლად პასუხობდა) სამსახურს ეძებდა.

ტახტზე გვერდიგვერდ იწვნენ, შიშვლები და დაღლილები. შემოაღამდათ. ტომაში დაინტერესდა, სად დაბინავდა ტერეზა, უნდოდა, მანქანით მიეცილებინა. ქალმა თავი უხერხულად იგრძნო და უთხრა, სასტუმროს მოძებნას ახლა ვაპირებო. ჩემოდანი სადგურში ჰქონდა დატოვებული.

ტომაშს ჯერ კიდევ გუშინ ეშინოდა, რომ, თუ ტერეზას პრაღაში მოიწვევდა, ისიც დაუყოვნებლივ ჩამოვიდოდა, რათა მთელი ცხოვრება მისთვის მიეძღვნა. ახლა, როცა გაიგო, ჩემოდანი შემნახველ საკანში დაეტოვებინა, გაიფიქრა, რომ ტერეზას ცხოვრება იმ ჩემოდანში იყო და სანამ მას ტომაშს შესთავაზებდა, დროებით სადგურში დატოვა.

ჩაჯდა სახლის წინ დაყენებულ მანქანაში, სადგურში მივიდა, ჩემოდანი (უზარმაზარი და ძალიან მძიმე) წამოიღო და ტერეზასთან ერთად შინ დაბრუნდა.

რას დავაბრალოთ ასეთი სწრაფი გადაწყვეტილება, როცა ორი კვირა გაუთავებელ ორჭოფობაში გაატარა და ტერეზას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი ლია ბარათიც კი ვერ გაუგზავნა ყურადღების ნიშნად? თვითონაც არ ესმოდა. საკუთარ პრინციპებს ღალატობდა. ცოლს ექვსი წლის წინ გაეყარა და გაყრას ისეთი საზეიმო განწყობით ირგებდა, სხვებს ქორწინებისას რომ აქვთ. მიხვდა, რომ არ იყო ქალის გვერდით ცხოვრებისათვის გაჩენილი და მხოლოდ მარტოხელა შეინარჩუნებდა საკუთარ მეობას. თავგამოდებით ცდილობდა, ცხოვრება ისე აეწყო, რომ არც ერთი ქალი აღარ ჩასახლებოდა თავისი ჩემოდნით. ამიტომ ჰქონდა სახლში მხოლოდ ერთი ტახტი. ტახტი საკმაოდ ფართო იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საყვარლებს არწმუნებდა, არ შემიძლია ვინმესთან ერთად ძილიო და ნაშუაღამევს სახლში აცილებდა. სხვათა შორის, როდესაც ტერეზას გრიპი შეხვდა და მასთან დარჩა ერთი კვირით, არც მაშინ დაუძინიათ ერთად. პირველ ღამეს დიდ სავარძელში ეძინა, დანარჩენი ღამეები კი საავადმყოფოში გაატარა, თავის კაბინეტში, დივანზე, რომელზეც მორიგეობისას ეძინა ხოლმე.

ამჯერად ერთად ეძინათ. ტომაშს დილით პირველს გაელვიძა და აღმოაჩინა, რომ ჯერ კიდევ მძინარე ტერეზას მისი ხელი ეჭირა. ნუთუ მთელი ღამე ასე გაატარეს? ძნელი დასაჯერებელი იყო.

ტერეზა ძილში ღრმად სუნთქავდა და ღონივრად ეჭირა ტომაშის ხელი (ისე ჩაბღაუჭებოდა, რომ ხელის წართმევა წარმოუდგენელი იყო), უზომოდ მძიმე ჩემოდანიც იქვე იდო. ხელის გათავისუფლების ეშინოდა, არ უნდოდა ტერეზას გაღვიძება, ამიტომ ფრთხილად გადატრიალდა გვერდზე, რომ უკეთ დაენახა ქალი. ისევ გაიფიქრა, რომ ტერეზა ერთი პატარა ბავშვია, რომელიც ვიღაცამ ფისით ამოგლესილ კალათში ჩააწვინა და მდინარეში შეაცურა. როგორ შეიძლება ბავშვიანი კალათა აზვირთებულ მდინარეს ანდო! ფარაონის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალიშვილს რომ ნაპირზე არ გამოეტანა კალათა, რომელშიც პატარა მოსე იწვა, არც ძველი აღთქმა იარსებებდა და არც მთელი ჩვენი ცივილიზაცია! რამდენი ძველი მითი იწყება იმით, რომ ვინმე მიგდებულ ბავშვს გადაარჩენს. არც სოფოკლეს უმშვენიერესი ტრაგედია იარსებებდა, პოლიბოსს ოიდიპოსი რომ არ ეშვილებინა!

მაშინ ტომაში ვერ აცნობიერებდა, რომ მეტაფორა სახიფათო რამაა, სიყვარული შეიძლება ერთი უბრალო მეტაფორიდან აღმოცენდეს.

5

ტომაშმა ცოლთან თითქმის ორი წელი გაატარა და ერთი ბიჭი ჰყავდათ. გაყრისას სასამართლომ ბავშვი დედას მიაკუთვნა. ტომაშს შვილისთვის ხელფასის მესამედის გადახდა დააკისრა და ყოველ მეორე კვირადღეს ნახვის უფლებაც მისცა.

ხშირად, როდესაც ბავშვის ნახვის დრო მოვიდოდა, დედა რაიმე მიზეზით შეხვედრას გადადებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, მათთვის ძვირფასი საჩუქრები რომ მიეტანა, შვილის ნახვა უფრო გაუადვილდებოდა. მიხვდა, რომ შვილის სიყვარულისთვის უნდა გადაეხადა, თანაც არც ისე ცოტა. წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ მოუნდებოდა მომავალში დონკიხოტური შემართებით შთაეგონებინა შვილისთვის თავისი შეხედულებები, სრულიად განსხვავებული დედის შეხედულებებისაგან და წინასწარ გრძნობდა დაღლილობას. ერთხელაც, როდესაც დაწესებულ კვირადღეს ყოფილმა ცოლმა კიდევ ერთხელ, უკანასკნელ წუთს, გადაუდო შვილთან შეხვედრა, მოულოდნელად გადაწყვიტა, აღარასოდეს ენახა შვილი. და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საერთოდ, იმ ბავშვისადმი, რომელთანაც მხოლოდ ერთი წინდაუხედავი ღამე აკავშირებდა, რატომ უნდა ეგრძნო მეტი, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი? ფულს წესიერად გადაუხდის, მაგრამ ნურავინ მოსთხოვს, რომ მამობრივი გრძნობების სახელით იბრძოლოს მამობის უფლებისათვის!

რა თქმა უნდა, მისი ეს დამოკიდებულება არავის მოეწონა. მშობლებმაც გაკიცხეს და გამოუცხადეს, რომ, თუ ტომაში შვილს ბედის ანაბარა მიატოვებს, მაშინ ისინიც, ტომაშის მშობლები, ხელს აიღებენ საკუთარ შვილზე. ამასთან ხაზგასმულად კარგი ურთიერთობა შეინარჩუნეს რძალთან და თავს იწონებდნენ სამართლიანი პოზიციითა და ქცევით.

აი ამგვარად, სულ მოკლე დროის განმავლობაში ტომაშმა მოახერხა, თავიდან მოეშორებინა ცოლი, შვილი, დედა და მამა. სამაგიეროდ ქალების შიში გაუჩნდა. ელტვოდა ქალებს და თან ეშინოდა მათი. იძულებული იყო, შიშსა და ლტოლვას შორის კომპრომისი მოეძებნა, რომელსაც „ეროტიკული მეგობრობა“ უწოდა. საყვარლებს არწმუნებდა: მხოლოდ სენტიმენტალურობას მოკლებულ ურთიერთობას, როდესაც ერთი არ აცხადებს პრეტენზიებს მეორის ცხოვრებასა და თავისუფლებაზე, მოაქვს ორივესთვის ბედნიერებაო.

რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ეროტიკული მეგობრობა არასდროს გადაიქცეოდა აგრესიულ სიყვარულად, თავის მუდმივ საყვარლებს მხოლოდ ხანგრძლივი პაუზების შემდეგ ხვდებოდა. თვითონ ეს მეთოდი იდეალურად მიაჩნდა და მეგობრებში პროპაგანდას უწევდა: „სამთა წესი უნდა დაიცვა. შეიძლება, ერთ ქალს ზედიზედ შეხვდე, მაგრამ მხოლოდ სამჯერ. ან შეგიძლია წლების განმავლობაში ხვდებოდე მას, ოღონდ ამ შეხვედრებს სამი კვირა მაინც უნდა აშორებდეს ერთმანეთისაგან“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ სისტემამ ტომაშს საშუალება მისცა, უამრავი დროებითი საყვარელი ჰყოლოდა ისე, რომ მუდმივი საყვარლები არ დაეკარგა. ხშირად მისი არ ესმოდათ. ყველა საყვარელს შორის საუკეთესოდ საბინა უგებდა. საბინა, რომელიც მხატვარი იყო, ასე ეუბნებოდა ხოლმე: „მიყვარხარ, იმიტომ რომ კიჩის საპირისპირო პოლუსი ხარ. კიჩის სამყაროში მონსტრი იქნებოდი. ნებისმიერი ამერიკული ან რუსული ფილმის სცენარში, ალბათ, მხოლოდ საფრთხობელას როლი თუ გერგებოდა“.

ტომაშმაც სწორედ საბინას სთხოვა დახმარება, როდესაც ტერეზასთვის პრაღაში სამსახურს ეძებდა. როგორც ამას ეროტიკული მეგობრობის დაუწერელი წესები მოითხოვდა, საბინა დახმარებას შეჰპირდა და მართლაც, სულ მალე უშოვა ადგილი ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალის ფოტოლაბორატორიაში. სამუშაოს განსაკუთრებული კვალიფიკაცია არ სჭირდებოდა, თუმცა ტერეზას სტატუსმა ოფიციანტიდან პრესის მუშაკის სტატუსამდე აიწია. საბინამ პირადად მიიყვანა ტერეზა გამომცემლობაში, და ტომაშმა გაიფიქრა, რომ საბინაზე უკეთესი მეგობარი არასოდეს ჰყოლია.

6

ეროტიკული მეგობრობის დაუწერელი ხელშეკრულება ტომაშის ცხოვრებიდან სიყვარულის გამორიცხვას გულისხმობდა. ეს პირობა რომ დაერღვია, დანარჩენი საყვარლები მეორეხარისხოვანები აღმოჩნდებოდნენ და აუჯანყდებოდნენ. ამიტომ ტერეზას ბინის დაქირავებაში დაეხმარა და თავისი მძიმე ჩემოდნითურთ იქ გადააბარგა. ტომაშს სიამოვნებდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერეზაზე ზრუნვა, დაცვა, ტკბებოდა მისი არსებობით, მაგრამ თავის ცხოვრებაში არაფრის შეცვლა არ სურდა. ამიტომ არც იმის გახმაურება უნდოდა, რომ ტერეზას მის სახლში სძინავს. ერთად ძილი მისთვის სიყვარულის ერთგვარი corpus delicti[2] იყო.

სხვა საყვარლებთან ერთად არასოდეს დაუძინია. როდესაც მათთან იყო, ყველაფერი მარტივად ხდებოდა: შეეძლო მაშინ წამოსულიყო, როცა მოისურვებდა. მდგომარეობა რთულდებოდა, თუ საყვარლები იყვნენ მასთან. იმის ახსნა უხდებოდა, რომ უძილობა აწუხებს და არ შეუძლია სხვა ადამიანის გვერდით ძილი, ამიტომ ნაშუაღამევს შინ უნდა გაეცილებინა. ეს სიმართლეს მოკლებული არ იყო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი უარესი იყო და მის გამხელას ვერ ბედავდა: საყვარელთან ყოფნის შემდეგ მარტოდ დარჩენის გადაულახავი სურვილი უჩნდებოდა, უცხო ადამიანის გვერდით ღამე გაღვიძება უსიამოვნებას ჰგვრიდა. დილით ერთად ადგომა ზიზღს უჩენდა, არ უნდოდა ვინმეს გაეგო, როგორ იხეხავს კბილებს და არც საუზმე ხიბლავდა ინტიმურ ატმოსფეროში.

ამიტომ იყო ასე გაკვირვებული, როდესაც გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ ტერეზას მისი ხელი ეჭირა. უყურებდა და არ ესმოდა, რა ხდებოდა. გასულ რამდენიმე საათს იხსენებდა და გრძნობდა, რომ იქიდან მისთვის სრულიად უცნობი ბედნიერების სურნელი ვრცელდებოდა.

იმ დროიდან მოყოლებული ორივეს უხაროდა ერთად დაძინება. გავბედავ და ვიტყვი, რომ ტომაშისთვის ერთად დაწოლის მიზანი სექსუალური ტკბობა კი არა, ერთად ძილი იყო, რომელიც ამ ტკბობას მოსდევდა. თვით ტერეზას კი არაფრით

---

[2] ნივთიერი მტკიცებულება (ლათ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ შეეძლო ტომაშის გარეშე ძილი. როდესაც დროდადრო თავის დაქირავებულ ბინაში (რომელიც უფრო და უფრო უბრალოდ ალიბის ემსგავსებოდა) უწევდა დარჩენა, მთელი ღამე არ ეძინა ხოლმე. სამაგიეროდ, რაც უნდა უხასიათოდ ყოფილიყო, ტომაშის მკლავებში წყნარად ეძინებოდა. ტომაში ჩასჩურჩულებდა მისთვის მოგონილ ზღაპრებს, სხვადასხვა უაზრობას ან მონოტონურად უმეორებდა სახუმარო და ალერსიან სიტყვებს. ტერეზასთვის ეს სიტყვები ქაოსური ზმანებების სახეს იძენდა და ძილისკენ მიაქანებდა. ტომაში მის ძილზე ბატონობდა, შეეძლო მაშინ დაეძინებინა, როდესაც მოისურვებდა.

როდესაც ერთად იყვნენ, ტერეზას ისე ეძინა, როგორც პირველ ღამეს: ღონივრად ეჭირა მისი მაჯა, თითი ან ხელის მტევანი. როდესაც ადგომა სჭირდებოდა და ტერეზას გაღვიძება არ უნდოდა, იძულებული იყო, ხრიკისთვის მიემართა. გამოაცლიდა თუ არა ხელიდან მაჯას (თითს, მტევანს), ტერეზას ნახევრად ეღვიძებოდა, რადგან ძილშიც ტომაშს სდარაჯობდა. ტომაში კი წართმეული ხელის სანაცვლოდ რამეს (დაკუჭულ პიჟამას, ჩუსტს, წიგნს) შეაჩეჩებდა ხოლმე, რომელსაც ტერეზა ისე იხუტებდა, თითქოს ტომაშის სხეულის ნაწილი ყოფილიყო. მხოლოდ ასე შეეძლო მას დაწყნარება და ძილის გაგრძელება.

ერთხელ ძილბურანში მყოფ ტერეზას, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო კითხვებზე პასუხის გაცემა, ტომაშმა უთხრა: „ტერეზა, მე წავედი“. „სად?“ – ჰკითხა ქალმა. „სხვაგან“, – მიუგო მკაცრი ტონით. „მეც წამოვალ!“ – უთხრა ტერეზამ და ლოგინში წამოიმართა. „შეუძლებელია, მე სამუდამოდ მივდივარ“, მიაძახა და შემოსასვლელში გავიდა. ტერეზა თვალებდახუჭული გაჰყვა, შიშველ სხეულზე მხოლოდ მოკლე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პერანგი ეცვა. სახის ნაკვთები გაშეშებული ჰქონდა და გამომეტყველება გაყინული, მაგრამ სხეულის მოძრაობა ენერგიული. ტომაში სადარბაზოში (თავისი მრავალბინიანი სახლის) გავიდა და ცხვირწინ მიუკეტა კარი. ნახევრად მძინარე ტერეზამ, დარწმუნებულმა, რომ სამუდამოდ კარგავს საყვარელს და რომ ის უნდა დააკავოს, სწრაფად გააღო კარი და სადარბაზოში გავიდა. ტომაში ერთი სართულით ქვევით ჩავიდა და იქ დაელოდა, ის კი ჩაჰყვა, ხელი ჩაჰკიდა და ასე ხელჩაკიდებული ისევ ლოგინში ჩაიწვინა.

ტომაშმა გაიფიქრა: ქალთან წოლა და ქალთან ერთად ძილი არა მარტო ორი განსხვავებული ვნებაა, არამედ საპირისპიროც. სიყვარული ქალთან წოლის სურვილში კი არ ვლინდება (ეს სურვილი უთვალავი ქალის მიმართ ჩნდება), არამედ მასთან ერთად ძილის სურვილში (ეს მხოლოდ ერთ ქალს უკავშირდება).

7

ტერეზა ძილში ისე კვნესოდა, რომ ტომაშს მისი გაღვიძება მოუხდა. ტერეზამ ზიზღით შეხედა და მიაძახა: „წადი აქედან, მომშორდი!“ მოგვიანებით კი თავის სიზმარს მოუყვა: ტომაშთან და საბინასთან ერთად უცნობ ადგილას იმყოფებოდა. დიდ ოთახში აღმოჩნდნენ, რომლის შუაშიც თეატრის სცენასავით დიდი საწოლი იდგა. ტომაშმა ტერეზას კუთხეში დარჩენა უბრძანა და თვითონ მის თვალწინ საბინასთან ერთად ვნებას მიეცა. ეს სანახაობა აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა. გადაწყვიტა, სულის ტკივილი სხეულის ტკივილით ჩაეხშო და ამიტომ ფრჩხილების ქვეშ ნემსებს იყრიდა. „ძალიან მტკივნეული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო“, – იძახდა და აკანკალებული მუშტებს ისე კრავდა, თითქოს მართლა ჰქონდა ჭრილობები. ტომაშმა მიიხუტა და ტერეზას ნელ-ნელა (კიდევ დიდხანს კანკალებდა) ჩაეძინა მის მკლავებში.

მეორე დღეს, როდესაც ამ სიზმარზე ფიქრობდა, ტომაშს რაღაც გაახსენდა. მაგიდის უჯრა გამოაღო და საბინას წერილების შეკვრა ამოიღო. სწრაფად მიაგნო საჭირო ადგილს: „მინდა ვიწვეთ ჩემს სახელოსნოში, როგორც სცენაზე, ირგვლივ ხალხი იყოს, თვალს ვერ გვაშორებდნენ, მაგრამ ნაბიჯითაც არ შეეძლოთ მოახლოება...“ ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ წერილს თარიღი ეწერა და ახლო წარსულს ეკუთვნოდა. მაშინ ტერეზა უკვე დიდი ხნის გადმოსახლებული იყო.

– ჩემს წერილებში იქექებოდი, არა! – ეცა ტერეზას.

– მაშინ გამაგდე აქედან! – მიაძახა მან პასუხად.

არ გაუგდია. თვალწინ წარმოუდგა, საბინას სახელოსნოს კედელზე აკრული როგორ იყრის ფრჩხილების ქვეშ ნემსებს. მისი ხელები აიღო, ეფერებოდა თითებზე და ისე უკოცნიდა, თითქოს მართლა ხედავდა სისხლს მის თითებზე.

იმ დღიდან თითქოს ყველაფერი ტომაშის წინააღმდეგ შემოტრიალდა. ტერეზა ყოველდღე რაღაც ახალს იგებდა მისი გასაიდუმლოებული ინტიმური ცხოვრების შესახებ. ტომაში თავიდან ყველაფერს უარყოფდა. როდესაც მტკიცებულებებს ველარსად გაურბოდა, ირწმუნებოდა, რომ მისი პოლიგამიური ცხოვრება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ტერეზას სიყვარულს. თუმცა თანამიმდევრული ვერ იყო: თავის პოლიგამიურ ცხოვრებას ხან უარყოფდა, ხან ამართლებდა.

ერთხელ ვიღაცას ურეკავდა შეხვედრაზე მოსალაპარაკებლად. როდესაც საუბარს მორჩა, მეორე ოთახიდან კბილების კაწკაწის მსგავსი ხმა მოესმა. თურმე ოთახში ტერეზა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემოსულიყო და ტომაშს ვერ შეუმჩნევია. ახლა ტერეზას ხელში დამამშვიდებელი წამალი ეჭირა, რომელსაც პირდაპირ პირში ისხამდა კანკალით და შუშის ბოთლი კბილებზე კაკუნებდა. ისე მივარდა ტერეზას, თითქოს სიკვდილისგან უნდოდა ეხსნა. ვალერიანის ბოთლი ძირს დაეცა და ხალიჩა დასვარა. ტერეზა ეწინააღმდეგებოდა, გათავისუფლებას ცდილობდა, ტომაშს კი დიდხანს ჰყავდა მომწყვდეული მკლავებში, სანამ არ დააწყნარა.

ესმოდა, რომ ამ სიტუაციას არავითარი გამართლება არ ჰქონდა, რადგან საფუძვლად სრული უთანასწორობა ედო.

ჯერ კიდევ საბინასთან მიმოწერის აღმოჩენამდე რამდენიმე მეგობარსა და ტერეზასთან ერთად ბარში ტერეზას ახალ თანამდებობაზე გადასვლას აღნიშნავდნენ: ტერეზა ფოტოლაბორატორიიდან წამოვიდა, რადგან ჟურნალის ფოტოგრაფად მიიწვიეს. რაკი თვითონ არ ცეკვავდა, ტერეზას მისი ახალგაზრდა კოლეგა დაეპატრონა. არაჩვეულებრივად ცეკვავდნენ პრიალა პარკეტზე და ტერეზა უფრო ლამაზი ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე. გაკვირვებული შესცქეროდა, რა ზუსტად და დამჯერად მიჰყვებოდა წამის მეათედით ადრე გამოცნობილ პარტნიორის ნებას. ეს ცეკვა თითქოს იმაზე მეტყველებდა, რომ ტერეზას თავგანწირვა, ლტოლვა – ხალისით შეასრულოს ყოველივე, რასაც ტომაშის თვალებში კითხულობს, მაინცდამაინც მასთან არ იყო დაკავშირებული, უბრალოდ ტერეზა მზად იყო, ნებისმიერი მამაკაცის ძახილს გამოხმაურებოდა, ვისაც პირველად გადაეყრებოდა. ადვილად წარმოიდგინა, რომ ტერეზა და მისი კოლეგა საყვარლები არიან, რამაც უზომოდ ატკინა გული! უცებ მიხვდა, რომ ძალიან ადვილად შეიძლებოდა ტერეზას წარმოდგენა სხვა მამაკაცის მკლავებში და ხასიათი გაუფუჭდა. მხოლოდ გვიან ღამით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახლში დაბრუნების შემდეგ, გამოუტყდა ტერეზას, რომ ეჭვიანობდა.

ეს აბსურდული ეჭვიანობა, რომელიც ღალატის მხოლოდ თეორიულმა შესაძლებლობამ წარმოშვა, იმის მტკიცებულება იყო, რომ ტერეზას ერთგულებას თავიანთი სიყვარულის ბუნებრივ და აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა. მაშ როგორ შეეძლო ესაყვედურა, რომ ტერეზა მის რეალურად არსებულ საყვარლებზე ეჭვიანობდა?

8

დღისით ტერეზა ცდილობდა (ნაწილობრივი წარმატებით), ერწმუნა ტომაშის სიტყვები და ძველებურად მხიარული ყოფილიყო. მაგრამ დღისით მოთვინიერებული ეჭვიანობა დაუნდობლად ვლინდებოდა სიზმრებში, რომლებიც გულამოსკვნილი ტირილით სრულდებოდა და ტომაშს ტერეზას გაღვიძება უხდებოდა.

სიზმრები მეორდებოდა, როგორც ვარიაციები თემაზე ან ფილმის სერიები. მაგალითად, ხშირად მეორდებოდა ადვილად ასახსნელი სიზმარი კატებზე, რომლებიც სახეზე ახტებოდნენ და ბრჭყალებს ასობდნენ. სიტყვა „ფისუნია“ ხომ ჩეხურ არგოზე ლამაზ ქალს ნიშნავს, ტერეზა კი გამუდმებით გრძნობდა ქალებისგან (პრაქტიკულად ყველა ქალისგან) მომდინარე ხიფათს. ყოველი ქალი ხომ ტომაშის პოტენციური საყვარელი იყო, ამიტომაც ეშინოდა.

სხვა სიზმრებში მას სასიკვდილოდ აგზავნიდნენ. ერთხელ, როდესაც შიშისაგან თავზარდაცემული ყვიროდა და ტომაშმა გააღვიძა, მოუყვა კიდეც თავის კოშმარს: „დიდი გადახურული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუზი იყო. დაახლოებით ოცნი ვიყავით. მხოლოდ ქალები. ყველანი შიშვლები ვიყავით და აუზის ირგვლივ მწყობრი ნაბიჯით დავდიოდით. ჭერში კალათი ეკიდა, კალათში კაცი იდგა. ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, რომელიც სახეს უფარავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს შენ ხარ. ბრძანებებს გვაძლევდი, გვიყვიროდი. სიარულის დროს უნდა გვემღერა და დროგამოშვებით უნდა ჩაგვებუქნა. თუ ვინმეს ბუქნი ცუდად გამოსდიოდა, პისტოლეტიდან ესროდი და ისიც აუზში ვარდებოდა მკვდარი. სხვები ამ დროს იცინოდნენ და კიდევ უფრო ხმამაღლა მღეროდნენ. შენ თვალს არ გვაშორებდი და თუ ვინმეს რამე შეეშლებოდა, მაშინვე ერთი გასროლით კლავდი. აუზი სავსე იყო გვამებით, რომლებიც წყლის ზედაპირთან ახლოს ტივტივებდნენ. ვიცოდი, რომ შემდეგი ბუქნისთვის ძალა აღარ მეყოფოდა და აუცილებლად მომკლავდი“.

სიზმრების მესამე ციკლში ტერეზა უკვე მკვდრად გვევლინებოდა.

სატვირთო მანქანასავით დიდ კატაფალკში იწვა და ირგვლივ მკვდარი ქალები ესვენა. იმდენი გვამი იყო, რომ კატაფალკის კარი არ იხურებოდა და ზოგიერთს ფეხები გარეთ ჰქონდა გადმოყრილი. თვითონ კი გაჰკიოდა: „კი, მაგრამ მე ხომ მკვდარი არ ვარ! მე ყველაფერს ვგრძნობ!“ „ჩვენც ვგრძნობთ ყველაფერს“, – დასცინოდნენ გვამები. იცინოდნენ ზუსტად ისე, როგორც ის ცოცხალი ქალები, რომლებიც ოდესღაც უხსნიდნენ, რომ სავსებით ნორმალურია, თუ გაფუჭებული კბილები, დაავადებული საკვერცხეები და დამჭკნარი კანი ექნება, რადგან მათაც გაუფუჭდათ კბილები, დაუავადდათ საკვერცხეები და დაუჭკნათ კანი. ახლაც ისევე იცინოდნენ და უხსნიდნენ, რომ მკვდარია და რომ ეს სავსებით ნორმალურია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ მოულოდნელად მოშარდვა მოუნდა და დაიყვირა: „ვერ ხედავთ, მოფსმა მინდა! ეს ამტკიცებს, რომ ცოცხალი ვარ!“ ისინი კი ისევ დასცინოდნენ: „მოფსმა რომ გინდება, ეს ბუნებრივია! მთელი შენი შეგრძნებები დიდხანს გაგყვება, ხელმოჭრილის მსგავსად, რომელიც კიდევ დიდხანს გრძნობს მოჭრილ ხელს. რა ხანია შარდი გამოგველია, მოფსმა კი მაინც გვინდება ხოლმე“.

ტერეზა ტომაშს ეხუტებოდა და განაგრძობდა:

– ყველანი შენობით მელაპარაკებოდნენ, თითქოს მთელი ცხოვრება მიცნობდნენ, თითქოს მეგობრები ვიყავით, მე კი შიშმა ამიტანა, რომ მათთან უნდა დავრჩენილიყავი საუკუნოდ!

9

ენები, რომლებსაც საფუძვლად ლათინური უდევთ, სიტყვა „თანაგრძნობას“ აწარმოებენ წინსართით თანა- (com-) და სიტყვით, რომელიც თავიდან „ტანჯვას“ ნიშნავდა (compassion). სხვა ენებში, მაგალითად ჩეხურში, პოლონურში, გერმანულში, შვედურში, მას შეესაბამება არსებითი სახელი, რომელიც იმავე წინსართისა და სიტყვა „გრძნობისაგან“ შედგება (ჩეხურად: sou-cit; პოლონურად: wspol-czucie; გერმანულად: Mitgefühl; შვედურად: med-känsla).

ლათინურის მონათესავე ენებში სიტყვა „თანაგრძნობა“ (compassion) ნიშნავს: არ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ სხვის ტანჯვას ან ვიზიარებთ ტანჯულის ტკივილს. მეტიც, დაახლოებით იმავე შინაარსის ფრანგულ სიტყვაში pitié (ინგლისურად pity, იტალიურად pietà) თითქოს გარკვეული ქედმაღლობაც კი იგრძნობა იმის მიმართ, ვინც იტანჯება. Avoir

www.PDF.ChiaturaINFO.GE

de la pitié pour une femme ნიშნავს, რომ უკეთ ვართ, ვიდრე ქალი და ქედმაღლურად მისკენ ვიხრებით, გვეცოდება.

ეს არის იმის მიზეზი, რომ სიტყვა compassion უნდობლობას იწვევს, ისეთი შეგრძნება ჩნდება, თითქოს ის უარყოფით და მეორეხარისხოვან გრძნობას გამოხატავს, რომელსაც სიყვარულთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. გიყვარდეს ვინმე თანაგრძნობის გამო, ნიშნავს, რომ სინამდვილეში ის არ გიყვარს.

ენებში, რომლებიც სიტყვა „თანაგრძნობას" „გრძნობისაგან" აწარმოებენ და არა „ტანჯვისაგან" (passio), ამ სიტყვას დაახლოებით იგივე შინაარსი აქვს, უბრალოდ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მეორეხარისხოვან ან უარყოფით გრძნობას გამოხატავს. ეტიმოლოგიის იდუმალი ძალა ამ სიტყვას სხვა ელფერსა და უფრო ფართო აზრს სძენს. კერძოდ, თანაგრძნობის ქონა ნიშნავს შეგეძლოს გაიზიარო სხვისი უბედურება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა გრძნობა. ამდენად, „თანაგრძნობა" (wspolczucie, Mitgefühl, medkänsla) ნიშნავს სხვისი გრძნობების წარმოდგენის უდიდეს უნარს, გრძნობების ტელეპათიას. გრძნობების იერარქიაში ეს უმაღლეს საფეხურზე მდგომი გრძნობაა.

თავისი პირველი სიზმრის მოყოლით ტერეზამ საკუთარი თავი გასცა, აღიარა, რომ ტომაშის მაგიდის უჯრები დაათვალიერა. ტომაში ამის ჩამდენ ნებისმიერ სხვა ქალს აღარასოდეს დაელაპარაკებოდა. ტერეზამ ეს იცოდა და ამიტომ მიაძახა: „მაშინ გამაგდე აქედან!" მაგრამ ტომაშს არათუ არ გაუგდია, არამედ ხელები დაუჭირა და თითებს უკოცნდა, რადგან იმწამს თვითონ გრძნობდა ტერეზას ფრჩხილების ქვეშ აუტანელ ტკივილს, თითქოს ტერეზას თითების ნერვები პირდაპირ მისი ტვინის ქერქისკენ მიემართებოდა.

ადამიანი, რომელიც „თანაგრძნობად" წოდებული სატა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნური ნიჭით არ არის დაჯილდოებული, ტერეზას საქციელს გულგრილად გაკიცხავდა, რადგან სხვისი პირადი ცხოვრება წმინდათაწმინდაა და უჯრების გამოღება, სადაც სხვისი ინტიმური წერილები ინახება, დაუშვებელია. მაგრამ რაკი თანაგრძნობა ტომაშის ხვედრად (იქნებ წყევლადაც კი) იქცა, ეჩვენებოდა, რომ თვითონ იყო დაჩოქილი საწერი მაგიდის გამოღებული უჯრის წინ და თვალს ვერ აშორებდა საბინას დაწერილ სტრიქონებს. ესმოდა ტერეზასი და არამცთუ არ შეეძლო მასზე გაბრაზება, არამედ კიდევ უფრო ძლიერად უყვარდა.

IO

ტერეზას ჟესტები მკვეთრი და გაუწონასწორებელი გახდა. ორი წელი გავიდა, რაც ტომაშის ღალატი აღმოაჩინა. მაგრამ ვითარება სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. მდგომარეობა გამოუვალი იყო.

ნუთუ მართლა არ შეეძლო, დაევიწყებინა თავისი ეროტიკული მეგობრები? არა, არ შეეძლო. ეს მისთვის დამანგრეველი იქნებოდა. არ ჰყოფნიდა ძალა სხვა ქალების მიმართ ლტოლვის გადასალახად, თანაც ეს სრულიად ზედმეტად მიაჩნდა. ვინ იცოდა მასზე უკეთ, რომ მისი თავგადასავლები ტერეზას არავითარ ხიფათს არ უქადდა. მაშ რატომ უნდა ეთქვა უარი ამაზე? ეს ისევე უაზრობად ეჩვენებოდა, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთის საყურებლად სტადიონზე სიარულზე უარის თქმა.

შეიძლება ასეთ დროს სიამოვნებაზე ლაპარაკი? როდესაც მორიგ საყვარელთან წასასვლელად ემზადებოდა, მის მიმართ ზიზღს გრძნობდა და საკუთარ თავს ჰპირდებოდა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა. სულ ტერეზა ელანდებოდა და ამისგან თავის დასაღწევად სასწრაფოდ უნდა დამთვრალიყო. სხვა ქალებთან წოლა უალკოჰოლოდ აღარ შეეძლო! ალკოჰოლის სუნი, თავის მხრივ, ტერეზას კიდევ უფრო უადვილებდა ღალატის აღმოჩენას.

ხაფანგი დაიხურა: როდესაც საყვარლებთან მიდიოდა, მათთან ყოფნის ყოველგვარ სურვილს კარგავდა. ამავე დროს მათ გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებდა, მყისვე ურეკავდა რომელიმეს ახალი შეხვედრის დასათქმელად.

როგორც ყოველთვის, ყველაზე კარგად თავს საბინასთან გრძნობდა. იცოდა, რომ საიდუმლოება დაცული იქნებოდა და მშვიდად იყო. საბინას სახელოსნო მას მხურვალედ ეგებებოდა, როგორც წარსულის მოგონება, მოგონება თავისუფალი მამაკაცის იდილიური ყოფისა.

თვითონაც ვერ აცნობიერებდა, როგორ შეიცვალა: შინ გვიან დაბრუნების ეშინოდა, რადგან ტერეზა ელოდებოდა. საბინამ ერთხელ ისიც კი შენიშნა, რომ ლოგინში საათს დასცქეროდა და ცდილობდა, სასიყვარულო აქტი დროულად დაესრულებინა. შიშველი საბინა უხალისოდ დააბიჯებდა სახელოსნოში, ბოლოს მოლბერტთან, დაუმთავრებელი ნახატის წინ, გაჩერდა და აკვირდებოდა, როგორ ფაციფუცით იცვამდა ტომაში.

ტომაშმა ჩაიცვა, ცალი წინდაღა აკლდა. აქეთ-იქით იყურებოდა, ბოლოს ოთხზე დადგა და მაგიდის ქვეშ დაუწყო ძებნა რაღაცას.

– რომ გიყურებ, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ჩემი ნახატების მუდმივ თემას ემსგავსები, ორი სამყაროს შეხვედრას. ორმაგი ექსპოზიცია. ტომაშ-ლიბერტინელის ფიგურის უკან მოჩანს რომანტიკული საყვარლის სილუეტი. ან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირიქით, ტრისტანის ფიგურის უკან, რომელიც მხოლოდ თავის ტერეზაზე ფიქრობს, მოჩანს ლიბერტინელის ლამაზი სამყარო, რომელსაც უღალატეს.

ტომაში ფეხზე იდგა და დაბნეული გამომეტყველებით უსმენდა.

– რას ეძებ? – ჰკითხა საბინამ.

– წინდას.

ახლა უკვე ერთად ათვალიერებდნენ ოთახს, ტომაში კი ისევ ოთხზე დადგა და მაგიდის ქვეშ შეიხედა.

– შენი წინდა არსად ჩანს, – უთხრა საბინამ, – ეტყობა, არ გცმია.

– როგორ თუ არ მცმია! – შეჰყვირა ტომაშმა და საათზე დაიხედა. – შეუძლებელია, ერთი წინდით მოვსულიყავი!

– ამ ბოლო დროს ძალიან დაბნეული ხარ. სულ სადღაც მიიჩქარი, სულ საათზე იყურები და რა გასაკვირია, ერთი წინდის ჩაცმა რომ დაგვიწყებოდა.

ტომაში უკვე მზად იყო, უწინდოდ ჩაეცვა ფეხსაცმელი, როდესაც საბინამ შეახსენა: – გარეთ ცივა, ჩემს წინდას გათხოვებ, – და ქალის გრძელი, ყაისნაღით ნაქსოვი, დიდთვლებიანი და ძალიან მოდური წინდა მიაწოდა.

ესმოდა, რომ წინდა საბინამ დაუმალა და რომ ეს ერთგვარი შურისძიება იყო ლოგინში საათზე ყურებისათვის. სხვა გზა არ ჰქონდა, მართლაც საშინლად ციოდა. მიდიოდა და ცალ ფეხზე კაცის წინდა ეცვა, მეორეს კი ქალის დაგორგოლავებული თეთრი წინდა უმშვენებდა.

მდგომარეობა გამოუვალი იყო: საყვარლებისთვის ტერეზას მიმართ სიყვარულის სამარცხვინო დამღას ატარებდა, ტერეზას თვალში კი სასიყვარულო თავგადასავლების სამარცხვინო დამღა ესვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერეზასთვის ტანჯვის შესამსუბუქებლად ტომაშმა ის ცოლად შეირთო (ბოლოს და ბოლოს შეეძლო ბინის ქირაობაზე უარი ეთქვა) და ლეკვი აჩუქა.

ტომაშის კოლეგის სენბერნარმა ლეკვები დაყარა. ლეკვების მამა მეზობლის ნაგაზი იყო. პატარა ნაბიჭვრები არავის უნდოდა, პატრონი კი დასახოცად ვერ იმეტებდა. ტომაში ერთ-ერთის არჩევას ცდილობდა და იცოდა, რომ ის ლეკვები, რომლებსაც არ აირჩევდა, უნდა მომკვდარიყვნენ. თავი პრეზიდენტი ეგონა, რომელსაც ოთხი სიკვდილმისჯილი მიჰგვარეს, რომელთაგან მხოლოდ ერთის შეწყალება შეუძლია. ბოლოს დედალი ლეკვი აირჩია, რომელიც სხეულით ნაგაზს ჰგავდა, სახით კი სენბერნარ დედას. ტერეზას მიუყვანა. ტერეზამ ლეკვი მკერდზე მიიკრა, ლეკვმა კი იმწამსვე მაისური დაუსველა. შემდეგ ძაღლისთვის სახელის შერჩევა დაიწყეს. ტომაშს უნდოდა, ძაღლის სახელში გამოჩენილიყო, ვინ არის მისი პატრონი და გაახსენდა წიგნი, რომელიც ტერეზას ჰქონდა იღლიაში ამოჩრილი, როდესაც პრაღაში პირველად ჩამოვიდა. შესთავაზა, ლეკვისთვის ტოლსტოი დაერქმიათ.

– არა, ტოლსტოი არ გამოდგება, – შეეწინააღმდეგა ტერეზა, – გოგოა, შეგვიძლია ანა კარენინა დავარქვათ.

– არა, არც კარენინა გამოდგება, ასეთი სასაცილო სახელი ვერც ერთ ქალს ვერ ექნება, – თქვა ტომაშმა. – ეს უფრო კარენინია. ჰო, ზუსტად კარენინი, ყოველთვის ასეთად წარმომედგინა.

– მის ორიენტაციაზე ხომ არ იმოქმედებს, კარენინს რომ დავუძახებთ?

– რა თქმა უნდა, შეიძლება, დედალ ძაღლს, რომელსაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატრონი კაცის სახელს ეძახის, ლესბოსური მიდრეკილებები გაუჩნდეს, – თქვა ტომაშმა.

ნათქვამი უცნაურად აუხდა. როგორც წესი, დედალ ძაღლებს უფრო კაცი პატრონები უყვართ, კარენინს კი ყველაფერი პირიქით ჰქონდა. გადაწყვიტა, რომ ტერეზა ჰყვარებოდა. ამისთვის ტომაში ძალიან ემადლიერებოდა. თავზე ეფერებოდა და ეუბნებოდა: – მშვენიერია, ყველაფერს კარგად აკეთებ, საყვარელო. ზუსტად ამას ველოდი შენგან. რაკი მარტო ვერ ავუდივარ ტერეზას, ცოტა უნდა შემეშველო.

მაგრამ ტერეზას გაბედნიერება ვერც კარენინის დახმარებით მოახერხა. ეს სამშობლოში რუსული ტანკების შემოჭრიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ გააცნობიერა. 1968 წლის აგვისტო იდგა. ტომაშს ყოველდღე ურეკავდა ციურიხის ერთ-ერთი საავადმყოფოს დირექტორი, რომელსაც საერთაშორისო კონფერენციაზე დაუახლოვდა. ტომაშის გამო ღელავდა და სამსახურს სთავაზობდა.

12

ტომაშმა თითქმის უყოყმანოდ განაცხადა უარი შვეიცარიელის შემოთავაზებაზე. ეს მხოლოდ ტერეზას გამო გააკეთა, დარწმუნებული იყო, რომ გადასახლება არ ენდომებოდა. ოკუპაციის პირველი შვიდი დღე ტერეზამ უცნაურ ექსტაზში გაატარა, რომელიც ბედნიერებას წააგავდა. სულ ქუჩაში იყო თავისი ფოტოაპარატით და გადაღებულ ფოტოებს უცხოელ რეპორტიორებს ურიგებდა, რომლებიც ამისთვის თავ-პირს იმტვრევდნენ. ერთხელ, როდესაც მისმა გაბედულებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა და ახლოდან გადაუღო რუს ოფი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცერს, რომელიც რევოლვერს უმიზნებდა ხალხს, ჩაავლეს და ერთი ღამე კომენდატურაში გაატარებინეს. დახვრეტით ემუქრებოდნენ, მაგრამ გამოშვებისთანავე პრალის ქუჩებს დაუბრუნდა და გადაღება გააგრძელა. ამიტომაც ტომაშს ძალიან გაუკვირდა, როდესაც მეათე დღეს ტერეზამ უთხრა:

– არ მესმის, რატომ არ გინდა შვეიცარიაში გადასახლება.

– რატომ უნდა მინდოდეს?

– აქ შეიძლება დევნა დაგიწყონ.

– ვის არ დაუწყებენ დევნას? – ჩაიქნია ტომაშმა ხელი. – მოდი, სხვა რამეზე მიპასუხე: შეძლებდი უცხოეთში ცხოვრებას?

– რატომაც არა!

– ხომ ვნახე, რა ხიფათში იგდებდი თავს ამ ქვეყნის სიყვარულით, როგორღა შეგიძლია ამის შემდეგ აქაურობა მიატოვო?

– დუბჩეკის დაბრუნების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, – თქვა ტერეზამ.

მართალს ამბობდა: საყოველთაო ეიფორია მხოლოდ ოკუპაციის პირველ კვირას გრძელდებოდა. რუსმა სამხედროებმა ქვეყნის პირველი პირები დამნაშავეებივით სადღაც წაიყვანეს, არავინ იცოდა, სად. ყველას ეშინოდა, არ დაეხოცათ ისინი. რუსების ზიზღი ალკოჰოლივით აბრუებდა ხალხს. ეს ზიზღით თრობის დღესასწაული იყო. ჩეხეთის ქალაქები მორთული იყო ათასობით პლაკატით, დამცინავი წარწერებით, ეპიგრამებით, ლექსებით, ბრეჟნევისა და მისი ჯარის კარიკატურებით, რომლებსაც, როგორც უწიგნურთა ბრბოს, ისე დასცინოდნენ. მაგრამ არ არსებობს დაუსრულებელი დღესასწაული. რუსებმა ქვეყნის მეთაურები აიძულეს, კომპრომისულ შეთანხმებაზე მოეწერათ ხელი. პრალაში დაბრუნებულმა დუბჩეკმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადიოთი გაგვაცნო ამ შეთანხმების ტექსტი. ათდღიანი პატიმრობის მერე ისეთი განადგურებული იყო, რომ ძლივს ლულლულებდა, ენა ებმოდა, ქოშინებდა, ზოგჯერ ფრაზებს შორის დაუსრულებელ, თითქმის ნახევარწუთიან პაუზებს აკეთებდა.

კომპრომისმა ქვეყანა უარესს გადაარჩინა: მასობრივ დაპატიმრებასა და ციმბირში გადასახლებას, რისაც ყველას ეშინოდა. ერთი კი ცხადი იყო: ჩეხებს მოუწევთ, თავი დახარონ დამპყრობლის წინაშე, ამიერიდან ყოველთვის დაებმებათ ენა, ილულლულებენ და იქოშინებენ ალექსანდრე დუბჩეკივით. დღესასწაული დასრულდა. დაიწყო ყოველდღიური დამცირებული ყოფა.

ეს ტერეზას სიტყვები იყო. ტომაშს ესმოდა, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ ტერეზას პრაღიდან წასვლის სურვილს სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა: იგი თავს უბედურად გრძნობდა.

ტერეზას ცხოვრების უბედნიერესი დღეები მაშინ დადგა, როდესაც პრაღის ქუჩებში რუს სამხედროებს იღებდა და საფრთხეში იგდებდა თავს. ეს ერთადერთი პერიოდი იყო, როდესაც სიზმრების კოშმარული სერიალი შეწყდა და ღამე თავს ბედნიერად გრძნობდა. რუსებმა თავიანთი ტანკებით ჰარმონია შეიტანეს მის ცხოვრებაში. ახლა, როდესაც დღესასწაული დასრულდა, ისევ შეეშინდა საკუთარი ღამეების და გაქცევა მოუნდა. მიხვდა, რომ რაღაც ვითარებაში თავს ძლიერად და ბედნიერად გრძნობს, და ახლა სხვა სამყაროში მოხვედრაზე ოცნებობდა, რადგან იმედი ჰქონდა, კვლავ აღმოჩნდებოდა მსგავს სიტუაციაში.

– არ გაწუხებს, – ჰკითხა ტომაშმა, – რომ საბინაც შვეიცარიაში გადასახლდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჟენევა ციურიხი არ არის, დარწმუნებული ვარ, იქ ისე ვერ მომიშლის ნერვებს, როგორც აქ, პრაღაში.

ადამიანი, რომელსაც მშობლიური ქალაქის დატოვება უნდა, ბედნიერი არ არის. ამიტომ ტერეზას სურვილი – ემიგრაციაში წასულიყო, ტომაშმა ისე მიიღო, როგორც დამნაშავემ განაჩენი, დაემორჩილა და ერთ მშვენიერ დღეს ტერეზასთან და კარენინთან ერთად შვეიცარიის უდიდეს ქალაქში ამოყო თავი.

13

ტომაშმა ერთი საწოლი იყიდა (სხვა ავეჯის ფული ჯერ არ ჰქონდათ) და ორმოცს გადაცილებული მამაკაცის თავგანწირვით, რომელიც თავიდან აწყობს ცხოვრებას, შეუდგა მუშაობას.

რამდენჯერმე საბინას დაურეკა ჟენევაში. საბინა ბედნიერი იყო. მისი გამოფენა რუსების შემოჭრამდე ცოტა ხნით ადრე გაიხსნა და იქაურმა ხელოვნების მოყვარულებმა, პატარა ქვეყნის მიმართ საყოველთაო სიმპათიას აყოლილებმა, ყველა მისი ნახატი იყიდეს.

– რუსების წყალობით გავმდიდრდი, – იცინოდა, თავის ახალ სახელოსნოში ეპატიჟებოდა ტომაშს და არწმუნებდა, რომ დიდად არ განსხვავდებოდა მისთვის კარგად ნაცნობი პრაღის სახელოსნოსაგან. ტომაში სიამოვნებით მოინახულებდა, მაგრამ ვერ მოიფიქრა, რა ეთქვა ტერეზასთვის, რომ ჟენევაში გამგზავრება გაემართლებინა. ამიტომ საბინა თვითონ ჩამოვიდა ციურიხში და სასტუმროში დაბინავდა. ტომაში სამსახურის შემდეგ ესტუმრა, სასტუმროს ჰოლიდან დაურეკა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მასთან ავიდა. ღია კარში მხოლოდ ქვედა საცვალსა და ლიფში გამოწყობილი ლამაზი და გრძელფეხება საბინა იდგა. შავი ქუდი ეხურა. დიდხანს გასუსული უყურებდა ტომაშს. არც ტომაში იღებდა ხმას. მერე უცებ მიხვდა, როგორი გულაჩუყებულია, მიუახლოვდა, ქუდი მოხადა, იქვე, საწოლთან, მაგიდაზე დადო და ასევე ხმის ამოუღებლად ჩაწვნენ ლოგინში.

როდესაც სახლში (სადაც რა ხანია გაჩნდა სკამები, სავარძლები, მაგიდა და ხალიჩა) ბრუნდებოდა, ნაღვლიანად ფიქრობდა, ჩემი ცხოვრების წესს ისე დავატარებ, როგორც ლოკოკინა ნიჟარასო. ტერეზა და საბინა მისი ცხოვრების პოლუსებს წარმოადგენდნენ, დაშორებულ, შეუთავსებელ და თავისებურად ლამაზ პოლუსებს.

და სწორედ იმიტომ, რომ ტომაში თავის ცხოვრების წესს არასდროს და არსად ელეოდა, ტერეზას ისევ ის ძველი სიზმრები ტანჯავდა.

ციურიხში გადმოსვლიდან უკვე ექვსი თუ შვიდი თვე იყო გასული, როდესაც სახლში გვიან დაბრუნებულ ტომაშს მაგიდაზე წერილი დახვდა. ტერეზა სწერდა, რომ პრაღაში დაბრუნდა. დაბრუნდა, რადგან უცხოეთში ცხოვრება აღარ შეუძლია. იცის, რომ აქ ტომაშისთვის დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხვდება, რომ არ გამოუვიდა. გულუბრყვილოდ ეგონა, რომ უცხოეთი შეცვლიდა, რომ რუსების შემოჭრისას განცდილის შემდეგ გაიზარდა, დაბრძენდა, ძლიერი გახდა, მაგრამ თურმე გადაჭარბებით შეუფასებია საკუთარი თავი. მხოლოდ ტვირთია ტომაშისთვის და ამის ატანა აღარ შეუძლია. სურს, ამ ყველაფრიდან დასკვნები მანამდე გამოიტანოს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. ბოდიშს იხდიდა, რომ კარენინი თან მიჰყავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძლიერი დასაძინებელი წამალი დალია, მაგრამ მაინც მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა. საბედნიეროდ, შაბათი იყო და შეეძლო სახლში დარჩენილიყო. ათასჯერ აღიდგინა თავში მომხდარი: საზღვარი მის სამშობლოსა და დანარჩენ სამყაროს შორის უკვე ჩაკეტილია. ტერეზას ახლა ველარც სატელეფონო საუბრებით დააბრუნებს ჟენევაში და ველარც დეპეშებით. ტერეზას უცხოეთში აღარასოდეს გაუშვებენ. მისი გამგზავრება დაუჯერებლად საბოლოოა.

14

ტომაში სრული უძლურებისაგან თავს ნაცემივით გრძნობდა და თან ეს შეგრძნება ამშვიდებდა. არავინ აძალებდა რამე გადაწყვეტილების მიღებას. აღარ სჭირდებოდა მოპირდაპირე სახლის კედლის ყურება და იმაზე ფიქრი, სურს თუ არა ტერეზასთან ერთად ცხოვრება. ტერეზამ ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა.

რესტორანში შეიარა სასადილოდ. ნაღვლიანი იყო, მაგრამ ჭამისას თავდაპირველი სასოწარკვეთილება თითქოს დაიქანცა, ასე ვთქვათ, ძალა დაკარგა და მისგან მხოლოდ მელანქოლია შემორჩა. იხსენებდა წარსულს, წლებს, რომლებიც ტერეზასთან ერთად გაატარა და ეჩვენებოდა, რომ ამ ყველაფრისთვის უკეთესი დასასრული უბრალოდ არ არსებობდა. ვინმეს რომ შეეთხზა ეს ისტორია, სხვა დასასრულს ვერც კი მოუძებნიდა: ტერეზა ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი ნებით მოვიდა მასთან. ერთ მშვენიერ დღესაც ზუსტად ასევე წავიდა. ერთი მძიმე ჩემოდნით მოადგა და ერთი მძიმე ჩემოდნითვე წავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფული გადაიხადა, რესტორნიდან გამოვიდა და მელანქოლიით აღსავსემ, რომელიც სულ უფრო და უფრო მომხიბვლელი ეჩვენებოდა, გაისეირნა. ტერეზასთან შვიდი წელი გაატარა და ახლა ხვდებოდა, რომ ის წლები მოგონებებში უფრო ლამაზი იყო, ვიდრე სინამდვილეში. მისი და ტერეზას სიყვარული მშვენიერი იყო, მაგრამ დამქანცველი: სულ რაღაც უნდა დაემალა, შეენიღბა, ეთამაშა, გამოესწორებინა, სულ მის კარგ ხასიათზე უნდა ეზრუნა და ეწყნარებინა, განუწყვეტლივ ემტკიცებინა თავისი სიყვარული, აეტანა მისი ეჭვიანობა, ტანჯვა, სიზმრები, საკუთარი დანაშაულის შეგრძნება, სულ თავი უნდა ემართლებინა და ბოდიში ეხადა. ახლა კი ეს დაძაბულობა გაქრა და მშვენიერი მოგონებებიღა შემორჩა.

საღამოვდებოდა. ციურიხის ქუჩებში პირველად დასეირნობდა მარტო, ღრმად სუნთქავდა, რომ უკეთ შეეგრძნო თავისუფლების არომატი. ყოველი კუთხის იქით ახალ თავგადასავალს ელოდებოდა. მომავალი ისევ იდუმალი გახდა. უბრუნდებოდა უცოლო მამაკაცის თავისუფალი ცხოვრება, რომლისთვისაც შექმნილი იყო, როგორც თავის დროზე სჯეროდა, და რომელიც თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებად მიაჩნდა.

შვიდი წელი გაატარა ტერეზასთან მიჯაჭვულმა, რომლის მზერასაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხებზე ბორკილები ედო. ახლა მისი ნაბიჯი მოულოდნელად მსუბუქი გახდა. დაფრინავდა. პარმენიდეს მაგიურ სამყაროში აღმოჩნდა: ყოფის სიმსუბუქით ტკბებოდა.

(უნდოდა საბინასათვის ჟენევაში დარეკვა? ან ციურიხში ბოლო დროს გაცნობილ ქალებთან შეხმიანება? სულაც არა. გრძნობდა, რომ ნებისმიერი ასეთი შეხვედრის გამო ტერეზას გახსენება აუტანლად მტკივნეული იქნებოდა).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელანქოლიით ტკბობა კვირა საღამომდე გაგრძელდა. მისი ფიქრები მხოლოდ ტერეზას დასტრიალებდა: გრძნობდა, რა დღეში იყო და როგორ უკანკალებდა ხელები, როდესაც გამოსამშვიდობებელ წერილს წერდა. ხედავდა, როგორ მიათრევდა ერთი ხელით მძიმე ჩემოდანს, მეორეთი კი კარენინს საყელურზე ექაჩებოდა. წარმოიდგენდა, როგორ აღებდა პრაღის ბინას და გულს უკუმშავდა ობლობისა და მარტოობის განცდა, რომელიც ღია კარშივე გაუჩნდებოდა ტერეზას.

მელანქოლიის ამ ორი მშვენიერი დღის განმავლობაში მისი თანაგრძნობა ისვენებდა. თანაგრძნობას ეძინა, როგორც მაღაროელს მძიმე სამუშაო კვირის შემდეგ, რათა ორშაბათს ისევ შეძლებოდა მაღაროში დაბრუნება.

პაციენტს სინჯავდა და მის მაგივრად ტერეზას ხედავდა. გულში იმეორებდა: გეყოფა მასზე ფიქრი! გეყოფა მასზე ფიქრი! საკუთარ თავს ეუბნებოდა: თანაგრძნობით ვარ დაავადებული, ამიტომაც კარგია, რომ ტერეზა წავიდა და ვეღარასოდეს ვნახავ. მისგან კი არა, თანაგრძნობისგან უნდა განვიკურნო, სენისგან, რომელიც აქამდე უცნობი იყო ჩემთვის და რომლითაც ტერეზამ დამაავადა!

შაბათ-კვირას ყოფის სიმსუბუქით თვრებოდა და გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა ის შორული მომავლიდან. ორშაბათს ისეთი სიმძიმე დააწვა, როგორიც მანამდე არასოდეს უგრძნია. რუსული ტანკების ტონობით რკინაც კი არაფერი იყო ამ სიმძიმესთან შედარებით. არაფერია თანაგრძნობაზე მძიმე. საკუთარი სატკივარიც კი არ არის ისე მძიმე, როგორც თანაგრძნობით გაზიარებული სხვისი ტკივილი, ტკივილი სხვისთვის და სხვის გამო, გაათკეცებული წარმოსახვით და გახანგრძლივებული დაუსრულებელი ექოთი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცდილობდა, საკუთარი თავისათვის შეეხსენებინა, რომ არ შეიძლება თანაგრძნობას დამორჩილება, თანაგრძნობა კი თავჩაქინდრული უსმენდა, თითქოს საკუთარ დანაშაულს აცნობიერებსო. თანაგრძნობამ იცოდა, რომ საკუთარ უფლებებს ბოროტად იყენებდა, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობდა თავისას. ამიტომ ტერეზას გამგზავრებიდან ხუთ დღეში ტომაშმა საავადმყოფოს დირექტორს (იმას, რომელიც რუსული ოკუპაციის შემდეგ განუწყვეტლივ ურეკავდა პრაღაში) აუწყა, სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე სამშობლოშიო. რცხვენოდა. იცოდა, რომ მისი საქციელი დირექტორის თვალში არასაპატიო და უპასუხისმგებლო იქნებოდა. ერთი სული ჰქონდა, მისთვის მოეყოლა ტერეზასა და მაგიდაზე დატოვებული წერილის შესახებ, მაგრამ გადაიფიქრა. შვეიცარიელ ექიმს ტერეზას საქციელი წესით უსიმპათიოდ და ისტერიულად უნდა მოსჩვენებოდა. ტომაში კი ვერ დაუშვებდა, რომ ვინმეს ტერეზაზე ცუდად ეფიქრა.

დირექტორი მართლაც ნაწყენი ჩანდა.

ტომაშმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

– Es muss sein. Es muss sein.[3]

ეს ორაზროვანი მინიშნება იყო. ბეთჰოვენის ბოლო კვარტეტის ბოლო ნაწილი ამ ორ მოტივზეა აგებული:



[3] Es muss sein *(გერმ.)* – ასე უნდა იყოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ სიტყვების არსი გასაგები რომ ყოფილიყო, ბეთჰოვენმა ბოლო ნაწილი ასე დაასათაურა: „der schwer gefasste Entschluss“, ანუ „რთულად მიღებული გადაწყვეტილება“.

ბეთჰოვენის ხსენებით ტომაში ისევ ტერეზას უბრუნდებოდა: ტერეზა ხომ სულ ბეთჰოვენის კვარტეტებისა და სონატების ფირფიტების ყიდვას აიძულებდა.

ტომაშის მინიშნება მოსალოდნელზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა. დირექტორი მუსიკის დიდი მოყვარული იყო, ოდნავ ჩაიღიმა და ჩუმად, ნაწარმოების მელოდიის წამღერებით იკითხა:

– Muss es sein?

ტომაშმა კიდევ ერთხელ გაიმეორა:

– Ja, es muss sein.

16

პარმენიდესაგან განსხვავებით, ბეთჰოვენისათვის სიმძიმე, ეტყობა, პოზიტიური იყო. „Der schwer gefasste Entschluss“, ანუ რთულად მიღებული გადაწყვეტილება, ბედის ხმას („Es muss sein!“) უკავშირდება. სიმძიმე, აუცილებლობა და ფასეულობა ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებული სამი ცნებაა: მხოლოდ ისაა მძიმე, რაც აუცილებელია, მხოლოდ ისაა ფასეული, რასაც წონა აქვს.

ეს რწმენა ბეთჰოვენის მუსიკამ წარმოშვა და მიუხედავად იმისა, რომ მასზე უფრო ბეთჰოვენის შემოქმედების შემსწავლელები (ეს უფრო სარწმუნოა) აგებენ პასუხს, ვიდრე თვით კომპოზიტორი, ამ რწმენას დღეს მეტ-ნაკლებად ყველანი ვიზიარებთ: დიდი ადამიანი ჩვენთვის ის არის, ვინც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საკუთარი ბედის სიმძიმეს ისე ეზიდება, როგორც ატლასი – ცარგვალს. ბეთჰოვენის გმირი მეტაფიზიკურ სიმძიმეებს შეჭიდებული ათლეტია.

ტომაში შვეიცარიის საზღვარს უახლოვდებოდა. ჩემს წარმოდგენაში კი ადგილობრივი მეხანძრეების ორკესტრი, თვით თმააშლილი და სახემოქუფრული ბეთჰოვენის დირიჟორობით, უძღვნიდა მას ემიგრაციასთან გამოსამშვიდობებელ მარშს: „Es muss sein!“

მალე ტომაშმა ჩეხეთის საზღვარი გადაკვეთა და რუსული ტანკების კოლონასაც გადაეყარა. გზაჯვარედინზე მანქანის გაჩერება მოუხდა და მთელი ნახევარი საათი ელოდებოდა ტანკების ჩავლას. შავ ფორმაში გამოწყობილი მრისხანე ტანკისტი კი გზაჯვარედინზე ისე აწესრიგებდა მოძრაობას, თითქოს მთელი ჩეხეთის გზები მხოლოდ მისი საკუთრება ყოფილიყოს.

„Es muss sein“ – იმეორებდა გულში ტომაში, თუმცა ბოლოს მაინც ეჭვი შეეპარა: განა მართლაც ასე უნდა მომხდარიყო? რა თქმა უნდა, აუტანელი იყო ციურიხში ყოფნა და პრაღაში ტერეზას ეულ ცხოვრებაზე ფიქრი.

მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა თანაგრძნობით ტანჯვა? მთელი ცხოვრება? თუ ერთი წელი? იქნებ ერთი თვე? თუ მხოლოდ ერთი კვირა?

საიდან უნდა სცოდნოდა, როგორ უნდა გაეგო?

ყოველ მოსწავლეს შეუძლია, ფიზიკის გაკვეთილზე ცდა ჩაატაროს, რომ ამა თუ იმ მეცნიერული ჰიპოთეზის სისწორეში დარწმუნდეს. მაგრამ ადამიანს მხოლოდ ერთი ცხოვრება აქვს და ჰიპოთეზის ცდით შემოწმება არ შეუძლია, ამიტომ ის ვერასოდეს გაიგებს, უნდა დამორჩილებოდა თავის გრძნობებს თუ არა.

ამ ფიქრებით გართულმა გააღო პრაღის ბინის კარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარენინი ახტებოდა და სახეს ულოკავდა, რითაც შეხვედრის პირველი წუთები შეუმსუბუქა. ტერეზას მკლავებში აღმოჩენის სურვილი (სურვილი, რომელსაც ციურიხში მანქანაში ჩაჯდომისას ჯერ კიდევ გრძნობდა) უკვალოდ გაქრა. ეჩვენებოდა, რომ თოვლიან ველზე ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ და სიცივისგან კანკალებდნენ.

17

ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე რუსული სამხედრო თვითმფრინავები ყოველლამე პრაღის თავზე დაფრინავდნენ. ამგვარ ხმაურს გადაჩვეული ტომაში ვერ იძინებდა. მძინარე ტერეზას გვერდით ლოგინში მოუსვენრად წრიალისას დიდი ხნის წინ ერთი უმნიშვნელო საუბრისას ნათქვამი ფრაზა გაახსენდა. ტერეზას მის მეგობარ ზ.-ზე საუბრისას წამოსცდა: „შენ რომ არ შეგხვედროდი, აუცილებლად ზ. შემიყვარდებოდა“.

ამ სიტყვებმა ჯერ კიდევ მაშინ მოჰგვარა ტომაშს სევდა. ახლა კი უცებ გააცნობიერა: ტერეზას რომ ტომაში უყვარს და არა ზ., მხოლოდ შემთხვევითია, მათი რეალიზებული სიყვარულის გარდა, შესაძლებლობების სამეფოში სხვა მამაკაცების მიმართ არარეალიზებული სიყვარულის უსასრულო რაოდენობა არსებობს.

წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ დიდი სიყვარული შეიძლება მსუბუქი იყოს, უწონოც კი; გვგონია, რომ ჩვენი სიყვარული სწორედ ის არის, რაც უნდა ყოფილიყო, ის, რის გარეშეც ჩვენი ცხოვრება ჩვენი აღარ იქნებოდა. გვეჩვენება, რომ თვით სახემოქუფრული ბეთჰოვენი, შიშის მომგვრელად თმააწეწილი, ასხამს ხოტბას ჩვენს დიდ სიყვარულს: „Es muss sein!“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაში იხსენებდა ტერეზას წამოსროლილ სიტყვებს ზ.-ზე და აღიარებდა, რომ თავისი დიდი სიყვარულისგან არავითარი „Es muss sein!“ არ მოისმის, რომ ეს უფრო „Es könnte auch anders sein“-ია: შეიძლებოდა ყოველივე სხვაგვარადაც მომხდარიყო.

შვიდი წლის წინ პატარა ქალაქის საავადმყოფოში, სრულიად *შემთხვევით,* ტვინის მძიმე დაავადების შემთხვევა აღმოჩნდა, რომლის გამოც ტომაშის უფროსი სასწრაფო კონსულტაციისათვის გამოიძახეს. მაგრამ უფროსს *შემთხვევით* იშიაზმა შეუტია, ვერ ინძრეოდა და იმ საავადმყოფოში ტომაში გააგზავნა. ქალაქში ხუთი სასტუმრო იყო, ტომაშმა კი *შემთხვევით* თავი მაინცდამაინც იქ ამოყო, სადაც ტერეზა მუშაობდა. ასეთივე *შემთხვევითობა* იყო, რომ მატარებლის გასვლამდე ტომაშს დრო დარჩა და რესტორანში შეიარა. ტერეზასაც *შემთხვევით* სამუშაო დღე ჰქონდა და ასევე *შემთხვევით* ტომაშის მაგიდას ემსახურებოდა. მოკლედ, *შემთხვევითობათა* მთელი ჯაჭვი აღმოჩნდა საჭირო ტერეზასთან ტომაშის შესახვედრად, თითქოს თვითონ არც კი უნდოდა შეხვედრა.

ჩეხეთში ტერეზას გამო დაბრუნდა. ამგვარი საბედისწერო გადაწყვეტილების მიზეზი კი სრულიად შემთხვევითი სიყვარული იყო, რომელიც არც კი იარსებებდა, რომ არა ტომაშის უფროსის შვიდი წლის წინანდელი იშიაზი. და ახლა ეს ქალი, სრული შემთხვევითობის განსახიერება, მის გვერდით წევს და ძილში ღრმად სუნთქავს.

უკვე გვიანი იყო. გრძნობდა, რომ კუჭის ტკივილი ეწყებოდა, როგორც ყოველთვის ძლიერი განცდების დროს.

ტერეზამ ერთი-ორჯერ მსუბუქად ამოიხვრინა. ტომაშის თანაგრძნობა უკვალოდ გაქრა. ერთადერთი, რაც აწუხებდა, იყო სიმძიმე კუჭში და სასოწარკვეთილება დაბრუნების გამო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე ნაწილი

სული და სხეული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სისულელე იქნებოდა, ავტორს ეცადა მკითხველის დარწმუ-ნება იმაში, თითქოს მისი გმირები ოდესმე მართლაც არ-სებობდნენ. ისინი შვა არა დედის საშომ, არამედ ერთი-ორ-მა შთამაგონებელმა წინადადებამ ან მნიშვნელოვანმა სიტუ-აციამ. ტომაში შვა ფრაზამ: einmal ist keinmal, ტერეზა – მუც-ლის ბუყბუყმა.

როდესაც ტერეზამ ტომაშის ბინაში პირველად შეაბიჯა, მუცელმა ბუყბუყი დაუწყო. რა გასაკვირია, არც უსადილია და არც უვახშმია, ერთადერთი სენდვიჩი შუადღისას მატარებელ-ში ჩაჯდომამდე ბაქანზე შეჭამა. მხოლოდ თავის გაბედულ საქციელზე ფიქრობდა და ჭამა სრულიად გადაავიწყდა. მაგ-რამ ის, ვინც სხეულზე არ ზრუნავს, მით უფრო ადვილად ხდება მისი მსხვერპლი. აუტანელი იყო ტომაშის წინ დგომა და საკუთარი შიგნეულობის ხმამაღალი ლაპარაკის მოსმენა! სიმწრისგან ტირილი მოუნდა. საბედნიეროდ, ტომაშმა ის სას-წრაფოდ ჩაიხუტა და ტერეზამაც მუცლის ხმაური დაივიწყა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასე რომ, ტერეზა შვა სიტუაციამ, რომელიც მოურიდებლად აშიშვლებს სხეულისა და სულის შეურიგებელ დუალურობას, ადამიანის ამ უმთავრეს გამოცდილებას.

ოდესღაც ადამიანი გაკვირვებით უსმენდა გამოზომილ ბაგაბუგს, რომელიც მკერდიდან მოესმოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო ეს. არ შეეძლო საკუთარი თავის გაიგივება ისეთ გაუგებარ და უცხო მოვლენასთან, როგორიც მისი სხეული იყო. სხეული გალიას ჰგავდა, რომლის შიგნითაც იმყოფებოდა რაღაც, რაც იყურებოდა, ისმენდა, ეშინოდა, ფიქრობდა და უკვირდა; ეს რაღაც იყო სული.

დღეს სხეული უცნობი აღარაა. ვიცით, რომ, რაც მკერდში ფეთქავს, გულია, ცხვირი კი დაბოლოებაა მილისა, რომლითაც ჟანგბადი მიეწოდება ფილტვებს. სახე ერთგვარი ხელსაწყოების დაფაა, რომელზეც გამოტანილია სხეულის ყველა მექანიზმი: საჭმლის მონელება, მხედველობა, სმენა, სუნთქვა, აზროვნება.

მას შემდეგ, რაც სხეულის ყოველი ნაწილის სახელი ვიცით, ის დიდად აღარ გვაოცებს. ისიც ვიცით, რომ სული მხოლოდ და მხოლოდ რუხი ნივთიერების მუშაობის შედეგია. სხეულისა და სულის დუალურობა მეცნიერული ტერმინებით შეიფუთა და დღეს შეგვიძლია დავცინოთ მას, როგორც დრომოჭმულ ცრურწმენას.

მაგრამ საკმარისია, გაგიჟებით შეყვარებულმა ადამიანმა საკუთარი ნაწლავების ბუყბუყი გაიგოს, რომ სხეულისა და სულის ერთობა, მეცნიერების ეპოქის ეს ლირიკული ილუზია, ერთბაშად დაინგრეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

3

ტერეზა ცდილობდა, სხეულში საკუთარი თავი დაენახა. ამიტომ იდგა ხოლმე სარკის წინ ასე ხშირად. სარკეში ისე იყურებოდა, თითქოს ფარულად ცოდვას სჩადიოდა. ეშინოდა, დედას არ დაენახა.

პატივმოყვარეობა კი არა, საკუთარი „მეს“ დანახვის შესაძლებლობა იზიდავდა სარკეში. ავიწყდებოდა, რომ საკუთარი სხეულის ხელსაწყოების დაფას უყურებდა. ეჩვენებოდა, თითქოს საკუთარ სულს ხედავდა, რომელიც სახის ნაკვთებში შეიცნობა. დაავიწყდა, რომ ცხვირი დაბოლოებაა მილისა, რომლითაც ჟანგბადი მიეწოდება ფილტვებს. მასში საკუთარი ხასიათის გამოხატულებას ხედავდა.

დიდხანს ითვალიერებდა ხოლმე სარკეში თავს და განიცდიდა, საკუთარ სახეში დედის ნაკვთებს რომ აღმოაჩენდა. მით უფრო დაჟინებით იყურებოდა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა დედის ნაკვთების განდევნას, რათა სახეში მხოლოდ ის დარჩენილიყო, რაც მხოლოდ თავისი იყო. წამები, როდესაც ამას ახერხებდა, თრობის წამები იყო: სული სხეულის ზედაპირზე ამოდიოდა, როგორც ბნელი ტრიუმიდან ამოვარდნილი და მთელ გემბანს მოფენილი ლაშქარი, რომელიც ხელებს ცაში აღაპყრობს და მღერის.

4

დედას არა მარტო ფიზიკურად ჰგავდა, მეჩვენება, რომ მისი ცხოვრებაც დედის ცხოვრების ერთგვარი გაგრძელება იყო, ისე, როგორც ბილიარდის მაგიდაზე ბურთის გორვა მხოლოდ მოთამაშის ხელის მოძრაობის გაგრძელებაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდის და სად დაიწყო ეს მოძრაობა, რომელიც მოგვიანებით ტერეზას ცხოვრებად იქცა? ეტყობა, მაშინ, როდესაც ტერეზას ბაბუამ, პრაღელმა ვაჭარმა, თავისი ქალიშვილის, ანუ ტერეზას დედის, სილამაზის ხმამაღლა ქება დაიწყო. მაშინ სულ სამი თუ ოთხი წლის იყო, და მამა სულ იმას ეუბნებოდა, რაფაელის მადონას ჰგავხარო. ტერეზას დედამ ეს კარგად დაიმახსოვრა და მოგვიანებით, როდესაც გიმნაზიის მერხთან იჯდა, მასწავლებლის მოსმენის ნაცვლად სულ იმაზე ფიქრობდა, კიდევ რომელ ნახატს ჰგავდა.

როდესაც გათხოვების დრო დაუდგა, ცხრა ხელისმთხოვნელი გამოუჩნდა. მის წინაშე ერთდროულად იჩოქებდნენ. პრინცესასავით იყო თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული და არ იცოდა, რომელი აერჩია: ერთი უფრო ლამაზი იყო, მეორე – უფრო ენამახვილი, მესამე – უფრო მდიდარი, მეოთხე – უფრო ახოვანი, მეხუთე – უკეთესი ოჯახიდან, მეექვსე ლექსებს უკითხავდა, მეშვიდეს მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, მერვე ვიოლინოზე უკრავდა და მეცხრე ყველაზე მამაკაცური იყო. მიუხედავად ამისა, ყველა ერთნაირად იჩოქებდა და ერთნაირად ჰქონდათ გადატყავებული მუხლები.

ბოლოს მეცხრე რომ აირჩია, მისი გამორჩეული მამაკაცურობის ბრალი კი არ იყო, არამედ იმისი, რომ, როდესაც ყურში უჩურჩულებდა: „ფრთხილად იყავი, ძალიან ფრთხილადო!“, ეს მეცხრე ჯიბრზე არ იყო ფრთხილად, ჰოდა სასწრაფოდ ცოლად გაყოლა მოუხდა, რადგან დროულად ვერ მოძებნა ექიმი აბორტის გასაკეთებლად. ასე გაჩნდა ტერეზა. უზარმაზარი ოჯახი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოაწყდა იქაურობას და ენის ჩლექით იხრებოდა ტერეზას ეტლისაკენ. ტერეზას დედა კი ენას არ იჩლექდა. დუმდა. ფიქრობდა და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნარჩენ რვა თაყვანისმცემელზე და ყველა იმ მეცხრეზე მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

შვილივით დედასაც უყვარდა სარკეში ყურება. ერთ მშვენიერ დღესაც აღმოაჩინა, რომ თვალების ირგვლივ ნაოჭები გაუჩნდა, საკუთარ თავს უთხრა, რომ მისი ქორწინება უაზრობაა და ერთ არამამაკაცურ მამაკაცს გადაეყარა – რამდენიმე გაფლანგვისთვის ნასამართლევსა და ორჯერ განქორწინებულს. ეზიზღებოდა მუხლებგადატყავებული საყვარლები. ძალიან უნდოდა, ერთხელაც თვითონ დაჩოქილიყო. ჩაუვარდა ფეხებში იმ მფლანგველს და ქმარი და ტერეზა მიატოვა.

ყველაზე მამაკაცური მამაკაცი ყველაზე დაღვრემილ მამაკაცად გადაიქცა. ისეთი დაღვრემილი იყო, რომ ყველაფერი სულერთი გახდა მისთვის. რასაც ფიქრობდა, ყველგან ხმამაღლა ამბობდა. კომუნისტური პოლიცია გაოცებული იყო მისი სიტყვებით. დაიჭირეს, გაასამართლეს და ჩასვეს. სახლი დალუქეს და ტერეზა დედასთან გაუშვეს.

ყველაზე დაღვრემილი მამაკაცი მალე ციხეში გარდაიცვალა. ტერეზას დედა შვილთან და მფლანგველთან ერთად საცხოვრებლად ერთ პატარა სახლში გადავიდა მთის ძირას. ტერეზას მამობილი ერთი პატარა მოხელე იყო, დედა – გამყიდველი მაღაზიაში. სხვა შვილებიც ეყოლათ. მერე დედამ ისევ ჩაიხედა სარკეში და აღმოაჩინა, რომ დაბერდა და დაუშნოვდა.

5

როდესაც დედამისი მიხვდა, რომ ყველაფერი დაკარგა, დამნაშავეს დაუწყო ძებნა. აღმოჩნდა, რომ ყველა დამნაშავეა: დამნაშავე იყო პირველი ქმარი, მამაკაცური მამაკაცი, რომე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიც არ უყვარდა და რომელმაც არ დაუჯერა, როდესაც ჩასჩურჩულებდა, ფრთხილად იყავიო. დამნაშავე იყო მეორე ქმარიც, არამამაკაცური, მაგრამ საყვარელი, რომელმაც პრაღიდან ერთ პატარა ქალაქში ამოაყოფინა თავი, რომელიც ქალებს ზედიზედ იცვლიდა და დაუსრულებლად აეჭვიანებდა. ვერც ერთ ქმარს ვერაფერს მოუხერხებდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა და ვერსად გაექცეოდა, მძევალი, რომელსაც ყველას მაგივრად მოეთხოვებოდა პასუხი, ტერეზა იყო.

კაცმა რომ თქვას, იქნებ მართლაც ტერეზა იყო დედის ბედზე პასუხისმგებელი. ტერეზა, ანუ აბსურდული შეხვედრა ყველაზე მამაკაცური კაცის სპერმისა ყველაზე ლამაზის კვერცხუჯრედთან. იმ საბედისწერო მომენტში, რომელსაც ტერეზა ჰქვია, დაიწყო დედის უბედური ცხოვრების ხანგრძლივი სვლა.

დედა განუწყვეტლივ უხსნიდა ტერეზას, რომ დედობა ყველაფრის გაწირვას ნიშნავს. მისი სიტყვები დამაჯერებლად ჟღერდა, რადგან მათ ამყარებდა ცხოვრება ქალისა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა შვილის გამო. ტერეზა უსმენდა და სჯეროდა, რომ ცხოვრების მთავარი ფასეულობა დედობაა და რომ დედობა დიდი თავგანწირვაა. და თუკი დედობა თავგანწირვაა, მაშინ შვილის ხვედრი ვალია, რომელსაც ვერასოდეს გადაიხდი.

6

ტერეზამ არ იცოდა იმ ღამის ამბავი, როდესაც დედა ჩურჩულით სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა მამამისს. მისი დანაშაულის შეგრძნება პირველ ცოდვასავით ბუნდოვანი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა ღონეს ხმარობდა ამ დანაშაულის გამოსასყიდად. დედამ გიმნაზიიდან გამოიყვანა და თხუთმეტი წლიდან ოფიციანტად მუშაობდა. მთელ ნაშრომს დედას აბარებდა. ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდ დედის სიყვარული დაემსახურებინა. სახლს უვლიდა, და-ძმაზე ზრუნავდა, მთელი კვირადღე ალაგებდა და რეცხავდა. ეს საცოდაობა იყო, რადგან გიმნაზიაში კლასელებს შორის ნიჭიერებით გამოირჩეოდა. სიმაღლეს ესწრაფვოდა, მაგრამ ამ პატარა ქალაქში მისთვის არავითარი „სიმაღლე“ არ არსებობდა. რეცხავდა სარეცხს და გვერდით წიგნი ედო, რომ ფურცლავდა, ფურცლებს წყლის წვეთები ეცემოდა.

სახლში არ არსებობდა სირცხვილის შეგრძნება. დედა საცვლების ამარა დაიარებოდა, ხანდახან ულიფოდ, ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ სულაც შიშველი. მართალია, მამინაცვალი შიშველი არ დადიოდა, მაგრამ აბაზანაში მაინცდამაინც მაშინ შედიოდა, როდესაც იქ ტერეზა იყო. ერთხელაც ტერეზა აბაზანაში ჩაიკეტა, რის გამოც დედამ სცენა მოუწყო: „გამაგებინე, თავი ვინ გგონია? ვითომ ვინ ხარ ასეთი? გგონია, მაგ შენს სილამაზეს რამე დააკლდება?“

(ეს სიტუაცია კარგად გვიჩვენებს, რომ შვილის სიძულვილი ქმრისადმი ეჭვიანობაზე ძლიერი იყო. შვილის დანაშაული უსაზღვრო იყო და ქმრის ღალატსაც მოიცავდა. შვილის ემანსიპაცია და საკუთარი უფლებების – თუნდაც აბაზანაში ჩაკეტვის უფლების – მოპოვება დედისთვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე ქმრის სექსუალური ინტერესი ტერეზას მიმართ).

ერთხელ ზამთარში, როდესაც განათებულ ბინაში დედა შიშველი დაიარებოდა, ტერეზამ ფანჯარასთან მიირბინა და სასწრაფოდ ფარდები ჩამოაფარა, რომ მოპირდაპირე სახლიდან არ დაენახათ. უკნიდან სიცილი მოესმა. მეორე დღეს დედას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგობრებმა მოაკითხეს: მეზობელმა, კოლეგამ მაღაზიიდან, ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა და კიდევ ორმა თუ სამმა სხვა ქალმა, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ერთად. ტერეზა ერთ-ერთი სტუმრის თექვსმეტი წლის ვაჟთან ერთად მათ ოთახში შევიდა წამით. დედამ ეს შესაძლებლობა სასწრაფოდ გამოიყენა იმის მოსაყოლად, როგორ გადაარჩინა შვილმა სირცხვილს და მეგობრებთან ერთად ბევრი იცინა. ეს არ იკმარა და დაუმატა: „ტერეზას არ სურს შეეგუოს იმას, რომ ადამიანის სხეული ფსამს და აკუებს“. ტერეზა გაწითლდა, დედა კი განაგრძობდა: „რა არის ამაში ცუდი?“ და სასწრაფოდ თვითონვე გასცა პასუხი დასმულ შეკითხვას: ხმამაღლა გააკუა. მისი მეგობრები ისევ იცინოდნენ.

7

დედა ხმამაღლა იხოცავს ცხვირს, ყველას გასაგონად ლაპარაკობს თავის სექსუალურ ცხოვრებაზე და კბილების პროთეზს აჩენს. წარმოუდგენელი მოხერხებულობით შეუძლია, ფართოდ გაღიმებისას ზედა პროთეზი ენით გაათავისუფლოს ისე, რომ ის ქვედა კბილებს დაეცეს და მის სახეს წამით კოშმარული იერი შესძინოს.

მისი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა ენერგიული ჟესტი, რომლითაც თავის ახალგაზრდობასა და სილამაზეს უკუაგდებს. როდესაც ერთდროულად ცხრა დაჩოქილი თაყვანისმცემლით იყო გარშემორტყმული, საკუთარ სიშიშვლეს განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა. თითქოს სირცხვილის გრძნობის ოდენობით საკუთარი სხეულის ღირებულებას გამოხატავდა. და თუ დღეს უარს ამბობს სირცხვილის გრძნო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაზე, ამას დემონსტრაციულად აკეთებს, თითქოს თავისი ურცხვობით სურს, საზეიმო ვითარებაში ხაზი გადაუსვას წარსულ ცხოვრებას და დაიყვიროს, რომ ახალგაზრდობას და სილამაზეს, რომლებსაც გადაჭარბებულად აფასებდა, სინამდვილეში არავითარი ფასი არ გააჩნია.

მგონია, რომ ტერეზა სწორედ ამ ენერგიული ჟესტის გაგრძელებაა, რომლითაც დედამისმა მზეთუნახავის ცხოვრება უკუაგდო.

(თუ ტერეზას მოძრაობები ნერვიულია და ჰაეროვნება აკლია, არ უნდა გაგვიკვირდეს: დედის ეს ენერგიული ჟესტი, ველური და თვითგამანადგურებელი, ტერეზაში დარჩა, ტერეზად გადაიქცა).

8

დედა სამართლიანობას მოითხოვს და უნდა, რომ დამნაშავე დაისაჯოს. ამიტომ სურს, რომ მისი შვილი მასთან დარჩეს ურცხვობის სამყაროში, სადაც ახალგაზრდობა და სილამაზე არაფერს ნიშნავს, სადაც მთელი სამყარო ერთი დიდი საკონცენტრაციო ბანაკია სხეულებისა, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან და რომელთა სულებიც უხილავია.

ახლა უფრო ადვილად ჩავწვდებით ტერეზას ფარული მანკიერების არსს, სარკეში საკუთარი თავის ხშირად და ხანგრძლივად თვალიერებას. ეს დედასთან შეჯიბრი იყო. არ უნდოდა, უბრალოდ სხეული ყოფილიყო, სხვა მრავალი სხეულის მსგავსი. უნდოდა, საკუთარ სახეზე სულის ლაშქარი დაენახა, რომელმაც ტრიუმს დაღწია თავი. ეს ადვილი არ იყო, რადგან დამწუხრებული, მორიდებული და საწყალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სული ტერეზას შიგნით ღრმად იმალებოდა და გამოჩენის რცხვენოდა.

ზუსტად ასეთი იყო ტერეზას მდგომარეობა ტომაშთან შეხვედრისას. რესტორანში ლოთებს შორის მიიკვლევდა გზას, ლანგარზე დაწყობილი ლუდის კათხების სიმძიმისგან სხეული მოხროდა, მისი სული კი უკვე სადღაც კუჭში თუ კუჭქვეშა ჯირკვალში ჩამალულიყო, ზუსტად ამ დროს დაუძახა ტომაშმა. ეს მიმართვა გამორჩეული იყო თავისი მნიშვნელობით, რადგან მოდიოდა ადამიანისაგან, რომელიც არც დედამისს იცნობდა და არც ამ ლოთებს, რომლებიც ყოველდღე გაცვეთილ და უხამს შენიშვნებს ესროდნენ. უცხო ადამიანის სტატუსი ტომაშს სხვებზე მაღლა აყენებდა.

კიდევ ერთი რამ ამაღლებდა ტომაშს ტერეზას თვალში: მაგიდაზე გადაშლილი წიგნი ედო. ამ რესტორანში ჯერ არავის და არასდროს გადაეშალა წიგნი. ტერეზასთვის წიგნი ფარული საძმოს ამოსაცნობი ნიშანი იყო. სიუხეშის იმ სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც გარს ერტყა, ერთადერთი იარაღი ჰქონდა: წიგნები, რომლებიც ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა, კერძოდ კი რომანები. უკვე უამრავი ავტორის რომანი ჰქონდა წაკითხული, ფილდინგით დაწყებული თომას მანით დამთავრებული. წიგნი საშუალებას აძლევდა, თავი დაელწია ცხოვრებისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებდა და თან მისთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორც უბრალოდ ნივთი: უყვარდა იღლიაში წიგნამოჩრილს სეირნობა. წიგნებს მისთვის იგივე დატვირთვა ჰქონდა, რაც ელეგანტურ ტროსტს წინა საუკუნის დენდისათვის. წიგნები მას სხვებისაგან გამოარჩევდნენ.

(წიგნის შედარება დენდის ელეგანტურ ტროსტთან მთლად სწორი არ არის. ტროსტი დენდს არა მარტო გამოარჩევდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არამედ თანამედროვე იერსაც სძენდა. წიგნი ტერეზას გამოარჩევდა, მაგრამ ძველმოდურ იერს აძლევდა. თუმცა იმისთვის, რომ საკუთარი ძველმოდურობა გაეცნობიერებინა, ძალიან ახალგაზრდა იყო. ახალგაზრდები, რომლებიც მოლრიალე ტრანზისტორებით დადიოდნენ, სულელებად ეჩვენებოდნენ და ავიწყდებოდა, რომ ისინი უბრალოდ თანამედროვეები იყვნენ).

ის, ვინც იმ დღეს კეთილგანწყობილი ხმით მიმართა, უცხოც იყო და ფარულ საძმოსაც ეკუთვნოდა. და ტერეზამ იგრძნო, როგორ სცადა მისმა სულმა სხეულიდან გამოღწევა მთელი მისი არტერიებით, ძარღვებითა და ფორებით, რომ ტომაშს დანახვებოდა.

9

აზრმა, რომ მისი და ტერეზას შეხვედრა მხოლოდ ექვსი დაუჯერებელი შემთხვევითობით იყო განპირობებული, გუნება წაუხდინა ციურიხიდან პრაღაში დაბრუნებულ ტომაშს.

თუმცა შეხვედრა განა მით უფრო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული არ არის, რაც უფრო მეტი შემთხვევითობა უძღვის წინ?

მხოლოდ შემთხვევითობა შეიძლება მოგვევლინოს გზავნილად. ის, რაც აუცილებლობითაა განპირობებული, მოსალოდნელია ან ყოველდღე მეორდება, მუნჯია. მოგვმართავს მხოლოდ შემთხვევითობა და ვცდილობთ, ეს შემთხვევითობა ისე წავიკითხოთ, როგორც ბოშა ქალი კითხულობს ყავის ნალექის ნახატებს ფინჯნის ფსკერზე.

ტომაში სრულ შემთხვევითობად მოევლინა ტერეზას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რესტორანში. მაგიდას მიუჯდა, წიგნი გადაშალა და ღიმილით მიმართა: „ერთი კონიაკი“.

რადიოდან მუსიკა მოისმოდა. ტერეზა ბართან მივიდა კონიაკისთვის და გზად მიმღების სახელური გადაატრიალა, რომ მუსიკა უფრო ხმამაღლა აჟღერებულიყო. ეცნო, ბეთ-ჰოვენი იყო. ეს ნაწარმოები იმ დროიდან ახსოვდა, როდე-საც მათ ქალაქში კვარტეტი ჩამოვიდა პრაღიდან. ტერეზა (რომელიც, როგორც ვიცით, „სიმაღლეს“ ელტვოდა) კონცერ-ტზე წავიდა. დარბაზი ცარიელი დახვდა. მის გარდა, დარბაზში მხოლოდ ადგილობრივი აფთიაქარი და მისი ცოლი ისხდნენ. მუსიკოსების კვარტეტს მსმენელთა ტრიო უპირისპირდებო-და. მაგრამ მუსიკოსები იმდენად კეთილები აღმოჩნდნენ, რომ კონცერტი არ ჩაშალეს და მთელი საღამო მხოლოდ მათთვის უკრავდნენ ბეთჰოვენის ბოლო სამ კვარტეტს.

აფთიაქარმა მუსიკოსები სავახშამოდ დაპატიჟა და უც-ნობ მსმენელსაც სთხოვა, მათთან ერთად წამოსულიყო. მას შემდეგ ბეთჰოვენი იმ უცხო და მიუწვდომელი სამყაროს სიმბოლოდ გადაიქცა, რომელსაც ასე მიელტვოდა ტერეზა. როდესაც ტომაშისთვის კონიაკი მიჰქონდა, ცდილობდა, ამ შემთხვევითობის იდუმალება ამოეცნო: როგორ მოხდა, რომ სწორედ ახლა, როდესაც კონიაკი მიაქვს უცნობი მამაკა-ცისთვის, რომელიც ასე მოსწონს, ბეთჰოვენის მუსიკა ის-მის?

დიახ, სწორედ შემთხვევითობაა ჯადოთი აღსავსე და არა აუცილებლობა. თუ სიყვარული დაუვიწყარი უნდა იყოს, შემთხვევითობები პირველივე წამიდან თავს უნდა ეხვეოდნენ ისე, როგორ წმინდა ფრანცისკს ფრინველები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაშმა ტერეზა იხმო, რომ დანახარჯი გადაეხადა. წიგნი (ფარული საძმოს ამოსაცნობი ნიშანი) დახურა, ტერეზას კი მოუნდა, ეკითხა, რას კითხულობო.

– შეიძლება, სასტუმროს საფასურთან ერთად გადავიხადო? – იკითხა ტომაშმა.

– დიახ, – უპასუხა. – რა ნომერია თქვენი ოთახი?

ტომაშმა აჩვენა გასაღები, რომელზეც ხის პატარა ფირფიტა ეკიდა მასზე გამოსახული წითელი ექვსიანით.

– საოცრებაა, – გაიკვირვა, – რიცხვი ექვსი.

– რა არის ამაში გასაკვირი? – იკითხა ტომაშმა.

ტერეზას გაახსენდა, რომ ექვსი იმ სახლის ნომერი იყო, სადაც მშობლების გაყრამდე პრაღაში ცხოვრობდა. მაგრამ მიზეზად სხვა რამ დაასახელა (და შესაბამისად უნდა შევაფასოთ მისი ეშმაკობა):

– თქვენი ოთახის ნომერი ექვსია, მე კი დღეს ექვსზე ვამთავრებ მუშაობას.

– და ჩემი მატარებელი შვიდზე გადის, – დააყოლა უცნობმა მამაკაცმა. არ იცოდა, რა ეპასუხა, ანგარიში მიაწოდა ხელის მოსაწერად და სასტუმროს მისაღებში წაიღო. როდესაც მუშაობა დაასრულა, უცნობი მაგიდასთან აღარ იჯდა. გაიგო კი მისი დელიკატური მინიშნება? ტერეზა აღელვებული გავიდა რესტორნიდან.

რესტორნის პირდაპირ ყოვლად გაქუცული ბაღი იყო, ერთი პატარა ჭუჭყიანი ქალაქის ერთი გაუბედურებული ბაღი, რომელიც ტერეზასთვის მშვენიერების ოაზისს წარმოადგენდა: იზრდებოდა ბალახი, ოთხი ჭადარი, ტირიფი, ფორზიციის ბუჩქები და სკამებიც იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცნობი ყვითელ სკამზე იჯდა, საიდანაც რესტორნის შესასვლელი ჩანდა. გუშინ ხომ ტერეზაც ზუსტად ამ სკამზე იჯდა მუხლებზე გადაშლილი წიგნით! იმ წამს ზუსტად იცოდა, რომ (მხრებზე შემთხვევითობის ფრინველები ასხდებოდნენ) ეს უცნობი მისი ბედისწერა იყო. კაცმა დაუძახა და თავის გვერდით დაჯდომა შესთავაზა (მისი სულის ლაშქარი სხეულის გემბანს მოეფინა). შემდეგ ტერეზამ სადგურამდე მიაცილა და მამაკაცმა სავიზიტო ბარათი მისცა, რომელზეც ტელეფონის ნომერი ეწერა: – ოდესმე პრაღაში თუ აღმოჩნდებით...

II

როდესაც ტერეზამ გაბედა და საკუთარი ბედის შესაცვლელად სახლიდან წავიდა, ტომაშის მიერ ბოლო წამს მიცემულ სავიზიტო ბარათზე უფრო შემთხვევითობების წყებას (წიგნი, ბეთჰოვენი, რიცხვი ექვსი, ყვითელი სკამი პარკში) დაემორჩილა. შეიძლება, სწორედ ამ რამდენიმე შემთხვევითობამ (სხვათა შორის, ძალიან მოკრძალებულმა, უფერულმა და უდავოდ იმ უმნიშვნელო ქალაქის შესატყვისმა) დაბადა მისი სიყვარული და იმ ენერგიის წყარო გახდა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ გამოლევია ტერეზას.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა შემთხვევითობებით, უფრო ზუსტად ადამიანებისა და მოვლენების გაუთვალისწინებელი შეხვედრებით, რომლებსაც დამთხვევებს უწოდებენ: რესტორანში ტომაში გამოჩნდება და უცებ ბეთჰოვენის მუსიკაც აჟღერდება. ამგვარი დამთხვევების უმეტესობას ადამიანი ვერ ამჩნევს. რესტორნის მაგიდასთან ტომაშის მაგივრად იქაური ყასაბი რომ მჯდარიყო, ტერეზა ნამ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დვილად ვერ გააცნობიერებდა, რომ რადიოდან ბეთჰოვენის მუსიკა ისმოდა (თუმცა ბეთჰოვენისა და ყასბის შეხვედრაც საინტერესო დამთხვევაა). კარს მომდგარმა სიყვარულმა მასში სილამაზის შეგრძნება გაამძაფრა და ტერეზას ეს მუსიკა აღარასოდეს დაავიწყდება. მისი გაგონება ყოველთვის აუჩუყებს გულს. ყველაფერი, რაც ამ დროს მოხდება, ამ მუსიკით გასხივოსნდება და მშვენიერებად იქცევა.

იმ ნაწარმოების დასაწყისში, ტომაშთან სტუმრობისას ილლიაში რომ ჰქონდა ტერეზას ამოჩრილი, ანა და ვრონსკი უცნაურ ვითარებაში ხვდებიან ერთმანეთს. ანა ბაქანზეა. ვილაც ეს-ესაა მატარებელს ჩაუვარდა. რომანის ბოლოს თვით ანა უვარდება მატარებელს. ეს სიმეტრიული კომპოზიცია, რომელშიც ერთსა და იმავე მოტივს ვხვდებით დასაწყისსა და ბოლოში, შეიძლება ძალიან „რომანულად“ მოგვეჩვენოს. კეთილი, დაგეთანხმებით, ოღონდ იმ პირობით, რომ სიტყვა „რომანულს“ არ გაიგებთ, როგორც „გამოგონილს“, „ხელოვნურს“, „რეალობას დაშორებულს“, რამეთუ ზუსტად ასეა შეთხზული ადამიანის ცხოვრება, მუსიკალური ნაწარმოებივითაა. მშვენიერების შეგრძნებით გატაცებული ადამიანი შემთხვევით მოვლენას (ბეთჰოვენის მუსიკას, სიკვდილს სადგურში) აქცევს მოტივად, რომელიც სამუდამოდ დარჩება მისი ცხოვრების მელოდიაში. უბრუნდება მას, იმეორებს, ცვლის და ავითარებს, როგორც კომპოზიტორი თავისი სონატის თემას. ანას სხვაგვარადაც შეეძლო მოეკლა თავი. მაგრამ სადგურისა და სიკვდილის მოტივი, სიყვარულის ჩასახვასთან დაკავშირებული დაუვიწყარი მოტივი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილსაც კი იზიდავდა თავისი შავბნელი სილამაზით. უდიდესი უიმედობის დროსაც კი, ისე, რომ არც კი იცის ამის შესახებ, ადამიანი თავის ცხოვრებას სილამაზის კანონების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანახმად თხზავს. ამდენად, არ შეიძლება ვუსაყვედუროთ რომანს, რომ ის მონუსხულია შემთხვევითობების თანხვედრით (ვთქვათ, ვრონსკის, ანას, ბაქნისა და სიკვდილის შეხვედრა, ან თუნდაც ბეთჰოვენის, ტომაშის, ტერეზასა და კონიაკის შეხვედრა), მაგრამ სამართლიანი იქნება, ვუსაყვედუროთ ადამიანს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეთ დამთხვევებს ვერ ამჩნევს და ამიტომაც მისი ცხოვრება მშვენიერების განზომილებას კარგავს.

12

ტერეზამ, იმ შემთხვევითობების ჩიტებით ფრთაშესხმულმა, რომლებიც მხრებზე ასხდებოდნენ, ერთკვირიანი შვებულება აიღო და ისე, რომ დედისთვის არაფერი უთქვამს, მატარებელში ჩაჯდა. ხშირად გარბოდა ხოლმე ტუალეტში, რათა სარკეში ჩაეხედა და ეთხოვა სულისთვის, მისი ცხოვრების გადამწყვეტ დღეს წამითაც არ მიეტოვებინა მისი სხეულის გემბანი. ამ აზრებით გართული სარკეში იყურებოდა, რომ უცებ შეკრთა: ყელში ფხაჭნა იგრძნო. ნუთუ ცხოვრების გადამწყვეტ დღეს ავად გახდება?

მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო. ტომაშს სადგურიდან დაურეკა და როდესაც კარში მის წინ იდგა, მუცელმა დაუწყო ბუყბუყი. რცხვენოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მუცელში დედა ეჯდა, რომელიც ჯიბრზე ხარხარებდა, რომ ტომაშთან შეხვედრა ჩაეშხამებინა.

პირველ წამებში ეგონა, რომ ამ საშინელი ხმებისთვის მაშინვე უკან გააბრუნებდნენ, მაგრამ ტომაშმა ჩაიხუტა. მადლიერი იყო, რომ მუცლის ბუყბუყს ყურადღება არ მიაქ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცია. ამიტომ კოცნიდა ტომაშს ასე ვნებიანად და მზერა ენისლებოდა. წუთიც არ გასულა, რომ ლოგინში აღმოჩნდნენ. ვნებისაგან ყვიროდა. ამ დროს უკვე სიცხე ჰქონდა. გრიპი დაემართა. მილი, რომლითაც ფილტვებს ჟანგბადი მიეწოდება, დაცული და გაწითლებული ჰქონდა.

მეორედ უკვე მძიმე ჩემოდნით ჩამოვიდა, რომელშიც მთელი თავისი ნივთები ეწყო და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თავის პატარა ქალაქში აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ღამე იაფ სასტუმროში გაათია. მეორე დღეს ჩემოდანი სადგურის შემნახველ საკანში ჩააბარა და მთელი დღე იღლიაში ამოჩრილი „ანა კარენინათი“ პრაღაში დახეტიალობდა. საღამოს ზარი დარეკა და კარი ტომაშმა გაუღო, წიგნს ხელიდან არ უშვებდა, თითქოს ეს ტომაშის სამყაროში შესასვლელი ბილეთი ყოფილიყოს. აცნობიერებდა, რომ ამ საწყალი ბილეთის მეტი არაფერი ჰქონდა და ტირილი უნდოდა. ტირილის შესაკავებლად ხმამაღლა და ბევრს ლაპარაკობდა ან იცინოდა. სულ მალე ტომაშმა ისევ მოიქცია მკლავებში და ლოგინში აღმოჩნდნენ. ისევ ის ბურუსი გადაეფარა თვალებზე, რომელშიც არაფერი არ ჩანდა, მხოლოდ მისი ყვირილი ისმოდა.

13

ეს არც კვნესა იყო და არც ოხვრა, ეს ნამდვილი ყვირილი იყო. ისე ყვიროდა, რომ ტომაში ცდილობდა, თავი ცოტა განზე გაეწია. ეგონა, ყური ვერ გამიძლებს და გამისკდებაო. ეს ყვირილი ვნებიანობის გამოხატულება არ იყო. ვნებიანობა გრძნობების მაქსიმალურ დაძაბვას ნიშნავს: ადამიანი დაძაბულად აკვირდება მეორეს და ყოველი მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბგერის დაჭერას ცდილობს. ტერეზას ყვირილს კი, პირიქით, ცნობიერების დათრგუნვა უნდოდა, რომ მას ვერაფერი დაენახა და ვერაფერი გაეგო. ეს მისი სიყვარულის გულუბრყვილო იდეალიზმი ყვიროდა, რომელსაც სურდა, მოესპო ყველა წინააღმდეგობა, გაენადგურებინა სხეულისა და სულის დუალურობა, გაენადგურებინა თვით დროც კი.

დახუჭული ჰქონდა თვალები? არა, მაგრამ არსაით არ იყურებოდა, ჭერს მისჩერებოდა. ზოგჯერ აქეთ-იქით იქნევდა თავს.

როდესაც მისი ყვირილი მიწყნარდა, ტომაშის გვერდით ჩაეძინა და მთელი ღამე მისი ხელი ეჭირა.

ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში ერთი ხელით მეორეს ჩაიჭერდა ხოლმე და წარმოიდგენდა, რომ ეს საყვარელი ადამიანის, მისი ცხოვრების მამაკაცის ხელია. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტომაშის ხელი დღეს ასე თავდაჯერებით ეჭირა: ბავშვობიდან ვარჯიშობდა და ემზადებოდა ამისთვის.

14

გოგოს, რომელიც „რაღაც ამაღლებულს“ ესწრაფვის, ამის ნაცვლად კი ლოთებისთვის ლუდის მიტანა და დაძმის ჭუჭყიანი სარეცხის რეცხვა უხდება, ცხოვრებისეული ძალების უზარმაზარი მარაგი უგროვდება, რომლის მსგავსიც არ დაესიზმრებათ უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებსაც წიგნებზე ეძინებათ ხოლმე. ტერეზამ მათზე მეტი წაიკითხა და ცხოვრებაზეც მათზე მეტი იცოდა, მაგრამ ამას ვერასოდეს გააცნობიერებს. უნივერსიტეტში განათლებამიღებულ ადამიანს თვითნასწავლისაგან ცოდნა კი არა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვაგვარი თავდაჯერებულობა და ცხოვრებისეული ძალა განასხვავებს. შემართება, რომლითაც ტერეზა პრაღის ცხოვრებაში გადაეშვა, ერთდროულად შეუპოვარიც იყო და მერყევიც. თითქოს ელოდა, რომ ერთ დღეს ვინმე ეტყოდა: „შენი ადგილი აქ არ არის! იქ დაბრუნდი, საიდანაც მოხვედი!“ მთელი მისი ცხოვრების წადილი ბეწვზე ეკიდა: ტომაშის ხმაზე იყო დამოკიდებული, რომელმაც თავის დროზე სიღრმეში ჩამალული ტერეზას სული ზედაპირზე ამოიყვანა.

ტერეზამ ჟურნალის ფოტოლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა, თუმცა ეს მისთვის საკმარისი არ იყო. უნდოდა, თვითონ გადაეღო. ტომაშის მეგობარმა საბინამ ცნობილი ფოტოგრაფების რამდენიმე ალბომი ათხოვა, კაფეში შეხვდა, ათვალიერებინებდა ამ წიგნებს და უხსნიდა, რა არის ამა თუ იმ ფოტოში შესანიშნავი. ტერეზა ჩუმად და ისეთი დაძაბული გამომეტყველებით უსმენდა, როგორიც იშვიათად თუ შეუმჩნევიათ პროფესორებს თავიანთი სტუდენტების სახეებზე.

საბინასთან საუბრიდან გაიგო მხატვრობისა და ფოტოხელოვნების ნათესაობის შესახებ და ამის შემდეგ ყველა გამოფენაზე, რომელიც კი პრაღაში გაიხსნებოდა, ტომაშს იძულებით დაატარებდა. მალე ჟურნალში საკუთარი ფოტოების გამოქვეყნებაც მოახერხა. ერთ დღეს კი საერთოდ დაემშვიდობა ლაბორატორიას და პროფესიონალ ფოტოგრაფებს შორის ამოყო თავი.

ახალ თანამდებობაზე გადასვლის აღსანიშნავად იმავე დღეს მეგობრებთან ერთად ბარში წავიდნენ და ბევრი იცეკვეს. ტომაშს მოულოდნელად ხასიათი გაუფუჭდა. მხოლოდ სახლში, ისიც ტერეზას დაჟინების შემდეგ, გამოტყდა, რომ იეჭვიანა, როდესაც ტერეზა თანამშრომელს ეცეკვებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მართლა იეჭვიანე? – ათჯერ მაინც ჰკითხა ტერეზამ, თითქოს შეატყობინეს, რომ ნობელის პრემია მიიღო და არაფრით არ შეეძლო ამის დაჯერება. შემდეგ წელზე მოეხვია და ოთახში ცეკვა დაიწყო. ერთი საათის წინ ბარში სულ სხვანაირად ცეკვავდა. ახლა მისი ცეკვა უფრო სოფლურ „სკოჩინას“ ჰგავდა თავისი გიჟმაჟური შეხტომებით: ფეხებს ჰაერში ისროდა, გრძელ მოუქნელ ნახტომებს აკეთებდა და ტომაშს ოთახში აქეთ-იქით დაათრევდა.

სამწუხაროდ, მალე ტერეზამ თვითონ დაიწყო ეჭვიანობა და ტომაშისთვის მისი ეჭვიანობა უკვე ნობელის პრემია კი არა, დიდი ტვირთი იყო, რომელიც მხოლოდ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოიშორა.

15

სხვა ქალებთან ერთად აუზის ირგვლივ შიშველი დააბიჯებდა, ტომაში კი აუზის შენობის ჭერიდან ჩამოშვებულ კალათში იდგა, უყვიროდა და სიმღერასა და ჩაბუქვნას აიძულებდა მათ. ვინც ვარჯიშს ცუდად შეასრულებდა, ესროდა და კლავდა.

მინდა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდე ამ სიზმარს: ის მაშინ კი არ გახდა საშინელი, ტომაშმა პირველად რომ გაისროლა, არამედ თავიდანვე კოშმარული იყო. მთავარი საშინელება შიშველ ქალებთან ერთად მწყობრი ნაბიჯით სიარული იყო. როდესაც დედასთან ცხოვრობდა, აკრძალული ჰქონდა აბაზანაში ჩაკეტვა. დედა ამით ეუბნებოდა: შენი სხეულიც ისეთივეა, როგორიც სხვა სხეულები; არ გაქვს სირცხვილის უფლება; არ გაქვს მიზეზი, დამალო ის, რაც მილიარდობით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სრულიად იდენტურ ეგზემპლარად არსებობს ამქვეყნად. დედამისის სამყაროში ყველა სხეული ერთნაირი იყო და ისინი მწყობრად მიაბიჯებდნენ. ტერეზასთვის სიშიშვლე ბავშვობიდანვე საკონცენტრაციო ბანაკის ნიშანი იყო; დამცირების ნიშანი.

ამ სიზმრის დასაწყისში კიდევ ერთი საშინელება იყო: ყველა ქალს უნდა ემღერა! ყველა ეს სხეული მხოლოდ ერთნაირი და ერთნაირად მნიშვნელობას მოკლებული კი არ იყო, ისინი მარტო ხმის გამომცემ მექანიზმებს კი არ წარმოადგენდნენ, უფრო უარესი, ამით ხარობდნენ კიდეც! ეს უსულო არსებების ბედნიერი სოლიდარობა იყო! ქალები ბედნიერები იყვნენ, რომ მოიშორეს სულის ტვირთი, ეს სასაცილო ამპარტავნობა, საკუთარი განსაკუთრებულობის ილუზია და რომ ახლა ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ტერეზა მათთან ერთად მღეროდა, მაგრამ არ უხაროდა. მღეროდა იმის შიშით, რომ, თუ არ იმღერებდა, ქალები მოკლავდნენ.

მაგრამ რას ნიშნავდა ის, რომ ტომაში მათ ესროდა და ერთიმეორის მიყოლებით მკვდრები ცვიოდნენ აუზში?

ქალები, რომლებსაც უხარიათ, რომ უსახურები და ერთნაირები არიან, საკუთარ მომავალ სიკვდილს ზეიმობენ, რომელიც მათ საბოლოოდ გააიგივებს. ამდენად, გასროლა მხოლოდ ბედნიერი დაგვირგვინება იყო მათი მაკაბრალური[4] მსვლელობისა. ამიტომ ყოველი გასროლის შემდეგ გახარებულები იცინოდნენ და მათ სიმღერას შემართება ემატებოდა, როდესაც მორიგი სხეული იწყებდა ჩაძირვას.

მაინცდამაინც ტომაში რატომ იყო ის, ვინც ქალებს ესროდა და რატომ უნდოდა ტერეზას მოკვლა?

---

[4] პირქუში, სიკვდილთან დაკავშირებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმიტომ, რომ სწორედ ტომაშმა ამოაყოფინა იქ თავი. აი რის შეტყობინება უნდა სიზმარს ტომაშისათვის, რაკი თვით ტერეზას არ შეუძლია ამის თქმა. მივიდა მასთან, რათა გაჰქცეოდა დედის სამყაროს, რომელშიც ყველა სხეული ერთნაირი იყო. მიაკითხა, რათა მისი სხეული ერთადერთი და განუმეორებელი გამხდარიყო. ტომაშმა კი ისევ ტოლობის ნიშანი დასვა მის და სხვის სხეულებს შორის: ყველას ერთნაირად კოცნის, ყველას ერთნაირად ეალერსება, მისთვის არავითარი განსხვავება არ არსებობს ტერეზასა და სხვების სხეულებს შორის. ასე დააბრუნა ტომაშმა იმ სამყაროში, რომლიდან გაქცევასაც ლამობდა. შიშველი ტერეზა სხვა შიშველი ქალების მსვლელობას შეუერთა.

16

სიზმრების სამი სერიალი ენაცვლებოდა ერთმანეთს: პირველი, რომელშიც კატები ესხმოდნენ თავს, ტერეზას ტანჯვაზე მოგვითხრობდა. მეორე მისი სიკვდილით დასჯის აღწერილობის უთვალავი ვარიაცია იყო. მესამე კი ტერეზას სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაზე გვიამბობდა, როდესაც მისი დამცირება დაუსრულებელ ტანჯვად იქცა.

ამ სიზმრებს ახსნა არ სჭირდებოდა. ისინი იმდენად ცხადად მეტყველებდა ტომაშის დანაშაულზე, რომ ტომაში ხმასაც ვერ იღებდა და თავდახრილი ეფერებოდა ტერეზას ხელს.

ეს სიზმრები არა მარტო მრავლისმეტყველი იყო, არამედ ლამაზიც. აი რა გამოეპარა ფროიდს თავის სიზმრების თეორიაში. სიზმარი მხოლოდ შეტყობინება (ან კოდირებული შეტყობინება) არ არის, ესთეტიკური აქტიურობაა, წარმოსახვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც თავისთავადაა ღირებული. სიზმარი ცხადყოფს, რომ ოცნება იმაზე, რაც არ მოხდა, ადამიანის სილრმისეული მოთხოვნილებაა. სწორედ აქ იმალება სიზმრის სახიფათო და მუხთალი ბუნება. სიზმარი ლამაზი რომ არ იყოს, ადვილად შევძლებდით მის დავიწყებას. მაგრამ ტერეზა გამუდმებით უბრუნდებოდა თავის სიზმრებს, გულში იმეორებდა და ლეგენდებად აქცევდა. ტომაში კი ტერეზას სიზმრების მტანჯველი სილამაზით მოჯადოებული ცხოვრობდა.

– ტერეზა, საყვარელო, სად მეკარგები? შენ ხომ ყოველღამე სიკვდილი გესიზმრება, თითქოს მართლა გინდა გაეცალო აქაურობას... – უთხრა ერთხელ ტომაშმა, როდესაც ღვინის სარდაფში ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ.

დღე იყო, ისევ გონი და ნებისყოფა მძლავრობდა. წითელი ღვინის წვეთი ნელ-ნელა მიცურავდა ჭიქაზე და ამ დროს ტერეზამ უპასუხა: – ტომაშ, ჩემი ბრალი არ არის. ყველაფერი მესმის, ვიცი, რომ გიყვარვარ. ვიცი, რომ შენი ღალატი ტრაგედია არ არის...

ტომაშს სიყვარულით უყურებდა, მაგრამ ეშინოდა ღამის, რომელიც აუცილებლად დადგებოდა, ეშინოდა თავისი სიზმრების. მისი ცხოვრება, რომლის გამოც დღე და ღამე ერთმანეთს ექიშპებოდა, გაორებული იყო.

17

ის, ვინც „რაღაც მაღალს“ ესწრაფვის, მზად უნდა იყოს, რომ ერთხელაც თავბრუ დაეხვევა. რა არის თავბრუსხვევა? გადავარდნის შიში? მაშ რატომ გვეხვევა თავბრუ, როდესაც მოაჯირით დაცული გადმოსახედიდან ვიყურებით? არა, თავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრუსხვევა გადავარდნის შიში არ გახლავთ. თავბრუსხვევა იმის ნიშანია, რომ ჩვენს ფეხქვეშ სიღრმეა, რომელიც გვიზიდავს, გვიტყუებს, ჩვენში ვარდნის სურვილს აღვიძებს, რასაც შეშინებულები ვეწინააღმდეგებით.

აუზის ირგვლივ მოსიარულე შიშველი ქალები და გვამები კატაფალკში, რომლებსაც უხაროდათ, რომ ტერეზა მათსავით მკვდარია, ის „სიღრმე" იყო, რომლისაც მას ეშინოდა, საიდანაც ერთხელ უკვე გაიქცა და რომელიც ფარულად ეძახდა. ეს იყო მისი თავბრუსხვევა: საკუთარ ბედსა და სულზე უარის თქმის ტკბილი (მხიარულიც კი) სურვილი იტყუებდა. თავისკენ ექაჩებოდა უსულოთა სოლიდარობა და სისუსტის წამებში სურვილი უჩნდებოდა, აჰყოლოდა ამ ძახილს, დედასთან დაბრუნებულიყო. უნდოდა, სხეულის გემბანიდან ისევ ღრმა ტრიუმში დაებრუნებინა სულის ლაშქარი; დამჯდარიყო დედის მეგობრებთან და ეცინა იმაზე, რომ ვიღაცამ ხმამაღლა გააკუა; შიშველს აუზის ირგვლივ ევლო მათთან ერთად და ემღერა.

18

მართალია, სახლიდან წამოსვლის დღემდე ეომებოდა დედას, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რა მტანჯველი სიყვარულით უყვარდა ის. ყველა თხოვნას შეუსრულებდა, ოღონდ სიყვარული ეგრძნო მის ხმაში. მხოლოდ იმის წყალობით, რომ დედის ხმაში სიყვარულს არასოდეს გაუჟღერია, იპოვა ძალა სახლის დასატოვებლად.

როდესაც დედამისი მიხვდა, რომ მისმა აგრესიულობამ ყოველგვარი გავლენა დაკარგა ტერეზაზე, პრაღაში საწყალო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბელი წერილების გზავნა დაუწყო. უჩიოდა ქმარს, უფროსს, ჯანმრთელობას და შვილებს, ტერეზას კი ერთადერთ ახლობელ ადამიანს უწოდებდა. ტერეზას ეჩვენებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს დედის ხმაში სიყვარული ჟღერდა, რომელსაც ოცი წელია ნატრობდა და შინ დაბრუნება მოუნდა. მით უფრო, რომ თავს უძლურად გრძნობდა. ტომაშის ხშირმა ღალატმა სწრაფად დაანახვა საკუთარი უმწეობა, რამაც თავბრუსხვევა და ვარდნის დაუძლეველი სურვილი შვა.

ერთხელაც ტერეზას დედამ დაურეკა და შეატყობინა, კიბო მაქვს და რამდენიმე თვეღა დამრჩაო. ამ ცნობამ ტომაშის ღალატით გამოწვეული სასოწარკვეთილება აჯანყებად აქცია და სინდისის ქენჯნა დაეწყო, რომ ქმრის გამო, რომელსაც არ უყვარს, საკუთარ დედას უღალატა. კარგად ესმოდა დედის და მზად იყო, დაევიწყებინა წარსულში განცდილი ყველა ტკივილი. ორივენი ხომ ერთნაირ მდგომარეობაში არიან: დედას მამინაცვალი უყვარს ისევე, როგორც ტერეზას ტომაში და მამინაცვალი თავისი ღალატით ტანჯავს დედას ზუსტად ისე, როგორც ტომაში ტერეზას. ტერეზასადმი სისასტიკის მიზეზიც სწორედ დედის უზომო ტანჯვა იყო.

ტომაშს დედის ავადმყოფობის ამბავი აცნობა და ერთკვირიანი შვებულების აღება გადაწყვიტა მის მოსანახულებლად. ტერეზას ხმაში თავდაჯერებულობა ისმოდა.

ტომაში თითქოს მიხვდა, რომ ტერეზას დედისკენ მხოლოდ თავბრუსხვევა იზიდავდა, ამიტომ შეეწინააღმდეგა მის გამგზავრებას. პატარა ქალაქის საავადმყოფოში დარეკა. ჩეხეთში სიმსივნის გამოკვლევას დიდი გულისყურით ეკიდებიან, ამიტომ არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ ტერეზას დედას არაფერი სჭირდა და რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ექიმთან არც კი ყოფილა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაუჯერა ტომაშს და დედის სანახავად აღარ წავიდა. თუმცა იმავე დღეს ქუჩაში დაეცა და მუხლი გადაიყვლიფა. მის ნაბიჯს სიმყარე დაეკარგა, თითქმის ყოველდღე ან ეცემოდა, ან რამეს მტკივნეულად ეჯახებოდა, ან უცაბედად საგნები უცვივდებოდა ხელიდან.

დაცემის გადაულახავი სურვილი ჰქონდა. გამუდმებულ თავბრუსხვევაში ცხოვრობდა.

ის, ვინც ეცემა, თხოულობს: „წამომაყენე!“ ტომაში ყოველთვის დიდი მოთმინებით უწვდიდა ხელს.

19

„მინდა, ვიწვეთ ჩემს სახელოსნოში, როგორც სცენაზე, ირგვლივ ხალხი იყოს, თვალს ვერ გვაშორებდნენ, მაგრამ ნაბიჯითაც არ შეეძლოთ ჩვენთან მოახლოება...“

თანდათანობით ეს სცენა პირვანდელ დაუნდობლობას კარგავდა და ტერეზას აღაგზნებდა კიდეც. არაერთხელ ჩურჩულით აღუწერია ეს სცენა ტომაშისთვის ლოგინში.

ტერეზა მიხვდა, რომ არსებობს ღალატად წოდებული სამუდამო განაჩენისაგან თავის დაღწევის ხერხი: ტომაშმა თან წაიყვანოს! თან წაიყვანოს ხოლმე თავის საყვარლებთან! შეიძლება, ამან მის სხეულს პირველობა და განსაკუთრებულობა დაუბრუნოს. მისი სხეული ტომაშის alter ego-დ, მის თანამზრახველად და თანაშემწედ გადაიქცევა.

„შენთვის გავაშიშვლებ, შენთვის აბაზანაში ვაბანავებ და შემდეგ მოგგვრი...“ ეჩურჩულებოდა, როდესაც ვნებით ეხუტებოდნენ ერთმანეთს. სურდა, რომ ჰერმაფროდიტად გადაქცეულიყვნენ და სხვა ქალების სხეულები მათი საერთო სათამაშო ყოფილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაშს არ სურდა იმის მიღება, რომ ტერეზა მისი პოლიგამიური ცხოვრების alter ego-დ ქცეულიყო, ტერეზა კი თავიდან ვერ იშორებდა ამ აზრს, საბინასთან დაახლოებას ცდილობდა და ერთხელაც ფოტოების გადაღება შესთავაზა მას.

საბინამ სახელოსნოში მიიპატიჟა და ტერეზამ ბოლოს და ბოლოს იხილა დიდი ოთახი, რომლის შუაშიც უზარმაზარი კვადრატული ტახტი იდგა.

– სამწუხაროა, რომ ჯერ არ ყოფილხარ აქ, – ამბობდა საბინა და თან კედელზე მიყუდებულ ნახატებს ათვალიერებინებდა ტერეზას. სადღაციდან ერთი ძველი ნახატიც კი გამოაძვრინა, რომელიც ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლისას დახატა. მასზე მეტალურგიული ქარხანა იყო გამოსახული. მაშინ დახატა, როდესაც მხატვრებისაგან მკაცრად მოითხოვდნენ რეალიზმს (არარეალისტური ხელოვნება სოციალიზმის ძირის გამომთხრელად მიიჩნეოდა). სპორტული ჟინით შეპყრობილი საბინა ცდილობდა, თავის მასწავლებლებზე უფრო ზუსტი ყოფილიყო და ისე ხატავდა, რომ ნახატებს ფუნჯის მონასმი არ ეტყობოდა, რაც მათ ფერად ფოტოებს ამსგავსებდა.

– ეს ნახატი უცაბედად გავაფუჭე, წითელი საღებავი დამეწვეთა. თავიდან ვბრაზობდი, შემდეგ კი ეს ლაქა უფრო და უფრო მომეწონა, რადგან ბზარს წააგავდა. თითქოს მშენებლობა მართლა მშენებლობა კი არ იყო, არამედ თეატრალური დეკორაციის ნახევარი, რომელზეც მშენებლობა იყო დახატული. დავიწყე ამ ბზართან თამაში, გავაფართოვე, ვცდილობდი, წარმომედგინა, ბზარს უკან რა შეიძლება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოჩნდეს და ასე გაჩნდა ჩემი ნახატების პირველი ციკლი, რომელსაც „კულისები“ დავარქვი. ცხადია, ვერავის ვერ ვაჩვენებდი, ასეთი ნახატებისთვის აკადემიიდან გამაგდებდნენ. წინა პლანზე რეალისტური და უნაკლო სამყარო ეხატა, რომლის უკანაც, ვითომდა დეკორაციის გახეული ტილოს იქით, სულ სხვა რამ მოჩანდა, იდუმალი და აბსტრაქტული. – ცოტა ხნით გაჩუმდა და შემდეგ დაამატა: – წინ – კარგად გასაგები ტყუილი, მის უკან – გაუგებარი სიმართლე.

ტერეზა ისეთი გულისყურით უსმენდა, რომელიც იშვიათად თუ შეუმჩნევიათ პროფესორებს თავიანთი სტუდენტებისთვის და ხედავდა, რომ საბინას ყველა ნახატი, ძველი თუ ახალი, მართლაც, სულ ერთსა და იმავეზე მეტყველებს, რომ ორი სხვადასხვა თემის შეხვედრას წარმოადგენს, რომ ორმაგი ექსპოზიციით გადაღებულ ფოტოებს ჰგავს. პეიზაჟი, რომლის უკნიდანაც მაგიდის ნათურა გამოკრთის. ხელი, რომელიც უკნიდან არღვევს იდილიის ამსახველ ტილოს: ნატურმორტს ვაშლებით, თხილით და აბრდღვიალებული საშობაო ნაძვის ხით.

ტერეზა აღფრთოვანებული იყო საბინათი. მხატვარი ძალიან მეგობრულად იქცეოდა, ამიტომ ამ აღფრთოვანებას შიში ან უნდობლობა არ დაჰკრავდა და ნელ-ნელა მას სიმპათია ენაცვლებოდა. სულ მალე დაავიწყდა კიდეც, რომ აქ ფოტოების გადასაღებად იყო მოსული. საბინას შეხსენება მოუხდა. ტერეზამ ნახატებს მზერა მოაშორა და ისევ ის უზარმაზარი ტახტი დაინახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტახტთან პატარა მაგიდა იდგა, მასზე კი – ადამიანის თავის ფორმის სადგამი. ზუსტად ისეთი, დალაქებს რომ აქვთ პარიკების ჩამოსაცმელად. საბინას პარიკის მაგივრად ქუდი ჰქონდა ჩამოცმული სადგამზე. საბინამ გაიცინა: – ბაბუაჩემის ქუდია.

ტერეზას ასეთი ქუდი – შავი, მაგარი და მრგვალი მხოლოდ კინოში ენახა. ზუსტად ასეთი ქუდი ეხურა ჩაპლინს. გაიცინა, აიღო და დიდხანს ათვალიერებდა. მერე იკითხა: – გინდა, ამ ქუდით გადაგიღებ?

საბინამ დიდხანს იცინა ამაზე. ტერეზამ ქუდი გადადო, აპარატი მოიმარჯვა და გადაღება დაიწყო. უკვე საათზე მეტი იყო გასული, რომ მოულოდნელი შეკითხვა დასვა:

– არ გინდა, შიშველს გადაგიღო?

– შიშველს? – გაეცინა საბინას.

– ჰო, შიშველს, – თამამად დაუდასტურა ტერეზამ.

– ამას ცოტა დალევა სჭირდება, – უპასუხა საბინამ და ღვინო გახსნა.

ტერეზა სხეულში სისუსტეს გრძნობდა და ჩუმად იჯდა, საბინა კი ჭიქით ხელში ოთახში დადიოდა და თავის ბაბუაზე ჰყვებოდა, რომელიც ერთ-ერთი პატარა ქალაქის გამგებელი იყო. საბინას არასდროს უნახავს ბაბუა, მისგან მხოლოდ ეს ქუდი დარჩა და ერთი ფოტო: ტრიბუნაზე ამ პატარა ქალაქის თანამდებობის პირები იდგნენ, მათ შორის ბაბუაც. გაუგებარი იყო, რას აკეთებდნენ იქ, ალბათ, რაღაც დღესასწაული იყო, ან თანამდებობის სხვა რომელიმე პირის ძეგლის გახსნა, რომელიც ამგვარ სადღესასწაულო ღონისძიებებზე ასეთი ქუდით დადიოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბინა დიდხანს ჰყვებოდა ქუდსა და ბაბუაზე. როდესაც მესამე ჭიქა დაცალა, თქვა: – მოიცა, – და სააბაზანაში შევიდა. აბაზანის ხალათით დაბრუნდა. ტერეზამ ფოტოაპარატი თვალთან მიიდო. საბინამ ხალათი გაიხსნა.

22

ფოტოაპარატი ტერეზასთვის, ერთი მხრივ, მექანიკური თვალი იყო, რომლითაც ტომაშის საყვარელს ათვალიერებდა, მეორე მხრივ კი – რიდე, რომლითაც მისგან სახეს იფარავდა.

ხალათის მთლიანად გასახდელად საბინას რაღაც დრო დასჭირდა. სიტუაცია იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონა. რამდენიმე წუთის პოზირების შემდეგ ტერეზასთან მივიდა და უთხრა:

– ახლა მე გადაგიღებ. მიდი, გაიხადე.

სიტყვა „გაიხადე“ ტერეზას ბევრჯერ გაუგონია ტომაშისაგან. ეს ტომაშის ბრძანება იყო, რომლითაც ტომაშის საყვარელმა ტომაშის ცოლს მიმართა. ტომაშმა ერთი მაგიური სიტყვით ორი ქალი დააკავშირა. ტომაში ამ ხერხით უეცრად სექსუალურ მიმართულებას აძლევდა ქალებთან უწყინარ საუბარს: არა შეხებით, მოფერებით, ქათინაურებით ან თხოვნით, არამედ სრულიად მოულოდნელად ხმადაბლა, თუმცა მომთხოვნი ტონით წარმოთქმული ბრძანებით, თანაც ამ დროს არასდროს ეხებოდა ქალებს. ტერეზასთვისაც არაერთხელ უბრძანებია: „გაიხადე!“ და მიუხედავად იმისა, რომ ამას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ამბობდა, ეს ბრძანება იყო და ქალს აღაგზნებდა მისი შესრულება. ტერეზამ ნაცნობი ბრძანება გაიგონა და დამორჩილების კიდევ უფრო დიდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სურვილი გაუჩნდა, რადგან დაემორჩილო უცხო ადამიანს – მშვენიერი და განსაკუთრებული სიგიჟეა, მით უფრო, რომ ახლა ამ ბრძანებას ქალი გასცემდა და არა მამაკაცი.

საბინამ აპარატი გამოართვა და ტერეზამ გაიხადა. საბინას წინაშე შიშველი და შეუიარაღებელი იდგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ ფოტოაპარატის გარეშე, რომელსაც ცოტა ხნის წინ სახეზე იფარებდა და თან, როგორც იარაღს, საბინას უმიზნებდა. ახლა კი ტომაშის საყვარლის ნებას იყო მინდობილი. ეს მორჩილება ათრობდა. უნდოდა, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო წამები, როცა საბინას წინაშე შიშველი იდგა.

ვფიქრობ, საბინაც მოაჯადოვა ამ სიტუაციის უჩვეულობამ: მის წინ საყვარლის ცოლი იდგა, მორჩილი და დარცხვენილი. რამდენჯერმე ჩააჩხაკუნა აპარატი და შემდეგ, თითქოს შეეშინდა და ჰიპნოზური მდგომარეობიდან გამორკვევა უნდაო, ხმამაღლა გაიცინა.

ტერეზაც აჰყვა მის სიცილს და ორივემ ჩაიცვა.

23

რუსეთის იმპერიის წარსული ბოროტმოქმედებები მიჩუმათებული იყო მტკიცებულებების უკმარისობის გამო. ასიათასობით ლიტველის დეპორტაცია, ასიათასობით პოლონელის ჩახოცვა, ყირიმელი თათრების განადგურება – ეს ყველაფერი ფოტოდოკუმენტაციის გარეშე, ანუ, როგორც დაუმტკიცებელი რამ, ისე შემორჩა მეხსიერებას, იმად, რაც ადრე თუ გვიან მისტიფიკაციად გამოცხადდება. სამაგიეროდ 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში შემოჭრა მთლიანად არის აღბეჭდილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფოტო- და კინოფირებზე, რომლებიც დღეს მთელი მსოფლიოს არქივებში ინახება.

ჩეხმა ფოტოგრაფებმა და კინოოპერატორებმა გააცნობიერეს, რომ მხოლოდ მათ შესწევთ ძალა, გააკეთონ ის, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია: შემოუნახონ მომავალს ძალადობის მტკიცებულებები. ტერეზა მთელი შვიდი დღე პრაღის ქუჩებში დადიოდა და რუსი სამხედროების მაკომპრომეტირებელ ფოტოებს იღებდა. რუსებმა არ იცოდნენ, რა ექნათ. დარიგებულები იყვნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იარაღის სროლის ან ქვების დაშენის შემთხვევაში, მაგრამ არავის უთქვამს, რა უნდა ექნათ, როდესაც ობიექტივს დაუმიზნებდნენ.

ტერეზამ უამრავი ფირი გადაიღო. გადაღებულის ნახევარი გაუმჟღავნებელი ნეგატივების სახით უცხოელ ჟურნალისტებს დაურიგა (საზღვრები ჯერ კიდევ ღია იყო, უამრავი უცხოელი ჟურნალისტი ჩამოდიოდა პრაღაში და ყველა უსაზღვროდ მადლიერი იყო ნებისმიერი მასალისთვის). ბევრი მათგანი უცხოურმა პრესამაც აჩვენა: ტანკები, სიმწრით მოღერებული მუშტები, დანგრეული სახლები, ლურჯ-წითელ-თეთრ დროშებგადაფარებული გვამები, მოტოციკლებზე ამხედრებული ახალგაზრდები, რომლებიც ტანკებს გადარეულებივით უვლიდნენ გარს გრძელ ჯოხებზე მიმაგრებული ეროვნული დროშების ფრიალით და წარმოუდგენლად მოკლეკაბიანი გოგონები, რომლებიც გაუბედურებული, სექსუალურად დაუკმაყოფილებელი რუსი სამხედროების თვალწინ პროვოკაციულად კოცნაობდნენ უცნობ გამვლელებთან. როგორც უკვე ვთქვი, რუსების შემოჭრა არა მარტო ტრაგედია იყო, არამედ უცნაური ეიფორიით (რომლის ახსნაც ახლა უკვე შეუძლებელია) აღსავსე სიძულვილის ზეიმიც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შვეიცარიაში ტერეზამ საკუთარი ხელით საგულდაგულოდ გამჟღავნებული და დაბეჭდილი ორმოცდაათიოდე ფოტო წაიღო. გადაწყვიტა, ისინი ერთ-ერთი დიდი ფოტოჟურნალისთვის შეეთავაზებინა. რედაქტორმა კეთილგანწყობით მიიღო (ჩეხები ჯერ კიდევ ეროვნული უბედურების შარავანდედით იყვნენ მოსილი, რაც შვეიცარიელებს ადვილად უჩუყებდა გულს), სავარძელში ჩასვა, ფოტოები დაათვალიერა, ბევრი აქო და შემდეგ აუხსნა, რომ ახლა, როდესაც იმ მოვლენებიდან გარკვეული დრო იყო გასული, ტერეზას ამ ფოტოების გამოქვეყნების („მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი ფოტოებია!“) არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა.

– კი, მაგრამ პრაღაში არაფერი დასრულებულა! – გააპროტესტა ტერეზამ და თავისი დამტვრეული გერმანულით შეეცადა, აეხსნა, რომ ზუსტად ახლა, როდესაც ქვეყანა ოკუპირებულია, მიუხედავად ყველაფრისა, ქარხნებში არსდება მუშათა თვითმმართველობები, სტუდენტები პროტესტის ნიშნად ოკუპაციის წინააღმდეგ იფიცებიან და მთელი ქვეყანა ამ რიტმით ცხოვრებას განაგრძობს. ეს ხომ ყოვლად დაუჯერებელია! აქ კი ეს აღარავის აინტერესებს!

რედაქტორს ძალიან გაუხარდა, როდესაც ოთახში ენერგიული ახალგაზრდა ქალი შემოვიდა და საუბარი შეაწყვეტინათ. ქალმა საქაღალდე მიაწოდა და უთხრა:

– ეს ნუდისტური პლაჟის შესახებ რეპორტაჟია.

რედაქტორი ფაქიზი სულის ადამიანი იყო და შეეშინდა, რომ ჩეხი ქალი, რომელიც რუსულ ტანკებს იღებდა, პლაჟზე წამოწოლილი შიშველი ადამიანების ფოტოებს ფრივოლურად ჩათვლიდა. ამიტომ საქაღალდე მაგიდის კიდისკენ მისწია და ახლად შემოსულ ქალს უთხრა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– წარმოგიდგენ შენს პრაღელ კოლეგას. არაჩვეულებრივი ფოტოები მოიტანა.

ქალმა ტერეზას ხელი ჩამოართვა და მისი ფოტოები აიღო.

– მანამდე კი ჩემები ნახეთ, – უთხრა.

ტერეზამ საქაღალდიდან ფოტოები ამოიღო.

რედაქტორმა თითქმის მობოდიშების ტონით უთხრა:

– ეს სრულებით იმის საპირისპიროა, რაც თქვენს ფოტოებზეა აღბეჭდილი.

– რას ბრძანებთ, ეს ერთი და იგივეა! – უპასუხა ტერეზამ.

ამ ნათქვამის აზრს ვერავინ მიხვდა და ჩემთვისაც დღემდე ძნელი გასარკვევია, რის თქმა უნდოდა ტერეზას, როდესაც ნუდისტური პლაჟი რუსულ ოკუპაციას შეადარა. დიდხანს ათვალიერა ფოტოები და მისი განსაკუთრებული ყურადღება იმ ფოტომ მიიპყრო, რომელზეც ოთხკაციანი ოჯახი იყო გადაღებული: ბავშვებისკენ დახრილი დედა, ჩამოკიდებული დიდი და მძიმე ძუძუებით, რაც თხის ან სულაც ძროხის ცურს მოგაგონებდათ და ასევე დახრილი კაცი ზურგიდან, ფეხებს შორის პატარა ტომარა მოუჩანდა, რომელიც მინიატურულ ცურს წააგავდა.

– მოგწონთ? – შეეკითხა რედაქტორი.

– მშვენივრადაა გადაღებული.

– ალბათ, ეს თემა თქვენთვის შოკის მომგვრელია, – თქვა შვეიცარიელმა ფოტოგრაფმა. – გატყობთ, ნუდისტურ პლაჟზე არასდროს არ წახვიდოდით.

– არასდროს, – მიუგო ტერეზამ.

რედაქტორს გაეცინა:

– ადვილი გამოსაცნობია, საიდან ხართ, კომუნისტური ქვეყნები ხომ ძალიან პურიტანულია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შვეიცარიელმა ფოტოგრაფმა კი დედობრივი სიყვარულით დაუმატა:

– შიშველი სხეული არაფერია! მეტიც – ნორმალურია! ყველაფერი, რაც ნორმალურია, ლამაზიცაა!

ტერეზას გაახსენდა, როგორ დადიოდა დედამისი სახლში შიშველი. ახლაც ჩაესმა, როგორ იცინოდა დედა, როდესაც ფარდების ჩამოსაფარებლად მიირბინა ფანჯარასთან, რომ არავის დაენახა მისი სიშიშვლე.

25

შვეიცარიელმა ფოტოგრაფმა ტერეზა ყავაზე დაპატიჟა ბარში.

– თქვენი ფოტოები ძალიან საინტერესოა. შევამჩნიე, რომ ქალის სხეულს მშვენივრად გრძნობთ. ხვდებით, ალბათ, რას ვგულისხმობ: ქალების გამომწვევ პოზას!

– რუსული ტანკების წინ რომ კოცნაობენ?

– დიახ. თქვენგან მოდის ცნობილი ფოტოგრაფი დადგებოდა. ამისთვის რომელიმე მოდელთან დაკავშირება იქნება საჭირო. ცხადია, ჯობს ვინმე ისეთი მოძებნოთ, რომელიც, თქვენი არ იყოს, ახლა იკვლევს გზას ცხოვრებაში. შემდეგ რომელიმე სააგენტოსთვის საჩვენებელ ფოტოებს გადაიღებდით. რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დაგჭირდებათ, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევთ, მანამდე კი თქვენთვის მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძლია: რუბრიკა „ჩვენი ბაღის“ რედაქტორთან წარგადგენთ. შეიძლება, იქ კაქტუსის ან ვარდის ფოტოები დასჭირდეთ, ან რამე მსგავსი.

– დიდი მადლობა, – გულწრფელად გამოხატა თავისი მადლიერება ტერეზამ, რადგან ხედავდა, რომ მის პირდაპირ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მჯდომ ქალს მთელი გულით სურდა მისი დახმარება. მერე კი გაიფიქრა, რატომ უნდა გადავუღო კაქტუსებს? და იგრძნო, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მეორედ გაევლო პრაღაში ერთხელ უკვე გავლილი გზა: ბრძოლა ადგილისთვის, კარიერისთვის და ყოველი გამოქვეყნებული ფოტოსთვის. სიამაყით გამოწვეული პატივმოყვარეობა დიდად არ ახასიათებდა ტერეზას. მხოლოდ ის უნდოდა, რომ დედის სამყაროსთვის დაეღწია თავი. მისთვის სავსებით ცხადი იყო: მართალია, ფოტოგრაფირებას დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა, მაგრამ ასეთივე გულმოდგინებით შეეძლო ნებისმიერი სხვა საქმე ეკეთებინა, რადგან ფოტოგრაფია მისთვის მხოლოდ „უფრო შორს და უფრო მაღლა“ აღმოჩენის, ტომაშთან ერთად ცხოვრების საშუალება იყო.

– ხომ იცით, ჩემი ქმარი ექიმია და შეძლებს მარჩინოს, არ მესაჭიროება ფოტოგრაფობა, – უთხრა ტერეზამ.

– არ მესმის, როგორ შეგიძლიათ თავი დაანებოთ ამ საქმეს, როდესაც ასეთი მშვენიერი ფოტოები გამოგდით! – უპასუხა ფოტოგრაფმა.

რა თქმა უნდა, რუსების შემოჭრისას გადაღება სულ სხვა იყო, მაშინ ტომაშის გამო არ აკეთებდა ამას. ფოტოებს დიდი გატაცებით იღებდა, მაგრამ ამ დროს ფოტოგრაფიის სიყვარული კი არ ამოძრავებდა, არამედ სიძულვილი. მსგავსი რამ კი აღარასდროს გამეორდება. გარდა ამისა, ზუსტად ამ უდიდესი გატაცებით გადაღებული ფოტოები აღარავის სჭირდებოდა, მათ აქტუალურობა დაკარგეს. მხოლოდ კაქტუსია მუდამ აქტუალური. მაგრამ კაქტუსის თემა მას არ აკმაყოფილებს. ამიტომ ასე უპასუხა:

– ძალიან გულისხმიერი ხართ. მაგრამ მე სახლში დავრჩები. არ მაქვს მუშაობის აუცილებლობა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფოტოგრაფმა გაიკვირვა: – სახლში ყოფნა დაგაკმაყოფილებდათ?

– კაქტუსების გადაღებაზე მეტად, – შეეპასუხა ტერეზა.

ფოტოგრაფმა დამოძღვრა: – მაშინაც კი, როდესაც კაქტუსებს იღებთ, ეს თქვენი ცხოვრებაა, მაგრამ როდესაც მხოლოდ ქმრისთვის ცხოვრობთ, ეს თქვენი ცხოვრება აღარ არის.

ტერეზა მოულოდნელი გაღიზიანებით გამოეპასუხა: – ჩემი ცხოვრება ჩემი ქმარია და არა კაქტუსები.

ფოტოგრაფის ხმაშიც გაისმა გაღიზიანება: – გინდათ თქვათ, რომ ბედნიერი ხართ?

ტერეზამ უპასუხა (ასეთივე გაღიზიანებით): – რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ!

ფოტოგრაფმა მიუგო: – ამის თქმა მხოლოდ მეტისმეტად... – სათქმელი აღარ დაამთავრა.

ტერეზამ მის მაგივრად დაასრულა წინადადება: – გნებავთ თქვათ: მხოლოდ მეტისმეტად შეზღუდულ ქალს შეუძლია.

ფოტოგრაფმა თავი მოთოკა და თქვა: – არა, შეზღუდულს არა, ანაქრონულს.

ჩაფიქრებულმა ტერეზამ ჩაილაპარაკა: – მართალს ბრძანებთ, ჩემი ქმარიც ზუსტად ამას მეუბნება ხოლმე.

26

ტომაშს საავადმყოფოში გვიანობამდე უწევდა დარჩენა და ტერეზა მთელ დღეებს მარტო ატარებდა. კიდევ კარგი, რომ კარენინი ჰყავდა და შეეძლო მასთან ერთად დიდხანს ესეირნა! სახლში რომ ბრუნდებოდა, ფრანგულს ან გერმანულს სწავლობდა. მაგრამ მოწყენილი იყო და მთელი გულისყურით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ მეცადინეობდა. ხშირად აგონდებოდა ხოლმე მოსკოვიდან დაბრუნებული დუბჩეკის გამოსვლა. გამოსვლის ტექსტი აღარ ახსოვდა, მაგრამ გამუდმებით ჩაესმოდა მისი აცახცახებული ხმა. მასზე ფიქრობდა: ის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური, უცხო ქვეყნის ჯარისკაცებმა დააპატიმრეს საკუთარი ქვეყნის შუაგულში, სადღაც უკრაინის ტყეში წაათრიეს და იქ ოთხი დღე ჰყავდათ. ემუქრებოდნენ, მოგკლავთო, როგორც თორმეტი წლის წინ მისი უნგრელი კოლეგა იმრე ნადი მოკლეს. შემდეგ მოსკოვში წაიყვანეს, უბრძანეს, დაებანა, გაპარსულიყო, გამოწყობილიყო, ჰალსტუხი გაეკეთებინა და შეატყობინეს, რომ მის სიკვდილით დასჯას აღარ აპირებდნენ და ქვეყნის ხელმძღვანელად ტოვებენ, დასვეს ბრეჟნევის წინ და მოლაპარაკება აიძულეს.

შინ დამცირებული დაბრუნდა და დამცირებულ ერს მიმართა. ისეთი დამცირებული იყო, რომ ლაპარაკიც კი არ შეეძლო. ტერეზას არასოდეს დაავიწყდება საშინელი პაუზები მის გამოსვლაში. გამოფიტული იყო? ავად იყო? ნარკოტიკებით გაჭყიპეს? თუ მხოლოდ სასოწარკვეთილებით იყო ასე წამხდარი? სხვა რომ არაფერი არ შემორჩეს დუბჩეკის შემდეგ, ეს გრძელი პაუზები, როდესაც სუნთქვა ეკვროდა და მთელი ერის წინაშე, რომელიც რადიომიმღებებს იყო მიყურადებული, ქოშინებდა, ეს პაუზები აუცილებლად დარჩება. ამ პაუზებში იყო მთელი ის ტრაგედია, რომელიც მათ ქვეყანას დაატყდა თავს.

რუსული ოკუპაციის მეშვიდე დღე იყო. ამ გამოსვლას ტერეზა ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციაში უსმენდა, რომელიც მაშინ ეროვნული წინააღმდეგობის გაზეთად გადაკეთდა. ყველა, ვინც კი დუბჩეკს უსმენდა, იმწამს საშინელ ზიზღს განიცდიდა მის მიმართ. ბრალად უყენებდნენ კომპრომისზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წასვლას, მისი დამცირებული მდგომარეობით თავს დამცირებულად გრძნობდნენ და მისი სისუსტე მათთვის შეურაცხმყოფელი იყო.

ახლა, როდესაც ციურიხში თავიდან იხსენებდა იმ წამებს, დუბჩეკის მიმართ ზიზღს აღარ გრძნობდა. სიტყვა „სისუსტე“ მისთვის განაჩენი აღარ იყო. როდესაც ადამიანს უპირისპირდება ძალა, რომელიც მისას საგრძნობლად აღემატება, ის ყოველთვის სუსტია, მაშინაც კი, თუ დუბჩეკივით ათლეტური აღნაგობისაა. ის სისუსტე, რომელიც მაშინ ზიზღის მომგვრელად და აუტანლად მიაჩნდათ და რომელმაც მათ ქვეყანა დაატოვებინა, დღეს ტერეზას მოულოდნელად იზიდავდა. გააცნობიერა, რომ სუსტია და სუსტების ბანაკს, სუსტების ქვეყანას ეკუთვნის და რომ მათი ერთგული უნდა იყოს სწორედ იმიტომ, რომ სუსტები არიან და წინადადების შუაში ქოშინებენ.

ეს სისუსტეც თავბრუსხვევასავით იზიდავდა, რადგან აცნობიერებდა საკუთარ სისუსტეს. თავიდან ეჭვიანობა დაიწყო და ისევ უკანკალებდა ხელები. ტომაშმა ეს შეამჩნია და ისევ იმ, ტერეზასათვის კარგად ნაცნობ, ხერხს მიმართა, მისი ხელები აიღო, მოუჭირა და ამით მის დაწყნარებას შეეცადა. ტერეზამ წაართვა ხელები.

– რა გჭირს? – ჰკითხა ტომაშმა.

– არაფერი.

– მითხარი, რა გინდა, რა შემიძლია შენთვის გავაკეთო?

– მინდა, რომ მოხუცი იყო. ათი წლით უფროსი, ოცი წლით უფროსი!

ამით ტერეზას თითქოს უნდოდა ეთქვა: მინდა სუსტი იყო, ისეთივე სუსტი, როგორიც მე ვარ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარენინს შვეიცარიაში გადასახლება არ უნდოდა. ის ცვლილებებს ვერ იტანდა. ძაღლისთვის დრო სწორხაზოვნად არ მიედინება, გამუდმებით წინ, ერთი მოვლენიდან მეორისკენ არ მოძრაობს. დრო წრიულად ტრიალებს, საათის ისრების არ იყოს, რომლებიც გადარეულებივით სადღაც კი არ გარბიან, დღიდან დღემდე ციფერბლატზე ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებენ. პრაღაში საკმარისი იყო, ახალი სკამი ეყიდათ ან საყვავილე გადაეადგილებინათ, რომ კარენინს მაშინვე უკმაყოფილება ეტყობოდა, რადგან ეს ცვლილებები მას დროის შეგრძნებას აკარგვინებდა. ეს იგივე იყო, ტომაშსა და ტერეზას ციფერბლატზე გამუდმებით ადგილი რომ ეცვალათ ციფრებისთვის.

მიუხედავად ამისა, ციურიხის ბინაში სწრაფად აღიდგინა თავისი ძველი წეს-ჩვეულებები. აქაც, როგორც პრაღაში, მისასალმებლად დილაობით ტერეზასა და ტომაშის ლოგინზე ხტებოდა. შემდეგ ტერეზას დილის საყიდლებზე მიჰყვებოდა და თხოულობდა, რომ გარეთ რეგულარულად გაეყვანათ ხოლმე.

კარენინი მათი ცხოვრების კურანტი იყო. როდესაც ტერეზას უიმედობა შეიპყრობდა, საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ კარენინის გამო უნდა გაძლოს, რადგან კარენინი მასზე უფრო სუსტია, მეტიც, შესაძლოა, დუბჩეკსა და მათ მიტოვებულ სამშობლოზე უფრო სუსტიც კია.

სეირნობიდან ახალი დაბრუნებული იყო, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ტერეზამ ყურმილი აიღო. ქალის ხმა მოესმა, რომელიც გერმანულად დაელაპარაკა და ტომაში იკითხა. ხმაში მოუთმენლობა ჟღერდა და ტერეზას მოეჩვენა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოსაუბრე მას აგდებით ელაპარაკებოდა. როდესაც უთხრა, ტომაში სახლში არ არის და არ ვიცი, როდის დაბრუნდებაო, ქალმა გაიცინა და დაუმშვიდობებლად დაკიდა ყურმილი.

ტერეზას ესმოდა, რომ არაფერი არ მომხდარა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მედდა საავადმყოფოდან, პაციენტი, მდივანი და სხვა ათასი ადამიანი. მიუხედავად ამისა, ისე გაუფუჭდა ხასიათი, რომ ამ ზარის გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა. უცებ მიხვდა: ის უკანასკნელი ძალებიც კი დაკარგა, ჩეხეთში რომ ჰქონდა და რომ ამ ყოვლად უმნიშვნელო ზარის ატანაც კი აღარ შეუძლია.

ის, ვინც უცხოეთშია, ძალიან მაღლა, სიცარიელეში მიაბიჯებს, იმ დამცავი ბადის გარეშე, რომელსაც სთავაზობს საკუთარი ქვეყანა, სადაც ჰყავს ოჯახი, თანამშრომლები, მეგობრები და მეტყველებს ენაზე, რომელიც ბავშვობიდან იცის. პრაღაში ტომაშზე მხოლოდ გულით იყო დამოკიდებული, აქ ყოველმხრივ მასზეა დამოკიდებული. ერთხელაც რომ მიატოვოს, რა დაემართება? მთელი ცხოვრება ტომაშის დაკარგვის შიშში უნდა გაატაროს?

ტერეზა საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ მათი შეხვედრა თავიდანვე შეცდომა იყო. იღლიაში ამოჩრილი „ანა კარენინა“ ყალბი საბუთი იყო, რომელმაც ტომაში შეცდომაში შეიყვანა. მიუხედავად სიყვარულისა, ერთმანეთს ჯოჯოხეთი შეუქმნეს მიწაზე. მათი სიყვარული იმის მტკიცებულებაა, რომ მათში, მათ ქცევაში ან გრძნობების ცვალებადობაში კი არ არის პრობლემა, არამედ იმაში, რომ ერთმანეთისთვის არ არიან შექმნილები, რადგან ტომაში ძლიერია, თვითონ კი სუსტი. სუსტია დუბჩეკივით, რომელიც ყოველი ფრაზის შუაში ნახევარწუთიან პაუზას აკეთებს, სუსტია საკუთარ სამშობლოსავით, რომელსაც ენა ებმის, ქოშინებს და ვერ ლაპარაკობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ სწორედ იმ სუსტმა უნდა იპოვოს ძალა და წავიდეს, რაკი ეს ძლიერი იმდენად სუსტია, რომ არ შეუძლია თავისი ნებით ავნოს სუსტს.

ასე არწმუნებდა ტერეზა საკუთარ თავს და კარენინს ეხუტებოდა:

– არ გაბრაზდე, საყვარელო, კიდევ ერთხელ მოგიწევს ბინის გამოცვლა.

28

ტერეზა კუპეს კუთხეში იჯდა, თაროზე მძიმე ჩემოდანი იდო, კარენინი ფეხებზე ეტმასნებოდა. იმ რესტორნის მზარეულზე ფიქრობდა, სადაც დედასთან ერთად ცხოვრების დროს მუშაობდა. როგორც კი შემთხვევას მოიხელთებდა, მზარეული უკანალზე უთათუნებდა ხელებს ტერეზას და ხშირად ყველას თანდასწრებით მასთან დაწოლას სთავაზობდა. გასაკვირი იყო, რომ ახლა მაინცდამაინც მასზე ფიქრობდა. ის ყოველივე იმის განსახიერება იყო, რაც ასე ძალიან ეზიზღებოდა ტერეზას. მაგრამ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ მოძებნიდა იმ მზარეულს და ეტყოდა: „ხომ ამბობდი, შენთან დაწოლა მინდაო, ჰოდა მეც აქ ვარ“. ერთი სული ჰქონდა, რამე ისეთი გაეკეთებინა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა მოეჭრა. ერთი სული ჰქონდა, დაუნდობლად გაენადგურებინა თავისი ცხოვრების ბოლო შვიდი წელი. ეს ნამდვილი თავბრუსხვევა იყო. გამაბრუებელი და დაუძლეველი ლტოლვა ვარდნისკენ.

თავბრუსხვევას შეიძლება სისუსტით თრობაც დავარქვათ. ადამიანი აცნობიერებს თავის სისუსტეს და იმის მაგივრად, რომ შეეწინააღმდეგოს, ემორჩილება მას. საკუთარი სისუს-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტის შეგრძნება ათრობს. სურს, რომ ყველას წინაშე გაიშოტოს მოედნის შუაგულში, სურს, იყოს ფსკერზე და კიდევ უფრო ქვემოთ.

ტერეზა თავს ირწმუნებდა, პრაღაში საცხოვრებლად არ დავრჩები და აღარასოდეს დავუბრუნდები ფოტოგრაფიას, იმ პატარა ქალაქში გავემგზავრები, საიდანაც თავის დროზე ტომაშმა გამომიტყუაო.

როდესაც პრაღაში ჩავიდა, სხვადასხვა საქმის მოსაწესრიგებლად რაღაც ხნით იქ დარჩენა მოუხდა. გადაწყვიტა, ცოტა ხნით გადაედო პრაღიდან გამგზავრება.

ასე გავიდა ხუთი დღე და მოულოდნელად ტომაში გამოეცხადა. გახარებული კარენინი ტომაშს ახტებოდა, რომ აელოკა და ამით დროებით ერთმანეთისთვის რამის თქმისგან იხსნა ისინი.

ეჩვენებოდათ, რომ თოვლიან ველზე ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ და სიცივისგან კანკალებდნენ. შემდეგ ერთმანეთს მიუახლოვდნენ, როგორც შეყვარებულები, რომლებსაც ჯერ არ უკოცნიათ ერთმანეთისათვის და ტომაშმა ჰკითხა:

– აქ ყველაფერი რიგზე იყო?

– კი.

– გამომცემლობაში იყავი?

– დავრეკე.

– მერე?

– არაფერი, ველოდებოდი.

– რას?

ტერეზას არ უპასუხია. არ შეეძლო იმის თქმა, რომ ტომაშს ელოდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვუბრუნდებით უკვე ნაცნობ ეპიზოდს. ტომაში სასოწარკვეთილი იყო და კუჭი სტკიოდა. მხოლოდ გვიან ღამით ჩაეძინა.

მალე ტერეზამ გაიღვიძა (რუსული თვითმფრინავები პრაღის თავზე დაფრინავდნენ და ამ ხმაურში ძილი შეუძლებელი იყო). პირველად ის გაიფიქრა, რომ ტომაში მის გამო დაბრუნდა, მის გამო შეცვალა საკუთარი ბედი. ამიერიდან ტომაში აღარ არის მასზე პასუხისმგებელი, ახლა უკვე თვითონ აგებს ტომაშზე პასუხს.

მოეჩვენა, რომ ეს პასუხისმგებლობა მისთვის ტვირთი იყო.

მერე უცებ გაახსენდა, რომ გუშინ ტომაშის გამოჩენისთანავე ეკლესიის საათმა ექვსი ჩამოკრა. პირველად რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინაც ტერეზამ სამუშაო ექვს საათზე დაასრულა; სასტუმროდან გამოსულმა მოპირდაპირე მხარეს ყვითელ სკამზე მჯდომი ტომაში დაინახა და ზარების რეკვაც მოესმა.

არა, ეს ცრუმორწმუნეობა არ გახლდათ, ეს სილამაზის აღქმის უნარი იყო, რომელმაც შიში გაუქრო და სიცოცხლის ჟინით აავსო. შემთხვევითობის ფრინველები ისევ ასხდებოდნენ მხრებზე. თვალებზე ცრემლი მოადგა და უზომოდ ბედნიერად იგრძნო თავი, რომ გვერდით მძინარე ტომაშის სუნთქვა ესმოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მესამე ნაწილი

ვერგაგებული სიტყვები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

ჟენევა შადრევნების, წყალსატევებისა და პარკების ქალაქია. პარკების, სადაც ოდესღაც პავილიონებში ორკესტრი უკრავდა. აქვეა ხეებში ჩაფლული უნივერსიტეტის შენობა. ფრანცმა დაასრულა დილის ლექციები და უნივერსიტეტიდან გავიდა. შლანგებიდან ნისლად ქცეული წყალი ეფრქვეოდა გაზონებს, ფრანცი მშვენიერ ხასიათზე იყო. უნივერსიტეტიდან პირდაპირ თავის საყვარელთან მიდიოდა, რომელიც რამდენიმე ქუჩის იქით ცხოვრობდა.

ფრანცი ხშირად დადიოდა მასთან, მაგრამ მხოლოდ როგორც ყურადღებიანი მეგობარი. სექსუალური ურთიერთობა ჟენევის სახელოსნოში არასდროს ჰქონიათ, თორემ დღის განმავლობაში ერთი ქალისგან მეორესთან სიარული მოუწევდა: ცოლისგან საყვარელთან და პირიქით. და რადგან ფრანგული ტრადიციისამებრ ჟენევაში ცოლ-ქმარს ერთად სძინავს, ერთი დღის განმავლობაში ერთი ქალის საწოლიდან მეორის საწოლში გადანაცვლება მოუხდებოდა. ფრანცი თვლიდა, რომ ამით ცოლსა და საყვარელს, შედეგად კი საკუთარ თავსაც დაამცირებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრძნობა იმ ქალის მიმართ, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ შეუყვარდა, ისე გამორჩეული იყო, რომ გადაწყვიტა, მისთვის განსაკუთრებული სივრცე შეექმნა თავის ცხოვრებაში, ერთგვარი სისუფთავის ნაკრძალი. ფრანცს ხშირად ეპატიჟებოდნენ სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად და ამ ბოლო დროს ყველა მიპატიჟებას სიამოვნებით თანხმდებოდა. მაგრამ რადგან ეს საკმარისი არ იყო, არარსებულ კონგრესებსა და სიპოზიუმებს იგონებდა, რომ ცოლის თვალში თავისი ხშირი გამგზავრება გაემართლებინა. საყვარელი, რომელიც საკუთარი დროის ბატონ-პატრონი იყო, ყოველთვის თან ახლდა. ასე რომ, სულ მოკლე ხანში, ქალმა ამერიკის ერთი და ევროპის მრავალი ქალაქი მოინახულა.

– ათ დღეში, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ხარ, შეგვიძლია პალერმოში გავემგზავროთ, – უთხრა ფრანცმა.

– ჟენევაში მირჩევნია, – უპასუხა საყვარელმა და მოლბერტზე შემოდებული ნახატის თვალიერება გააგრძელა.

– როგორ წარმოგიდგენია პალერმოს უნახავად ცხოვრება? – სცადა ფრანცმა ხუმრობა.

– პალერმო ნანახი მაქვს, – მიიღო პასუხად.

– ეს როგორ? – დაეჭვებით იკითხა ფრანცმა.

– როგორ და ნაცნობმა ღია ბარათი გამომიგზავნა იქიდან. ტუალეტში მივაკარი სკოჩით, ვერ შენიშნე? – მიუგო საყვარელმა და განაგრძო: – საუკუნის დასაწყისში ერთი პოეტი ცხოვრობდა. ძალიან მოხუცი იყო და ამიტომ მდივანი ასეირნებდა ხოლმე. „ბატონო, – შეჰყვირა ერთხელაც მდივანმა, – აიხედეთ, დღეს ჩვენი ქალაქის თავზე პირველად მიფრინავს თვითმფრინავი!“ „წარმომიდგენია“, – უთხრა პოეტმა თავის მდივანს ისე, რომ თავი არც კი აუწევია. მიხვდი? მეც შემიძლია წარმოვიდგინო პალერმო. იქაც ისეთივე მანქანები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სასტუმროებია, როგორიც სხვა ათას ქალაქში. ჩემს სახელოსნოში კი ახალი ნახატები მაინც არის.

ფრანცს ხასიათი წაუხდა. მიჩვეული იყო რომანტიკული თავგადასავლისა და მოგზაურობის ამგვარ შერწყმას და შეთავაზებაში „წამო, პალერმოში წავიდეთ!“ მხოლოდ ეროტიკულ შინაარსს დებდა. ამიტომ პასუხი „ჟენევაში მირჩევნია“ მისთვის ერთადერთ რამეს ნიშნავდა: საყვარელს მისდამი ლტოლვა გაუქრა.

რატომ არის ამ ქალთან ასეთი გაუბედავი? საამისოდ ხომ არანაირი მიზეზი არ გააჩნია! გაცნობიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ პირველი სექსუალური ინტერესი ხომ ამ ქალმა გამოიჩინა და არა თვითონ. მომხიბვლელი მამაკაცი იყო, სამეცნიერო კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა, კოლეგებსაც კი ეშინოდათ მისი, ისე უკომპრომისო და ულმობელი იყო სამეცნიერო კამათისას. მაშ რატომ არ ასვენებს შიში იმისა, რომ ერთხელაც საყვარელი მიატოვებს?

ამის ერთადერთი ახსნა მაქვს: სიყვარული მისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელება კი არა, მისი საპირისპირო რამ იყო. სიყვარული ფრანცისთვის ნიშნავდა, ბრმად მინდობოდა საყვარელ ქალს. ხოლო იმან, ვინც ჯარისკაცივით ტყვედ ბარდება, იარაღი უნდა დაყაროს. და რადგან მოწინააღმდეგის დარტყმისგან თავდაცვის არანაირი საშუალება აღარ აქვს, ისღა დარჩენია, იკითხოს, როდის უნდა მოელოდეს დარტყმას. ამიტომ შემიძლია ვთქვა: ფრანცისთვის სიყვარული დარტყმის გამუდმებული მოლოდინი იყო.

სანამ ფრანცი თავისი შიშის ტყვეობაში იმყოფებოდა, მისმა საყვარელმა ფუნჯი დადო და ოთახიდან გავიდა. დაბრუნებულს, ღვინის ბოთლი ეჭირა ხელში. უსიტყვოდ გახსნა და ორი ჭიქა შეავსო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცს გულზე მოეშვა, თურმე სიტყვები „ჟენევაში მირჩევნია“ ვნების განელებას არ ნიშნავდა, პირიქით, მას თურმე აღარ სურდა ერთად ყოფნის შემოფარგვლა მხოლოდ უცხო ქალაქებით.

ქალმა ჭიქა ასწია და ბოლომდე დაცალა, საპასუხოდ ფრანცმაც ასწია თავისი ჭიქა და დალია. ფრანცი ძალიან გახარებული იყო, რომ პალერმოში მოგზაურობაზე უარი მხოლოდ მეტი ვნებისკენ მოწოდება აღმოჩნდა, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც სწყდებოდა გული: მისმა საყვარელმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა სისუფთავის ნაკრძალის „სამონასტრო წესდებაზე“, რომელიც ფრანცმა მათ ურთიერთობას დაუდო საფუძვლად. საყვარელმა ვერ გაიგო ფრანცის სწრაფვა, მათი სიყვარული ბანალურობისაგან დაეცვა და ამით ის სრულიად მოეწყვიტა თავისი ცოლქმრული ბუდისთვის.

ჟენევაში საყვარელ ქალთან სექსუალურ ურთიერთობებზე უარის თქმა ერთგვარი სასჯელი იყო, რომელიც საკუთარ თავს სხვა ქალთან ქორწინების საზღაურად დაადო. ამას ნაკლად ან დანაშაულად აღიქვამდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლთან მისი სექსუალური ცხოვრება სახსენებლადაც არ ღირდა, მაგრამ მაინც ერთ საწოლში ეძინათ, ერთიმეორეს აღვიძებდნენ საკუთარი ხმამაღალი სუნთქვით და ერთმანეთის სხეულის სუნის შესუნთქვა უწევდათ. დიდი სიამოვნებით დაიძინებდა ცალკე, მაგრამ საერთო ლოგინი ცოლქმრობის სიმბოლოა და სიმბოლოები, როგორც ვიცით, ხელშეუხებელია.

ცოლის გვერდით დაწოლისას ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, რომ ახლა საყვარელი ცოლის გვერდით მწოლიარეს წარმოიდგენდა და ამის რცხვენოდა. ამიტომ ცდილობდა, საწოლი, რომელშიც ცოლთან ერთად ეძინა, რაც შეიძლება მე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტად დაეშორებინა საწოლისაგან, რომელშიც საყვარელ ქალთან ეძლეოდა ვნებას.

მხატვარმა კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია და სიჩუმეში ისეთი მოძრაობით, თითქოს მარტო იყო, პერანგი გაიხადა. იმ დამწყები მსახიობივით იქცეოდა, რომელიც სავარჯიშოს ასრულებს, რათა აჩვენოს, როგორ იქცევა ადამიანი, როდესაც მარტოა და ვერავინ ხედავს.

ლიფი და ქვედატანიღა ეცვა. შემდეგ (თითქოს ახლაღა შენიშნა, რომ ოთახში მარტო არ იყო) ფრანცს მიაპყრო ხანგრძლივი მზერა. ფრანცი დაიბნა, არ ესმოდა ამ მზერის არსი. საერთოდ, საყვარლებს შორის სწრაფად ყალიბდება ხოლმე თამაშის გარკვეული წესები, რომელთაც თვითონაც ვერ აცნობიერებენ. მიუხედავად ამისა, მათი დარღვევა აკრძალულია. ფრანცისთვის მიპყრობილი მზერა ამჯერად სცდებოდა არსებული წესების ფარგლებს; არაფერი არ გააჩნდა საერთო იმ ჟესტებთან და გამომეტყველებასთან, რომელიც, როგორც წესი, წინ უძღვოდა მათ ფიზიკურ სიახლოვეს. ამ მზერაში არც გამოწვევა იგრძნობოდა და არც კეკლუცობა. საყვარელი უფრო შეკითხვას უსვამდა, თუმცა ფრანცს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რას ეკითხებოდნენ.

შემდეგ ქალმა ქვედატანიც გაიხადა, ფრანცს ხელი მოჰკიდა და სარკისკენ მიატრიალა, რომელიც მათგან რამდენიმე ნაბიჯში კედელზე იყო მიყუდებული. ხელს არ უშვებდა და ისევ იმ ხანგრძლივი და შეკითხვის გამომხატველი მზერით ხან საკუთარ თავს უყურებდა სარკეში, ხან ფრანცს.

სარკესთან ახლოს, იატაკზე, სადგამი იდგა, რომელზეც შავი ქუდი იყო ჩამოცმული. ქალი დაიხარა, აიღო და დაიხურა. სარკის ანარეკლმა მყისვე იერი იცვალა: ახლა იქ მოჩანდა საცვლების ამარა მდგომი ლამაზი, მიუკარებელი და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გულგრილი ქალი, რომელსაც ყოვლად შეუფერებელი ქუდი ეხურა თავზე. იდგა და ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი მამაკაცის ხელი ეჭირა.

ფრანცს გაეცინა იმაზე, რა ცუდად ესმის საკუთარი საყვარლის. თურმე მისი გახდა სექსის პრელუდია კი არა, ერთგვარი ანცობა იყო, ჰეფენინგი[5] მხოლოდ მათთვის. თანხმობისა და გაგების ნიშნად გაუღიმა ქალს. ეგონა, მხატვარი ღიმილითვე უპასუხებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ქალი ხელს არ უშვებდა და ხან საკუთარ თავს უყურებდა სარკეში, ხან ფრანცს.

წარმოდგენა უზომოდ გაიწელა. ფრანცს ეჩვენებოდა, რომ ამ ანცობის (მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო, ის მომხიბვლელ ხუმრობად ჩაეთვალა) ხანგრძლივობამ ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბა. ამიტომ ქუდს ფაქიზად მოჰკიდა ორი თითი, ღიმილით მოხადა მხატვარს და სადგამზე დააბრუნა. თითქოს ნაზად წაშალა ბავშვის მიერ ღვთისმშობლის გამოსახულებაზე მიხატული ულვაშები.

ქალი კიდევ რამდენიმე წამს იდგა გაუნძრევლად და საკუთარ თავს აკვირდებოდა სარკეში, შემდეგ ფრანცმა ნაზად კოცნა დაუწყო და ისევ სთხოვა, ათი დღით პალერმოში გაჰყოლოდა. ამჯერად მხატვარი ადვილად დაეთანხმა და ფრანციც შინისკენ გაეშურა.

ისევ მშვენიერ განწყობაზე იყო. ჟენევა, რომელსაც მთელი ცხოვრება მოწყენილობის დედაქალაქად თვლიდა და სწყევლიდა, ლამაზად და თავგადასავლებით აღსავსედ ეჩვენებოდა. ქუჩაში გასული ფრანცი მიტრიალდა და სახელოსნოს განიერ ფანჯარას ახედა. გვიანი გაზაფხული იყო, ცხელოდა

---

[5] ჰეფენინგი (happening) – თეატრალური წარმოდგენის სახე, რომელშიც მოვლენა და მოქმედება თვითმიზანია და არა სიუჟეტის ნაწილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ყველა ფანჯრის ზემოთ ზოლიანი ტენტი იყო გადაჭიმული. ფრანცი მიუახლოვდა პარკს, რომლის შორეულ ბოლოში მართლმადიდებლური ეკლესიის ოქროს გუმბათები მოჩანდა. ისინი ჩამოსავარდნად გამზადებულ ზარბაზნის მოოქროვილ ყუმბარებს ჰგავდა, რომლებსაც თითქოს უხილავმა ძალამ მიუსწრო და ჰაერში გაყინა. ლამაზი სანახაობა იყო. ფრანცი სანაპიროზე ჩავიდა და გემში ჩაჯდა, რომ ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე გადასულიყო, სადაც ის ცხოვრობდა.

2

საბინა მარტო დარჩა და სარკეს მიუბრუნდა. ჯერ კიდევ საცვლების ამარა იყო. ქუდი დაიხურა და საკუთარ თავს კიდევ დიდხანს ათვალიერებდა სარკეში. უკვირდა, რომ ამდენი ხანი ერთადერთი დაკარგული წამის დევნაში გაატარა.

ერთხელ, მრავალი წლის წინ, ტომაში ესტუმრა და ამ ქუდმა ძალიან დააინტერესა. დაიხურა და დიდხანს იყურებოდა სარკეში, რომელიც პრაღის სახელოსნოშიც კედელზე იყო მიყუდებული. აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა წინა საუკუნის პატარა ქალაქის გამგებლის როლში. შემდეგ კი, როდესაც საბინამ ნელ-ნელა გახდა დაიწყო, ქუდი მას დაახურა. სარკის წინ იდგნენ (ასე იდგნენ ყოველთვის, როდესაც საბინა იხდიდა) და საკუთარ თავს ათვალიერებდნენ. საცვლების ამარა საბინას თავზე ქუდი ეხურა. იგი უცებ მიხვდა, რომ ამ სანახაობამ ორივე გვარიანად შეაშფოთა.

საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ეს? თავზე დახურული ქუდი წუთის წინ სასაცილოდ ეჩვენებოდა. ნუთუ სასაცილოდან შემაშფოთებლამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალბათ, ასეა. მაშინ რომ იყურებოდა სარკეში, პირველ წამებში, ეს ყველაფერი თავშესაქცევი ეჩვენებოდა. მაგრამ მერე კომიზმი შეშფოთებამ შეცვალა: ქუდი უკვე ხუმრობას კი არა, ძალადობას განასახიერებდა, ძალადობას საბინაზე, მის ქალურ ღირსებაზე. ხედავდა საკუთარ შიშველ ფეხებს, თხელი და გამჭვირვალე საცვალი ეცვა, რომლიდანაც ბოქვენი მოუჩანდა. საცვალი მის ქალურ მომხიბვლელობას გამოკვეთდა, მამაკაცის ქუდი კი ამ ქალურობას აკნინებდა, აუპატიურებდა და კომიკურს ხდიდა. ტომაში მის გვერდით ჩაცმული იდგა, რაც იმას ცხადყოფდა, რომ სიტუაცია კომიკური კი არა (ასეთ შემთხვევაში ტომაშიც ნახევრად შიშველი უნდა ყოფილიყო და თავზე ქუდი ხურებოდა), დამამცირებელი იყო. საბინა ამ დამამცირებელ მდგომარეობას არ შეწინააღმდეგებია, ამაყად და გამომწვევად მიიღო იგი, თითქოს ტომაშს ნებას რთავდა, ყველას თვალწინ გაეუპატიურებინა. უცებ საბინას მოთმინება გამოელია და ის და ტომაში იატაკზე აღმოჩნდნენ. ქუდი მაგიდის ქვეშ შეგორდა, ისინი კი სარკის გვერდით ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

ისევ ქუდს დავუბრუნდეთ.

ჯერ ერთი, ის წინა საუკუნის ერთი პატარა ჩეხური ქალაქის გამგებლისა და დავიწყებული ბაბუის მკრთალი მოგონება იყო.

მეორე, ის იყო მამის მოგონება. მამის დასაფლავების შემდეგ ძმამ მშობლების მთელი ქონება მიითვისა. საბინამ პროტესტის ნიშნად ამაყად თქვა უარი ქონების გამო ძმასთან დავაზე და სარკასტულად განაცხადა, რომ მხოლოდ ეს ქუდი მიაქვს, როგორც მამის ერთადერთი დანატოვარი.

მესამე, ის ტომაშთან სასიყვარულო თამაშების რეკვიზიტი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეოთხე, ის იყო მისი ორიგინალურობის სიმბოლო, რომლის დამკვიდრებას მიზანმიმართულად ესწრაფოდა. ემიგრაციაში ბევრი ბარგის წაღება არ შეეძლო, ამიტომ ამ დიდი და არაპრაქტიკული ნივთის არჩევა სხვა, ბევრად უფრო პრაქტიკულ ნივთებზე უარის თქმას ნიშნავდა.

მეხუთე: ემიგრაციაში ეს ქუდი გულისამაჩუყებელ ნივთად გადაიქცა. ტომაშს ციურიხში რომ ჩააკითხა, იქაც თან ჰქონდა და სასტუმროს ნომრის კარი რომ გაუღო, თავზე ეხურა. მაგრამ უეცრად იგრძნო: ეს ქუდი აღარც სასაცილო იყო და აღარც შემაშფოთებელი, უბრალოდ წარსულის მოგონებად ქცეულიყო. ორივეს გული აუჩუყდა. ასეთი ვნებიანი შეხვედრა არასდროს ჰქონიათ: ეროტიკული თამაშებისთვის აღარ ეცალათ, ამჯერად ეს გარდასული შეხვედრების გაგრძელება კი არ იყო, როცა ყოველ ჯერზე ახალ-ახალ პატარ-პატარა ანცობებს იგონებდნენ, არამედ დროის ხანმოკლე გამეორება, სიმღერა თავიანთ საერთო წარსულზე, სენტიმენტალური შეჯამება თავიანთი არასენტიმენტალური ისტორიისა, რომელიც დროის სიღრმეში იკარგებოდა.

ქუდი იმ მუსიკალური ნაწარმოების თემად გადაიქცა, რომელსაც საბინას ცხოვრება ერქვა. ეს თემა ხშირად ბრუნდებოდა და ყოველთვის ახალ მნიშვნელობას იძენდა; და ყველა ეს „მნიშვნელობა“ ამ ქუდში ისე მიედინებოდა, როგორც მდინარე კალაპოტში. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჰერაკლიტეს მდინარის კალაპოტი იყო: „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ!“ ეს ქუდი კალაპოტი იყო, რომელშიც საბინა ყოველ ჯერზე ახალ მდინარეს ხედავდა, *სემანტიკურად განსხვავებულ მდინარეს:* ერთი და იგივე ნივთი ყოველ ჯერზე ახალ მნიშვნელობას იძენდა, თუმცა მასთან ერთად ყველა წარსული მნიშვნელობაც (როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ექო, ექოთა მთელი ჯაჭვი) ხმიანობდა. ყოველი ახალ მოვლენა წინაზე უფრო მდიდარ ჟღერადობას იძენდა. ციურიხის სასტუმროში ქუდის დანახვით გულაჩუყებული ტომაში და საბინა ცრემლმორეული ერწყმოდნენ ერთმანეთს, რადგან ეს შავი ნივთი არა მარტო მათი წარსული სასიყვარულო თამაშების მოგონება იყო, არამედ საბინას მამისაც და იმ ბაბუისაც, რომელიც უთვითმფრინავებო და უმანქანებო წინა საუკუნეში ცხოვრობდა.

ახლა უკეთ შეგვიძლია დავინახოთ უფსკრული, რომელიც ფრანცსა და საბინას ყოფდა: ფრანცი დიდი მონდომებით უსმენდა საბინას თხრობას საკუთარი ცხოვრების შესახებ და საბინაც ასეთივე მონდომებით უსმენდა ფრანცს. ერთმანეთის სიტყვების აზრს ზუსტად იგებდნენ, მაგრამ არ ესმოდათ იმ სემანტიკური მდინარის ხმაური, რომელიც ამ სიტყვებს შორის მიედინებოდა.

ამიტომ, როდესაც საბინამ ქუდი დაიხურა, ფრანცი ისე დაიბნა, თითქოს უცხო ენაზე დაელაპარაკნენო. ამაში არც უხამსობა დაუნახავს და არც სენტიმენტალურობა, მისთვის ეს მხოლოდ გაუგებარი ჟესტი იყო, რომელმაც მნიშვნელობის უქონლობის გამო დააბნია.

სანამ ადამიანები ახალგაზრდები არიან და მათი ცხოვრების მუსიკალური ნაწარმოები თავის პირველ ტაქტებს ითვლის, შეუძლიათ, ეს მუსიკა ერთად წერონ და მოტივები გაუცვალონ ერთმანეთს (როგორც ტომაშმა და საბინამ გაუცვალეს ერთმანეთს ქუდის მოტივი), მაგრამ მოწიფულ ასაკში შეხვედრისას, როდესაც ამ ნაწარმოებებს ძირითადად დასრულებული სახე აქვს, ერთსა და იმავე სიტყვებსა თუ საგნებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მათ მუსიკაში.

საბინასა და ფრანცის საუბრები რომ მომესმინა, ყოვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლივე იმისგან, რაშიც მათ ერთმანეთს ვერ გაუგეს, დიდ ლექსიკონს შევადგენდი. თუმცა, ჯობია, მოკლე ლექსიკონით დავკმაყოფილდეთ.

3

ვერგაგებული სიტყვების მოკლე ლექსიკონი

(პირველი ნაწილი)

ქალი

ქალად გაჩენა საბინასთვის ხვედრია, რომელიც მას არ აურჩევია. ამიტომაც ის, რაც არ აგვირჩევია, არ შეგვიძლია საკუთარ თავს დამსახურებად ან უიღბლობად ჩავუთვალოთ. საბინას აზრით, საკუთარი ხვედრი ადამიანმა მშვიდად უნდა მიიღოს. იმის წინააღმდეგ აჯანყება, რომ ქალად დაიბადე, ისეთივე უაზრობაა, როგორიც ამით ამაყობა.

ერთხელ, ერთ-ერთი პირველი შეხვედრისას, ფრანცმა განსაკუთრებული პათოსით წარმოთქვა: „საბინა, თქვენ ქალი ხართ“. საბინას არ ესმოდა, რატომ შეატყობინა ფრანცმა ეს იმ საზეიმო გამომეტყველებით, კოლუმბს რომ ჰქონდა ამერიკის აღმოჩენისას. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ სიტყვა „ქალი“, რომელსაც ფრანცმა ხაზი გაუსვა, მისთვის ნიშნავდა არა ერთ-ერთს ორი არსებული სქესიდან, არამედ *ღირსებას*. ყველა ქალი არ იმსახურებს იმას, რომ „ქალად“ იწოდებოდეს.

მაგრამ თუ ფრანცისთვის „ქალი“ საბინაა, მაშ მისი მეუღლე მარი-კლოდი ვინღაა? ოცი წლის წინ, გაცნობიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, მარი-კლოდი თვითმკვლელობით იმუქრებოდა, თუ ფრანცი მიატოვებდა. ფრანცი ამ მუქარამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხიბლა. მართალია, მარი-კლოდი დიდად არ მოსწონდა, მაგრამ მისი სიყვარული ზღაპრული ეჩვენებოდა, თვლიდა, რომ ასეთი დიდი სიყვარულის ღირსი არ იყო და რომ მის წინაშე მუხლი უნდა მოედრიკა.

მოკლედ, ღრმად მოიდრიკა მუხლი და ცოლადაც მოიყვანა მარი-კლოდი. მართალია, იმ წამის შემდეგ, თვითმკვლელობით რომ ემუქრებოდა, მარი-კლოდს თავისი სიყვარული ასეთი სიძლიერით აღარასოდეს გამოუვლენია, მაგრამ ფრანცის ცნობიერებაში დარჩა იმპერატივი: არასდროს არ უნდა აწყენინოს და პატივი უნდა სცეს მასში „ქალს“.

საინტერესო ფრაზაა. ის კი არ თქვა, პატივი უნდა ვცე მარი-კლოდსო, არამედ – პატივი უნდა ვცე „ქალს“ მარი-კლოდშიო.

მაგრამ თუ მარი-კლოდი თვითონ არის ქალი, ის ვინღაა, ვინც მასში იმალება და ვისაც ფრანცმა პატივი უნდა სცეს? ეს ქალის პლატონისეული იდეა ხომ არ არის?

არა, ეს ფრანცის დედიკოა. აზრადაც არ მოუვიდოდა, ეთქვა, რომ დედამისში ქალს სცემს პატივს. აღმერთებდა დედას და არა მასში არსებულ ვილაც ქალს. ქალის პლატონისეული იდეა და დედიკო მისთვის ერთი და იგივე იყო.

თორმეტი წლის იყო, როდესაც მოულოდნელად მამამ ოჯახი მიატოვა. ბიჭი გრძნობდა, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მოხდა. დედას არ უნდოდა, შვილს ზედმეტი განცდები ჰქონოდა და ეს დრამა ნეიტრალური და ფრთხილი სიტყვების საბურველში გახვია. იმ დღეს ქალაქში გასეირნება გადაწყვიტეს და სახლიდან გასვლისას ფრანცმა შენიშნა, რომ დედას სხვადასხვა ფეხსაცმელი ეცვა. არ იცოდა, რა ექნა, უნდოდა დედისთვის ეთქვა, სხვადასხვა ფეხსაცმელი გაცვიაო, მაგრამ მის გულის ტკენას მოერიდა. მთელი ორი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საათი სეირნობდნენ ქალაქში და ფრანცი თვალს ვერ აშორებდა დედის ფეხსაცმელებს. მაშინ პირველად მიხვდა, რა არის ტანჯვა.

ერთგულება და ღალატი

ბავშვობიდან იმ წუთამდე, როდესაც სასაფლაოზე მიაცილა, ფრანცს განსაკუთრებულად უყვარდა დედა და მოგონებებშიც განაგრძობდა მის სიყვარულს. ამიტომაც გაუჩნდა განცდა, რომ ერთგულება უპირველესია სათნოებათა შორის ერთგულება ერთიანს ხდის ჩვენს ცხოვრებას. ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ნამსხვრევებად იქცეოდა, უთვალავ წამიერ შთაბეჭდილებად დაიშლებოდა.

ფრანცი ხშირად უყვებოდა საბინას დედაზე, შეიძლება რაღაც ქვეცნობიერი ანგარებითაც კი: ეგონა, საბინა მოიხიბლებოდა ერთგულების მისი ნიჭით და ამით მის სიყვარულს მოიპოვებდა. ის კი არ იცოდა, რომ საბინას ღალატი ხიბლავდა და არა ერთგულება. სიტყვა ერთგულება მას მამას აგონებდა, პურიტან პროვინციელს, რომელიც კვირაობით თავშესაქცევად ტყეში მზის ჩასვლას ან ლარნაკში ჩაწყობილ ვარდებს ხატავდა. მისი წყალობით საბინამ ხატვა ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. თოთხმეტი წლის რომ იყო, თანატოლი ბიჭი შეუყვარდა. მამას შეეშინდა და მთელი წლის განმავლობაში სახლიდან მარტოს არ უშვებდა. ერთ მშვენიერ დღეს მამამ პიკასოს ნახატების რამდენიმე რეპროდუქცია უჩვენა, რომლებსაც თან დასცინოდა. საბინამ, რაკი არ შეეძლო თოთხმეტი წლის თანაკლასელი ჰყვარებოდა, გადაწყვიტა, კუბიზმი მაინც შეეყვარებინა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პრაღაში გადავიდა სიხარულის შეგრძნებით, რომ ბოლოს და ბოლოს შეეძლო, ეღალატა საკუთარი სახლისთვის.

ღალატი. მამა და ბატონი მასწავლებელი პატარობიდან-ვე დაუღალავად გვიმეორებდნენ, რომ ეს ყველაზე უარესია, რის წარმოდგენაც კი შეგვიძლია. მაგრამ რა არის ღალატი? ღალატი ნიშნავს დადგენილი გზიდან გადახვევას და უცნობი მიმართულებით სიარულს. საბინასთვის კი არაფერი იყო ისე მომხიბლავი, როგორც უცნობი მიმართულებით სიარული.

სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ ეკრძალებოდა პიკასოსავით ხატვა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ძალით ამკვიდრებდნენ ეგრეთ წოდებულ სოცრეალიზმს და სახელმწიფოს კომუნისტი მამების პორტრეტებს ხატავდნენ. მისი სწრაფვა, ეღალატა მამისთვის, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან კომუნიზმი მამამისს ჰგავდა, მასავით მკაცრი და შეზღუდული იყო, კრძალავდა სიყვარულს (პურიტანული ხანა იყო) და პიკასოს. მალე პრაღის თეატრის უნიჭო მსახიობს გაჰყვა ცოლად, რადგან ჩხუბისთავის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ორივე მამისთვის აუტანელი იყო.

შემდეგ დედა გარდაეცვალა. დაკრძალვიდან პრაღაში დაბრუნებულმა, მეორე დღეს დეპეშა მიიღო: მამამ მწუხარებას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.

საბინას სინდისის ქენჯნამ შეუტია: იმის გამო, რომ მამას პიკასო არ უყვარდა და ლარნაკში ჩაწყობილ ვარდებს ხატავდა, განა მართლაც ასეთი აუტანელი იყო? განა დასაძრახია იმის შიში, რომ ერთხელაც თოთხმეტი წლის გოგო სახლში ფეხმძიმე არ გამოგეცხადოს? ნუთუ ასე სასაცილოა, რომ აღარ შეეძლო ცხოვრება ცოლის გარეშე?

ღალატის ახალმა სურვილმა აიტანა: უნდოდა, საკუთარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღალატისათვის ეღალატა. ქმარს ამცნო (ჩხუბისთავის მაგივრად მასში უკვე მხოლოდ ლოთს ხედავდა), რომ ტოვებს მას.

მაგრამ როდესაც ბ.-ს ვღალატობთ, რომლის გამოც ა.-ს ვუღალატეთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იმ ა.-ს შევეგუებით. გაყრილი მხატვრის ცხოვრება არ ჰგავდა ნაღალატევი მშობლების ცხოვრებას. პირველი ღალატი გამოუსწორებელია, ახალ-ახალი ღალატის ჯაჭვურ რეაქციას იწვევს და ყოველი მათგანი უფრო და უფრო გვაშორებს პირველ ღალატს.

მუსიკა

ფრანცისთვის ეს ხელოვნებაა, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება თრობად გაგებულ დიონისურ სილამაზეს. ადამიანი მაინცდამაინც ვერ დათვრება რომანის კითხვით ან ნახატის ყურებით, მაგრამ შეუძლია თრობა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიით, ბარტოკის სონატით ორი ფორტეპიანოსა და დასარტყამებისათვის ან „ბითლზის“ სიმღერებით. ფრანცი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან სერიოზულ და გასართობ მუსიკას. ეს მას ძველმოდურად და თვალთმაქცურად ეჩვენება. როკი და მოცარტი ერთნაირად უყვარს.

ფრანცი მუსიკას თავის განმათავისუფლებელს ეძახის: ათავისუფლებს მარტოობისა და ჩაკეტილობისაგან, ბიბლიოთეკის მტვრისგან, აღებს მისი სხეულის კარს, რომლითაც მისი სული გარეთ აღწევს სხვებთან საურთიერთოდ. უყვარს ცეკვა და განიცდის, რომ საბინა მის ამ გატაცებას არ იზიარებს.

რესტორანში სხედან და ვახშმობენ, ხმაურიანი რიტმული მუსიკა ისმის. საბინა ამბობს: – მოჯადოებული წრეა. ადამიანები ყრუვდებიან იმიტომ, რომ ძალიან ხმამაღალ მუსიკას უს-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მენენ და რადგან ყურს დააკლდათ, ისლა დარჩენიათ, რომ კიდევ უფრო აუწიონ ხმას.

– არ გიყვარს მუსიკა? – ეკითხება ფრანცი.

– არა, – პასუხობს საბინა. მერე უმატებს: – შეიძლება სხვა დროს რომ მეცხოვრა... – და ფიქრობს ეპოქაზე, როდესაც იოჰან სებასტიან ბახი ცხოვრობდა და როდესაც მუსიკა სიჩუმის უკიდეგანო თოვლიან მინდორში გაფურჩქნილ ვარდებს ჰგავდა.

მუსიკის ნიღაბს ამოფარებული ხმაური ადრეული ახალგაზრდობიდან თან სდევდა საბინას. სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, მთელი არდადეგების ე. წ. ახალგაზრდულ მშენებლობებზე გატარება უწევდა. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ და მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე დადიოდნენ. დილის ხუთ საათზე ჩართული მუსიკა საღამოს ცხრა საათამდე ღრიალებდა გამაძლიერებლებში. ტირილი უნდოდა, მაგრამ მუსიკა მხიარული იყო და მისგან დამალვა არც საბნის ქვეშ შეიძლებოდა და არც ტუალეტში, გამაძლიერებლები ყველგან ეყენა. ეს ყველგან შემღწევი მუსიკა ისეთ შეგრძნებას უქმნიდა, თითქოს მწევრები მიუქსიესო.

მაშინ საბინას ეგონა, რომ ამგვარი მუსიკალური ბარბაროსობა მხოლოდ კომუნისტურ ქვეყნებში მეფობდა. უცხოეთში მოხვედრისას კი აღმოაჩინა, რომ მუსიკის ხმაურად გადაქცევა პლანეტური მოვლენაა, რომლითაც კაცობრიობა ტოტალური სიმახინჯის გადამწყვეტ ფაზაში შედის. ტოტალური სიმახინჯე, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაოდ გამეფებული აკუსტიკური სიმახინჯის სახით ვლინდება: მანქანები, მოტოციკლები, ელექტროგიტარები, ბურღები, დინამიკები, სირენები. სულ მალე ამას საყოველთაო ვიზუალური სიმახინჯე მოჰყვება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ივახშმეს, ოთახში ავიდნენ და სიყვარულს მიეცნენ. მერე კი, უკვე ძილბურანში მყოფ ფრანცს თავში ათასგვარი აზრი დაუტრიალდა. გაახსენდა ვახშამი ხმამაღალი მუსიკის თანხლებით და გაიფიქრა: „ხმაურს ერთი დიდი სიკეთე ახლავს თან: სიტყვები აღარ ისმის“. უცებ გააცნობიერა, რომ ახალგაზრდობიდან მოყოლებული, მხოლოდ წერს, კითხულობს, ატარებს ლექციებს, ეძებს ფორმულირებებს, იგონებს წინადადებებს, შემდეგ ცდილობს, ისინი გამართოს. საბოლოოდ კი წინადადებაში ერთი სიტყვაც აღარ არის ზუსტი, მათი აზრი ბუნდოვანი ხდება, ისინი შინაარსს კარგავენ და ნაგვად, ჩენჩოდ, მტვრად, სილად იქცევიან, რომლებიც მის ტვინში დათარეშობენ, თავს ატკივებენ, მის უძილობად და ავადმყოფობად იქცევიან. ამ ფიქრებში გართულმა, ბუნდოვნად, მაგრამ ძლიერად ინატრა უსაზღვრო მუსიკა, აბსოლუტური ხმაური, ლამაზი და მხიარული აურზაური, რომელიც ყველაფერს მოიცავს, ყველაფერს აავსებს და გადაფარავს, რომელშიც სამუდამოდ გაქრება ტკივილი, ამაოება და სიტყვების არარაობა. მუსიკა სიტყვების უარყოფაა, მუსიკა ანტისიტყვაა! ძალიან უნდოდა, საბინას ჩახუტებოდა, გაჩუმებულიყო, აღარასოდეს აღარაფერი ეთქვა და მისი ტკბობა მუსიკის ორგიულ გრგვინვას შერწყმოდა. ამ ბედნიერ წარმოსახვით ხმაურში ჩაეძინა კიდეც.

სინათლე და სიბნელე

საბინასთვის ცხოვრება დანახვას ნიშნავს. დანახვის უნარი კი ორი მხრიდან არის შემოსაზღვრული: დამაბრმავებელი სიკაშკაშით და წყვდიადით. შეიძლება, ამით არის გან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირობებული საბინას უარყოფითი დამოკიდებულება უკიდურესობებისადმი: უკიდურესობა საზღვარია, რომლის იქითაც სიცოცხლე წყდება, უკიდურესობებისკენ ლტოლვა პოლიტიკასა და ხელოვნებაში კი შენიღბული სწრაფვაა სიკვდილისკენ.

ფრანცს სიტყვა „სინათლე“ სასიამოვნოდ განათებული პეიზაჟის კი არა, თვით სინათლის წყაროს ასოციაციას აღუძრავს: მზის, ნათურის, რეფლექტორის. ფრანცს აგონდება ცნობილი მეტაფორები: ჭეშმარიტების მზე, გონების დამაბრმავებელი სინათლე და მისთანანი.

სიბნელე სინათლესავით იზიდავს. იცის, რომ ჩვენს დროში სექსის დროს სინათლის ჩაქრობა სასაცილოა, ამიტომ საწოლის თავზე პატარა ნათურას ანთებულს ტოვებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, საბინაში შეღწევისას ყოველთვის ხუჭავს თვალებს. განცხრომისთვის, რომელიც ეუფლება, სიბნელეა საჭირო. ეს სიბნელე გამჭვირვალეა და სუფთა, წარმოდგენებისა და სახეების გარეშე, არ აქვს დასასრული და საზღვრები, თვით უსასრულობაა, რომელიც ყოველ ჩვენგანშია (დიახ, ვინც უსასრულობას ეძებს, თვალები დახუჭოს!).

იმ წუთს, როდესაც გრძნობს, როგორ იპყრობს განცხრომა მის სხეულს, ფრანცი იჭიმება და საკუთარი სიბნელის უსასრულობაში ლღვება, თვითონ ხდება უსასრულობა. მაგრამ რაც უფრო განმტკიცდება მამაკაცი თავის შინაგან სიბნელეში, მით უფრო კნინდება მისი გარეგნული მხარე. თვალებდახუჭული კაცი მამაკაცის ნამსხვრევებილაა. საბინას არ მოსწონს ამ დროს ფრანცის ყურება, ამიტომ თვითონაც ხუჭავს თვალებს. მაგრამ ეს სიბნელე მისთვის უსასრულობას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ დანახულთან შეუგუებლობას, დანახულის უარყოფას და მიუღებლობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს და ბოლოს საბინა დაიყოლიეს, ჩეხი ემიგრანტების საზოგადოებას სტუმრებოდა. ძირითადად იმაზე მსჯელობდნენ, იარაღით ხელში უნდა ებრძოლათ თუ არა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ემიგრაციაში მცხოვრები ჩეხები, რომლებიც უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, ერთხმად გაიძახოდნენ, რომ უნდა ეომათ. საბინამ მიაძახა: – მაშ დაბრუნდით და იომეთ.

ეს არ უნდა ეთქვა. ჭაღარა მამაკაცმა, რომელსაც დალაქის მიერ ლამაზად დაწყობილი დატალღული თმა ამშვენებდა, მისკენ გრძელი საჩვენებელი თითი გაიშვირა: – ასე ნუ ლაპარაკობთ, ჯობია, გაჩუმდეთ. ყველას მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც იქ მოხდა. მათ შორის თქვენც. ჩეხეთში ყოფნისას რა გააკეთეთ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ? არაფერი, მხოლოდ ხატავდით...

მოქალაქეების გამუდმებული შემოწმება და შეფასება კომუნისტური ქვეყნების მთავარი საზრუნავია. თუ მხატვარს გამოფენის მოწყობა უნდა ან მოქალაქეს ვიზის მიღება, რომ ზღვაზე გაატაროს შვებულება, ფეხბურთელს კი ეროვნულ ნაკრებში თამაში სწადია, პირველ რიგში მის შესახებ არსებული მთელი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს (მეეზოვისაგან, კოლეგებისაგან, პოლიციისაგან, პარტიული ორგანიზაციისაგან, პროფკავშირისაგან), რომელსაც სპეციალურად ამისთვის განკუთვნილი თანამშრომლები შეისწავლიან და შეაფასებენ. თუმცა ეს ინფორმაცია არ ეხება მოქალაქის ხატვის ნიჭს, ფეხბურთის თამაშის უნარს ან მის ჯანმრთელობას, რის გამოც ადამიანს ზღვაზე დასვენება სჭირდება. მთელი ეს ინფორმაცია მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „მოქა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაქის პოლიტიკურ სიმწიფეს“ ეხება (ანუ იმას, რას ლაპარაკობს და ფიქრობს, როგორ იქცევა, მიიღო თუ არა მონაწილეობა პარტიულ შეკრებებსა და საპირველმაისო დემონსტრაციებში). რადგან ყველაფერი (ყოველდღიური ცხოვრება, სამსახურებრივი წინსვლა და შვებულება) იმაზეა დამოკიდებული, როგორ იქნება მოქალაქე შეფასებული, ის ისე უნდა იქცეოდეს (თუ უნდა ფეხბურთის თამაში ეროვნულ ნაკრებში, გამოფენის გამართვა, ზღვაზე დასვენება), რომ შეფასება დადებითი იყოს.

ამაზე ფიქრობდა საბინა, როდესაც ჭაღარა მამაკაცს უსმენდა, რომელსაც სრულებით არ აინტერესებდა, როგორ ხატავდა მხატვარი და როგორ თამაშობდა ფეხბურთელი (არც ერთი ჩეხი არასოდეს არ დაინტერესებულა საბინას მხატვრობით). სამაგიეროდ მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ესა თუ ის ადამიანი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა თუ პასიურად, მართლა თუ მოსაჩვენებლად, თავიდანვე თუ მხოლოდ ბოლო დროს.

როგორც მხატვარს, უყვარდა ადამიანთა სახეების დაკვირვებით თვალიერება და პრაღიდან ახსოვდა იმათი სახეები, რომლებსაც სხვების შემოწმება და შეფასება მოწოდებად ექცათ. მათ, ყველას, საჩვენებელი თითი შუა თითზე გრძელი ჰქონდათ და ამ თითს იმას უმიზნებდნენ, ვისაც ელაპარაკებოდნენ. სხვათა შორის, პრეზიდენტ ნოვოტნისაც, რომელიც 1968 წლამდე მთელი თოთხმეტი წელი იყო ხელისუფლებაში, დალაქის მიერ დატალღული ჭაღარა თმა ჰქონდა და ყველაზე გრძელი საჩვენებელი თითი ცენტრალურ ევროპაში.

როდესაც დამსახურებულმა ემიგრანტმა მხატვრისაგან, რომლის არც ერთი ნახატი არ ენახა, გაიგონა, რომ კომუნისტ პრეზიდენტს ჰგავს, გაწითლდა, გაფითრდა, მერე ისევ გაწით-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლდა, ისევ გაფითრდა, აღარაფერი უთქვამს და დადუმდა. მასთან ერთად სხვებიც დუმდნენ და ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ საბინა არ ადგა და იქაურობა არ დატოვა.

ამ ყველაფერმა ხასიათი გაუფუჭა, თუმცა კიბე უკვე ჩავლილი ჰქონდა, რომ გაიფიქრა: რატომ უნდა შეხვდეს ხოლმე აქაურ ჩეხებს? რა აკავშირებს მათთან? სამშობლო? თითოეულს რომ გამოეთქვა, რას გულისხმობდა სიტყვა „ჩეხეთში“, ფრიად არაერთგვაროვანი და განსხვავებული სურათები წარმოგვიდგებოდა თვალწინ, რომლებიც ვერავითარ მთლიანობას ვერ შექმნიდა.

იქნებ კულტურა? მაგრამ რა არის კულტურა? მუსიკა? დვორჟაკი და იანაჩეკი? კი, ნამდვილად ასეა. მაგრამ თუ ჩეხს მუსიკის არა გაეგება რა? მაშინ ჩეხობის არსი ერთბაშად გაქრება.

თუ ერის დიდი მამები? იან ჰუსი? იქ დამსწრეთაგან არავის მისი წიგნებიდან პწკარიც კი არ წაუკითხავს. ერთადერთი, რის გაგებაც კოლექტიურად შეეძლოთ, იყო ცეცხლის ალი, დიდება იმ ალისა, რომელშიც იან ჰუსი დაიწვა, როგორც მკრეხელი, დიდება ფერფლისა, რომლადაც ის გადაიქცა. ასე რომ, ჩეხობის არსი, გაიფიქრა საბინამ, მათთვის მხოლოდ ფერფლია, სხვა არაფერი. ამ ადამიანებს მხოლოდ დამარცხება და საყვედურები აერთიანებს, რომლებსაც ერთმანეთს აყრიან.

სწრაფად მიაბიჯებდა, ემიგრანტებთან დაშორებაზე უფრო ხასიათი საკუთარმა ფიქრებმა გაუფუჭა. იცოდა, რომ უსამართლოდ იქცეოდა. გრძელი საჩვენებელი თითის პატრონის გარდა, იქ ხომ სხვა ჩეხებიც იყვნენ. ჩამოვარდნილი სიჩუმიდან კი სულაც არ გამომდინარეობდა, რომ ყველანი მის წინააღმდეგ იყვნენ. ალბათ, უფრო დაბნეულები იყვნენ იმ მოულოდნელი ზიზღითა და გაურკვევლობით, რომლის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსხვერპლნიც ყველანი ხდებიან ემიგრაციაში. რატომ არ ეცოდება ისინი? რატომ ვერ ხედავს მათში გულისამაჩუყებელ და მიტოვებულ ადამიანებს?

ჩვენ უკვე ვიცით, რატომაც: უკვე მაშინ, მამას რომ ულალატა, ცხოვრება ღალატის გრძელ გზად გადაეშალა და ყოველი ახალი ღალატი ისე იზიდავდა, როგორც მანკიერება და როგორც გამარჯვება. არ უნდა სხვებთან ერთად მწკრივში დგომა და ეს არც არასდროს მოხდება! არ იდგება მწკრივში ერთსა და იმავე ხალხთან, რომლებიც სულ ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ! ამიტომ არის საბინა საკუთარი უსამართლობით ასე აღელვებული. ეს აღელვება მისთვის უსიამოვნო არ არის, პირიქით, ისეთი შეგრძნება აქვს, რომ გამარჯვება მოიპოვა და ვიღაც უხილავი ტაშს უკრავს ამისთვის.

თუმცა გამარჯვებით თრობას სწრაფად მოჰყვა შიში: ბოლოს და ბოლოს ეს გზა სადღაც ხომ უნდა დასრულდეს! ოდესმე ხომ უნდა მორჩეს ღალატს! ერთხელაც ხომ უნდა გაჩერდეს!

საღამო იყო და ბაქანს სწრაფად მიუყვებოდა. ამსტერდამის მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. თავის ვაგონს ეძებდა. მოღიმარმა გამცილებელმა ბილეთში აღნიშნულ კუპესთან მიაცილა. საბინამ კარი გააღო და გაშლილ ლოგინზე მჯდარი ფრანცი დაინახა. ფრანცი მისასალმებლად წამოდგა, საბინა მოეხვია და მთელი სახე დაუკოცნა. ძალიან უნდოდა, მისთვის ეთქვა ის, რასაც ყველაზე ბანალური ქალი თუ იტყოდა: არ გამიშვა, გვერდიდან ნუ მომიშორებ, მომათვინიერე, დამიმონე, იყავი ძლიერი!

მაგრამ ასეთი სიტყვების წარმოთქმა არ შეეძლო. ამიტომ, როგორც თავდაჭერილმა ადამიანმა, მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: – როგორ მიხარია, რომ შენთან ერთად ვარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერგაგებული სიტყვების მოკლე ლექსიკონი

(გაგრძელება)

დემონსტრაციები

იტალიასა და საფრანგეთში ხალხს კარგად აქვს საქმე აწყობილი. როდესაც მშობლები ეკლესიაში სიარულს აძალებენ, იმით უხდიან სამაგიეროს, რომ პარტიაში შედიან (კომუნისტურში, მაოისტურში, ტროცკისტულში და ა. შ.), მაგრამ საბინას მამა ჯერ ეკლესიაში სიარულს აძალებდა, შემდეგ კი, შეშინებული, თვითონვე აიძულებდა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში შესვლას.

როდესაც საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობდა, არ შეეძლო სხვებისთვის ნაბიჯის შეწყობა. ამიტომ გოგო, რომელიც უკან მოჰყვებოდა, უყვიროდა და სპეციალურად აბიჯებდა ქუსლებზე ფეხს. თუ მსვლელობისას სიმღერა უნდა ემღერათ, სიტყვები არ იცოდა და მხოლოდ უხმოდ აღებდა პირს. ერთხელაც სტუდენტებმა ეს შენიშნეს და დაასმინეს. საბინა ადრეული ასაკიდან ვერ იტანდა დემონსტრაციებს.

ფრანცი პარიზში სწავლობდა და რადგან განსაკუთრებულად ნიჭიერი იყო, სამეცნიერო კარიერა ოცი წლიდანვე გარანტირებული ჰქონდა. მაშინვე იცოდა, რომ მთელ ცხოვრებას უნივერსიტეტის კაბინეტში, ბიბლიოთეკებსა და ორ-სამ აუდიტორიაში გაატარებდა; ყოველივე ამის უბრალოდ წარმოდგენაზეც კი სული ეხუთებოდა. უნდოდა, თავისი ცხოვრებიდან გასულიყო, როგორც სახლიდან გადიან ხოლმე ქუჩაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამიტომ, სანამ პარიზში ცხოვრობდა, სიამოვნებით დადიოდა მანიფესტაციებზე. მშვენიერი იყო მსვლელობით რამის ზეიმი, მოთხოვნების წამოყენება, პროტესტის გამოთქმა, სხვებთან ერთად ყოფნა და მარტოობისთვის თავის დაღწევა. ხალხის ტალღა, რომელიც სენ-ჟერმენის ბულვარს მიუყვებოდა ან რესპუბლიკის მოედნიდან ბასტილიისაკენ მიემართებოდა, აღაფრთოვანებდა. მყვირალი მომიტინგე ბრბო მისთვის ევროპის სახე და ისტორია იყო. ევროპა დიდი მსვლელობაა, მსვლელობა რევოლუციიდან რევოლუციისაკენ, ბრძოლიდან ბრძოლისაკენ, გამუდმებული წინსვლა.

შემიძლია, ეს სხვანაირადაც ვთქვა: წიგნებს შორის ცხოვრება ფრანცს არარეალურად ეჩვენებოდა. ენატრებოდა ნამდვილი ცხოვრება, მის მხარდამხარ მოსიარულე და მასთან ერთად მყვირალ ადამიანებთან შეხება. ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ ის იყო მისი ნამდვილი ცხოვრება, რასაც არარეალურად მიიჩნევდა (კაბინეტსა და ბიბლიოთეკებში განმარტოებით მუშაობა), მსვლელობები კი, რომლებიც მას რეალობად ეჩვენებოდა, მხოლოდ თეატრი, ცეკვა, ზეიმი იყო, სხვა სიტყვებით: სიზმარი.

სწავლის დროს საბინა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. პირველ მაისს ყველანი დილაადრიან უნდა მისულიყვნენ დემონსტრაციის ჩატარების ადგილას. ვინმეს თავი რომ არ დაეძვრინა, აქტივისტი სტუდენტები საერთო საცხოვრებელს ამოწმებდნენ. ამიტომაც ერთხელ ტუალეტში დაიმალა და როდესაც ყველანი უკვე ძალიან შორს იყვნენ, თავის ოთახს დაუბრუნდა. უჩვეულო სიჩუმე იდგა. მხოლოდ შორიდან აღწევდა მუსიკის ხმა. მოეჩვენა, რომ ნიჟარაში იყო შეყუჟული და მტრული სამყაროს ზღვის შორეული ხმაური ჩაესმოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემიგრაციიდან ერთი თუ ორი წლის შემდეგ რუსული ოკუპაციის წლისთავზე პარიზში აღმოჩნდა. საპროტესტო აქცია იმართებოდა. საბინამ თავი ვერ შეიკავა და მსვლელობას შეუერთდა. ახალგაზრდა ფრანგები მუშტად შეკრულ ხელებს მაღლა სწევდნენ და საბჭოთა იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ. ეს ლოზუნგები საბინას ძალიან მოსწონდა, მაგრამ გაკვირვებულმა, მოულოდნელად იგრძნო, რომ არ შეუძლია სხვებთან ერთად ყვირილი და მათთან რამდენიმე წუთზე მეტი ვერ გაძლო.

ეს შეგრძნება ფრანგ მეგობრებს გაუზიარა. ყველა გაკვირვებული დარჩა: „რა, საკუთარი ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ გინდა?“ უნდოდა, მათთვის აეხსნა, რომ კომუნიზმის, ფაშიზმის, ყველა ოკუპაციისა და სამხედრო აგრესიის უკან უფრო ფუნდამენტური და ზოგადი ხასიათის ბოროტება იმალება; ამ ბოროტების ნიშნად მისთვის იქცა მსვლელობები მწყობრი ნაბიჯით, სადაც ერთად სწევენ ხელებს და უნისონში გაჰყვირიან ერთნაირ სიტყვებს. მაგრამ იცოდა, რომ ამის ახსნას ვერ შეძლებდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ნიუ-იორკის სილამაზე

საათობით დასეირნობდნენ ნიუ-იორკში. ახალ-ახალი ხედები ისე ენაცვლებოდა ყოველ წამს ერთმანეთს, თითქოს გზა წარმტაცი მთიანი ლანდშაფტის შუაგულში მიიკლაკნებოდა: ტროტუარის შუაში დაჩოქილი ახალგაზრდა ლოცულობდა, ოდნავ მოშორებით ლამაზი ზანგი ქალი ხეს მიყრდნობილი თვლემდა, იქვე შავ სამოსში გამოწყობილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მამაკაცი ქუჩაზე გადადიოდა და თან ფართო ჟესტებით უხილავ ორკესტრს დირიჟორობდა, შადრევნიდან, რომლის ირგვლივაც მშენებლობაზე მომუშავე მუშები ისხდნენ და საჭმელს შეექცეოდნენ, წყალი მოჩქეფდა. წითელი აგურით ნაშენები მახინჯი სახლების ფასადებზე რკინის კიბეები მიცოცავდა, თუმცა ეს სახლები ისე მახინჯი იყო, რომ ადამიანს შეიძლებოდა ლამაზადაც კი მოსჩვენებოდა. მათ მეზობლად შუშის დიდი ცათამბჯენი იდგა, მის უკან კი – მეორე ცათამბჯენი, რომლის სახურავზეც პატარა არაბული სასახლე იყო დაშენებული, თავისი კოშკებით, გალერეებითა და მოოქროვილი ბოძებით.

საბინას თავისი ნახატები გაახსენდა. იქაც წააწყდებოდით შეუსაბამობებს: მშენებარე მეტალურგიული ქარხნის უკან ნავთის ლამპას ან მეორე ლამპას, რომლის მოხატული მინის აბაჟურის ათასობით ნამსხვრევი დაჭაობებული მიწის ზემოთ ჰაერში გაბნეულიყო...

ფრანცმა თქვა: – ევროპულ სილამაზეს ყოველთვის ინტენციონალური ხასიათი ჰქონდა. ევროპაში არსებობდა ესთეტიკური მიმართულება და გრძელვადიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ათწლეულების განმავლობაში აგებდნენ გოტიკურ ტაძრებსა და ქალაქებს რენესანსის სტილით. ნიუ-იორკის სილამაზე სულ სხვა ხასიათისაა. ეს ინტენციონალური სილამაზე არ არის. ის ყოველგვარი ჩანაფიქრის გარეშე წარმოიქმნა, სტალაქტიტების მღვიმის მსგავსად. თავისთავად მახინჯი ფორმები, შემთხვევით, დაუგეგმავად, ერთმანეთს დაუჯერებლად ემეზობლებიან და ზღაპრულ პოეზიად გვევლინებიან.

საბინამ თქვა: – არაინტენციონალური სილამაზე. მართლაც. შეიძლება ითქვას: სილამაზე, როგორც შეცდომა. სა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნამ საბოლოოდ გაქრება სამყაროდან, სილამაზე რაღაც ხნის განმავლობაში, როგორც შემთხვევითი მოვლენა, ისე იარსებებს. სილამაზე, როგორც შეცდომა, სილამაზის ისტორიის ბოლო ფაზაა.

და თავისი პირველი სრულყოფილი ნახატი გაახსენდა: ის მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ტილოს უცაბედად წითელი საღებავი დაეწვეთა. მართლაც, მისი მხატვრობა შემთხვევითობის სილამაზეს ეფუძნებოდა და ამდენად, ნიუ-იორკი მისი ხელოვნების ნამდვილი და საიდუმლო სამშობლო იყო.

ფრანცმა თქვა: – შეიძლება, ნიუ-იორკის არაინტენციონალური სილამაზე ბევრად უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ზედმეტად მკაცრი და ადამიანის მიერ დაგეგმილი სილამაზე. მაგრამ ეს ევროპული სილამაზე აღარ არის, ეს უცხო სამყაროა.

ნუთუ მათი აზრები რაღაცაში მაინც ემთხვევა ერთმანეთს?

არა, განსხვავება აქაც არის. ნიუ-იორკის უცხო სილამაზე საბინას უზომოდ იზიდავს. ფრანციც აღფრთოვანებულია, მაგრამ თან ეშინია; ~~ნ~~ნიუ-იორკი მასში ევროპის უსაზღვრო მონატრებას იწვევს.>

საბინას სამშობლო

საბინას მშვენივრად ესმის ამერიკისადმი მისი ფრთხილი დამოკიდებულება: ფრანცი ხომ ევროპის განსახიერებაა: დედა ვენიდან იყო, მამა ფრანგი ჰყავდა, თვითონ შვეიცარიელია.

ფრანცი, თავის მხრივ, აღფრთოვანებულია საბინას სამშობლოთი. როდესაც საბინა საკუთარ თავსა და თავის ჩეხ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგობრებზე უყვება, ჩაესმის სიტყვები: ციხე, დევნა, ტანკები ქუჩაში, ემიგრაცია, პროკლამაციები, აკრძალული ლიტერატურა, აკრძალული გამოფენები და ნოსტალგიასთან შერწყმული შურის გაუგებარი გრძნობა ეუფლება.

ფრანცი ეუბნება საბინას: – ერთმა ფილოსოფოსმა ერთხელ ჩემზე დაწერა, რომ ყველაფერი, რასაც ვამბობ, დაუსაბუთებელი სპეკულაციაა და „შეშლილი სოკრატე“ მიწოდა. თავი საშინლად დამცირებულად ვიგრძენი და გაბოროტებული ტონით ვუპასუხე. წარმოიდგინე, ეს სასაცილო ეპიზოდი ყველაზე დიდი კონფლიქტი იყო ჩემს ცხოვრებაში! მაშინ ჩემმა ცხოვრებამ თავისი დრამატიზმის მწვერვალს მიაღწია! ჩვენ სხვადასხვა განზომილებაში ვცხოვრობთ. ჩემს ცხოვრებაში ისე შემოაბიჯე, როგორც გულივერმა ლილიპუტების ქვეყანაში.

საბინა არ ეთანხმებოდა, ამბობდა, რომ კონფლიქტი, დრამა, ტრაგედია არაფერს არ ნიშნავს, არაფრად ღირს და პატივისცემას ან აღფრთოვანებას არ იმსახურებს. ერთადერთი, რაც შეიძლება ფრანცის შურდეთ, მისი საქმეა, რომლის კეთება სიმშვიდესა და სიწყნარეში შეუძლია.

ფრანცი თავს აქნევს: – როდესაც საზოგადოება მდიდარია, ადამიანებს ფიზიკურად შრომა არ უწევთ და მთელ თავიანთ დროს სულიერ საქმიანობას უთმობენ. უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტი იხსნება, იზრდება სტუდენტების რაოდენობა. სტუდენტებმა სწავლა რომ დაასრულონ, სადიპლომო ნაშრომებისათვის ახალ-ახალ თემებს იგონებენ. ამ თემების რაოდენობა უსასრულოა, რადგან კვლევის საგნად ყველაფერი შეგიძლია აქციო. ნაწერით აჭრელებულ ქაღალდებს ერთმანეთზე აწყობენ არქივებში, რომლებიც სასაფლაოებზე უფრო ნაღვლიანად გამოიყურება, რადგან იქ მიცვალებულთა მოსახსენებელ დღეებშიც კი არავინ შედის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კულტურა იკარგება პროდუქციის სიმრავლეში, ასოების ნიაღვარში, რაოდენობრივ საგიჟეთში. ამიტომაც ვამბობ, რომ შენს სამშობლოში აკრძალული ერთი წიგნი გაცილებით ღირებულია იმ მილიარდობით სიტყვაზე, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტებიდან იფრქვევა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, გასაგები იქნება რევოლუციების მიმართ ფრანცის სისუსტე. თავის დროზე კუბას თანაუგრძნობდა, შემდეგ ჩინეთს, მაგრამ როდესაც იქ არსებული რეჟიმების დაუნდობლობამ გული გაუტეხა, სევდით აღსავსე შეეგუა აზრს, რომ ცხოვრებაში აღარაფერი დარჩენია უსიცოცხლო ასოების გარდა, რომლებიც არაფრად ღირს. ჟენევის (სადაც არავითარი მანიფესტაციები არ ტარდება) უნივერსიტეტის პროფესორი გახდა და ერთგვარ განდეგილობაში (სიმარტოვეში, ქალებისა და დემონსტრაციების გარეშე) რამდენიმე საკმაოდ წარმატებული სამეცნიერო ნაშრომი გამოსცა. ერთ მშვენიერ დღეს კი საბინა გამოეცხადა. ის იმ ქვეყნიდან იყო, რომელიც უკვე რა ხანია შეელია რევოლუციურ ილუზიებს, თუმცა შემორჩა ის, რითაც ფრანცს რევოლუციები იტაცებდა: რისკით გაჯერებული ცხოვრება, ვაჟკაცობა და სიკვდილის საშიშროება. საბინამ მას ადამიანის ბედის სიდიადის რწმენა დაუბრუნა. ფრანცის თვალში საბინას განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა ის, რომ მისი სილამაზის მიღმა მისი სამშობლოს ტკივილით აღსავსე დრამა მოჩანდა.

თვითონ საბინას ეს დრამა სრულებითაც არ მოსწონდა. სიტყვები „პატიმრობა“, „დევნა“, „აკრძალული ლიტერატურა“, „ოკუპაცია“ და „ტანკები“ ყოველგვარ რომანტიკულ ელფერს მოკლებული სიმახინჯის განსახიერება იყო მისთვის. ერთადერთი სიტყვა, რომელიც მასში ნოსტალგიას იწვევდა, იყო „სასაფლაო“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩეხეთში სასაფლაოები ბაღებს ჰგავს. საფლავებზე ბალახი და ნაირფერი ყვავილები იზრდება. მოკრძალებული ქანდაკებები იქაურობის სიმწვანეში იკარგება. როდესაც ბნელდება, სასაფლაოზე უამრავი პატარა სანთელი კიაფობს და ისეთი შეგრძნება ჩნდება, რომ გარდაცვლილები საბავშვო მეჯლისს მართავენ. დიახ, საბავშვოს, რადგან მიცვალებულები ბავშვებივით უცოდველები არიან. რაც უნდა სასტიკი ყოფილიყო დროება, სასაფლაოებზე ყოველთვის სიმშვიდე სუფევდა. ომების, ჰიტლერის, სტალინისა და საერთოდ ყველა ოკუპაციის დროს. როდესაც საბინა მოწყენილი იყო, მანქანაში ჯდებოდა და პრაღისგან შორს რომელიმე მისთვის საყვარელ სოფლის სასაფლაოსკენ მიემართებოდა. ეს სასაფლაოები ცისფერი გორაკების ფონზე იავნანასავით ლამაზი იყო.

ფრანცისთვის სასაფლაო ძვლებისა და ქვების საზიზღარი ნაგავსაყრელი იყო.

6

– საჭესთან არასოდეს დავჯდებოდი. ავარიების საშინლად მეშინია! ცოცხალიც რომ გადარჩე, ალბათ, სამუდამოდ მაინც დასახიჩრდები! – თქვა მოქანდაკემ და უნებლიეთ საჩვენებელ თითს ჩაებღაუჭა, რომელიც დიდი ხნის წინ, ხის ქანდაკებას თლისას, კინაღამ მოიჭრა. ექიმებმა სასწაულით შეუნარჩუნეს თითი.

– სრულებითაც არა! – წამოიძახა მარი-კლოდმა, რომელიც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. – უმძიმეს ავარიაში მოვ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყევი და თქვენ წარმოიდგინეთ, მშვენიერი იყო! არსად არ ვყოფილვარ ისე კარგად, როგორც იმ საავადმყოფოში! ვერაფრით ვიძინებდი და სულ წიგნებს ვკითხულობდი, დღისითაც და ღამითაც.

ყველანი გაკვირვებით უყურებდნენ მარი-კლოდს, რაც მას უდავოდ სიამოვნებდა. ფრანცს თან უსიამოვნების განცდა ჰქონდა (ახსოვდა, რა გაწამებული იყო მისი ცოლი იმ ავარიის შემდეგ და რამდენს წუწუნებდა), თან უკვირდა (საკუთარი განცდების ასე გადასხვაფერების ნიჭი მის შესაშურ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებდა).

მარი-კლოდი განაგრძობდა: – იქ დავიწყე წიგნების დაყოფა დღის და ღამის წიგნებად. დამიჯერეთ, არსებობს დღის წიგნები და წიგნები, რომლებიც მხოლოდ ღამით იკითხება.

ყველა გაკვირვებული იყო, მხოლოდ მოქანდაკეს ეჭირა საკუთარი თითი და უსიამოვნო მოგონებისაგან იჭმუხნებოდა. სწორედ მას მიმართა მარი-კლოდმა: – სტენდალს, მაგალითად, რომელ ჯგუფს მიაკუთვნებდი?

მოქანდაკე თითქმის არ უსმენდა და პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა. იქვე მდგომმა ლიტერატურის კრიტიკოსმა კი განაცხადა, რომ სტენდალს დღის საკითხავად თვლის.

მარი-კლოდმა თავი გააქნია და ხმამაღლა თქვა: – ასე გგონია? ძალიან ცდები! სტენდალი ღამის ავტორია!

ღამის და დღის წიგნების შესახებ ამ დისკუსიაში ფრანცი იშვიათად ერთვებოდა, რადგან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როდის მოვიდოდა საბინა. დიდხანს მსჯელობდნენ, დათანხმებოდა თუ არა საბინა კოქტეილზე მიპატიჟებას. მარი-კლოდმა ეს კოქტეილი ყველა იმ მხატვრისა და მოქანდაკისათვის გამართა, ვისი გამოფენაც კი გამართულა ოდესმე მის კერძო გალერეაში. ფრანცის გაცნობის შემდეგ საბინა თავს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არიდებდა მის ცოლთან შეხვედრას. მაგრამ რადგან საიდუმ-ლოს გამჟღავნების ძალიან ეშინოდათ, გადაწყვიტეს, რომ მისვლა უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

შემოსასვლელისკენ ქურდულად იყურებოდა, თან სალო-ნის მეორე მხრიდან თავისი თვრამეტი წლის ქალიშვილის მარი-ანის ხმა ესმოდა განუწყვეტლივ. ჯგუფიდან, რომელშიც მისი ცოლი მეფობდა, იმ ჯგუფისკენ გადაინაცვლა, რომელ-შიც მისი ქალიშვილი პირველობდა. ზოგი სავარძელში იჯდა, სხვები ფეხზე იდგნენ, მარი-ანი კი იატაკზე იჯდა. ფრანცი დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე სალონის მეორე ბო-ლოში ხალიჩაზე მარი-კლოდი დაჯდებოდა. იმ დროს სტუმრე-ბის წინაშე იატაკზე დაჯდომა ადამიანის თავისუფლებად, უშუალობად, თანამედროვეობად, მეგობრულობად და „პარი-ზელობად“ აღიქმებოდა. ჟინი, რომლითაც მარი-კლოდი ყველ-გან ძირს ჯდებოდა, იმდენად დიდი იყო, რომ ფრანცს ეში-ნოდა, ერთხელაც იმ მაღაზიის იატაკზე არ დამჯდარიყო, სადაც სიგარეტს ყიდულობდა ხოლმე.

– ახლა რაზე მუშაობთ, ალან? – ჰკითხა მარი-ანმა მა-მაკაცს, რომლის ფეხებთანაც იჯდა.

ალანი გულუბრყვილო და პირდაპირი ადამიანი იყო, ამი-ტომ უნდოდა, გალერეის მფლობელის შვილისთვის გულ-წრფელად ეპასუხა და დაიწყო ხატვის თავისი ახალი მანერის აღწერა, რომელიც ფოტოგრაფიისა და ფერწერის ერთგვარ შერწყმას წარმოადგენდა. სამიოდე წინადადების თქმა თუ მოასწრო, რომ მარი-ანმა სტვენა დაიწყო. მხატვარი ძალიან გართული იყო თავისი თხრობით და სტვენა არ ესმოდა.

– შეგიძლია ამიხსნა, რატომ უსტვენ? – ჰკითხა ფრანცმა.

– იმიტომ, რომ არ მიყვარს, როდესაც პოლიტიკაზე ლა-პარაკობენ, – უპასუხა შვილმა ხმამაღლა. მართლაც, იქვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორი მამაკაცი საფრანგეთში მომავალ არჩევნებზე საუბრობდა. მარი-ანმა, რომელიც თავს მოვალედ თვლიდა, საუბარს გასძღოლოდა, ჰკითხა მათ, აპირებენ თუ არა, დაესწრონ როსინის ოპერას, რომელსაც იტალიის საოპერო დასი წარმოადგენს. ამ დროს მხატვარი ალანი ცდილობდა, სულ უფრო ზუსტი სიტყვები მოეძებნა ხატვის ახალი მანერის აღსაწერად და ფრანცს საკუთარი შვილის რცხვენოდა. მის გასაჩუმებლად ხმამაღლა განაცხადა, რომ საოპერო წარმოდგენები ძალიან მოსაწყენად ეჩვენება.

– აუტანელი ხარ, – თქვა მარი-ანმა და იატაკზე მჯდომმა სცადა, მამისთვის მუცელზე ხელი მიერტყა. – მთავარი მსახიობი ძალიან ლამაზია. უჰ, რომ იცოდე, რა ლამაზია! სულ ორჯერ ვნახე და უკვე შემიყვარდა.

ფრანცმა გაიფიქრა, რომ მისი ქალიშვილი მეტისმეტად ჰგავს დედას. ნეტავ მამას რატომ არ ჰგავს? რას იზამ, არ ჰგავს და მორჩა. მარი-კლოდისგან უთვალავჯერ მოუსმენია, რომ შეყვარებულია ამა თუ იმ მხატვარზე, მომღერალზე, პოლიტიკოსზე, ერთხელ სულაც მოტომრბოლელზე იყო შეყვარებული. ცხადია, ეს მხოლოდ საღამოებისა და კოქტეილებისათვის განკუთვნილი საუბარი იყო, მაგრამ ამ დროს ფრანცს ახსენდებოდა, რომ ოცი წლის წინ მასზეც იმავეს ამბობდა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა.

ზუსტად ამ დროს შემოვიდა სალონში საბინა. მარი-კლოდმა დაინახა და მისკენ გაემართა. მისი ქალიშვილი როსინიზე ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ ფრანცს მხოლოდ ის ესმოდა, რაზე საუბრობდა ეს ორი ქალი. რამდენიმე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მარი-კლოდმა ხელი წაავლო კერამიკულ სამკაულს, რომელიც საბინას ყელზე ეკიდა და ძალიან ხმამაღლა განაცხადა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეს რა გიკეთია? რა უშნოა!

ამ ფრაზამ ფრანცის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ნათქვამი აგრესიულად არ ჟღერდა, პირიქით, ხმამაღალი სიცილი, ამ ფრაზას რომ მოაყოლა, იმაზე მიანიშნებდა, რომ დაწუნებული სამკაული მხატვრისადმი მარიას კეთილგანწყობას არ ცვლის. თუმცა ეს წინადადება მაინც გამორჩეული ტონით იყო ნათქვამი, სხვებს მარი-კლოდი ასე არ ელაპარაკებოდა.

– მე გავაკეთე, – თქვა საბინამ.

– მართლა უშნოა, – ხმამაღლა გაიმეორა მარი-კლოდმა, – არ ღირს მისი გაკეთება!

ფრანცი ხედავდა, რომ მის ცოლს სრულებითაც არ აინტერესებდა, მართლაც უშნო იყო თუ არა სამკაული. რაც დანახვაც მახინჯად უნდოდა, მახინჯი იყო, რისაც ლამაზად – ლამაზი. მისი მეგობრების სამკაულები აპრიორულად მშვენიერი იყო. მათი სამკაულები უშნოდაც რომ მოსჩვენებოდა, არ გაამხელდა, პირმოთნეობა უკვე დიდი ხანია მის მეორე ბუნებად იქცა.

მაშ რატომ გადაწყვიტა, რომ საბინას ხელნაკეთი სამკაული უშნოდ გამოეცხადებინა? ფრანცს ამის მიხვედრა არ გასჭირვებია: მარი-კლოდმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ შეეძლო საკუთარი თავისთვის ამის უფლება მიეცა.

უფრო ზუსტად: მარი-კლოდმა საბინას სამკაული უშნოდ რომ გამოაცხადა, ამით მიანიშნა: მას შეუძლია საბინას უთხრას, რომ მისი სამკაული უშნოა.

საბინას ერთი წლის წინანდელი გამოფენა დიდად წარმატებული არ იყო და ამიტომ მარი-კლოდს მისი კეთილგანწყობა არაფრად ულირდა. პირიქით, საბინას უნდა ეცადა მარი-კლოდის კეთილგანწყობის მოპოვება, თუმცა მის ქცევას ეს არ ეტყობოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცისთვის ნათელი იყო: მარი-კლოდმა გამოიყენა შესაძლებლობა, რომ საბინასთვის (და სხვებისთვისაც) ეჩვენებინა, როგორია მათ შორის ძალთა ნამდვილი თანაფარდობა.

7

ვერგაგებული სიტყვების მოკლე ლექსიკონი

(დასასრული)

ამსტერდამის ძველი ეკლესია

ქუჩის ერთ მხარეს სახლები დგას. პირველი სართულის ვიტრინების მსგავსი უზარმაზარი ფანჯრების იქით პატარა ოთახები ჩანს, სადაც ფანჯრებთან მოდგმულ სავარძლებში საცვლების ამარა მეძავები სხედან; გარშემო ბალიშები შემოუწყვიათ და დიდ მოწყენილ კატებს ჰგვანან.

ქუჩის მეორე მხარეს მეთოთხმეტე საუკუნის უზარმაზარი გოტიკური ტაძარია.

მეძავთა სამყაროსა და ღვთის სამყაროს შორის, როგორც მდინარე ორ იმპერიას შორის, შარდის მძაფრი სუნი იფრქვევა.

ტაძრის შიგნით გოტიკური სტილისაგან მხოლოდ მაღალი თეთრი კედლები, სვეტები, გუმბათი და ფანჯრებიღა დარჩა. კედლებზე არც ერთი ნახატი არ არის, არც ერთი ქანდაკება არ ჩანს, ტაძარი სპორტული დარბაზივით ცარიელია. შუაში, ამაღლებული ადგილის გარშემო, სადაც მოძღვრისთვის მაგიდა დგას, ოთხკუთხედად სკამებია ჩამწკრივებული. სკამების უკან ხის კაბინებია, ანუ ლოჟები ქალაქის მდიდარი ოჯახებისათვის.

სკამები და ლოჟები ნაგებობის კედლების ფორმისა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სვეტების განლაგების გაუთვალისწინებლად არის დაწყობილი, თითქოს ამით გოტიკური არქიტექტურის მიმართ თავის გულგრილობას გამოხატავენ და უარყოფენ მას. ჯერ კიდევ ასეულობით წლის წინ კალვინისტურმა რწმენამ ეს კათედრალი ჩვეულებრივ ანგარად გადააქცია, რომლის ერთადერთი დანიშნულებაც მლოცველების წვიმისა და თოვლისგან დაცვაა.

ფრანცი მოხიბლული იყო: ამ უზარმაზარ დარბაზში ისტორიის დიდმა მსვლელობამ ჩაიარა.

საბინას გაახსენდა, როგორ მიისაკუთრა სახელმწიფომ კომუნისტური გადატრიალების შემდეგ მთელი ჩეხეთის სასახლეები და შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებლებად, მოხუცებულთა თავშესაფრებად და ბოსლებად აქცია. ერთ ასეთ ბოსელში ნამყოფიც იყო: მოჩუქურთმებულ კედლებში რკინის რგოლები იყო ჩაჭედებული, რგოლებზე კი ძროხები იყვნენ გამობმული, რომლებიც სასახლის ბაღში მორბენალ ქათმებს ფანჯრიდან მეოცნებე თვალებით გაჰყურებდნენ.

ფრანცმა თქვა: – ეს სიცარიელე აღმაფრთოვანებელია. ადამიანები ახვავებენ ხატებს, ქანდაკებებს, სკამებს, სავარძლებს, ხალიჩებს, წიგნებს და შემდეგ მოდის განთავისუფლების ბედნიერი წამი, როდესაც ამ ყველაფერს ნაგავივით გახვეტენ. შეგიძლია ის ჰერკულესის ცოცხი წარმოიდგინო, რომელიც ყველაფერს გახვეტს ამ კათედრალიდან?

საბინამ ხის ლოჟისკენ გაიხედა: – ღარიბები უნდა მდგარიყვნენ, მდიდრებს კი ლოჟები ჰქონდათ. მაგრამ არსებობდა ერთი რამ, რაც ღარიბსა და ბანკირს აერთიანებდა: სილამაზის სიძულვილი.

– რა არის სილამაზე? – იკითხა ფრანცმა და თვალწინ ვერნისაჟი წარმოუდგა, რომელზეც ცოლს ახლდა ცოტა ხნის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წინ. უსასრულო ამაოება საუბრებისა და სიტყვებისა, ამაოება კულტურისა, ამაოება ხელოვნებისა.

ერთხელ, სტუდენტობისას, როდესაც საბინა ახალგაზრდულ მშენებლობაზე მუშაობდა და ლამის გაგიჟებულიყო მხიარული მარშებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ ისმოდა გამაძლიერებლებიდან, მოტოციკლით სასეირნოდ წავიდა. გორაკებს შორის ჩაკარგულ უცნობ სოფელში გაჩერდა, მოტოციკლი ეკლესიის კედელს მიაყუდა და შიგნით შევიდა. ზუსტად ამ დროს ეკლესიაში მესა მიმდინარეობდა. იმ ეპოქაში რელიგია მკაცრად იდევნებოდა რეჟიმისაგან და ამიტომ ხალხი უმეტესად გვერდს უვლიდა ეკლესიას. სკამებზე მხოლოდ მოხუცებული ქალები და კაცები ისხდნენ, რომლებსაც რეჟიმი არ ანაღვლებდათ, მათ მხოლოდ სიკვდილის ეშინოდათ.

მღვდელმა წამღერებით წარმოთქვა ლოცვა და ხალხმა მისი სიტყვები გუნდურად გაიმეორა. ეს ლიტანია იყო. ერთი და იგივე სიტყვები ბრუნდებოდა, როგორც მოგზაური, რომელიც თვალს ვერ წყვეტს პეიზაჟს ან როგორც ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია, სიცოცხლეს შეელიოს. საბინა ეკლესიის ბოლოში გრძელ სკამზე იჯდა, ხანდახან თვალებს ხუჭავდა, რომ მხოლოდ სიტყვების მუსიკა გაეგონა და მერე ისევ ახელდა: მაღლა ცისფრად შეღებილ გუმბათზე დახატულ დიდ ოქროსფერ ვარსკვლავებს ხედავდა. მოჯადოებული იყო.

ის, რაც იმ ეკლესიაში იპოვა მოულოდნელად, ღმერთი კი არა, სილამაზე იყო. ამავე დროს კარგად ესმოდა, რომ ეს ეკლესია და ეს ლიტანია თავისთავად კი არ იყო ლამაზი, არამედ იმიტომ რომ ახალგაზრდულ მშენებლობას უკავშირდებოდა, სადაც დღეები სიმღერების გუგუნში ენაცვლებოდა ერთმანეთს. მესა მშვენიერი იყო, რადგან მოულოდნელად და საიდუმლოდ გამოეცხადა, როგორც განკიცხული სამყარო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ დროიდან მოყოლებული იცოდა, რომ სილამაზე განკიცხული სამყაროა, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეიძლება გადავეყაროთ, თუ მის მტრებს უცაბედად გადაავიწყდათ მისი არსებობა. სილამაზე საპირველმაისო მსვლელობის უკანაა დამალული. თუ მისი დანახვა გვინდა, დეკორაციის ტილო უნდა ჩამოვხიოთ.

– პირველად მხიბლავს ასე ტაძარი, – თქვა ფრანცმა.

მასში ამ აღფრთოვანებას არც პროტესტანტიზმი იწვევდა და არც ასკეტიზმი. ეს სხვა, ბევრად უფრო პირადული რამ იყო, რაზეც საბინასთან ლაპარაკს ვერ ბედავდა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც ხმა უბიძგებდა, ჰერკულესის ცოცხი აეღო და გაეხვეტა საკუთარი ცხოვრებიდან მარი-კლოდის ვერნისაჟები, მარი-ანის მომღერლები, კონგრესები და სიმპოზიუმები, ამაო საუბრები და სიტყვები. ამსტერდამის ტაძრის უზარმაზარი ცარიელი სივრცე საკუთარი განთავისუფლების ხატად მოევლინა.

ძალა

იმ უამრავი სასტუმროდან, სადაც ერთად გაუტარებიათ ღამეები, ერთ-ერთში საბინა ფრანცს მკლავებზე ეფერებოდა და თან ეუბნებოდა: – საოცარია, რა მაგარი კუნთები გაქვს!

ფრანცს ეს ქება დიდად ესიამოვნა. ლოგინიდან წამოდგა, მძიმე მუხის სკამის ფეხს სულ ძირში მოჰკიდა ხელი და ნელ-ნელა აწევა დაუწყო.

– არაფრის შეგეშინდეს, – უთხრა საბინას, – ნებისმიერ სიტუაციაში დაგიცავ, ერთ დროს ძიუდოში ვვარჯიშობდი.

როდესაც ხელი სკამიანად გამართა, საბინამ უთხრა: – მსიამოვნებს, ასეთი ძლიერი რომ ხარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავისთვის კი გაიფიქრა: ფრანცი ძლიერია, მაგრამ მისი ძალა მხოლოდ გარეთ არის მიმართული. იმათ მიმართ, ვინც უყვარს ან ვისთან ერთადაც ცხოვრობს, სუსტია. მის სისუსტეს სიკეთე ჰქვია. ფრანცი ვერასოდეს უბრძანებდა საბინას; ვერასოდეს გაბედავდა, ტომაშივით ებრძანებინა, ძირს დაედო სარკე და ზედ შიშველს ევლო. იმიტომ კი არა, რომ ფრანცი ვნებიანი არ იყო, უბრალოდ ბრძანების გასაცემად ძალა არ ჰყოფნიდა. არსებობს რაღაცეები, რის გაკეთებასაც ძალადობის გარეშე ვერ შეძლებ. ფიზიკური სიყვარული წარმოუდგენელია ძალადობის გარეშე.

საბინა უყურებდა ფრანცს, რომელიც მაღლა აწეული სკამით ოთახში დადიოდა. ეს სანახაობა გროტესკულად ეჩვენებოდა და რატომღაც სევდას ჰგვრიდა.

ფრანცმა სკამი საბინას წინ დადგა, ზედ ჩამოჯდა და თქვა:

– ძალიანაც მსიამოვნებს, რომ ღონიერი ვარ, უბრალოდ, რა საჭიროა ჟენევაში ამხელა კუნთები? მორთულობასავით ვატარებ, ფარშევანგის ბუმბულივით. ცხოვრებაში არავისთან არ მიჩხუბია.

საბინა ისევ მელანქოლიური ფიქრებით იყო გართული: რა მოხდებოდა, თავისი მამაკაცი მბრძანებლურად რომ მოპყრობოდა? მასზე ბატონობის სურვილი რომ გასჩენოდა? რამდენ ხანს მოუთმენდა? ალბათ, რამდენიმე წუთზე მეტს ვერა! ანუ საბინა ვერც ერთ კაცს ვერ შეეგუებოდა. ვერც ძლიერს, ვერც სუსტს.

მერე იკითხა: – ჩემთან რატომ არასოდეს არ იყენებ ძალას?

– იმიტომ, რომ სიყვარული ძალაზე უარის თქმას ნიშნავს, – ჩუმად თქვა ფრანცმა.

საბინა ორ რამეს მიხვდა: პირველი, რომ ეს პასუხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მშვენიერია და ჭეშმარიტი. მეორე, რომ ამ პასუხით ფრანცმა საბინას სექსუალურ ცხოვრებაში საკუთარი თავის დისკვალიფიკაცია მოახდინა.

სიმართლით ცხოვრება

კაფკამ ეს ფორმულა თავის დღიურში თუ რომელიღაც წერილში გამოიყენა, ფრანცს აღარ ახსოვს, კონკრეტულად სად, მაგრამ ძალიან მოეწონა. დააინტერესა ამ ფორმულამ. რას ნიშნავს სიმართლით ცხოვრება? უარყოფის გზით განმარტება ადვილია: ეს ნიშნავს – არ მოიტყუო, არ დაიმალო, არ გაასაიდუმლოო რამე. იმ დღიდან, რაც საბინა გაიცნო, ფრანცი ტყუილით ცხოვრობს. ცოლს უყვება არარსებული კონფერენციების შესახებ ამსტერდამში და ლექციების შესახებ მადრიდში და საბინასთან ერთად ჟენევის ქუჩებში გასეირნების ეშინია. ტყუილის თქმა და მალვა იმიტომაც მოსწონს, რომ აქამდე ეს არასდროს გაუკეთებია. ამიტომ ფრანცი სასიამოვნოდ აღგზნებულია, თითქოს პირველია კლასელებს შორის, რომელმაც როგორც იქნა გაბედა და სკოლა გააცდინა.

საბინასთვის სიმართლით ცხოვრება, არც საკუთარი თავისა და არც სხვების მოტყუება მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუ მაყურებლები არ გვყავს. როდესაც ჩვენს საქციელს ვინმე თვალყურს ადევნებს, გვინდა-არ გვინდა ვესადაგებით იმ თვალებს, რომლებიც გვაკვირდებიან და ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ტყუილია. მაყურებლის ყოლა და მაყურებელზე ფიქრი ტყუილით ცხოვრებას ნიშნავს. საბინა ზიზღით უყურებს ლიტერატურას, რომელშიც ავტორები, როგორც საკუთარ, ისე მეგობრების საიდუმლოს ამზე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ურებენ. საბინას აზრით, ადამიანი, რომელიც პირადულს კარგავს, ყველაფერს კარგავს, ხოლო ის, ვინც ამ პირადულს საკუთარი ნებით ამზეურებს, ნამდვილი მონსტრია. ამიტომ საბინა სულაც არ განიცდის, რომ საკუთარი სიყვარული უნდა მალოს. პირიქით, მხოლოდ ასე შეუძლია „სიმართლით ცხოვრება“.

ფრანცი კი დარწმუნებულია, რომ ყოველგვარი ტყუილის მიზეზი ცხოვრების პირად და საზოგადოებრივ სფეროებად დაყოფაა: ადამიანი ერთია პირად ცხოვრებაში და სხვაა საზოგადოების წინაშე. „სიმართლით ცხოვრება“ მისთვის პირადულსა და საზოგადოებრივს შორის ბარიერის დანგრევას ნიშნავს. უყვარს ხოლმე ანდრე ბრეტონის სიტყვების მოშველიება, რომ იმ „შუშის სახლში“ ცხოვრება უნდა, რომელშიც არაფერია დაფარული და რომლის შიგნით შეხედვაც ყველას შეუძლია.

როდესაც გაიგონა, როგორ ეუბნებოდა მისი ცოლი საბინას: „ეს სამკაული ხომ უშნოა!“ მიხვდა, რომ ტყუილით ცხოვრება აღარ შეუძლია. მაშინ საბინას უნდა გამოსარჩლებოდა, მაგრამ მათი გასაიდუმლოებული სიყვარულის გამჟღავნების შიშით ეს არ გააკეთა.

მეორე დღეს საბინასთან ერთად ორი დღით რომში მიფრინავდა. გამუდმებით ჩაესმოდა ყურში სიტყვები: „ეს სამკაული ხომ უშნოა!“ და თავის ცოლს ახლებურად, იმ მარიკლოდისგან განსხვავებულად აღიქვამდა, რომელსაც აქამდე იცნობდა. მისი შეუდრეკელი, ხმაურიანი და ტემპერამენტიანი აგრესიულობა ფრანცს იმ კეთილშობილების ტვირთისაგან ათავისუფლებდა, რომელსაც მათი ცოლქმრობის ოცდასამი წლის განმავლობაში მოთმინებით ატარებდა. ამსტერდამის ტაძრის უზარმაზარი სივრცე მოაგონდა და ისევ ის აუხსნელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღფრთოვანება იგრძნო, რომელიც მისმა სიცარიელემ აღუძრა.

ჩემოდანს ალაგებდა, როდესაც ოთახში მარი-კლოდი შევიდა; ლაპარაკობდა გუშინდელ სტუმრებზე, მათ ზოგიერთ შეხედულებას სრულიად ეთანხმებოდა, ზოგიერთს კი დაცინვით აკრიტიკებდა.

ფრანცი დიდხანს უყურებდა, შემდეგ კი უთხრა: – რომში არავითარი კონფერენცია არ ტარდება.

ცოლი ვერ მიხვდა: – მაშ რატომღა მიემგზავრები?

აუხსნა: – უკვე თითქმის ერთი წელია, საყვარელი მყავს. არ მინდა, მას ჟენევაში ვხვდებოდე, ამიტომაც ვმოგზაურობ ასე ხშირად. ვფიქრობ, ეს უნდა იცოდე.

თავისივე პირველივე სიტყვებმა ფრანცი შეაშინა და თავდაპირველმა გამბედაობამაც სწრაფად უღალატა. თვალები დახარა, რომ არ დაენახა მარი-კლოდის სასოწარკვეთილი გამომეტყველება, რომელიც წესით ამ სიტყვებს უნდა მოჰყოლოდა.

მცირე პაუზის შემდეგ მოისმა: – გეთანხმები, მეც ასე ვფიქრობ, ეს უნდა ვიცოდე.

მისი ხმა ძლიერად ჟღერდა, ფრანცმა აიხედა: მარი-კლოდი განადგურებული არ იყო. ისევ იმ ქალს ჰგავდა, რომელმაც გუშინ ხმამაღლა თქვა: „ეს სამკაული ხომ უშნოა!“

შემდეგ გააგრძელა: – რაკი ასეთი გაბედული ხარ და გამიმხილე, რომ თითქმის ერთი წელია მატყუებ, იქნებ ისიც მითხრა, ვისთან?

ყოველთვის უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ არ აქვს უფლება, მარი-კლოდს აწყენინოს და რომ მასში ქალს უნდა სცეს პატივი. მაგრამ სად გაქრა ის ქალი, რომელიც მარი-კლოდში არსებობდა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სად გაქრა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედის ის ხატი, რომელიც მას ცოლთან აკავშირებდა? დედამ, მისმა სევდიანმა და გულგატეხილმა დედიკომ, რომელსაც ფეხზე სხვადასხვა ფეხსაცმელი ეცვა, დატოვა მარი-კლოდი, თუმცა შეიძლება არც დაუტოვებია, რადგან არც არასოდეს ყოფილა მასში. ფრანცმა ეს მოულოდნელი სიძულვილით გააცნობიერა.

– არავითარი მიზეზი არ მაქვს, ეს დაგიმალო.

მიუხედავად იმისა, რომ ღალატს მარი-კლოდისთვის ტკივილი არ მიუყენებია, დარწმუნებული იყო, რომ მეტოქის ვინაობის გამჟღავნება მაინც ატკენდა გულს. ამიტომ პირდაპირ თვალებში უყურებდა და ისე უყვებოდა საბინაზე.

სულ ცოტა ხანში საბინას შეხვდა აეროპორტში. თვითმფრინავი მაღლა ადიოდა და ფრანცი სულ უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. გულში გაიფიქრა, რომ ცხრა თვის შემდეგ, როგორც იქნა, ისევ სიმართლით ცხოვრობს.

8

საბინას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფრანცმა ძალით შეამტვრია მისი ინტიმური სამყაროს კარი. და თითქოს უეცრად შიგნით მარი-კლოდმა, მარი-ანმა, მხატვარმა ალანმა და იმ მოქანდაკემ შემოყვეს თავი, რომელსაც სულ თავისი თითი ეჭირა, ყველა იმ ადამიანმა, ვისაც ჟენევაში იცნობდა. უნებლიეთ იმ ქალის მეტოქედ გადაიქცა, რომელიც სრულებით არ აინტერესებს. ფრანცი გაეყრება ცოლს და ცოლ-ქმრისათვის განკუთვნილ ფართო საწოლზე ადგილს მის გვერდით თვითონ დაიკავებს. ახლოდან თუ შორიდან ხალხი თვალს მიადევნებს ამ ყოველივეს და იძულებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნება, ყველას წინაშე ითვალთმაქცოს. იმის მაგივრად, რომ საბინა იყოს, მოუწევს, საბინას როლი ითამაშოს და იმაზეც იფიქროს, როგორ შეასრულოს ეს როლი. გამხელილი სიყვარული მძიმდება, უზომო ტვირთი ხდება. საბინა წინასწარ იკრუნჩხებოდა ამ ტვირთის წარმოდგენისას.

რომის ერთ-ერთ რესტორანში ვახშმობდნენ და თან ღვინოს სვამდნენ. საბინა ხმას არ იღებდა.

– მართლა არ ბრაზობ? – ჰკითხა ფრანცმა. საბინამ დაარწმუნა, არ ვბრაზობო. დაბნეული იყო და ვერ მიმხვდარიყო, უნდა გახარებოდა თუ არა. ახსენდებოდა თავიანთი შეხვედრა ამსტერდამის მატარებლის კუპეში. როგორ უნდოდა მაშინ, მუხლებზე დავარდნილიყო და ფრანცისთვის ეთხოვა, რომ არასოდეს მოეშორებინა გვერდიდან და არსად არ გაეშვა. ძალიან უნდოდა, რომ ბოლოს და ბოლოს საფრთხით აღსავსე ღალატის გზა დასრულებულიყო. გაჩერებას ნატრობდა.

ახლა ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტად გაეხსენებინა მაშინდელი ნატვრა, გაეცოცხლებინა, დაყრდნობოდა მას. ამაოდ. ფრანცისადმი მტრული განწყობა უფრო ძლიერი იყო.

მოსაღამოებულზე რომის ქუჩებს მიუყვებოდნენ სასტუმროსაკენ. ირგვლივ იტალიელები ხმაურობდნენ, ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ, ამიტომაც შეეძლოთ, უსიტყვოდ ევლოთ გვერდიგვერდ ისე, რომ ერთმანეთის დუმილიც კი ვერ შეემჩნიათ.

შემდეგ საბინა დიდხანს ბანაობდა და ფრანცი ლოგინში ელოდებოდა. ღამის ნათურა, როგორც ყოველთვის, ანთებული იყო.

აბაზანიდან გამოსულმა საბინამ ნათურა ჩააქრო. ასე პირველად მოიქცა და ფრანცს ეს უნდა შეემჩნია, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია, რადგან სინათლეს მისთვის არავი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როგორც ვიცით, სექსის დროს ყოველთვის თვალებს ხუჭავდა.

სწორედ ამ დახუჭული თვალების გამო ჩააქრო საბინამ სინათლე. საერთოდ აღარ უნდოდა ამ დაშვებული ქუთუთოების დანახვა. თვალები, როგორც ამბობენ, სულის ფანჯარაა. ფრანცის სხეული, რომელიც ზევიდან მოექცეოდა ხოლმე და დახუჭული თვალებით რიტმულად მოძრაობდა, საბინასათვის იყო სხეული სულის გარეშე. ფრანცი ახალშობილ ცხოველს ჰგავდა, რომელსაც ჯერ არ ახელია თვალები და მშიერი, უსუსურ ხმებს გამოსცემს. საბინათი ტკბობისას დაკუნთული ფრანცი მის მკერდს დაწაფებულ უზარმაზარ ლეკვს ჰგავდა. და მართლაც, მისი კერტი პირში ისე ედო, თითქოს ძუძუს წოვდა! იმის წარმოდგენისას, რომ ფრანცი წელს ქვევით ზრდასრული მამაკაცია და წელს ზევით ჩვილი, რომელიც ძუძუს წოვს, ანუ, რომ სექსი ძუძუმწოვარა ბავშვთან აქვს, საბინას ზიზღი ეუფლებოდა. მორჩა, აღარ უნდა ზემოდან მოქცეული ფრანცის განწირული მოძრაობების ყურება, აღარასოდეს მიუშვერს ძუძუს, როგორც დედალი ძაღლი თავის ლეკვს, დღეს ეს უკანასკნელად ხდება, ამ გადაწყვეტილებას ველარაფერი შეცვლის!

კარგად ესმოდა, რომ მისი ეს გადაწყვეტილება უსამართლო იყო, რომ ფრანცი იმ მამაკაცებს შორის, რომლებიც კი ოდესმე ჰყვარებია, საუკეთესოა: ჭკვიანია, ესმის მისი მხატვრობა, ლამაზი და კეთილია, მაგრამ რაც უფრო მეტად აცნობიერებდა ამას, მით დიდი იყო სურვილი, გაეუპატიურებინა ეს ჭკუა, ეს კეთილშობილება, გაეუპატიურებინა ეს უსუსური ძალა.

იმ ღამეს განსაკუთრებით ვნებიანი იყო, რადგან შეგრძნება, რომ ეს უკანასკნელად ხდებოდა, საოცრად აღაგზნებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერწყმოდა ფრანცს, მაგრამ უკვე სადღაც შორს იყო. ისევ მოესმოდა შორიდან ღალატის ოქროს საყვირის ხმა და იცოდა, რომ ამ ხმის წინაშე სრულიად უძლური იყო. ეჩვენებოდა, რომ წინ თავისუფლების უსასრულო სივრცე იშლებოდა. ამ სივრცის უკიდეგანობა აღაგზნებდა. ფრანცს ისე გაშმაგებით ერწყმოდა, როგორც არასდროს.

საბინას სხეულს ზევიდან მოქცეული ფრანცი ხვნეშოდა და ეგონა, რომ ყველაფერი ესმის: ვახშმობისას საბინას ხმა არ ამოუღია და არ უთქვამს, რას ფიქრობს ფრანცის გადაწყვეტილებაზე, სამაგიეროდ პასუხს ახლა აძლევს. ამცნობს თავის სიხარულს, თავის ვნებას, თავის თანხმობას, თავის სურვილს – სამუდამოდ მასთან იყოს.

თავი წარმოედგინა მხედრად, რომელიც ცხენზე ამხედრებული საუცხოო სიცარიელისაკენ მიექანება, სადაც არც ცოლია, არც შვილი, არც ოჯახი, მომხიბლავი სიცარიელისაკენ, რომელიც ჰერკულესის ცოცხმა გამოგავა, მომხიბლავი სიცარიელისკენ, რომელსაც თავისი სიყვარულით აავსებს.

ერთმანეთს ცხენებივით მიაჭენებდნენ და ორივე თავთავისი ოცნებისკენ მიქროდა. ორივე მთვრალი იყო ღალატით, რომელმაც მათ თავისუფლება მოუტანა. ფრანცი მიაჭენებდა საბინას და ცოლს ღალატობდა, საბინა მიაჭენებდა ფრანცს და მასვე ღალატობდა.

9

ოც წელიწადზე მეტხანს თავის ცოლში დედას ხედავდა, სუსტ არსებას, რომელიც უნდა დაეცვა; ეს აზრი იმდენად იყო მის არსებაში ფესვგადგმული, რომ ორ დღეში მის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გან განთავისუფლება ფრანცს არ შეეძლო. როდესაც სახლში ბრუნდებოდა, სინდისი ქენჯნიდა, ეშინოდა, რომ მისი გამგზავრების შემდეგ მარი-კლოდი სასოწარკვეთამ შეიპყრო და ახლა მწუხარებით გატანჯულს იხილავდა. ფრთხილად გააღო კარი და თავის ოთახში შევიდა. სმენად ქცეული, გაუნძრევლად იდგა: კი, მარი-კლოდი შინ იყო. ცოტა ხნის ორჭოფობის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მისასალმებლად გაეშურა.

ცოლმა წარბები ასწია ყალბი გაკვირვების გამოსახატავად: – აქ მოხვედი?

„აბა სად უნდა წავსულიყავი?“ – უნდოდა ეკითხა ფრანცს (გულწრფელი გაკვირვებით), მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

მარი-კლოდმა განაგრძო: – მოდი ყველაფერი გავარკვიოთ. წინააღმდეგი არ ვარ, რომ ახლავე გადახვიდე მასთან.

როდესაც გამგზავრების დღეს ყველაფერში გამოუტყდა, ფრანცს მოქმედების არავითარი გეგმა არ ჰქონია. უნდოდა, დაბრუნებისთანავე მარი-კლოდს მეგობრულად დალაპარაკებოდა თავიანთ საქმეზე და ამით შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა მისთვის ტკივილი. აზრად არ მოსვლია, რომ მარი-კლოდი თვითონვე გულგრილად მოითხოვდა მის წასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მდგომარეობას უმსუბუქებდა, მაინც იგრძნო იმედის გაცრუება. მთელი ცხოვრება ეშინოდა, ტკივილი არ მიეყენებინა მარი-კლოდისთვის და ამიტომ საკუთარი ნებით ემორჩილებოდა დამაჩლუნგებელი მონოგამიის წესებს. ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, ირკვევა, რომ მისი თავგანწირვა სრულიად ზედმეტი იყო და სხვა ქალებზე უარი მხოლოდ გაუგებრობის გამო უთქვამს!

ნაშუადღევს ლექცია ჰქონდა, მერე კი პირდაპირ საბინასთან წავიდა. უნდოდა, ეთხოვა, ღამე შენთან დავრჩებიო. ზარი დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ქუჩის მეორე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხარეს რესტორანში შევიდა და საბინას სახლის შესასვლელს დიდხანს გასცქეროდა.

უკვე გვიან იყო და არ იცოდა, რა ექნა. მთელი ცხოვრება მარი-კლოდის გვერდით გაატარა. ახლა სახლში რომ დაბრუნდეს, სად უნდა დაწვეს? რა თქმა უნდა, შეეძლო გვერდით ოთახში დივანზე დაეძინა, მაგრამ მეტისმეტად დემონსტრაციული ჟესტი ხომ არ იქნებოდა ეს? ან მტრული დამოკიდებულების მაჩვენებელი? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა, რომ მარი-კლოდთან მომავალშიც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს! თუმცა მის გვერდით დაწოლაც ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა. ჩაესმოდა კიდეც მისი ირონიული შეკითხვა, საბინას საწოლში რატომ არ გირჩევნია ღამის გატარებაო. ამიტომ სასტუმროში იქირავა ოთახი.

მთელი მეორე დღეც ამაოდ რეკავდა საბინას კარზე ზარს.

მესამე დღეს კონსიერჟთან მივიდა. საბინაზე არც მან იცოდა არაფერი და სახლის მეპატრონესთან გააგზავნა, რომელმაც საბინას ეს სახელოსნო მიაქირავა. დაურეკა მას და გაიგო, რომ საბინა, მესამე დღეა, სახელოსნოს აღარ ქირაობს.

საბინას ნახვის იმედით კიდევ რამდენიმე დღეს დადიოდა მის სახელოსნოში. ერთ მშვენიერ დღეს კი კარი ღია დახვდა. ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი სამი მუშა ავეჯსა და ნახატებს სახლის წინ გაჩერებულ სატვირთო მანქანაში ტვირთავდა.

ფრანცმა იკითხა, ავეჯი სად მიგაქვთო.

მუშებმა აუხსნეს, მკაცრად გვაქვს ნაბრძანები, მისამართი საიდუმლოდ შევინახოთო.

ის იყო, მისამართის გასაგებად მუშებისთვის ფული უნდა მიეცა, რომ მოულოდნელად იგრძნო: ამის გაკეთების ძალაც კი აღარ შერჩა. მწუხარებით ძალაგამოცლილი იყო. არაფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ ესმოდა, ვერაფერი აეხსნა საკუთარი თავისათვის, ერთი ის იცოდა, რომ ამას საბინას გაცნობის პირველივე წამიდან მოელოდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ფრანცი არ ეწინააღმდეგებოდა ბედს.

ქალაქის ძველ ნაწილში პატარა ბინა მოძებნა. როდესაც, წესით, არც ცოლი და არც ქალიშვილი შინ არ უნდა ყოფილიყვნენ, თავის ყოფილ ბინაში ტანსაცმლისა და ყველაზე საჭირო წიგნების წამოსაღებად მივიდა. ფრთხილობდა, რამე ისეთი არ აელო, რაც შეიძლებოდა მარი-კლოდს დაჰკლებოდა.

ერთხელ კაფეში მარი-კლოდს მოჰკრა თვალი. ორ ქალბატონთან ერთად იჯდა, სახეზე, რომელსაც მოჭარბებულმა მიმიკამ უკვე დიდი ხანია ღრმა ნაოჭები დააჩნია, აგზნება ეწერა. ქალბატონები უსმენდნენ და განუწყვეტლივ იცინოდნენ. ფრანცი ვერ იშორებდა შეგრძნებას, რომ მეგობრებს მასზე ელაპარაკებოდა. ცხადია, შეიტყობდა, რომ საბინა ზუსტად მაშინ გაემგზავრა ჟენევიდან, როცა ფრანცმა მასთან ერთად ცხოვრება გადაწყვიტა. მართლაც სასაცილო იყო! ფრანცს სულაც არ გაუკვირდებოდა, რომ ცოლის მეგობრებისთვის გართობის საგნად ქცეულიყო.

თავის ახალ ბინაში დაბრუნდა, სადაც ყოველ ერთ საათში სენ-პიერის ტაძრის ზარების რეკვა ისმოდა. ზუსტად ამ დღეს მოუტანეს მაღაზიიდან ახალი მაგიდა. გადაავიწყდა მარი-კლოდი და მისი მეგობრები. ცოტა ხნით საბინაც კი დაავიწყდა. მაგიდას მიუჯდა და უხაროდა, რომ თავისი ამორჩეული იყო. მთელი რვი წელი იცხოვრა იმ ავეჯით გარშემორტყმულმა, რომელიც თვითონ არ აურჩევია, ყველაფერს ხომ მარი-კლოდი განაგებდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ პატარა ბიჭად აღარ გრძნობდა თავს და დამოუკიდებელი იყო. მეორე დღისთვის დურგალი ჰყავდა დაბარებული, რომელსაც წიგნის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თაროები უნდა გაეკეთებინა: ბოლო რამდენიმე კვირა მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ თაროების ნიმუშებს ხაზავდა, ზომას ადგენდა და ფიქრობდა, სად დაედგა ისინი.

ამ დროს გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ სულაც არ გრძნობს თავს უბედურად. საბინასთან ფიზიკური სიახლოვე იმაზე უმნიშვნელო აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ის ოქროს კვალი, ჯადოსნური კვალი, რომელიც მის ცხოვრებაში დატოვა და რომელსაც ველარავინ წაშლის. სანამ მისი ცხოვრებიდან გაქრებოდა, საბინამ მოახერხა და ფრანცს ჰერკულესის ცოცხი შეაჩეჩა ხელში, რომლითაც ყველაფერი, რაც არ უყვარდა, თავისი ცხოვრებიდან გახვეტა. მოულოდნელი ბედნიერება, სიმყუდროვე, თავისუფლებით და ახალი ცხოვრებით ტკბობა – ეს ყველაფერი საბინას საჩუქარი იყო.

როგორც ყოველთვის, ფრანცი ყოველივე რეალურს არარეალურს არჩევდა. რამდენადაც უკეთესად გრძნობდა თავს ქუჩის მსვლელობებში (რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ თეატრი და სიზმარია), ვიდრე კათედრასთან, საიდანაც სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა, იმდენადვე უფრო ბედნიერი იყო იმ საბინასთან, რომელიც უხილავ ღვთაებად გადაიქცა, ვიდრე იმ საბინასთან, რომელთან ერთადაც მსოფლიო შემოიარა და რომლის სიყვარულსაც გამუდმებით დაჰკანკალებდა. მოულოდნელად საბინამ თავისუფლება აჩუქა, მარტოხელა მამაკაცის თავისუფლება და ამით მომხიბვლელობის შარავანდედით შემოსა. ქალებს იზიდავდა, თავის ერთ სტუდენტს შეუყვარდა კიდეც.

და ასე, საოცრად მოკლე დროში, მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. სულ ცოტა ხნის წინ დიდ მეშჩანურ ბინაში მოსამსახურესთან, ქალიშვილთან და ცოლთან ერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თად ცხოვრობდა, ახლა კი ძველი ქალაქის ერთ პატარა ბინაში ცხოვრობს და თითქმის ყოველ ღამეს ახალგაზრდა საყვარელთან ატარებს. აღარ სჭირდება მასთან ერთად მთელი მსოფლიოს სასტუმროების მოვლა, საყვარელთან ყოფნა საკუთარ ბინაშიც შეუძლია, საკუთარ ლოგინში, საკუთარი წიგნებისა და საფერფლის გარემოცვაში.

გოგონას არც ლამაზი ეთქმოდა, არც უშნო, სამაგიეროდ ფრანცზე ბევრად ახალგაზრდა იყო! და ფრანცით ისე იყო მოხიბლული, როგორც სულ ცოტა ხნის წინ ფრანცი საბინათი. ფრანცს ეს არ აწუხებდა. და თუ საბინას ჩანაცვლება სათვალიანი სტუდენტით, შეეძლო, გარკვეულწილად უზნეობად ჩაეთვალა, თავისი გულკეთილობის წყალობით ახალი საყვარლის მიმართ სინაზითა და მამობრივი სიყვარულით განიმსჭვალა, სიყვარულით, რომლის სრულად დაკმაყოფილება აქამდე ვერ შეძლო, რადგან მარი-ანი შვილივით კი არა, მეორე მარი-კლოდივით იქცეოდა ხოლმე.

ერთხელ ფრანცი მარი-კლოდს ესტუმრა და უთხრა, ცოლის შერთვას ვაპირებო.

მარი-კლოდმა თავი გააქნია.

– ჩვენი გაყრით ხომ არაფერი შეიცვლება! არაფერს არ დაკარგავ, მთელ ქონებას შენ დაგიტოვებ!

– ქონებას ჩემთვის მთავარი არ არის.

– აბა რა არის შენთვის მთავარი?

– სიყვარული, – გაიღიმა მარი-კლოდმა.

– სიყვარული? – გაიკვირვა ფრანცმა.

– სიყვარული ბრძოლაა, – ღიმილით განაგრძო მარი-კლოდმა. – დიდხანს ვიბრძოლებ, სულ ბოლომდე.

– სიყვარული ბრძოლაა? სულაც არ მინდა, ვიბრძოლო, – თქვა ფრანცმა და წავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჟენევაში გატარებული ოთხი წლის შემდეგ საბინა ახლა პარიზში ცხოვრობდა და ნაღველს ვერ ერეოდა. ვინმეს რომ ეკითხა, რა დაგემართაო, ასახსნელად სიტყვებს ვერ იპოვიდა.

ცხოვრებისეული დრამა ყოველთვის შეიძლება სიმძიმის მეტაფორით გამოვხატოთ. ვამბობთ ხოლმე, ადამიანს ტვირთი დააწვაო. ადამიანი ამ ტვირთს ან ერევა, ან ვერა, ეცემა ამ სიმძიმის გამო, ეჭიდავება მას, იმარჯვებს ან მარცხდება. კი, მაგრამ საბინას რაღა დაემართა? არაფერი. მიატოვა მამაკაცი იმიტომ, რომ მისი მიტოვება უნდოდა. არ ასვენებს ის მამაკაცი? შურს იძიებს მასზე? რა თქმა უნდა, არა. მისი დრამის არსი სიმძიმეში კი არა, სიმსუბუქეშია. საბინას ტვირთი კი არ დააწვა, არამედ ყოფის აუტანელი სიმსუბუქე.

აქამდე ღალატი მას აღაგზნებდა და სიხარულით ავსებდა, რადგან გრძნობდა, რომ მის წინ ახალი გზა მოჩანდა, ამ გზის ბოლოს კი – ახალი ღალატი. რა მოხდება, თუ ეს გზა ერთხელაც დასრულდა? ადამიანს შეუძლია უღალატოს მშობლებს, ქმარს, სიყვარულს, სამშობლოს, მაგრამ როცა აღარც მშობლები არიან, აღარც ქმარია, აღარც სიყვარული, აღარც სამშობლო, რაღას უნდა უღალატოს?

საბინა ირგვლივ მხოლოდ სიცარიელეს ხედავდა. ნუთუ სწორედ ეს სიცარიელე იყო ყველა მისი ღალატის მიზანი?

აქამდე ამას ვერ აცნობიერებდა და ეს გასაგებიცაა: ადამიანის მიზნები ყოველთვის დაფარულია. გათხოვებაზე მეოცნებე გოგონა იმაზე ოცნებობს, რაც მისთვის იდუმალებითაა მოცული. ყმაწვილმა, რომელსაც უნდა ცნობილი ადამიანი გახდეს, არც კი იცის, რას ნიშნავს იყო ცნობილი ადამიანი. ჩვენთვის სრულიად უცნობია ნებისმიერი ჩვენი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საქციელის მიზეზი. არც საბინამ იცოდა, რა მიზანი ჰქონდა ღალატისკენ მის ლტოლვას. ნუთუ ყოფის აუტანელი სიმსუბუქე? ჟენევიდან გამგზავრების შემდეგ ამ მიზანს საგრძნობლად მიუახლოვდა.

პარიზში უკვე სამი წელი ცხოვრობდა, როდესაც ჩეხეთიდან წერილი მიიღო. წერილი ტომაშის შვილისგან იყო. როგორღაც გაეგო საბინას მისამართი და სწერდა, როგორც მამის „ყველაზე უახლოეს მეგობარს". ტომაშისა და ტერეზას სიკვდილს ატყობინებდა. თურმე ბოლო წლებში სოფელში ცხოვრობდნენ, სადაც ტომაში სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა. დროგამოშვებით მეზობელ პატარა ქალაქში დადიოდნენ, სადაც ერთ იაფ სასტუმროში ათევდნენ ღამეს. ქალაქისკენ მიმავალი გზა გორაკებს შორის მიიკლაკნებოდა და სატვირთო მანქანა ფერდობიდან გადავარდა. ისინი სრულიად დასახიჩრდნენ. პოლიციამ ისიც დაადგინა, რომ მანქანის მუხრუჭები საშინელ მდგომარეობაში იყო.

საბინაზე ამ ცნობამ ძალიან იმოქმედა. წარსულთან დამაკავშირებელი ეს უკანასკნელი ძაფიც გაწყდა.

ძველი ჩვეულებისამებრ, დასამშვიდებლად სასაფლაოზე გასეირნება მოუნდა. ყველაზე ახლოს მონპარნასის სასაფლაო იყო. სასაფლაოზე პატარა სახლები იდგა – ყოველ საფლავზე პატარა სამლოცველო აღემართათ. საბინა ვერ ხვდებოდა, რაში სჭირდებათ გარდაცვლილებს ეს პატარა სასახლეები. სასაფლაო, არსებითად, ქვად ქცეული პატივმოყვარეობა იყო. სასაფლაოს მკვიდრნი სიკვდილის შემდეგ კი არ დაჭკვიანებულიყვნენ, პირიქით, იმაზე უგუნურნი ჩანდნენ, ვიდრე სიცოცხლეში იყვნენ. ქანდაკებებით თავის მნიშვნელობას გვიჩვენებდნენ. აქ მამები, ძმები, შვილები ან ბებიები კი არ ესვენნენ, არამედ თანამდებობის პირები და საზოგადოებრივი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოღვაწეები, წოდებების, ხარისხებისა და ჯილდოების მქონენი. ფოსტის მოხელეც კი ცდილობდა, ყველასთვის ეჩვენებინა თავისი მდგომარეობა და მნიშვნელობა – თავისი ღირსება.

საბინა სასაფლაოს ხეივანს რომ მიუყვებოდა, შეკრებილი ხალხი დაინახა. ვიღაცას ასაფლავებდნენ. ცერემონმაისტერს ყვავილების დიდი თაიგული ეჭირა და ყოველ მიმსვლელს თითო ყვავილს აძლევდა. ერთი საბინასაც მიაწოდა. საბინა პროცესიას შეუერთდა. რამდენიმე ქანდაკებას ჩაუარეს და თავახდილ საფლავს მიადგნენ. იქვე საფლავის ქვა იდო. საბინა საფლავზე გადაიხარა. ძალიან ღრმა იყო. ყვავილს ხელი გაუშვა და ის ფრიალით დაეშვა კუბოზე. ჩეხეთში საფლავები ასეთი ღრმა არ არის. პარიზში კი საფლავები ისეთივე ღრმაა, როგორი მაღალიცაა სახლები. საბინამ გადახდილ საფლავის ქვას ჰკიდა მზერა. ქვამ ისეთი თავზარი დასცა, რომ სასწრაფოდ სახლში დაბრუნდა.

მთელი დღე იმ ქვაზე ფიქრობდა. რამ შეაშინა ასე ძალიან?

სცადა, ასე აეხსნა საკუთარ თავისთვის: თუკი საფლავს ქვა ადევს, მკვდარი იქიდან ვეღარასდროს გამოაღწევს.

მკვდარი ხომ იქიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოაღწევს! მაშ სულერთი არ არის, მხოლოდ მიწა აყრია თუ ქვაც ადევს?

არა, არ არის: როდესაც საფლავს ქვას დავადებთ, ეს იმის ნიშანია, რომ არ გვინდა, მკვდარი დაბრუნდეს. მძიმე ქვა მკვდარს ეუბნება: „დარჩი იქ, სადაც ხარ!“

საბინას მამის საფლავი გაახსენდა. მის კუბოს მიწა აყრია, მიწიდან კი იზრდება ყვავილები და ნეკერჩხალი, რომელიც თავის ფესვებს კუბოსკენ იწვდის. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მკვდარი ამ ყვავილებისა და ფესვების საშუალებით საფლავიდან გარეთ აღწევს. მამის საფლავზე ქვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ყოფილიყო, მისი გარდაცვალების შემდეგ საბინა ველარასოდეს შეძლებდა მასთან ლაპარაკს, ნეკერჩხლის ვარჯში ველარასოდეს გაიგონებდა მის ხმას, რომელიც საბინას ყველაფერს პატიობდა.

საინტერესოა, როგორ გამოიყურება სასაფლაო, სადაც ტომაში და საბინა წვანან?

საბინა ისევ მათზე ფიქრობდა. მეზობელ პატარა ქალაქში დადიოდნენ ხოლმე, სადაც სასტუმროში ათევდნენ ღამეს. წერილში განსაკუთრებით ამან დააინტერესა, რადგან ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ბედნიერები იყვნენ. თვალწინ ტომაში წარმოუდგა, როგორც თავისი ერთ-ერთი ტილო: წინ დონ ჟუანია გამოსახული – პრიმიტივისტი მხატვრის ყალბი დეკორაცია; დეკორაციის ბზარიდან კი ტრისტანი მოჩანს. ტომაში ტრისტანივით მოკვდა და არა დონ ჟუანივით. საბინას მშობლების გარდაცვალების თარიღებს ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე დღე აშორებდა, ტომაში და ტერეზა ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ. მოულოდნელად ფრანცი მოენატრა.

ერთხელ საბინა სასაფლაოებზე სეირნობის შესახებ უყვებოდა ფრანცს. ფრანცს ზიზღით გააჟრჟოლა და სასაფლაოს ძვლებისა და ქვების ნაგავსაყრელი უწოდა. სწორედ ასეთ შემთხვევებში ჩნდებოდა მათ შორის ვერგაგების უფსკრული. მხოლოდ მონპარნასის სასაფლაოზე მიხვდა საბინა, რის თქმა უნდოდა ფრანცს. გული დასწყდა, რომ ასეთი სულსწრაფობა გამოიჩინა. შეიძლება, ცოტა მეტხანს რომ დარჩენილიყვნენ ერთად, ნელ-ნელა უკეთ გაეგოთ ერთმანეთის ნათქვამი. მათი სიტყვები მორცხვი შეყვარებულებივით მიუახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ერთის მუსიკა მეორისას შეერწყმებოდა. მაგრამ უკვე გვიანია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართლაც, უკვე გვიანია და საბინამ იცის, რომ პარიზში არ დარჩება საცხოვრებლად, გააგრძელებს გზას, წავა შორს, რადგან აქ თუ მოკვდა, ქვას დაადებენ, იმ ქალისთვის კი, რომელიც დიდხანს ვერსად ჩერდება, აუტანელია იმის წარმოდგენა, რომ ერთხელაც მისი გაქცევა დასრულდება.

II

ფრანცის ყველა მეგობარმა იცოდა მარი-კლოდზე, იცოდნენ დიდსათვალიან სტუდენტზეც. მხოლოდ საბინაზე არავინ იცოდა არაფერი. ფრანცი ცდებოდა, როდესაც ეგონა, რომ მისი ცოლი თავის მეგობრებს საბინაზე უყვებოდა. საბინა ლამაზი ქალი იყო და მარი-კლოდს არ უნდოდა, რომ ისინი ვინმეს ერთმანეთისთვის შეედარებინა.

საიდუმლოს გამჟღავნების შიშით ფრანცს საბინასთვის არც ნახატი უთხოვია როდისმე და არც ფოტო გამოურთმევია. ასე რომ, საბინა უკვალოდ გაქრა მისი ცხოვრებიდან. მასთან გატარებული უბედნიერესი ერთი წლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულება არ არსებობდა.

მით უფრო მოსწონდა ფრანცს საბინასადმი ერთგულება.

როდესაც ფრანცის ბინაში არიან, მისი ახალგაზრდა საყვარელი წიგნს თვალს მოაშორებს ხოლმე, გამომცდელად შეხედავს და ეკითხება: – რაზე ფიქრობ?

ფრანცი სავარძელში ზის და თვალები ჭერისკენ აქვს აპყრობილი. რაც უნდა უპასუხოს, ერთი რამ ცხადია: საბინაზე ფიქრობს.

როდესაც სამეცნიერო ჟურნალში ფრანცის ახალი ნაშრომი იბეჭდება, ეს სტუდენტი გოგონა მისი პირველი მკითხვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლია და ფრანცთან ამ ნაშრომზე საუბარი სწყურია. მაგრამ ფრანცი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორი იქნებოდა საბინას შეფასება. ყველაფერს, რასაც აკეთებს, საბინასთვის აკეთებს და ისე აკეთებს, რომ საბინას მოეწონოს.

ეს ყოვლად უწყინარი ღალატია და სრულიად შეესაბამება ფრანცის ხასიათს, რომელიც ვერასდროს ატკენდა გულს თავის სათვალიან სტუდენტს. საბინას კულტი, რომელსაც ფრანცი ელოლიავება, უფრო რელიგიას ჰგავს, ვიდრე სიყვარულს.

სხვათა შორის, ამ სარწმუნოების თეოლოგიიდან გამომდინარეობს, რომ ფრანცის ახალგაზრდა საყვარელი საბინას გამოგზავნილია. სწორედ ამიტომ მის მიწიერ და არამიწიერ სიყვარულს შორის სრული თანხმობა სუფევს. ფრანცის არამიწიერი სიყვარული (რადგან არამიწიერია) უამრავ აუხსნელსა და გაუგებარს შეიცავს (გავიხსენოთ ვერგაგებული სიტყვების ლექსიკონი, გაუგებრობების გრძელი სია!), მიწიერი სიყვარული კი სრულ ურთიერთგაგებას ეფუძნება.

სტუდენტი საბინაზე ბევრად უმცროსია, მისი ცხოვრების მუსიკალური ნაწარმოები ჯერ მხოლოდ მონახაზია, რომელსაც ფრანცისგან ნასესხებ მოტივებს მადლიერებით ურთავს. ფრანცის ცხოვრების „დიდი მსვლელობა“ მისი რელიგიაა. მუსიკა მისთვისაც ისეთივე დიონისური თრობაა, როგორიც ფრანცისთვის. ერთად დადიან საცეკვაოდ, ცხოვრობენ სიმართლით, მათი ცხოვრება არავისგან არ არის დამალული. მეგობრებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთან და უბრალოდ უცნობ ხალხთან ურთიერთობას ესწრაფვიან, სიამოვნებით სვამენ, საუბრობენ და ატარებენ მათთან ერთად დროს. ხშირად ალპებში მიდიან ექსკურსიაზე. ფრანცი იხრება, გოგო ზურგზე ახტება და ფრანცი მას მინდორში მიარბენინებს, თან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხმამაღლა გაჰყვირის გრძელ გერმანულ ლექსს, რომელიც ბავშვობაში დედამ ასწავლა. გოგო იცინის, ძლიერად ეხვევა კისერზე და მისი მხრებით, ფეხებითა და ძლიერი ფილტვებით აღფრთოვანებას ვერ მალავს.

თუმცა გოგონა ვერ ამჩნევს რუსული იმპერიის მიერ ოკუპირებული ერთი ქვეყნისადმი ფრანცის განსაკუთრებულ სიმპათიას. ოკუპაციის წლისთავს ჩეხი ემიგრანტების საზოგადოებამ ჟენევაში პატარა შეხვედრა მიუძღვნა. დარბაზში ძალიან ცოტა დამსწრე იყო. გამომსვლელს დალაქის მიერ დატალღული ჭაღარა თმა ლამაზად აქვს დაწყობილი. ის იმდენ ხანს ლაპარაკობს, რომ იქ მისულ რამდენიმე ენთუზიასტსაც კი მოწყენილობა ეუფლება. მიუხედავად საშინელი აქცენტისა, ფრანგულად უშეცდომოდ ლაპარაკობს. ზოგჯერ გამოთქმული აზრის ხაზგასასმელად, თითქოს დარბაზში მყოფებს ემუქრებაო, საჩვენებელ თითს სწევს მაღლა.

სათვალიანი გოგო ფრანცის გვერდით ზის და მთქნარებას ვერ იკავებს. სამაგიეროდ ფრანცი ბედნიერად იღიმება. უყურებს ჭაღარა მამაკაცს, რომელიც, მიუხედავად მისი უაზრო საჩვენებელი თითისა, ესიმპათიურება. ეჩვენება, რომ ეს კაცი საიდუმლო დესპანია, ანგელოზი, რომელიც მას თავის ღვთაებასთან აკავშირებს. ხუჭავს თვალებს და ოცნებობს. ისე ხუჭავს, როგორც საბინას სხეულზე დაწოლილი ხუჭავდა ევროპის თხუთმეტ და ამერიკის ერთ სასტუმროში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეოთხე ნაწილი

სული და სხეული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

ტერეზა ღამის ორის ნახევარზე დაბრუნდა შინ, აბაზანაში შევიდა, პიჟამა ჩაიცვა და ტომაშს გვერდით მიუწვა. ტომაშს ეძინა. საკოცნელად გადაიხარა მისკენ და რომ აკოცა, მისი თმებიდან უცნაური სუნი ეცა. კიდევ რამდენჯერმე დაყნოსა, ძალლივით და ბოლოს მიხვდა: ეს ქალის საშოს სუნი იყო.

ექვს საათზე მაღვიძარამ დარეკა და კარენინის დროც მოვიდა. კარენინი ტერეზასა და ტომაშზე ადრე იღვიძებდა, მაგრამ მათ შეწუხებას ვერ ბედავდა. მოუთმენლად ელოდებოდა მაღვიძარას ზარს, რომელიც ლოგინზე შეხტომის უფლებას აძლევდა. დააბიჯებდა მათ სხეულებზე და ელაქუცებოდა. ადრე ცდილობდნენ, მისთვის ლოგინზე ამოხტომა დაეშალათ და აგდებდნენ ხოლმე, მაგრამ კარენინი მათზე ჯიუტი აღმოჩნდა და თავისი გაიტანა. სხვათა შორის, ტერეზამ ბოლო დროს აღმოაჩინა, რომ კარენინის ასეთი მისალმებით დღის დაწყება სასიამოვნოც კი იყო. კარენინისათვის გაღვიძება დიდი ბედნიერება იყო: გულუბრყვილოდ უკვირდა, რომ ისევ ამ ქვეყნადაა და ეს გულწრფელად ახარებდა. ტერეზას, პირიქით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაღვიძება არავითარ სიხარულს არ ანიჭებდა. უნდოდა, ღამე მეტხანს გაგრძელებულიყო და თვალები არ გაეხილა.

ახლა კარენინი შემოსასვლელში პალტოების საკიდთან იდგა და კაუჭზე ჩამოკიდებულ საყელურსა და სადრუნჩეს შეჰყურებდა. ტერეზამ საყელური გაუკეთა და ერთად წავიდნენ მაღაზიაში. ტერეზამ იყიდა რძე, პური, კარაქი და როგორც ყოველთვის, ერთი როხლიკი[6] კარენინისათვის. კარენინს პირში როხლიკი ეჭირა და ტერეზას კმაყოფილი მიჰყვებოდა გვერდით. ამაყად იყურებოდა აქეთ-იქით, ძალიან მოსწონდა, რომ გამვლელები ყურადღებას აქცევდნენ და ერთმანეთს თითით ანიშნებენ მასზე. სახლში კი ისევ იმ როხლიკით პირში, საძინებლის ზღურბლზე წამოწოლილი, ელოდებოდა, როდის შეამჩნევდა მას ტომაში და ღრენით დაიკუზებოდა მისკენ, თითქოს როხლიკის წართმევას უპირებსო. შემდეგ ტომაში ხუთიოდე წუთი დასდევდა ბინაში, სანამ კარენინი მაგიდის ქვეშ არ შეძვრებოდა და სასწრაფოდ არ შეჭამდა თავის როხლიკს. ყოველი დილა ასე იწყებოდა.

ამჯერად კარენინი ტყუილად ელოდა დილის ცერემონიას. ტომაშს მაგიდაზე პატარა ტრანზისტორი ედო და სმენად იყო ქცეული.

2

რადიოში ჩეხურ ემიგრაციაზე იყო გადაცემა. ეს იყო ჩეხი ემიგრანტების საზოგადოებაში შეგზავნილი და შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით პრაღაში დაბრუნებული მზვერავის მიერ

---

[6] როხლიკი – წაგრძელებული ფორმის დაახლოებით 50-გრამიანი პური, რომელიც ჩეხეთში ძალიან პოპულარულია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საიდუმლოდ ჩაწერილი პირადი საუბრების მონტაჟი. ყოვლად უინტერესო საუბარი იყო, რომელშიც დროგამოშვებით საოკუპაციო რეჟიმის სალანძღავი სიტყვები ისმოდა, ზოგჯერ კი ერთი ემიგრანტი მეორეს შტერსა და თაღლითს უწოდებდა. გადაცემაში ზუსტად ამგვარ გამონათქვამებს ეთმობოდა განსაკუთრებული ყურადღება: უნდოდათ, ეჩვენებინათ, რომ ისინი არა მარტო საბჭოთა კავშირზე ლაპარაკობენ ცუდად (ჩეხეთში ეს არავის გააკვირვებდა), არამედ ერთმანეთსაც უშვერი სიტყვებით ლანძღავენ. გასაკვირია, ადამიანები დილიდან საღამომდე ილანძღებიან, მაგრამ როდესაც ესმით, რომ ცნობილი და პატივსაცემი ადამიანი ყოველი წინადადების შემდეგ გაიძახის, „მაგის დედაცო“, თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ.

– ეს პროხაზკათი დაიწყო, – თქვა ტომაშმა და ისევ გადაცემას მიუბრუნდა. იან პროხაზკამ, ორმოც წელს მიტანებულმა, ჯან-ლონით სავსე ჩეხმა მწერალმა ჯერ კიდევ 1968 წლამდე ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ხმამაღალი კრიტიკა დაიწყო. ეს იყო რუსული ოკუპაციით დასრულებული თავბრუდამხვევი კომუნისტური ლიბერალიზაციის, ანუ „პრაღის გაზაფხულის“, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ადამიანი. ოკუპაციიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ პრესამ დევნა დაუწყო და რაც უფრო მეტს ლანძღავდა, მით მეტად უყვარდა ხალხს პროხაზკა. ამიტომ რადიოში (ეს 1970 წელი იყო) პროხაზკას და უნივერსიტეტის პროფესორ იან ჩერნის ორი წლის წინანდელი პირადი საუბრების (ანუ 1968 წლის გაზაფხულის) ჩანაწერების ციკლის გადმოცემა დაიწყეს. მაშინ არც ერთმა არ იცოდა, რომ პროფესორის ბინაში საიდუმლოდ მოსასმენი აპარატურა იყო ჩამონტაჟებული და რომ საერთოდ მათ ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ! პროხაზკა თავისი ჰიპერბოლებითა და უწმაწურობებით მეგობრებს ყოველ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვის კარგად ართობდა. ახლა კი რადიოგადაცემების ციკ-ლში ცოცხლდებოდა ეს უწმაწური გამონათქვამები. საიდუმ-ლო პოლიციამ მასალა ისე დაამონტაჟა, რომ ის ადგილები, სადაც მწერალი მეგობრებს დასცინოდა, ვთქვათ დუბჩეკს, განსაკუთრებით იყო ხაზგასმული. ხალხი, რომელიც თავისი ახლობლების გაჭორვის არც ერთ შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, საყვარელ მწერალზე უფრო იყო აღრენილი, ვიდრე საძულველ საიდუმლო პოლიციაზე.

ტომაშმა რადიო გამორთო და თქვა: – საიდუმლო პოლი-ცია ყველგან არსებობს, მთელ მსოფლიოში. მაგრამ ის, რომ საკუთარ ჩანაწერებს რადიოთი გადმოსცემდნენ, ალბათ, მხო-ლოდ ჩეხეთში შეიძლება მოხდეს. მსგავსი რამ არსად და არასდროს მომხდარა.

– არა, მომხდარა, – თქვა ტერეზამ. – როდესაც თოთხმეტი წლის ვიყავი, საიდუმლოდ დღიურს ვწერდი ხოლმე. ძალიან მეშინოდა, ვინმეს არ ენახა და ამიტომ სხვენში ვმალავდი. დედამ მაინც მიაგნო. ერთხელაც, სადილობისას, როდესაც მთელი ოჯახი მაგიდას ვუსხედით და წვნიანს შევექცეოდით, ჯიბიდან ამოიღო და თქვა: „ყველამ კარგად მომისმინეთ!“ კითხულობდა და ყოველ წინადადებაზე სიცილით კვდებოდა. ყველა აჰყვა. ისე იცინოდნენ, რომ ჭამის თავიც კი აღარ ჰქონდათ.

3

ტომაში სთხოვდა ტერეზას, დილაობით არ ამდგარიყო, არწმუნებდა, მარტოც მოვახერხებ საუზმობასო, მაგრამ უშე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეგოდ. ტომაში დილის შვიდიდან ოთხამდე მუშაობდა, ტერეზა კი – ოთხიდან ღამის პირველამდე. დილას ერთად რომ არ ესაუზმათ, დალაპარაკებას მხოლოდ კვირაობით შეძლებდნენ. ამიტომ ყოველთვის ტომაშთან ერთად დგებოდა და მისი წასვლის მერე ისევ იძინებდა.

ამჯერად ტერეზას დაძინების შეეშინდა, რადგან ათ საათზე ჟოფინის კუნძულზე ხის აბანოს საუნაში აპირებდა წასვლას. მსურველი ბევრი იყო, ადგილები კი ცოტა, ამიტომ საუნაში პროტექციით თუ მოხვდებოდა ადამიანი. საბედნიეროდ, აბანოს სალაროში უნივერსიტეტიდან გაგდებული ერთი პროფესორის ცოლი მუშაობდა. პროფესორი ტომაშის ყოფილი პაციენტის მეგობარი იყო. ტომაშმა პაციენტს უთხრა, პაციენტმა – პროფესორს, პროფესორმა – თავის ცოლს და შედეგად ტერეზას კვირაში ერთხელ სალაროში ბილეთი ელოდებოდა.

ფეხით წავიდა. ვერ იტანდა მუდმივად გატენილ ტრამვაის, ერთმანეთზე მიჭყლეტილი გაბოროტებული ხალხით სავსეს, რომლებიც ერთმანეთს ფეხს აბიჯებდნენ, პალტოს ღილებს აწყვეტდნენ და ილანძღებოდნენ.

გაწვიმდა. ხალხმა სასწრაფოდ ქოლგები გახსნა და წამში ტროტუარზეც გაჭირდა გავლა. ქოლგების კიდეები ერთმანეთს ეჯახებოდა. კაცები ქალებზე უფრო თავაზიანები იყვნენ. როდესაც ტერეზას გვერდს უვლიდნენ, ქოლგებს მაღლა სწევდნენ, რომ ტერეზას თავისუფლად გაევლო. მაგრამ ქალები ერთმანეთს არ ატარებდნენ. გაქვავებული მზერით წინ იყურებოდნენ და ყოველი მათგანი ელოდა, რომ მეორე გამოიჩენდა სისუსტეს და დათმობდა გზას. ქოლგების შეხვედრა ძალაში შეჯიბრი იყო. თავიდან ტერეზა უთმობდა ხოლმე გზას, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ მისი თავაზიანობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველთვის უპასუხოდ რჩებოდა, ქოლგას სხვა ქალებივით მთელი ძალით იჭერდა ხელში. რამდენჯერმე კარგადაც შეასკდა მოპირდაპირე ქოლგა, მაგრამ არასდროს გაუგონია „უკაცრავად“. ჩვეულებრივ, უსიტყვოდ განაგრძობდნენ გზას, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც მოესმა: „შე ძროხა!“ ან „წადი შენი!“

ქოლგებით შეიარაღებულ ქალებს შორის ახალგაზრდებიც იყვნენ და ხანში შესულებიც, თუმცა ყველაზე მებრძოლები ახალგაზრდები იყვნენ. ტერეზას ოკუპაციის დღეები გაახსენდა. მინიკაბებში გამოწყობილი გოგოები გრძელ ჯოხებზე ჩამოცმულ ეროვნულ დროშებს აფრიალებდნენ. ეს სექსუალური თავდასხმა იყო ხანგრძლივ ასკეტიზმში მცხოვრებ რუს ჯარისკაცებზე. პრაღაში თავს, ალბათ, ისე გრძნობდნენ, როგორც ფანტასტი მწერლის გამოგონილ პლანეტაზე; საოცრად ელეგანტური, ლამაზი და გრძელფეხება ქალებით დასახლებულ პლანეტაზე. ასეთი ქალები რუსეთში, ალბათ, უკვე ხუთასი თუ ექვსასი წელია არ დაბადებულან, და ისინი დემონსტრაციულად გამოხატავენ მათ მიმართ ზიზღს.

მაშინ ტერეზამ ამ გოგონებს ბევრი ფოტო გადაუღო ტანკების ფონზე. აღფრთოვანებული იყო მათი შემართებით. დღეს კი ქუჩაში სწორედ ეს ქალები უპირისპირდებოდნენ თავხედურად და გაბოროტებით. ქოლგები ისე ამაყად ეჭირათ ხელში, როგორც თავის დროზე დროშები. მაშინ მზად იყვნენ, მომხდურთა წინააღმდეგ თავგანწირვით ებრძოლათ, დღეს კი იმავე თავგანწირვით ებრძვიან ქოლგას, რომელიც მათ გზას არ უთმობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასიმეტრიულ ოთხკუთხედად განლაგებულ, ბაროკოს სტილით ნაგები სახლებითა და პირქუში ტინის ტაძრით შემოფარგლულ სტარომესტსკეე ნამნესტის[7] მიაღწია. მეთოთხმეტე საუკუნის რატუშის შენობა, რომელსაც თავის დროზე მოედნის მთელი ერთი მხარე ეჭირა, უკვე ოცდაშვიდი წელია, დანგრეულია. ვარშავა, დრეზდენი, ბერლინი, კიოლნი, ბუდაპეშტი უკანასკნელმა ომმა საფუძვლიანად გაანადგურა. მაგრამ მოსახლეობამ თავიდან ააშენა ეს ქალაქები. ძირითადად ძველ ისტორიულ უბნებს აღადგენდნენ დიდი რუდუნებით. ყოველივე ეს პრაღელებს არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენდა. ერთადერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც მათ ომმა დაუნგრია, სტარომესტსკეე ნამნესტის რატუშა იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, ნანგრევები სამახსოვროდ დაეტოვებინათ, რათა რომელიმე პოლონელს ან გერმანელს არ ეთქვა, რომ ომის დროს ჩეხებმა ნაკლები უბედურება იწვნიეს. დიდებული ნანგრევების წინ, რომლებსაც სამარადისოდ უნდა დაეგმოთ ომი, რკინის მილებისაგან ტრიბუნა ააგეს, სადაც კომუნისტური პარტია პრაღელებს მიერეკებოდა და კვლავაც მირეკავს დემონსტრაციების ჩასატარებლად.

დანგრეული რატუშის ყურებისას ტერეზას უცებ დედა მოაგონდა: საკუთარი ნანგრევების სახალხოდ გამოფენისკენ მისი პერვერსიული სწრაფვა, საკუთარი სიმახინჯით ამაყობა, საკუთარი უბედურების დემონსტრირება, მოჭრილი ხელის ნარჩენის მოშიშვლება და მთელი მსოფლიოს იძულება, რომ ამ სანახაობას უყუროს. ამ ბოლო დროს ყველაფერი დედას

[7] სტარომესტსკეე ნამესტი – პრაღის ისტორიული ცენტრის მთავარი მოედანი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აგონებდა, თითქოს დედის სამყარო, რომელსაც ათი წლის წინ გაექცა, ისევ უბრუნდებოდა და ყოველი მხრიდან უტევდა. ამიტომ გაიხსენა, როგორ უკითხავდა დედამისი მის დღიურს მთელ ოჯახს და როგორ იცინოდნენ ისინი. მეგობრულ გარემოში მიმდინარე საუბრის რადიოთი გადაცემა განა იმას არ ნიშნავს, რომ სამყარო საკონცენტრაციო ბანაკად გადაიქცა? ამ სიტყვას ტერეზა ბავშვობიდან იყენებდა, როდესაც დედის ოჯახში საკუთარი ცხოვრების აღწერა უნდოდა. საკონცენტრაციო ბანაკი არის სამყარო, სადაც ხალხი გამუდმებით ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს, დღისითაც და ღამითაც. ძალადობა და დაუნდობლობა მხოლოდ მისი მეორეხარისხოვანი (და არა აუცილებელი) ნიშანია. საკონცენტრაციო ბანაკი ნიშნავს პირადულის სრულ მოსპობას. პროხაზკა, რომელსაც არ შეეძლო მეგობართან დალევა და უსაფრთხოდ საუბარი, საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრობდა (ისე, რომ ეს აზრადაც არ მოსდიოდა, რაც მისი საბედისწერო შეცდომა იყო!). ტერეზასთვის დედასთან ერთად ცხოვრება საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრებას ნიშნავდა. იმ დროიდან მოყოლებული იცის, რომ საკონცენტრაციო ბანაკის არსებობაში არაფერია განსაკუთრებული და გასაკვირი, რომ პირიქით, ეს მთავარია, რაღაც თავისთავად არსებული, სამყარო, სადაც ადამიანი იბადება და რომელსაც მხოლოდ დიდი ძალისხმევით თუ დააღწევს თავს.

5

ტერასებად განლაგებულ სამ გრძელ სკამზე ქალები ისე ახლო-ახლოს ისხდნენ, რომ თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერეზას გვერდით ძალიან ლამაზი, დაახლოებით ოცდაათი წლის ქალი იოფლებოდა. უზომოდ დიდი ძუძუები ჰქონდა, რომლებიც პატრონის ოდნავ განძრევაზეც კი ქანაობდნენ. როდესაც ქალი ადგა, ტერეზამ შენიშნა, რომ მისი დუნდულები უზარმაზარ ტომრებს ჰგავდა და მის სახესთან არაფერი ჰქონდათ საერთო.

ალბათ, ეს ქალიც დგას ხოლმე სარკესთან, თავის სხეულს უყურებს და ცდილობს, მასში სული დაინახოს, როგორც ტერეზა ცდილობდა ამას ბავშვობიდან მოყოლებული. იქნებ ოდესღაც მასაც გულუბრყვილოდ ეგონა, რომ შეუძლია სხეული სულის აბრად გამოიყენოს. მაგრამ რა ამაზრზენი უნდა იყოს სული, რომ ამ სხეულს, ამ ოთხტომარაჩამოკიდებულ საკიდს ჰგავდეს?

ტერეზა შხაპისკენ გაემართა. შემდეგ გარეთ გავიდა. ისევ ჟინჟღლავდა. რამდენიმე კვადრატული მეტრი ფართობის ხის ბაქანზე იდგა, სადაც ქალაქის მზერისაგან ქალებს მაღალი ღობე იცავდა, ბაქნის ქვეშ კი ვლტავა მიედინებოდა. ძირს ჩაიხედა და წყალში ზუსტად იმ ქალის სახე შენიშნა, რომელზეც ამ დროს ფიქრობდა. ქალმა გაუცინა. თხელი ცხვირი, დიდი შავი თვალები და ბავშვური გამოხედვა ჰქონდა. კიბეებს ამოუყვა და ნაზი სახის ქვევით ისევ გამოუჩნდა ორი ტომარა, რომლებიც ქანაობდნენ და ცივი წყლის პატარ-პატარა წვეთებს იქით-აქეთ აშხეფებდნენ.

6

ტერეზა ჩასაცმელად გავიდა. დიდი სარკის წინ დადგა. არა, მისი სხეული სულაც არ იყო ამაზრზენი. ტომრები კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ ეკიდა, საკმაოდ პატარა მკერდი ჰქონდა. დედა დასცინოდა კიდეც, რომ ისეთი მკერდი არ აქვს, როგორიც საჭიროა. ამიტომ ტერეზას კომპლექსი გაუჩნდა და მისგან მხოლოდ ტომაშმა გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მკერდის ზომას უკვე მშვიდად იღებდა, კერტების ირგვლივ დიდ და მეტისმეტად მუქ წრეებს მაინც ვერ ეგუებოდა. რომ შეძლებოდა, თვითონ შეექმნა საკუთარი სხეული, კერტები თითქმის შეუმჩნეველი და ნაზი ექნებოდა. ისინი ძუძუს ოვალს ოდნავ დაარღვევდა და ფერითაც ოდნავ განსხვავებული იქნებოდა კანისგან. ეჩვენებოდა, რომ ეს დიდი მუქი წითელი სამიზნეები სოფლელი მხატვრის დახატული იყო, რომელსაც ღარიბებისთვის ეროტიკული ხელოვნების ნიმუშის შექმნა გადაეწყვიტა.

უყურებდა საკუთარ თავს და ცდილობდა, წარმოედგინა, რომ ცხვირი ყოველდღე ერთი მილიმეტრით ეზრდება. საინტერესოა, რამდენ ხანში შეეცვლებოდა სახე სრულიად?

სხეულის სხვადასხვა ნაწილი რომ გაზრდოდა ან დაპატარავებოდა და ტერეზა სულ სხვანაირი გამხდარიყო, ისევ იგივე ადამიანი, ანუ იგივე ტერეზა იქნებოდა?

რა თქმა უნდა. თუნდაც ახალ ტერეზას ძველთან აღარაფერი ჰქონოდა საერთო, სული იგივე დარჩებოდა და სხეულის ცვლილებებს შეშინებული დაუწყებდა ყურებას.

მაშ რა კავშირია ტერეზასა და მის სხეულს შორის? საერთოდ აქვს თუ არა მის სხეულს უფლება, ტერეზა ერქვას? თუ არა, მაშ რას ჰქვია სახელი? მხოლოდ არახორციელსა და არამატერიალურს?

(ეს ის კითხვებია, რომლებიც ტერეზას ბავშვობიდან უტრიალებს თავში. ამდენად, მართლაც ღირებული მხოლოდ ის კითხვებია, რომლებიც ბავშვსაც კი შეუძლია ჩამოაყალიბოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ ყველაზე გულუბრყვილო კითხვებია მართლაც მნიშვნელოვანი და სწორედ მათ არ გააჩნია პასუხები. კითხვა, რომელსაც პასუხი არ აქვს, გადაულახავი ბარიერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ იმ კითხვებით, რომელთა პასუხებიც არ გვაქვს, არის განსაზღვრული ადამიანის შესაძლებლობები და მოხაზული მისი არსებობის საზღვრები).

ტერეზა გაშეშებული დგას სარკის წინ და საკუთარ სხეულს ისე უყურებს, როგორც უცხოს; უცხოს, მაგრამ მაინც მისთვის განკუთვნილს. ეზიზღება ეს სხეული. მან ვერ შეძლო, ტომაშისთვის ერთადერთი გამხდარიყო. ამ სხეულმა გააწბილა და უღალატა მას. წუხელ მთელი ღამე ტომაშის თმებიდან მომავალი უცხო ქალის საშოს სუნი აწუხებდა!

როგორ უნდა, თავისი სხეული მოსამსახურესავით გააგდოს. უნდა, ტომაშთან, როგორც მხოლოდ სული, ისე დარჩეს, სხეული კი ქუჩაში მოისროლოს, დაე იქ ისე მოიქცეს, როგორც სხვა ქალების სხეულები იქცევიან კაცების სხეულებთან! რაკი მისმა სხეულმა ვერ შეძლო ტომაშისათვის სანუკვარ ერთადერთ სხეულად ქცევა და ტერეზას ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ბრძოლა წააგო, მაშ დაიკარგოს!

7

ტერეზამ უმადოდ ისადილა. ოთხის ნახევარზე კარენინს საყელური გაუკეთა და ქალაქის გარეუბნისკენ გაეშურა (ისევ ფეხით), სადაც ჟურნალის რედაქციიდან გაგდების შემდეგ სასტუმროში ბარმენად მუშაობდა. ცხადია, არ აპატიეს ის შვიდი დღე, როდესაც რუსულ ტანკებს იღებდა ქუჩებში და ციურიხიდან დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე თვეში, ჟურნა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიდან გააგდეს. ახალი სამსახურის შოვნაში მეგობრები დაეხმარნენ: მსგავსი მიზეზებით სამსახურიდან გაგდებულმა არაერთმა ადამიანმა იპოვა იმ სასტუმროში თავშესაფარი. ბულალტერიაში ყოფილი თეოლოგიის პროფესორი მუშაობდა, მისაღებში კი – ყოფილი ელჩი.

თავი შეახსენა ფეხებზე დარდმა. როდესაც პატარა ქალაქის რესტორანში მუშაობდა, შიშის ზარს სცემდა თავისი თანამშრომლების წვივებზე გაგანიერებული ვენების ყურება. ეს ყველა ოფიციანტს ემართება, რადგან იძულებული არიან, მთელი ცხოვრება ხელში მძიმე ტვირთით სიარულში, სირბილსა და ფეხზე დგომაში გაატარონ. პატარა ქალაქის რესტორანთან შედარებით ამჯერად ნაკლებად იყო დატვირთული. მართალია, მუშაობის დაწყებამდე ლუდისა და მინერალური წყლის ყუთების თრევა უწევდა, მაგრამ დანარჩენ დროს ბარის დახლთან მდგარი ატარებდა, სტუმრებს სასმელს უსხამდა და შუალედებში ბარის გვერდით მიმაგრებულ ნიჟარაში ჭიქებს რეცხავდა. კარენინი მთელი ამ ხნის მანძილზე მოთმინებით იწვა მის ფეხებთან.

უკვე შუაღამეს იყო გადაცილებული, როდესაც შემოსული ფულის დათვლას მორჩა და სასტუმროს დირექტორს მიუტანა. შემდეგ გამოსამშვიდობებლად ელჩთან მივიდა, რომელსაც ღამის მორიგეობა ჰქონდა. მისაღების გრძელი მაგიდის უკან პატარა ოთახში გამავალი კარი მოჩანდა. ოთახში ვიწრო ტახტი იდგა, რომელზეც წათვლემა შეიძლებოდა, ტახტის თავზე კი ჩარჩოში ჩასმული სურათები ეკიდა: ელჩი ყველა ფოტოზე სხვადასხვა ხალხთან ერთად იყო გადაღებული. ისინი აპარატის ობიექტივს სიცილით უყურებდნენ ან ხელს ართმევდნენ მას, ან სულაც მასთან ერთად მაგიდას უსხდნენ და რაღაც დოკუმენტებს ხელს აწერდნენ. ზოგიერთ ფოტოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამახსოვრო ხელმოწერაც კი ამშვენებდა. ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დაკიდებულ ფოტოზე ელჩის გვერდით ჯონ კენედის მოღიმარი სახე მოჩანდა.

ამჯერად ელჩი კენედის კი არა, სამოციოდე წლის უცნობ მამაკაცს ესაუბრებოდა, რომელიც ტერეზას დანახვაზე სასწრაფოდ გაჩუმდა.

– ეს მეგობარია, – დააწყნარა ელჩმა, – შეგიძლია გააგრძელო. – შემდეგ ტერეზას უთხრა: – მის შვილს დღეს ხუთი წელი მიუსაჯეს.

თურმე ოკუპაციის დღეებში ამ ხნიერი ბატონის შვილი მეგობრებთან ერთად სდარაჯობდა იმ შენობის შესასვლელს, სადაც რუსული არმიის სპეცსამსახური იყო დაბინავებული. ცხადი იყო, რომ ჩეხები, რომლებიც იქიდან გამოვიდოდნენ, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები იქნებოდნენ. ის მეგობრებთან ერთად ადევნებდა მათ თვალყურს, მათი მანქანების ნომრებს იგებდა და იატაკქვეშა რადიოგადაცემების რედაქციას ატყობინებდა, რომელიც შემდეგ ამ ინფორმაციას მოსახლეობას აწვდიდა. ერთ-ერთ მოღალატეს მან და მისმა მეგობრებმა სცემეს კიდეც.

უცნობმა თქვა: – ფოტო ერთადერთი corpus delicti იყო. ყველაფერს უარყოფდა, სანამ ეს ფოტო არ აჩვენეს, – და გულის ჯიბიდან გაზეთის ამონაჭერი ამოიღო. – ეს ფოტო 1968 წლის შემოდგომაზე დაიბეჭდა „ტაიმსში“.

ფოტოზე ახალგაზრდა კაცი იყო გამოსახული, რომელსაც ყელში ხელები წაეჭირა მეორისთვის, ირგვლივ კი მაყურებლები შეგროვილიყვნენ. ფოტოს მიწერილი ჰქონდა: „კოლაბორაციონისტის დასჯა“.

ტერეზამ შვებით ამოისუნთქა. ეს მისი გადაღებული ფოტო არ იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ კარენინთან ერთად ღამის პრალის ქუჩებს გაუყვა შინისკენ. იმ დღეებზე ფიქრობდა, როდესაც ტანკებს ფოტოებს ულებდა. გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ სამშობლოსთვის იგდებენ თავს ხიფათში, სინამდვილეში კი თურმე რუსული პოლიციისათვის მუშაობდნენ ისე, რომ თვითონაც არ იცოდნენ.

სახლს ორის ნახევრისთვის მიაღწია. ტომაშს უკვე ეძინა, მის თმებს კი ისევ ქალის საშოს სუნი ასდიოდა.

8

რას ნიშნავს კეკლუცობა? შეიძლება ითქვას, ეს ისეთი ქცევაა, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს მიანიშნებს, რომ მასთან სექსუალური სიახლოვე შესაძლებელია, ოღონდ ეს შესაძლებლობა არასოდესაა უპირობო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეკლუცობა სიახლოვის დაპირებაა გარანტიის გარეშე.

ტერეზა ბარის დახლის იქით დგას და კლიენტები, რომლებსაც სასმელს უსხამს, ეპრანჭებიან. საინტერესოა, უსიამოვნოა ტერეზასთვის ამ ქათინაურების, ორაზროვანი ფრაზების, ანეკდოტების, წინადადებების, ღიმილისა და გამჭოლი მზერის ასე მოძალება? სულაც არა. ტერეზას დაუძლეველი სურვილი ეუფლება, თავისი სხეული (ის უცხო სხეული, რომელიც უნდა, რომ გარეთ გააგდოს) ამ მოძალებას დაანებოს.

ტომაში განუწყვეტლივ არწმუნებდა, რომ სიყვარული და ფიზიკური სიახლოვე სხვადასხვა რამეა. ტერეზას კი ამის გაგება არ უნდოდა. ახლა მას გარს ახვევია მამაკაცები, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელთა მიმართაც არავითარ სიმპათიას არ განიცდის და აინ-ტერესებს, რას იგრძნობდა, მათთან რომ დაწოლილიყო. ტე-რეზას სურს, ეს უგარანტიო დაპირებით, ანუ კეკლუცობით, გაიგოს.

დავაზუსტოთ: სულაც არ უნდა ტომაშისთვის სამაგი-ეროს გადახდა, უბრალოდ ჩიხიდან გასასვლელს ეძებს. ესმის, რომ ცხოვრებას ურთულებს ტომაშს: ყველაფერი მეტისმე-ტად ახლოს მიაქვს გულთან, ყველაფერს ტრაგედიას აქ-ცევს, არ შეუძლია, ხორციელი სიახლოვე მხოლოდ გართობად ჩათვალოს. უნდა, რომ ისწავლოს, როგორ იყოს მსუბუქი! ოცნებობს, ვინმემ განკურნოს ამ ანაქრონიზმისაგან!

მრავალი ქალისთვის კეკლუცობა მათი ნატურის განუ-ყოფელ ნაწილად და უმნიშვნელო ყოველდღიურ რუტინად იქცა, ტერეზასთვის კი კეკლუცობა სერიოზული გამოცდაა, რომელმაც ნათელი უნდა გახადოს, რის მაქნისია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მისთვის ასე მნიშვნელოვანი და სე-რიოზული რამაა, მისი კეკლუცობა მოკლებულია ყოველგვარ სიმსუბუქეს, ნაძალადევი, ხელოვნური და გადამეტებულია. წონასწორობა დაპირებასა და მისი შესრულების პირობას შორის დარღვეულია (სწორედ ეს არის ვირტუოზულად კეკ-ლუცობა!). თავგამოდებით ჰპირდება და თითქმის საჭიროდ არ თვლის, პირობის შეუსრულებლობაც აღნიშნოს. მოკლედ, ყველას მეტისმეტად ადვილად მისაწვდომად ეჩვენება. შემდეგ კი, როდესაც კაცები იმის შესრულებას ითხოვენ, რასაც დაჰ-პირდნენ, გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებიან და ამას იმით ხსნიან, რომ ტერეზა ცბიერი და ბოროტია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბარის დახლთან მდგომ თავისუფალ სკამზე დაახლოებით თექვსმეტი წლის ბიჭი ჩამოჯდა და ტერეზას რამდენიმე გამომწვევი ფრაზა ესროლა, რომლებიც მათ საუბარში ისე ჩარჩა, როგორც ტილოზე უადგილო ადგილას გავლებული ხაზი, რომელსაც ვერც გააგრძელებ და ვერც წაშლი.

– ლამაზი ფეხები გაქვთ, – უთხრა ტერეზას.

– არა მგონია, მანდედან ხედავდეთ, – სასწრაფოდ მოუჭრა ქალმა.

– ქუჩაში დაგინახეთ, – აუხსნა ყმაწვილმა, მაგრამ ტერეზა უკვე სხვა კლიენტს ემსახურებოდა. შემდეგ ბიჭმა კონიაკი მოთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

– უკვე თვრამეტის ვარ, – აღშფოთდა ყმაწვილი.

– პირადობის მოწმობა მაჩვენეთ! – მოსთხოვა ტერეზამ.

– არ გაჩვენებთ, – უპასუხა ბიჭმა.

– მაშინ ლიმონათი დალიეთ! – მიაძახა ტერეზამ.

ბიჭი წამოდგა და უსიტყვოდ გავიდა ბარიდან. დაახლოებით ნახევარ საათში დაბრუნდა და ბარს მიუჯდა. ენერგიულად იქნევდა ხელებს და ირგვლივ სამი მეტრის მანძილზე სასმელის სუნს აფრქვევდა.

– ლიმონათი! – ბრძანა.

– თქვენ ნასვამი ხართ, – უთხრა ტერეზამ.

ბიჭმა ტერეზას უკან დაკიდებულ წარწერაზე მიუთითა, რომელიც სტუმრებს ამცნობდა: თვრამეტ წლამდე ახალგაზრდებისთვის ალკოჰოლიანი სასმელის მიყიდვა აკრძალულია.

– აკრძალულია ჩემთვის ალკოჰოლიანი სასმელის დასხმა, – თქვა და სწრაფი მოძრაობით ტერეზასკენ გაიშვირა ხელი, – მაგრამ არსად არ წერია, რომ მეკრძალება სიმთვრალე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ამდენი სად ჩაისხით? – ჰკითხა ტერეზამ.

– ქუჩის მეორე მხარეს, რესტორანში, – გაიცინა და ისევ მოითხოვა ლიმონათი.

– კი, მაგრამ იქ რატომ არ დარჩით? – იკითხა ტერეზამ.

– იმიტომ, რომ მინდა გიყუროთ, – უპასუხა ბიჭმა. – მე თქვენ მიყვარხართ!

ამ სიტყვებზე სახე უცნაურად დაემანჭა. ტერეზას არ ესმოდა: დასცინის? ეხუმრება? თუ უბრალოდ მთვრალია და არ ესმის, რას ამბობს?

ლიმონათი დაუდგა და სხვა კლიენტებს მიუბრუნდა. გეგონებოდათ, სიტყვებმა „მე თქვენ მიყვარხართ!“ ბიჭს ძალა გამოაცალაო, ისე ჩუმად იჯდა. მალე ასევე ჩუმად დადო დახლზე ფული და ისე გაქრა, რომ ტერეზას არც კი შეუმჩნევია.

ბიჭის წასვლისთანავე დაბალი და თავმოტვლეპილი კაცის ხმა გაისმა, რომელსაც უკვე სამი ჭიქა არაყი ჰქონდა დალეული:

– ქალბატონო, ხომ იცით, რომ არასრულწლოვანებისთვის ალკოჰოლიანი სასმელის მიყიდვა აკრძალულია?

– ალკოჰოლიანი სასმელი არც მიმიცია! ლიმონათი დავუსხი!

– გიყურებდით და მშვენივრად ვხედავდი, იმ ლიმონათში რას უმატებდით!

– რაებს იგონებთ?! – აღელდა ტერეზა.

– ერთი არაყიც! – ბრძანა თავმოტვლეპილმა კაცმა და დაამატა: – უკვე დიდი ხანია, გაკვირდებით.

– ჰოდა მადლობელი იყავით, რომ ლამაზ ქალს უყურებთ და ენა ჩაიგდეთ, – გაეპასუხა იმწამს შემოსული მაღალი მამაკაცი, რომელიც მთელ ამ სიტუაციას შეესწრო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– თქვენ კი ამაში ცხვირს ნუ ყოფთ! რა თქვენი საქმეა! – ყვირილით მიაძახა თავმოტვლეპილმა.

– მაშინ ამიხსენით, თქვენ რატომღა გეხებათ ეს ამბავი? – შეეკითხა მაღალი.

ამასობაში ტერეზამ შეკვეთილი არაყი დაუსხა თავმოტვლეპილს, რომელმაც სასმელი ერთბაშად გადაჰკრა, გადაიხადა და იქაურობას გაეცალა.

– გმადლობთ, – უთხრა ტერეზამ მაღალ მამაკაცს.

– სალაპარაკოდაც არ ღირს, – თქვა მაღალმა მამაკაცმა და ბარიდან გავიდა.

IO

რამდენიმე დღის შემდეგ მამაკაცი ისევ გამოჩნდა ბარში. ტერეზამ, დაინახა თუ არა, მეგობარივით გაუღიმა: – კიდევ ერთხელ უნდა გადაგიხადოთ მადლობა, ის თავმოტვლეპილი აქ ხშირად დადის და უნდა ვაღიარო, რომ საშინლად უსიამოვნო ვინმეა.

– დაივიწყეთ!

– რატომ უნდოდა ჩემთვის შეურაცხყოფის მოყენება?

– ერთი უმნიშვნელო ლოთი იყო. ისევ გთხოვთ, დაივიწყეთ ეს ამბავი.

– რაკი ასე მთხოვთ, მაშ დავივიწყებ.

მაღალმა მამაკაცმა თვალებში შეხედა ტერეზას: – დამპირდით.

– გპირდებით.

– რა სასიამოვნო შეგრძნებაა, რომ რაღაცას მპირდებით, – უპასუხა მაღალმა მამაკაცმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ტერეზასთვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და აი, სცენაზე კეკლუცობა გამოჩნდა: ქცევა, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს აგრძნობინებს, რომ მასთან სექსუალური სიახლოვე შესაძლებელია, თუმცა ეს მხოლოდ თეორიული და შესრულების პირობას მოკლებული შესაძლებლობაა.

– საოცრება არ არის, რომ პრაღის ამ უმახინჯეს უბანში ადამიანი თქვენნაირ ქალს ხვდება?

– თქვენ? თქვენ რაღამ მოგიყვანათ პრაღის ამ უმახინჯეს უბანში?

მამაკაცმა აუხსნა, რომ აქვე ახლოს ცხოვრობს, ინჟინერია და ამას წინათ შემთხვევით შემოიარა ამ ბარში, როდესაც სამსახურიდან ბრუნდებოდა.

II

ტერეზა ტომაშს უყურებდა, მაგრამ მისი მზერა ტომაშის თვალებიდან ათიოდე სანტიმეტრით მაღლა, მისი თმებისკენ იყო მიმართული, რომლებსაც უცხო ქალის საშოს სუნი ასდიოდა.

„ტომაშ, ამის ატანა აღარ შემიძლია, – თქვა ტერეზამ. – ვიცი, რომ არ უნდა ვიწუწუნო. რაც ჩემ გამო პრაღაში დაბრუნდი, საკუთარ თავს ეჭვიანობა ავუკრძალე. არ მინდა, ვეჭვიანობდე, მაგრამ არც ისეთი ძლიერი ვარ, რომ საკუთარ თავს ვძლიო. გთხოვ, დამეხმარე!“

ტომაში გვერდით ამოუდგა, ხელკავი გამოსდო და იმ პარკში წაიყვანა, სადაც წლების წინ ხშირად სეირნობდნენ ხოლმე. ბაღში გრძელი სკამები იდგა: ლურჯი, ყვითელი, წითელი. ერთ-ერთი ამოირჩია, დაჯდა, ტერეზაც გვერდით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოისვა და უთხრა: „მესმის შენი. ვიცი, რაც გინდა. ყველაფერი მოვამზადე, ამიტომაც ახლა პეტრჟინზე[8] ახვალ.“

ტერეზას მოულოდნელად შეეშინდა: „პეტრჟინზე? რატომ მაინცდამაინც პეტრჟინზე?“

„მთაზე რომ ახვალ, ყველაფერს მიხვდები“.

ძალიან არ უნდოდა წასვლა, სხეულში ისეთ სისუსტეს გრძნობდა, რომ სკამიდან ადგომის თავიც კი არ ჰქონდა. მაგრამ არ შეეძლო, ტომაშისთვის არ დაეჯერებინა, ამიტომ თავს ძალა დაატანა და ადგა.

უკან რომ მიიხედა, ტომაში ისევ იქ იჯდა და თითქმის მხიარულად უღიმოდა. შემდეგ კი ჟესტით ანიშნა, გზა განაგრძეო.

12

როდესაც ტერეზა პეტრჟინის, პრაღის შუაგულში აღმართული ამ მწვანე მთის ძირს მიადგა, იქ არავინ ჩანდა. უცნაურად მოეჩვენა, რადგან ჩვეულებრივ აქაურობა ყოველთვის სავსე იყო პრაღელებით. გულის სიღრმეში ეშინოდა, მაგრამ მთა ისეთი ჩუმი იყო, სიჩუმე კი – ისე დამამშვიდებელი, რომ მოდუნდა და მთლიანად მიენდო მთას. ზევით მიიწევდა, ზოგჯერ ჩერდებოდა და გარშემო იყურებოდა: ქვევით უამრავი ხიდი და კოშკი მოჩანდა; წმინდანებს მუშტები ჰქონდათ მოღერებული და ქვის თვალები ზეცად აღეპყროთ. ეს მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი იყო.

მთა ბოლომდე აიარა. ნაყინის, ღია ბარათებისა და ბლი-

---

[8] პეტრჟინი – მთა პრაღის ცენტრში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თების დახლებს იქით (რომლებთანაც გამყიდველები არ იდგნენ) მინდორი იშლებოდა, რომელზეც აქა-იქ ხეები იზრდებოდა. რამდენიმე მამაკაცს მოჰკრა თვალი. რაც უფრო უახლოვდებოდა მათ, მით უფრო უნელებდა ნაბიჯს. ექვსნი იყვნენ. ზოგი უბრალოდ იდგა, ზოგიც უშფოთველად დასეირნობდა, როგორც გოლფის მოთამაშეებს სჩვევიათ, რომლებიც სათამაშო მოედანს ათვალიერებენ, ხელში ჯოხს ატრიალებენ და შეჯიბრისთვის ემზადებიან.

ახლოს რომ მივიდა, ამ ექვსიდან შეუცდომლად გამოიცნო ის სამი, რომლებიც დაახლოებით მის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: მათ ქცევაში თავდაჯერება არ იგრძნობოდა, ეტყობოდათ, რომ უამრავი კითხვა ჰქონდათ, მაგრამ ეშინოდათ, არავინ შეეწუხებინათ და დუმილს ამჯობინებდნენ. ამიტომ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და მხოლოდ მზერით სვამდნენ შეკითხვებს.

დანარჩენ სამს ხაზგასმულად თავაზიანი და ქედმაღლური ქცევა გამოარჩევდა. ერთ-ერთს ხელში თოფი ეჭირა. ტერეზა რომ დაინახა, ღიმილით თავი დაუკრა და მიმართა: „მობრძანდით, სწორად მოხვედით“.

ტერეზამაც, რომელიც შიშს აეტანა, საპასუხოდ თავი დაუკრა.

მამაკაცმა დაამატა: „გაუგებრობა რომ ავიცილოთ თავიდან, მითხარით, მართლა გინდათ ეს?“

უნდოდა, ეთქვა, არაო, მაგრამ ტომაშის გაწბილება არ შეეძლო. რას ეტყოდა, როგორ მოუბოდიშებდა ტომაშს, ისევ სახლში რომ დაბრუნებულიყო? ამიტომაც უპასუხა: „დიახ, მართლა მინდა“.

მამაკაცმა, რომელსაც თოფი ეჭირა, გააგრძელა: „მინდა, გესმოდეთ, რატომ გეკითხებით. ამას მხოლოდ მაშინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვაკეთებთ, როცა დარწმუნებული ვართ, რომ ადამიანს, რომელიც ჩვენთან მოდის, მართლა უნდა სიკვდილი. ჩვენ მხოლოდ ვემასახურებით მათ“. შემდეგ კი ისეთი მზერა შეავლო ტერეზას, რომ მან კიდევ ერთხელ დაარწმუნა: „არა, ნუ გეშინიათ, მართლა მინდა“.

„გინდათ, პირველი იყოთ?“ – ჰკითხა მამაკაცმა.

სიკვდილით დასჯა ცოტა ხნით მაინც რომ გადაედო, ტერეზამ თქვა: „არა, გთხოვთ. თუ შეიძლება, ბოლო ვიქნები“.

„როგორც გენებოთ“, – უპასუხა მამაკაცმა და დანარჩენებს შეუერთდა. მის თანაშემწეებს იარაღი არ ჰქონდათ და აქ მხოლოდ იმისთვის იყვნენ, რომ იმათ დახმარებოდნენ, ვინც სიკვდილისთვის მოვიდა. მკლავს უყრიდნენ და მინდორზე დაჰყვებოდნენ. მინდორი თვალუწვდენელი იყო. სიკვდილისთვის მოსულებს შეეძლოთ, თვითონ აერჩიათ სასურველი ხე. ჩერდებოდნენ, დიდხანს ათვალიერებდნენ იქაურობას, მაგრამ არჩევანის გაკეთება მაინც უჭირდათ. ორმა მათგანმა ბოლოს ჭადრები აირჩია, სამაგიეროდ მესამე სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა, თითქოს არც ერთი ხე არ მიაჩნდა სიკვდილის შესაფერისად. თანაშემწე, რომელსაც ფრთხილად გამოედო მისთვის ხელკავი, მოთმინებით დაჰყვებოდა, სანამ სიკვდილისთვის მოსულ მამაკაცს კიდევ უფრო შორს წასვლის გამბედაობა არ დაეკარგა და ერთ ფართოდ დატოტვილ ნეკერჩხალთან არ გაჩერდა.

შემდეგ თანაშემწეებმა სამივე მამაკაცს თვალები აუხვიეს.

ასე რომ, ამ უკიდეგანო მინდორში სამ ხეზე ზურგით მიყრდნობილი სამი მამაკაცი იდგა, სამივეს მუქი ნაჭრით ჰქონდა ახვეული თვალები და სახე ცისკენ აღეპყროთ.

მამაკაცმა, რომელსაც ხელში თოფი ეჭირა, ერთ-ერთს დაუმიზნა და ესროლა. ჩიტების ჭიკჭიკის მეტი არაფერი ის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოდა. თოფს მაყუჩი ეკეთა. ტერეზამ მხოლოდ ის დაინახა, როგორ ჩაიკეცა ნელ-ნელა ნეკერჩხალს მიყრდნობილი კაცი.

მამაკაცი თოფიანად შეტრიალდა ადგილზე და ჭადარს მიყრდნობილმა კაციც დაეცა მიწაზე, რამდენიმე წამში (თოფიანი მამაკაცი ისევ ადგილზე შეტრიალდა) მესამეც ბალახში იწვა.

13

თოფიანი მამაკაცის ერთ-ერთი თანაშემწე, რომელსაც მუქი ლურჯი ნაჭერი ეჭირა, ჩუმად მიუახლოვდა ტერეზას. ტერეზა მიხვდა, რომ მისთვის თვალები უნდა აეხვიათ და უარის ნიშნად თავი გააქნია: „არა, მინდა, ყველაფერი დავინახო“.

სინამდვილეში უარის მიზეზი სხვა იყო. მის ამ საქციელს არაფერი ეცხო გმირობისა, როდესაც მზად არიან, თვალებში უყურონ ჯალათების მთელ ხროვას. უბრალოდ სიკვდილის წამის გადავადება უნდოდა. ეჩვენებოდა, რომ, როგორც კი თვალებს აუხვევდნენ, სიკვდილის მარწუხებში აღმოჩნდებოდა, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს.

მამაკაცი არაფერს არ აძალებდა, უბრალოდ ხელკავი გამოსდო და ასე მიუყვებოდნენ მინდორს, ტერეზა კი ვერაფრით ახერხებდა ხის ამორჩევას. არავინ აჩქარებდა, მაგრამ იცოდა, რომ გაქცევა შეუძლებელი იყო. ბოლოს აყვავებულ წაბლის ხეს მოჰკრა თვალი და გაჩერდა. ზურგით ხეს მიეყრდნო და მაღლა აიხედა: ხედავდა მზით გაკაშკაშებულ სიმწვანეს და შორიდან ძალიან სუსტად და ტკბილად ქალაქის ხმაური მოესმოდა, როგორც ათასობით ვიოლინოს გამოძახილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მამაკაცმა თოფი ასწია.

ტერეზა გრძნობდა, რომ გამბედაობას კარგავდა. სასოწარკვეთილი იყო საკუთარი სისუსტით, მაგრამ თავს ვერ მოერია და თქვა: „მე ეს არ მინდოდა“.

ჯალათმა სასწრაფოდ დაუშვა თოფი და რბილად უთხრა: „თუ თქვენ ეს არ გინდათ, მაშინ ამას ვერ გავაკეთებთ. უფლება არ გვაქვს“.

მისი ხმა საოცრად ალერსიანად ჟღერდა, თითქოს ებოდიშებოდა ტერეზას იმის გამო, რომ ვერ მოკლავდა, რადგან ეს მისი სურვილი არ იყო. ეს ალერსიანი ხმა გულს უფლეთდა ტერეზას; ის ხისკენ შეტრიალდა და ატირდა.

14

მწარედ ატირებულს მთელი სხეული უკანკალებდა და ხეს ეხუტებოდა, თითქოს ხე კი არა, მამა იყო, რომელიც დაკარგა, თითქოს ბაბუა იყო, რომელიც არასოდეს ენახა, თითქოს ბაბუის მამა და ბაბუის ბაბუა, ვილაც ძალიან მოხუცი კაცი იყო, რომელიც შორეული წარსულიდან გამოეცხადა, რათა ხის უხეშ ქერქად შეეშვირა საკუთარი სახე ტერეზას ცრემლებისთვის.

მერე შემობრუნდა. სამი მამაკაცი უკვე შორს იყო, მინდორზე გოლფის მოთამაშეებივით მიაბიჯებდნენ და ერთერთის ხელში თოფი, მართლაც, გოლფის სათამაშო ჯოხს ჰგავდა.

პეტრჟინის ბილიკებს ქვევით მიუყვებოდა და სევდიანად ფიქრობდა იმ კაცზე, რომელსაც უნდა მოეკლა და არ მოკლა. როგორ ოცნებობდა მასზე! ბოლოს და ბოლოს ვინმემ ხომ უნდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უშველოს! ტომაში არ უშველის. ტომაში მას სასიკვდილოდ აგზავნის. მისი შველა მხოლოდ ვინმე სხვას შეუძლია!

რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს, მით უფრო ენატრებოდა ის მამაკაცი და მით უფრო ეშინოდა ტომაშის. ის არ აპატიებს პირობის შეუსრულებლობას. არ აპატიებს, რომ სიმხდალემ სძლია და უღალატა. უკვე სახლთან ახლოს იყო და იცოდა, რომ სულ მალე ტომაშს ნახავდა. ისეთმა შიშმა აიტანა, რომ შიგნით ყველაფერი შეეკუმშა და გულისრევა იგრძნო.

15

ინჟინერი ტერეზას სახლში ეპატიჟებოდა. უკვე ორჯერ უთხრა უარი. ამჯერად დათანხმდა.

როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ზეზეურად ისადილა და სახლიდან გავიდა. ჯერ ორი საათიც არ იყო.

მის სახლს რომ მიუახლოვდა, თავისდა უნებურად შეანელა ნაბიჯი.

მერე კი გაიფიქრა, რომ თვით ტომაშმა გააგზავნა ამ კაცთან. ტომაში ხომ გამუდმებით უხსნიდა, რომ სიყვარულსა და სექსუალობას არაფერი აქვს საერთო და ახლა უბრალოდ მისი სიტყვების სისწორის გამოსაცდელად და დასადასტურებლად მიემართება. ყურში ტომაშის ხმა ჩაესმის: „მესმის შენი. ვიცი, რაც გინდა. ყველაფერი მზადაა. ახვალ მთაზე და ყველაფერს მიხვდები“.

დიახ, ტომაშის ბრძანებების შესრულების გარდა არაფერს აკეთებს.

ინჟინერთან მხოლოდ ცოტა ხნით აპირებს დარჩენას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ ყავის დასალევად, მხოლოდ იმიტომ, რომ გაიგოს, რას ნიშნავს ღალატის ზღვარზე დგომა. უნდა, რომ საკუთარი სხეული ამ საზღვართან მიიყვანოს, ცოტა ხნით დატოვოს იქ, როგორც სამარცხვინო ბოძთან და მერე, თუ ინჟინერი ამ სხეულის ალერსს მოინდომებს, ეტყვის, როგორც იმ თოფიან მამაკაცს უთხრა: „მე ეს არ მინდა“.

მაშინ მამაკაცი დახრის თოფს და ალერსით ეტყვის: „თუ ეს თქვენი სურვილი არ არის, არაფერი არ მოხდება. ამის უფლება არ მაქვს“.

თვითონ კი ხისკენ შებრუნდება და ატირდება.

16

ქალაქის განაპირას, მუშათა უბანში, საუკუნის დასაწყისში აშენებული მრავალბინიანი სახლი იდგა. შეთეთრებულკედლებიან ჭუჭყიან სადარბაზოში შეაბიჯა. რკინისმოაჯირიანი გაცვეთილი კიბეებით მეორე სართულზე ავიდა. კიბიდან მარცხნივ მეორე კარი იყო, უწარწერო და უზარო. დააკაკუნა.

ინჟინერმა გაულო.

ბინა ერთადერთი ოთახისგან შედგებოდა, კარის ახლოს ორიოდე მეტრი ფარდით იყო გატიხრული, რაც ერთგვარი შემოსასვლელის ილუზიას ქმნიდა. იქ იდგა მაცივარი და მაგიდა პატარა გაზქურით. ფარდის იქით, ვიწრო და გრძელი ოთახის ბოლოში, წაგრძელებული ფანჯარა დაინახა. ერთ მხარეს წიგნის თაროები იყო, მეორე მხარეს – ტახტი და სავარძელი.

– ძალიან უბრალო ბინა მაქვს, – უთხრა ინჟინერმა, – იმედია, ეს არ შეგაცბუნებთ.

– არა, რას ბრძანებთ, – უპასუხა ტერეზამ, თან კედელს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათვალიერებდა, რომელიც მთლიანად წიგნის თაროებით იყო დაფარული. წესიერი მაგიდაც კი არ უდგას, სამაგიეროდ ასობით წიგნი აქვს, გაიფიქრა ტერეზამ. ამან მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და თავდაპირველმა შიშმაც ოდნავ გაუარა. წიგნს ხომ ბავშვობიდან ფარული საძმოს ნიშნად მიიჩნევდა. ადამიანი, რომელსაც ასეთი ბიბლიოთეკა აქვს, მას არ შეურაცხყოფს.

– რას ინებებთ? – ჰკითხა ინჟინერმა ტერზას. – ღვინოს?

– არა, ღვინო არ მინდა. თუ რამის დალევა აუცილებელია, მაშინ ყავა იყოს.

ერთმა წიგნმა მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, სოფოკლეს „ოიდიპოსის“ თარგმანი იყო. განა გასაკვირი არ არის, რომ მაინცდამაინც აქ ხედავს ამ წიგნს! ერთხელ, მრავალი წლის წინ, ტომაშმა ეს წიგნი წასაკითხად მისცა ტერეზას და შემდეგ დიდხანს უზიარებდა თავის აზრებს მის შესახებ. ეს აზრები მერე გაზეთში გამოაქვეყნა, რამაც მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. უყურებდა წიგნის ყდას და უფრო და უფრო მშვიდდებოდა. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ტომაშმა აქ საგანგებოდ დატოვა თავისი კვალი, თავისი გზავნილი და ყველაფერი პირადად მან მოაწყო. წიგნი გადმოიღო და გადაშალა. გადაწყვიტა, ინჟინერი რომ დაბრუნდებოდა, ეკითხა მისთვის, რად უნდა ეს წიგნი, წაუკითხავს თუ არა და საერთოდ, რას ფიქრობს მასზე. უნდოდა, ამგვარი ეშმაკობით უცხო ბინის არასანდო გარემოდან ტომაშის აზრების სამყაროში გადაეტანა საუბარი.

შემდეგ ინჟინრის ხელი იგრძნო მხარზე. მან წიგნი გამოართვა, უსიტყვოდ თაროზე დადო და ტახტისკენ წაიყვანა.

ისევ ის ფრაზა გაახსენდა, პეტრჟინზე ჯალათს რომ უთხრა და ხმამაღლა გაიმეორა: – ეს ჩემი სურვილი არ არის!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სჯეროდა, რომ ეს ის ჯადოსნური სიტყვებია, რომლებსაც შეუძლიათ მყისიერად შეცვალონ სიტუაცია. მაგრამ ამ ოთახში სიტყვებმა თავისი მაგიური ძალა დაკარგეს. მეტიც, ვფიქრობ, კაცს უფრო გადამჭრელი მოქმედებისკენ უბიძგეს: ტერეზა მიიხუტა და ხელი მკერდზე დაადო.

უცნაურია, მაგრამ ამ შეხებამ ტერეზას მაშინვე გაუქრო შიში. ინჟინერმა ამ მოქმედებით სხეულზე მიუთითა და ტერეზამ გააცნობიერა, რომ თვითონ (მისი სული) არაფერ შუაშია, ლაპარაკი მხოლოდ მის სხეულზეა. სხეულზე, რომელმაც მას უღალატა და რომელიც ქუჩაში სხვა სხეულებთან გააგდო.

17

კაცმა ბლუზის ერთი ღილი შეუხსნა და ამით მიანიშნა, რომ დანარჩენები თვითონ გაეხსნა. ტერეზა არ დაემორჩილა. მართალია, საკუთარი სხეული გარეთ გააგდო, მაგრამ არ სურდა, მასზე პასუხი ეგო. არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არც ეხმარებოდა. ამით სულს იმის ჩვენება უნდოდა, რომ არ ეთანხმებოდა იმას, რაც ხდებოდა, მაგრამ გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო.

ინჟინერმა გახადა ტერეზას, რომელიც თითქმის არ განძრეულა. როდესაც აკოცა, ტერეზამ უპასუხოდ დატოვა მისი შეხება, მაგრამ ცოტა ხანში ფეხებს შორის სისველე იგრძნო და შეეშინდა.

თავისი სურვილის წინააღმდეგ საოცრად აღიგზნო. სული უკვე ფარულად ეთანხმებოდა ყველაფერს, რაც ხდებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ძლიერი აღგზნება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდებოდა, თუ მისი თანხმობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოუთქმელი დარჩებოდა. თანხმობა ხმამაღლა რომ გამოეთქვა, სასიყვარულო სცენაში ნებაყოფლობით რომ ჩართულიყო, აღგზნება გაუქრებოდა. სულს ხომ ზუსტადაც ის აღაგზნებდა, რომ სხეული მისი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ღალატობდა სულს, ის კი ამ ღალატს უყურებდა.

შემდეგ ინჟინერმა საცვალიც ჩააძრო და ტერეზა სრულიად შიშველი დარჩა. სული შიშველ სხეულს უცხო კაცის მკლავებში ხედავდა, რაც ისევე დაუჯერებლად ეჩვენებოდა, როგორც, ვთქვათ, მარსის ახლოდან დათვალიერება. ამის წყალობით ცხოვრებაში პირველად სხეულმა სულის თვალში თავისი ბანალურობა დაკარგა; სული პირველად უყურებდა სხეულს მოჯადოებული; თვალსაჩინო გახდა სხეულის განუმეორებლობა, ერთადერთობა, ყველასგან განსხვავებულობა. სხეული, რომელსაც ხედავდა, ჩვეულებრივი კი არა (როგორც აქამდე ეგონა), არაჩვეულებრივი იყო. სული თვალს ვერ წყვეტდა საკუთარ ხალს, მრგვალ ყავისფერ ლაქას თმიანი ბოქვენის ზემოთ; ეჩვენებოდა, რომ ეს ხალი ბეჭედია, რომელიც თვითონ (სულმა) დაასვა სხეულს და რომ ახლა უცხო მამაკაცის ასო ამ სიწმინდესთან მკრეხელურად ახლოს მოძრაობს.

ინჟინერს სახეში რომ შეხედა, ტერეზა მიხვდა: არასდროს ნდომებია, რომ სხეული, რომელიც სულმა თავისი ნიშნით აღბეჭდა, ვიღაცის მკლავებში აღმოჩენილიყო, ვისაც არ იცნობს და არც უნდა, რომ იცნობდეს. უსაზღვრო სიძულვილმა აავსო; პირში ნერწყვი მოიგროვა, რომ სახეში შეეფურთხებინა ამ უცხო კაცისათვის. მაგრამ ის მზერას არ აშორებდა ტერეზას, როგორც ტერეზა მას; შეამჩნია ქალის გაშმაგება და მოძრაობას აუჩქარა. ტერეზა გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა შორიდან განცხრომა და ყვირილი დაიწყო: „არა, არა, არა“. ეწინააღმდეგებოდა განცხრომას და ამიტომაც შეკავებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტკბოება სულ უფრო მეტად იპყრობდა მთელ სხეულს, რადგან ამოსახეთქად გზა არ გააჩნდა; ისე ედებოდა მის სხეულს, როგორც ვენაში შეშხაპუნებული მორფი. ტერეზა კაცის მკლავებში იგრიხებოდა, ხელებს საწოლს ურტყამდა და სახეში აფურთხებდა მას.

18

თანამედროვე სააბაზანოებში უნიტაზები იატაკიდან შროშანებივითაა ამოზრდილი. არქიტექტორი ყველა ღონეს ხმარობს, რომ სხეულმა დაივიწყოს თავისი გაჭირვება და ადამიანმა არ იცოდეს, რა ემართება მისი შიგნეულობიდან გამოსულ ნარჩენებს, როდესაც მათ რეზერვუარიდან სწრაფად დაშვებული წყლის ნაკადი გადაევლება. მიუხედავად იმისა, რომ საკანალიზაციო გაყვანილობა თავისი საცეცებით ჩვენს ბინებშიც აღწევს, ჩვენი მზერისგან დიდი მზრუნველობით არის დაფარული და არაფერი ვიცით ექსკრემენტების იმ უხილავ ვენეციაზე, რომლის თავზეც არის გაშენებული ჩვენი სააბაზანოები, საძინებლები, საცეკვაო დარბაზები და პარლამენტები.

მუშათა უბნის ძველი მრავალბინიანი სახლის ტუალეტი ნაკლებად თვალთმაქცური იყო; იატაკი ნაცრისფერი ფილებით იყო მოპირკეთებული, საიდანაც ფართოდ პირდაღებული, უშნო უნიტაზი ამომართულიყო; ფორმით შროშანას კი არ მოგვაგონებდა, სწორედ იმას ჰგავდა, რაც სინამდვილეში იყო: კანალიზაციის მილის გაფართოებული დაბოლოება. უნიტაზს ხის ფიცარიც კი არ ჰქონდა, ამიტომ ტერეზას ცივ, ემალით დაფარულ თუნუქზე მოუხდა ჩამოჯდომა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნიტაზზე იჯდა. შიგნეულობის გათავისუფლების სურვილი, მოულოდნელად რომ გაუჩნდა, უკიდურესი დამცირების სურვილი იყო, სურვილი იმისა, რომ შეძლებისდაგვარად სრულად ქცეულიყო სხეულად, რომელზეც დედამისი ამბობდა, მხოლოდ მონელებისა და გამოყოფისათვის არსებობსო. უსაზღვრო მწუხარებითა და სიმარტოვის განცდით აღსავსე ტერეზა შიგნეულობას ითავისუფლებს. არაფერია ისეთი უბადრუკი, როგორიც საკანალიზაციო მილის გაფართოებულ კიდეზე ჩამომჯდარი მისი შიშველი სხეული.

მისმა სულმა დაკარგა მაყურებლის ცნობისმოყვარეობა, ღვარძლიანობა და სიამაყე: ისევ სადღაც სხეულში იყო ღრმად ჩამძვრალი, მის ყველაზე შორეულ ჯურღმულში და სასოწარკვეთილი ელოდებოდა ვინმეს ძახილს, რომ გარეთ გამოელწია.

19

უნიტაზიდან წამოდგა, ჩარეცხა და შემოსასვლელში გავიდა. შიშველ და განკიცხულ სხეულში ჩამწყვდეული სული კანკალებდა. უკანალზე ჯერ კიდევ გრძნობდა იმ ქაღალდის შეხებას, რომლითაც გამოიწმინდა.

ამ დროს უცნაური რამ მოხდა: მოუნდა, რომ ოთახში შესულიყო და ინჟინერი მას დალაპარაკებოდა, მისი ხმის გაგონება უნდოდა. ღრმა და ჩუმი ხმით რომ მიემართა ინჟინერს, ტერეზას სული გათამამდებოდა, სხეულის ზედაპირზე ამოვიდოდა და ტერეზა ატირდებოდა. ისე ჩაეხუტებოდა, როგორც სიზმარში წაბლის უზარმაზარ ხეს ეხუტებოდა.

შემოსასვლელში იდგა და ინჟინრის წინაშე ტირილის უზომო სურვილის გადალახვას ცდილობდა. იცოდა, რომ თუ თავს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ მოერეოდა, ის მოხდებოდა, რაც არ უნდოდა, რომ მომ-ხდარიყო: შეუყვარდებოდა.

ამ დროს ოთახიდან ინჟინრის ხმაც მოისმა. ახლა, როცა მხოლოდ მისი ხმა ესმოდა (თვითონ მას კი ვერ ხედავდა), გაოცდა: წვრილი და მაღალი ხმა ჰქონდა. უცნაურია, აქამდე როგორ ვერ შენიშნა?

ალბათ, ინჟინრის ხმით გამოწვეულმა ამ მოულოდნელმა და უსიამოვნო შთაბეჭდილებამ ცდუნებისათვის თავის დასაღწევად საჭირო ძალა შემატა ტერეზას. ოთახში შევიდა, მიმოფანტული ტანსაცმელი აკრიფა, სასწრაფოდ ჩაიცვა და წავიდა.

20

ტერეზა მაღაზიიდან ბრუნდებოდა, კარენინი გვერდით მიჰყვებოდა და პირში როხლიკი ეჭირა. ცივი დილა იყო, ყინავდა. მიდიოდნენ იმ დასახლების გავლით, სადაც სახლებს შორის დატოვებულ ადგილებში მოსახლეებს ბოსტნები და ბაღები ჰქონდათ გაშენებული. კარენინი მოულოდნელად გაჩერდა და ბაღებისკენ დაიწყო ყურება. ტერეზამაც გაიხედა იქით, მაგრამ საინტერესო ვერაფერი შენიშნა. კარენინმა იმ სახლებისკენ გაიწია. ტერეზა არ შეეწინააღმდეგებია, მიჰყვა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინახა ყვავის დიდნისკარტიანი შავი თავი, გაყინული მიწიდან ამოშვერილი. უსხეულო თავი ნელა მოძრაობდა, დროგამოშვებით კი საცოდავ ხრინწიან ხმას გამოსცემდა.

კარენინი ისეთი აღელვებული იყო, რომ როხლიკიც კი გაუვარდა პირიდან. ტერეზამ, იმის შიშით, რომ ყვავისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამე არ დაეშავებინა, კარენინი ხეზე მიაბა. შემდეგ ჩაიმუხლა და ჩამარხული ყვავის სხეულის ირგვლივ დატკეპნილი მიწის თხრა დაიწყო. ეს ადვილი საქმე არ იყო, ფრჩხილი მოსტყდა და სისხლი მოსდიოდა.

ამ დროს მის გვერდით ქვა დაეცა, მიმოიხედა და სახლის კუთხეს ამოფარებული ათიოდე წლის ორ ბიჭს მოჰკრა თვალი. ტერეზა წამოდგა. მისი მოძრაობისა და ხეზე მიბმული ძაღლის დანახვაზე ბიჭები სასწრაფოდ გაიქცნენ.

ტერეზა ისევ ჩაცუცქდა და მიწის თხრა გააგრძელა, სანამ ყვავი საფლავიდან არ გაათავისუფლა. ფრინველი კოჭლობდა, არც სიარული შეეძლო, არც ფრენა. ყვავი წითელ ყელსახვევში გაახვია და მარცხენა ხელით მიიხუტა, მარჯვენათი კი კარენინი ახსნა ხიდან. აფორიაქებული კარენინის დასაწყნარებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ზარი დარეკა, რადგან ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა და გასაღებს ვერ ამოიღებდა. ტომაშმა გაულო. „დაიჭირე!“ – უთხრა და კარენინის საყელური მიაწოდა, ყვავი სააბაზანოში შეიყვანა და პირსაბანის ქვეშ იატაკზე დასვა. ფრინველი ფრთხიალებდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა და თან რაღაც ბლანტი ყვითელი სითხე სდიოდა. ქვეშ ძველი ჩვრები დაუფინა, რომ პირდაპირ ცივ იატაკზე არ მჯდარიყო. ყვავი დაზიანებულ ფრთას აქნევდა, ნისკარტი კი საყვედურით მაღლა ჰქონდა აშვერილი.

21

ტერეზა აბაზანის კიდეზე იჯდა და თვალს ვერ აშორებდა მომაკვდავ ფრინველს. მისი ობლობა და სიმარტოვე საკუთარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხვედრის ხატად ევლინებოდა და რამდენჯერმე თავისთვის ჩაილაპარაკა კიდეც: – ტომაშის გარდა ქვეყნად არავინ მყავს.

ასწავლა თუ არა ინჟინრის შემთხვევამ, რომ პიკანტურ ავანტიურებს არაფერი აქვს საერთო სიყვარულთან? რომ ეს ავანტიურები მსუბუქია და არაფერს იწონის? დამშვიდდა?

სრულებითაც არა.

ხშირად უტრიალებს თვალწინ ერთი სცენა: ტუალეტიდან გამოდის და მისი სხეული, შიშველი და განკიცხული, შემოსასვლელში დგას. სხეულში ღრმად დამალული შეშინებული სული კი კანკალებს. ამ დროს კაცი, რომელიც ოთახში იყო, მის სულს რომ შეხმიანებოდა, ტერეზა ატირდებოდა და მკლავებში ჩაუვარდებოდა.

წარმოიდგინა, რომ ტუალეტთან მის ადგილას ტომაშის რომელიმე საყვარელი დგას, ოთახში კი ინჟინრის მაგივრად ტომაშია. ის ერთადერთ სიტყვას ეუბნება გოგოს და ისიც მკლავებში უვარდება ტირილით.

ტერეზამ იცის, რომ ეს სწორედ ის წამია, როდესაც სიყვარული იბადება: ქალი ვერ ეწინააღმდეგება ხმას, რომელიც მის შეშინებულ სულს ზედაპირზე ამოსასვლელად ეძახის. კაცი ვერ ეწინააღმდეგება ქალს, რომლის სულიც მის ხმას ემორჩილება. ტომაში არ არის დაცული სიყვარულის ხაფანგისაგან და ტერეზას ყოველდღე და ყოველ წამს უნდა ეშინოდეს ამის.

რა არის ტერეზას იარაღი? მხოლოდ თავისი ერთგულება. ერთგულება, რომელიც თავიდანვე შესთავაზა, პირველივე დღეს, თითქოს იცოდა, რომ სხვას ვერაფერს მისცემდა. მათი სიყვარული საოცრად ასიმეტრიული არქიტექტურისაა: იგი ისე ეყრდნობა ტერეზას მტკიცე ერთგულებას, როგორც უზარმაზარი სასახლე ერთადერთ სვეტს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყვავი თითქმის აღარ ანძრევდა ფრთას, მხოლოდ დროდადრო შეუხტებოდა ხოლმე მოტეხილი ფეხი. ტერეზა არ შორდებოდა, თითქოს მომაკვდავ დას უთევს ღამეს საწოლთანო. ბოლოს მაინც გავიდა სამზარეულოში, რომ სწრაფად ესადილა.

როცა დაბრუნდა, ყვავი უკვე მკვდარი იყო.

22

მათი სიყვარულის პირველ წელიწადს ტერეზა ლოგინში ყვიროდა ხოლმე და ამ ყვირილის მიზანი, როგორც უკვე ვთქვი, გრძნობების დაბრმავება და დათრგუნვა იყო. მერე და მერე ნაკლებად ყვიროდა, მაგრამ მისი სული ისევ დაბრმავებული იყო სიყვარულით და ვერაფერს ვერ ხედავდა. მხოლოდ ინჟინერთან დაწოლამ, როდესაც სიყვარულზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, აუხილა თვალი მის სულს.

ისევ საუნაში იყო. სარკის წინ იდგა, საკუთარ თავს უყურებდა და ცდილობდა, ინჟინერთან ფიზიკური სიახლოვის ეპიზოდი გაეხსენებინა. იმას, რაც ახსოვდა, საყვარელთან არაფერი ჰქონდა საერთო. კაცმა რომ თქვას, მის აღწერას ვერ შეძლებდა, ისიც კი ვერ შეამჩნია, შიშველი როგორი იყო. რაც ნამდვილად ახსოვდა (და რასაც ახლა სარკეში უყურებდა აღგზნებული), საკუთარი სხეული იყო; ბოქვენი და მრგვალი ხალი მის ახლოს. ხალი, რომელიც აქამდე მისთვის მხოლოდ კანის პროზაული ნაკლი იყო, ახლა ფიქრებს უფორიაქებდა. უნდოდა, ისევ ეხილა ეს ხალი უცხო მამაკაცის ასოს სიახლოვეს.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვა ხაზი: სრულებითაც არ ესწრაფოდა უცხო მამაკაცის ასოს დანახვას. მას საკუთარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშოს დანახვა სურდა უცხო სასქესო ორგანოს ახლოს. საყ-ვარლის სხეული არ ენატრებოდა. საკუთარი სხეული ენატ-რებოდა, ახლად აღმოჩენილი, ყველაზე ახლობელი, ამავე დროს ყველაზე უცხო და თან აღმგზნები.

საკუთარ სხეულს უყურებდა, რომელიც შხაპისგან დარ-ჩენილი წყლის წვრილი წვეთებით იყო დაფარული და იმაზე ფიქრობდა, რომ უახლოეს დღეებში ინჟინერი ისევ შეივლიდა ბარში. ძალიან უნდოდა, რომ მისულიყო და თავისთან მი-ეპატიჟებინა! უსაზღვროდ უნდოდა!

23

ყოველდღე ეშინოდა, რომ ბართან ინჟინერი გამოეცხა-დებოდა და ვერ შეძლებდა, უარი ეთქვა მისთვის. მაგრამ დღეები გადიოდა და მისი მოსვლის შიში მოუსვლელობის შიშ-მა შეცვალა.

ერთი თვე გავიდა, ინჟინერი კი არ ჩანდა. ტერეზას ეს აუხსნელად ეჩვენებოდა. იმედგაცრუებულმა ვნებამ უკან და-იხია და მისი ადგილი ღელვამ დაიკავა: რატომ არ მოვიდა?

ტერეზა კლიენტებს ემსახურებოდა. მათ შორის ის თავ-მოტვლეპილი კაციც იყო, რომელიც ვითომდა ალკოჰოლის არასრულწლოვანისათვის მიყიდვის მიზეზით ეჩხუბა. კაცი ხმამაღლა ჰყვებოდა უწმაწურ ანეკდოტს, ზუსტად ისეთს, ათასჯერ რომ მოუსმენია ლოთებისგან, რომლებისთვისაც ოდესღაც ლუდი მიჰქონდა პატარა ქალაქში. ისევ დაეუფლა შეგრძნება, რომ დედის სამყარო უბრუნდებოდა და ამიტომ თავმოტვლეპილ კაცს ლაპარაკი მკვეთრად შეაწყვეტინა. თავ-მოტვლეპილი განაწყენდა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შენიშვნას ნუ მაძლევთ. ბედნიერი უნდა იყოთ, რომ ჩვენ ბართან მუშაობის საშუალებას გაძლევთ.

– ვინ ჩვენ? ვინ არის ეს „ჩვენ“?

– ჩვენ, – ჩაილაპარაკა და კიდევ ერთი არაყი შეუკვეთა. – და დაიმახსოვრეთ, ამდენი არ უნდა გამიბედოთ.

შემდეგ კი თითი ტერეზას ყელისკენ გაიშვირა, სადაც მარგალიტის იაფფასიანი მძივი ბრწყინავდა:

– საიდან გაქვთ ეს მარგალიტები? თქვენს ქმარს, ფანჯრების იმ ჩვეულებრივ მწენდავს, რომ არ უჩუქებია, ეს ცხადია! თქვენთვის საჩუქრების საყიდელი ფული სად აქვს? ამ საჩუქრებს კლიენტები გაძლევენ? საინტერესოა, რისთვის?

– ახლავე ჩაიწყვიტეთ ხმა, – დაისისინა ტერეზამ.

კაცმა სცადა, ტერეზას მძივს სწვდომოდა: – კარგად დაიმახსოვრეთ, პროსტიტუცია ჩვენთან აკრძალულია!

კარენინი წამოდგა, წინა თათებით მაგიდას დაეყრდნო და ღრენა დაიწყო.

24

– ჯაშუში იყო, – თქვა ელჩმა.

– ჯაშუში რომ ყოფილიყო, შეუმჩნევლად დარჩენას ამჯობინებდა, – თქვა ტერეზამ. – რაღა საიდუმლო პოლიციაა, თუ თავი გაამჟღავნა!

ელჩი დივანზე ისე ფეხმოკეცილი დაჯდა, როგორც იოგას კურსებზე ასწავლეს. ზევიდან ჩარჩოში ჩასმული მოლიმარი კენედი დაჰყურებდა და მის სიტყვებს განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდა.

– ძვირფასო ტერეზა, – მამასავით მიმართა, – ჯაშუშებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვადასხვა ფუნქცია აქვთ. პირველი ცნობილი კლასიკური ფუნქცია გახლავთ. ისმენენ, რაზე საუბრობს ხალხი ერთმანეთში და ცნობებს ზემდგომებს აწვდიან.

მეორე ფუნქციაა დაშინება. ღიად გვეუბნებიან, რომ მათ ხელში ვართ და უნდა გვეშინოდეს. ეს ზუსტად თქვენი თავმოტვლეპილის შემთხვევაა.

მესამე ფუნქცია კი ის არის, რომ სხვადასხვა სიტუაციის ინსცენირებით ცალკეული ადამიანების კომპრომეტირება სცადონ. დღეს აღარავის აინტერესებს სამშობლოს ღალატში ჩვენი დადანაშაულება, რადგან ეს მხოლოდ კეთილად განაწყობდა ჩვენდამი საზოგადოებას. უფრო ჯიბეში ჰაშიშის პოვნას ან იმის დამტკიცებას შეეცდებიან, რომ თორმეტი წლის გოგო გავაუპატიურეთ. ვიღაც გოგონას, რომელიც ამას დაადასტურებს, ყოველთვის გამოძებნიან.

ტერეზას ისევ ინჟინერი გაახსენდა. მას მერე რატომ აღარ გამოჩენილა ბარში?

ელჩმა განაგრძო: – ხალხის ხაფანგში გაბმა სჭირდებათ, რომ საკუთარ სამსახურში ჩააყენონ და შემდეგ მათი დახმარებით ახალი ხალხისთვის ახალი მახეები დააგონ, რათა ამ გზით მთელი ერი დამსმენთა ერთიან ორგანიზაციად აქციონ.

ტერეზას მხოლოდ იმაზე ფიქრი შეეძლო, რომ ინჟინერი პოლიციამ გამოუგზავნა. ის უცნაური ბიჭი, რომ დათვრა და შემდეგ სიყვარულს უხსნიდა, ვინღა იყო? თავმოტვლეპილი ჯაშუში ხომ ზუსტად იმ ბიჭის გამო დაესხა თავს, ინჟინერმა კი ტერეზა თავმოტვლეპილისაგან დაიცვა. სამივეს თავისი მკაცრად განსაზღვრული როლი ჰქონდა ამ თამაშში, რომელიც მიზნად იმ უცხო მამაკაცის მიმართ სიმპათიის გაღვიძებას ისახავდა, რომელსაც შემდეგ ტერეზა უნდა შეეცდინა.

აქამდე როგორ ვერ მიხვდა ამას? ის ბინა ხომ რაღაცით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განსაკუთრებული იყო და ინჟინრის პიროვნებას სრულიადაც არ შეესაბამებოდა. ასე ელეგანტურად ჩაცმული ინჟინერი ასეთ ღარიბულ ბინაში რატომ იცხოვრებდა? და საერთოდ, იყო კი ინჟინერი? თუ მართლაც ინჟინერი იყო, დღის ორ საათზე ვინ გამოუშვებდა სამსახურიდან? და როდის იყო, ინჟინრები სოფოკლეს კითხულობდნენ? არა, ეს სულაც არ იყო ინჟინრის ბიბლიოთეკა! ბინა უფრო დაპატიმრებული ღარიბი ინტელექტუალისთვის ჩამორთმეულს ჰგავდა. როდესაც ტერეზა ათი წლის იყო და მამამისი დააპატიმრეს, ბინა ბიბლიოთეკასთან ერთად ჩამოართვეს. ვინ იცის, რაში გამოიყენეს შემდეგ ეს ბინა.

ახლა გასაგები გახდა, რატომ აღარ მოვიდა ინჟინერი. დავალება უკვე შეასრულა. რა დავალება? მთვრალმა ჯაშუშმა ხომ ხმამაღლა განაცხადა დავალების მიზანი, როდესაც ტერეზას მიაძახა: „კარგად დაიმახსოვრეთ, პროსტიტუცია ჩვენთან აკრძალულია!“ თვითმარქვია ინჟინერი კი დაადასტურებს, რომ ტერეზა მასთან იწვა და შემდეგ ფული მოითხოვა. ტერეზას დიდი უსიამოვნებებით დაემუქრებიან და აიძულებენ, შეზარხოშებული კლიენტები დაასმინოს.

– ნუ გეშინიათ, თქვენი შემთხვევა სახიფათო არ არის, – დააწყნარა ელჩმა.

– იმედია, არა, – მოგუდული ხმით თქვა ტერეზამ და კარენინთან ერთად ღამის ქუჩაში გავიდა.

25

ადამიანები, როგორც წესი, საკუთარ სატკივარს მომავალში გაურბიან. დროის მსვლელობას სადმე წარმოსახვით ნიშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნულს დაუსვამენ ხოლმე, რომლის იქითაც მათი დღევანდელი სატანჯველი აღარ არსებობს. მაგრამ ტერეზა ასეთ ნიშნულს ვერ ხედავდა. ისევ კვირა იყო. ისინი მანქანაში ჩასხდნენ და პრაღიდან გაემგზავრნენ.

ტომაში საჭესთან იჯდა, ტერეზა – მის გვერდით, კარენინი კი წამდაუწუმ უკანა სავარძლიდან წინ იხრებოდა და ორივეს ყურებს ულოკავდა. ორი საათის შემდეგ პატარა საკურორტო ქალაქს მიაღწიეს, სადაც დაახლოებით ექვსი წლის წინ რამდენიმე დღე გაატარეს. ახლაც აქ უნდოდათ ღამის გათევა.

მანქანა მოედანზე გააჩერეს და გადმოვიდნენ. არაფერი არ შეცვლილიყო ამ პატარა ქალაქში. ისევ იმ სასტუმროს ხედავდნენ, რომელშიც რამდენიმე დღე გაატარეს, მის წინ ისევ ის ბებერი ცაცხვი იდგა. მარცხენა მხარეს სასტუმროს ხის ძველი კოლონადა მიუყვებოდა, რომლის ბოლოს მარმარილოს პატარა აუზში წყარო მოჩქეფდა და ხალხი ჭიქებით ხელში ძველებურად იხრებოდა მისკენ.

შემდეგ ტომაშმა ისევ სასტუმროზე მიუთითა ტერეზას. რაღაც მაინც შეცვლილიყო. ოდესღაც სასტუმროს სახელწოდება „გრანდი“ იყო, ახლა კი „ბაიკალი“ ერქვა. შემდეგ ტომაშმა კედელზე მიმაგრებულ დაფას შეხედა და წაიკითხა: „მოსკოვის მოედანი“. ქალაქის ქუჩებს გაუყვნენ (კარენინი თვითონ მიჰყვებოდა მათ, უსაყელურად), ყველა ნაცნობი ქუჩა მოიარეს და თან მათ სახელებს აკვირდებოდნენ. აქ იყო სტალინგრადის ქუჩა, ლენინგრადის ქუჩა, როსტოვის ქუჩა, ნოვოსიბირსკის, კიევისა და ოდესის ქუჩები; იყო სანატორიუმები „ჩაიკოვსკი“, „ტოლსტოი“ და „რიმსკი-კორსაკოვი“, სასტუმრო „სუვოროვი“, კინოთეატრი „გორკი“ და კაფე „პუშკინი“. ყველა სახელწოდება რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიას უკავშირდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერეზას ოკუპაციის პირველი დღე გაახსენდა. ხალხმა ქალაქებში ქუჩების სახელწოდებებიანი დაფები ჩამოხსნა, გზებიდან კი ქალაქების დასახელებებიანი მაჩვენებლები გააქრო. ქვეყანა ერთ ღამეში უსახელო გახდა. შვიდი დღე დაეხეტებოდა რუსული არმია ქვეყანაში და არ იცოდა, ზუსტად სად იმყოფებოდა. ოფიცრები გაზეთების რედაქციების, ტელე- და რადიოსტუდიების შენობებს ეძებდნენ, რათა გაეკონტროლებინათ, მაგრამ ვერ პოულობდნენ. ეკითხებოდნენ გამვლელებს, რომლებიც ან მხრებს იჩეჩდნენ, ან სულაც ყალბ მისამართებსა და მიმართულებას უთითებდნენ.

ახლა, წლების გადასახედიდან, კარგად ჩანს, რომ ქვეყნისთვის ეს ანონიმურობა სახიფათო იყო. სახლებსა და ქუჩებს ძველი სახელწოდებები ველარ დაუბრუნდა. ასე გადაიქცა მოულოდნელად ერთი ჩეხური კურორტი პატარა მოჩვენებით რუსეთად და წარსული, რომლის მოსანახულებლადაც ტერეზა და ტომაში ჩამოვიდნენ, ჩამორთმეული აღმოჩნდა. ორივემ ზიზღი იგრძნო და იქ ღამის გათენება გადაიფიქრეს.

26

მანქანისკენ მიდიოდნენ და დუმდნენ. ტერეზა იმაზე ფიქრობდა, რომ ყველა საგანი და ადამიანი შენიღბულია. ძველი ჩეხური ქალაქი რუსულ სახელწოდებებს ამოეფარა. ჩეხები, რომლებიც რუსების შემოჭრას იღებდნენ, სინამდვილეში თურმე საიდუმლო პოლიციისთვის მუშაობდნენ. ადამიანს, რომელიც მას სასიკვდილოდ აგზავნიდა, ტომაშის ნიღაბი ეკეთა. პოლიციელი ინჟინრის სახელით მოქმედებდა, ინჟინერს კი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პეტრჟინზე რომ იყო, იმ კაცის როლის შესრულება უნდოდა. წიგნის ნიშანი ინჟინრის ბინაში ყალბი აღმოჩნდა და მიზნად სწორი გზიდან მის აცდენას ისახავდა.

ტერეზას ის წიგნი რომ გაახსენდა, რომელიც იქ ეჭირა, მოულოდნელად ერთი რამ გააცნობიერა და გაწითლდა: როგორ იყო? ინჟინერმა თქვა, ყავას მოვიტანო. ტერეზა წიგნების თაროსთან მივიდა და სოფოკლეს „ოიდიპოსი“ აიღო. ამ დროს ინჟინერიც დაბრუნდა, მაგრამ უყავოდ!

ისევ და ისევ იხსენებდა იმ სიტუაციას: ყავისთვის რამდენ ხანს იყო გასული? ალბათ, ერთი წუთი, შეიძლება ორი ან სამიც კი. რას შვრებოდა იმ მოცუცქნულ შემოსასვლელში ამდენ ხანს? ტუალეტში შევიდა? ტერეზა ცდილობდა, ყველაფერი კარგად აღედგინა გონებაში: იქნებ კარის ჯახუნი გაიგონა ან წყლის ხმა? არა, წყლის ხმა ნამდვილად არ გაუგონია, რომ გაეგო, ემახსოვრებოდა. იმაშიც თითქმის დარწმუნებულია, რომ არც კარი მიჯახუნებულა. მაშ რას აკეთებდა იმ შემოსასვლელში? უცებ ყველაფერი ნათელი გახდა. მათ უეჭველი მტკიცებულებები სჭირდებოდათ. ამდენი დრო, ეტყობა, შემოსასვლელში კამერის დასამონტაჟებლად დასჭირდა, ან სულაც ვინმე შემოუშვა სახლში, რომელიც მერე, ფარდას ამოფარებული, ფოტოებს უღებდა ტერეზას.

რამდენიმე კვირის წინ პროხაზკას დასცინოდა, რომელსაც არ სჯეროდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრობს, სადაც არავითარი პირადული არ არსებობს. თვითონ?! დედის სახლიდან თავის დაღწევის შემდეგ გულუბრყვილოდ ეგონა, რომ თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი იქნებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ დედის სახლი მთელ სამყაროზეა გადაჭიმული, ტერეზასკენ იწვდის ხელებს და იგი მას ვერსად დაემალება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბალებს შორის მიმავალი კიბეებით მოედნისკენ ჩადიოდნენ.

– რა მოგვიდა? – ჰკითხა ტომაშმა.

სანამ ტერეზა პასუხს გასცემდა, ტომაშს ვიღაც მიესალმა.

27

ეს იყო ორმოცდაათიოდე წლის გლეხი, გაუხეშებული სახის კანით, რომელსაც თავის დროზე ტომაშმა ოპერაცია გაუკეთა და მას შემდეგ ყოველ წელს დასასვენებლად აგზავნიდა ხოლმე ამ კურორტზე. მამაკაცმა ტომაში და ტერეზა ჭიქა ღვინოზე დაპატიჟა. რადგან მაშინ ჩეხეთში საზოგადოებრივ ადგილებში ძაღლის შეყვანა იკრძალებოდა, ტერეზა მანქანისკენ გაემართა კარენინის დასატოვებლად, კაცები კი კაფეში დასხდნენ. როდესაც ტერეზა დაბრუნდა, მამაკაცი ამბობდა:

– ჩვენთან სიწყნარეა. ორი წლის წინ კოოპერატივის თავმჯდომარედაც კი ამირჩიეს.

– გილოცავთ, – უთხრა ტომაშმა.

– ხომ იცით სოფლის ამბავი, ხალხი გარბის იქიდან. ისინი, ზევით რომ სხედან, ბედნიერები უნდა იყვნენ, ვინმეს სოფლად დარჩენა თუ უნდა. ამიტომ ჩვენი სამუშაოდან გაყრა არ შეუძლიათ.

– ჩვენთვის იდეალური ადგილი იქნებოდა, – თქვა ტერეზამ.

– მოიწყენდით, ახალგაზრდა ქალბატონო, იქ არაფერი არ არის, საერთოდ არაფერი.

ტერეზა თვალებში უყურებდა ამ სახეგარუჯულ გლეხს, რომელიც საოცრად ესიმპათიურებოდა. ამდენი ხნის შემდეგ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც იქნა, ვილაც ესიმპათიურებოდა! თვალწინ სოფლის სურათი წარმოუდგა: ეკლესია თავისი სამრეკლოთი, მინდორი, ტყეები, კურდღელი, რომელიც ნახნავებში მირბის და მწვანექუდიანი მონადირე. არასდროს არ უცხოვრია სოფლად. ეს სახება მხოლოდ მონაყოლით და წიგნებიდან, ან შესაძლოა სულაც შორეული წინაპრებისგან ჰქონდა ქვეცნობიერში ჩაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, სოფლის ეს ხატი ისეთივე ცხადი და თვალნათელი იყო, როგორიც დიდი ბებიის ფოტოები ოჯახურ ალბომში ან როგორც ძველი გრავიურა.

– კიდევ გაწუხებთ რამე? – ჰკითხა ტომაშმა.

გლეხმა კისერზე მიიდო ხელი, იქ, სადაც თავის ქალა ხერხემალს უერთდება:

– აი, აქ მტკივა ხოლმე.

ტომაშმა ყოფილ პაციენტს კისერი მოუსინჯა, შემდეგ რამდენიმე კითხვა დაუსვა და უთხრა:

– წამლების გამოწერის უფლება აღარ მაქვს. მაგრამ თქვენს მკურნალ ექიმს უთხარით, რომ მე მელაპარაკეთ და რომ ამ წამლის მიღება გირჩიეთ. – გულის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ფურცელი ამოხია და დიდი ასოებით წამლის სახელწოდება დაწერა.

28

პრაღაში ბრუნდებოდნენ.

ტერეზა იმ ფოტოზე ფიქრობდა, რომელზეც ინჟინრის მკლავებში შიშველი იყო აღბეჭდილი. ცდილობდა, თავი დაემშვიდებინა: ასეთი ფოტო თუნდაც რომ არსებობდეს, ტომაში მას ვერასდროს ნახავს. ეს ფოტო მათ მხოლოდ ტერეზას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შანტაჟისთვის სჭირდებათ. როგორც კი ტომაშს გაუგზავნიან, ის მაშინვე დაკარგავს ყოველგვარ ძალას.

მაგრამ ვაითუ ამასობაში პოლიციამ გადაწყვიტოს, რომ ტერეზა მათთვის საინტერესო აღარ არის? მაშინ ეს ფოტოსურათი მათთვის მხოლოდ გასართობად იქცევა და ვერაფერი დაუდგება წინ იმას, რომ, თუნდაც გასართობად, რომელიმემ კონვერტში ჩადოს და ტომაშს გაუგზავნოს.

რა მოხდება, ტომაშმა ასეთი ფოტო რომ მიიღოს? გააგდებს? ალბათ, არა. უფრო არა. მაგრამ მათი სიყვარულის მყიფე სასახლე საძირკვლიანად დაინგრევა, რადგან ის ერთ სვეტს, ანუ ტერეზას ერთგულებას, ეყრდნობა. სიყვარული კი იმპერიას წააგავს: როდესაც ჩაკვდება იდეა, რომელზეც აღმოცენდა, თვითონაც ისპობა.

თვალწინ სულ ერთი სურათი უტრიალებდა: ხნულში მორბენალი კურდღელი, მწვანექუდიანი მონადირე და ტყის ზემოთ – სამრეკლო.

უნდოდა, ტომაშისთვის ეთხოვა, რომ პრაღიდან გადასულიყვნენ, შორს იმ ბავშვებისაგან, რომლებიც ცოცხლად მარხავენ ყვავებს, შორს ჯაშუშებისაგან, შორს ქოლგებით შეიარაღებული გოგოებისაგან. უნდოდა ეთხოვა, რომ სოფლად გადასახლებულიყვნენ, ეთქვა, რომ ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

ტომაშისკენ გაიხედა, მაგრამ ის გზას უყურებდა და ხმას არ იღებდა. ტერეზას კი ჩამოწოლილი სიჩუმის ბარიერის გადალახვა არ შეეძლო, ხმის ამოსაღებად საჭირო გამბედაობა დაკარგა. თავს ისე გრძნობდა, როგორც მაშინ, პეტრჟინიდან ქვევით რომ ეშვებოდა. შიგნით ყველაფერი ეკუმშებოდა და გული ერეოდა. ტომაშის ეშინოდა. ის მისთვის ძალიან ძლიერი იყო, თვითონ კი ძალიან სუსტი. ტომაში ბრძანებებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აძლევდა, რომლებისაც ტერეზას არ ესმოდა. ცდილობდა მათ შესრულებას, მაგრამ არ გამოსდიოდა.

უკან, პეტრჟინზე, დაბრუნება და თოფიანი კაცისთვის იმის თხოვნა უნდოდა, რომ ნება მიეცა მისთვის, თვითონვე აეხვია თვალები ნაჭრით და წაბლის ხეს მიჰყრდნობოდა. სიკვდილი უნდოდა.

29

ტერეზამ გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ შინ მარტო იყო.

გარეთ გავიდა და სანაპიროსაკენ გაეშურა. ვლტავის დანახვა უნდოდა. სანაპიროზე დიდხანს დგომა და ტალღების ყურება უნდოდა, რადგან წყლის დინების ყურება ადამიანს აწყნარებს და კურნავს. მდინარე საუკუნეების მანძილზე მიედინება, ნაპირზე კი ეპოქები ენაცვლება ერთმანეთს, რათა ხვალ ყველაფერი დავიწყებას მიეცეს, მდინარემ კი დინება გააგრძელოს.

მოაჯირს დაყრდნობილი წყალში იყურებოდა. პრაღის გარეუბანში იყო. ვლტავამ მთელ პრაღას ჩაუარა, სანამ აქამდე მოაღწევდა, უკან ჰრადჩანისა და ტაძრების დიდება ჰქონდა მოტოვებული, დაღლილი იყო და ჩაფიქრებული, როგორც მსახიობი წარმოდგენის შემდეგ. ვლტავა ჭუჭყიან ნაპირებს შორის მიედინებოდა, სადაც კედლები და ღობეები იყო აღმართული, მათ იქით კი ფაბრიკები და ცარიელი სპორტული მოედნები მოჩანდა.

დიდხანს უყურებდა წყალს, რომელიც აქ განსაკუთრებით მუქად და მოწყენილად ეჩვენებოდა და უცებ შუა მდინარეში რაღაც წითელ საგანს მოჰკრა თვალი. ეს რაღაც ბაღის სკამი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალმოჩნდა, რკინისფეხებიანი ხის სკამი. პრაღის პარკები სავსეა ასეთი სკამებით. ნელა მოცურავდა შუა ვლტავაში. მერე მეორეც გამოჩნდა. მის უკან უამრავ სკამს ხედავს ტერეზა, ასეთივე სკამებს და ხვდება, რომ ისინი ქალაქის პარკებიდან მოაქვს დინებას, სულ უფრო და უფრო მეტი მოჰყვება მდინარეს, როგორც ტყეებიდან წყლის ჩამოტანილი ფოთლები; ზოგი წითელია, ზოგი – ყვითელი, ზოგიც – ლურჯი.

ისე მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს ხალხისთვის უნდოდა ეკითხა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რატომ მოაქვს წყალს სკამები პრაღის ბაღებიდანო, მაგრამ ყველანი გულგრილად მიაბიჯებდნენ და სულ არ აინტერესებდათ, რომ რომელიღაც მდინარე საუკუნეების მანძილზე მიედინება ამ ამაოების ქალაქში.

ისევ მდინარეს მიაჩერდა. უსაზღვრო სევდა შემოაწვა. ხვდებოდა, რომ, რასაც ხედავდა, გამოთხოვება იყო, გამოთხოვება სიცოცხლესთან, რომელიც ფერთა ლივლივით გვშორდება.

როდესაც სკამების დიდი ნაწილი თვალს მიეფარა, უცებ კიდევ რამდენიმე გამოჩნდა, მერე კიდევ ერთი – ყვითელი, შემდეგ კი კიდევ ერთი, ლურჯი, სულ ბოლო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეხუთე ნაწილი

სიმსუბუქე და სიმძიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

როდესაც ტერეზა მოულოდნელად დაადგა თავს ტომაშს პრაღაში, იმავე დღეს, უფრო სწორად, იმავე საათს, როგორც უკვე ვთქვი წიგნის პირველ ნაწილში, ლოგინში აღმოჩნდნენ, მოგვიანებით კი ტერეზას სიცხემ აუწია. ის საწოლში იწვა, ტომაში თავზე ადგა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ტერეზა ერთი პატარა ბავშვია, რომელიც ვიღაცამ ფისით ამოგლესილ კალათში ჩააწვინა და დინებას მასთან გამოატანა.

მას შემდეგ მიგდებული ბავშვის ხატი ტომაშისთვის განსაკუთრებით ძვირფასი გახდა და ხშირად ფიქრობდა ხოლმე ძველ მითებზე, რომლებშიც ეს ხატი გვხვდებოდა. ალბათ, სწორედ ეს იყო საბაბი, რომ ერთხელაც სოფოკლეს „ოიდიპოსით“ დაინტერესდა.

ოიდიპოსის მითი კარგადაა ცნობილი: მწყემსმა მიგდებული ჩვილი იპოვა და თავის მეფეს, პოლიბოსს მიუყვანა, რომელმაც ის გაზარდა. დავაჟკაცებული ოიდიპოსი ერთხელ მთებში ეტლს გადაეყარა, რომლითაც უცნობი დიდგვაროვანი მოგზაურობდა. ისინი შელაპარაკდნენ და ოიდიპოსმა დიდგვაროვანი მოკლა. მოგვიანებით კი დედოფალი იოკასტე შეირ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თო ცოლად და თებეს მმართველი გახდა. აზრადაც არ მოსვლია, რომ მთებში მოკლული დიდგვაროვანი მამამისი იყო, ხოლო ქალი, რომელთანაც იწვა – დედამისი. ამასობაში კი შურისძიება მის ქვეშევრდომებს მომაკვდინებელი სნეულებების სახით დაატყდათ თავს. როდესაც ოიდიპოსმა გაიგო, რომ ქვეშევრდომების ტანჯვის მიზეზი თვითონ იყო, თვალები დაითხარა და თებეს გაეცალა.

2

იმათ, ვისაც ჰგონია, რომ ცენტრალური ევროპის კომუნისტური რეჟიმების წარმოშობა მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეთა ბრალია, ერთი რამ ეპარებათ მხედველობიდან: დანაშაულებრივი რეჟიმები დამნაშავეებმა კი არა, ფანატიკოსებმა შექმნეს, დარწმუნებულებმა, რომ სამოთხისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა აღმოაჩინეს. ამ გზას დიდი გულმოდგინებით იცავდნენ და ამიტომ ბევრი ადამიანი გაწირეს სასიკვდილოდ. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ არავითარი სამოთხე არ არსებობს, ასე რომ ეს ფანატიკოსები მკვლელებად იქცნენ.

ხალხი უყიჟინებდა კომუნისტებს: თქვენ ხართ პასუხისმგებელნი ქვეყნის უბედურებაზე (გაღარიბდა და გაპარტახდა), დამოუკიდებლობის დაკარგვაზე (რუსეთის მარწუხებში მოექცა), სასამართლოს დანაშაულებებზე!

ბრალდებულები კი პასუხობდნენ: არ ვიცოდით! მოგვატყუეს! ჩვენ გვჯეროდა! სულის სიღრმეში უდანაშაულონი ვართ!

ამის შემდეგ კამათი ძირითადად ერთ საკითხზე მიმდინარეობდა: მართლა არ იცოდნენ თუ უბრალოდ გვატყუებენ, რომ არ იცოდნენ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაში თვალყურს ადევნებდა ამ კამათს (მთელ ათმილიონიან ჩეხ ერთან ერთად) და ფიქრობდა, რომ, რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არცოდნას ვერ დააბრალებდი (შეუძლებელი იყო, არაფერი სცოდნოდათ იმ მხეცობებზე, რომლებიც ხდებოდა და დღემდე ხდება რევოლუციის შემდგომ რუსეთში). თუმცა დასაშვებია, რომ კომუნისტების უმეტესობამ მართლაც არაფერი იცოდა. ამიტომ ტომაშმა თავის თავს უთხრა: მნიშვნელოვანი ის კი არ არის, იცოდნენ თუ არა მათ, რაც ხდებოდა, არამედ ის, შეიძლებოდა თუ არა ამ არცოდნის გამო ისინი უდანაშაულოებად ჩაგვეთვალა. ნუთუ მეფის ტახტზე მჯდომ სულელს არაფერზე არ მოეთხოვება პასუხი იმიტომ, რომ სულელია?

დავუშვათ, რომ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩეხი პროკურორი, რომელიც უდანაშაულო ადამიანის სიკვდილით დასჯას ითხოვდა, რუსეთის საიდუმლო სამსახურმა და საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებამ შეიყვანა შეცდომაში. მაგრამ როგორ შეიძლება, დღეს, როდესაც ყველამ ვიცით, რომ ბრალდება აბსურდული იყო და სიკვდილით დასჯილი – უდანაშაულო, ეს პროკურორი საკუთარ უცოდველობაზე გველაპარაკებოდეს და გულზე ხელს იცემდეს: სინდისი სუფთა მაქვს, არ ვიცოდი! მჯეროდა! განა ზუსტად მის ამ სიტყვებში არ არის გამოუსწორებელი დანაშაული?

სწორედ ამ დროს გაახსენდა ტომაშს ოიდიპოსის ამბავი: ოიდიპოსმა არ იცოდა, რომ საკუთარ დედასთან იწვა და მიუხედავად ამისა, როდესაც სიმართლე გაიგო, თავი უდანაშაულოდ არ ჩაუთვლია. ვერ გაუძლო იმ უბედურების ყურებას, რომელიც თავისი არცოდნით დაატრიალა, თვალები დაითხარა და თებეს გაეცალა.

ტომაში ხედავდა, როგორ თავგამოდებით იცავდნენ კომუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნისტები თავიანთ შინაგან წესიერებას და ფიქრობდა: თქვენი არცოდნით ამ ქვეყანამ, ალბათ, ასწლეულებით დაკარგა თავისუფლება, თქვენ კი გაიძახით, რომ უდანაშაულოები ხართ? როგორ შეგიძლიათ ამ ყველაფერს უყუროთ? როგორ შეიძლება, შეძრწუნებულები არ იყოთ? და საერთოდ, ხედავთ რამეს? თუ ხედავდით, თვალები უნდა დაგეთხარათ და თებეს გასცლოდით!

ეს შედარება ტომაშს ისე მოსწონდა, რომ ხშირად იყენებდა მეგობრებთან საუბრისას და დროთა განმავლობაში ის უფრო და უფრო დაიხვეწა და ზუსტი გახდა.

როგორც იმ პერიოდის ყველა ინტელექტუალი, ტომაშიც კითხულობდა ერთ ყოველკვირეულ ჟურნალს, რომელმაც რეჟიმისგან მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას მიაღწია და სადაც თამამად განიხილავდნენ ისეთ თემებს, რომლებზეც სხვა გამოცემები კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდნენ. არც იმ საკითხისთვის აუვლიათ გვერდი, ვინ და რამდენად არის დამნაშავე ძალაუფლებაში კომუნისტების მოსვლის პირველ წლებში პოლიტიკური ნიშნით გამართულ სასამართლო პროცესებზე სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში.

ასეთი კამათისას გამუდმებით ისმოდა შეკითხვა: იცოდნენ თუ არ იცოდნენ? რადგან ტომაშს ეს საკითხი მეორეხარისხოვნად მიაჩნდა, გადაწყვიტა, ოიდიპოსის შესახებ თავისი მოსაზრება წერილობით გადმოეცა და ამ ჟურნალში გაგზავნა. ერთი თვის შემდეგ დაურეკეს და რედაქციაში მისვლა სთხოვეს. რედაქტორი, დაბალი, მაგრამ ლარივით გამართული კაცი, შეხვდა და ერთ წინადადებაში სიტყვების თანამიმდევრობის შეცვლა შესთავაზა. სტატია მართლაც დაიბეჭდა ჟურნალის ბოლოსწინა გვერდზე, რუბრიკაში „მკითხველთა წერილები“.

თუმცა ტომაშს ეს სულაც არ გახარებია. რედაქციაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს იმისთვის იხმეს, რომ ერთ წინადადებაში სიტყვების თანამიმდევრობა შეეცვალათ, მაგრამ გამოქვეყნებული სტატია ძალიან შემოკლებული აღმოჩნდა: მისი შინაარსი ერთ ძირითად თეზისამდე (თანაც ძალიან სქემატურ და აგრესიულ თეზისამდე) დაეყვანათ, რაც ტომაშს აღარ მოეწონა.

ეს 1968 წლის გაზაფხულზე მოხდა. ხელისუფლებაში ალექსანდრე დუბჩეკი იყო და მასთან ერთად ის კომუნისტები, რომლებიც თავს დამნაშავედ გრძნობდნენ და ამ დანაშაულის რამენაირად გამოსწორება უნდოდათ. მაგრამ სხვებს, რომლებიც გაიძახოდნენ, უდანაშაულონი ვართო, ეშინოდათ, რომ აბობოქრებული ხალხი მათ გაასამართლებდა. ამიტომ ყოველდღე რუსეთის ელჩთან დარბოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ. როდესაც ტომაშის წერილი გამოქვეყნდა, გაჰყვიროდნენ: აი სადამდე მივედით! უკვე ღიად წერენ, რომ თვალები უნდათ დაგვთხარონ!

ორი თუ სამი თვის მერე რუსებმა გადაწყვიტეს, რომ თავისუფალი დისკუსიები მათ გუბერნიაში დაუშვებელია და თავიანთი არმიით ერთ ღამეში დაიპყრეს ტომაშის სამშობლო.

3

როდესაც ტომაში ციურიხიდან პრაღაში ჩამოვიდა, ისევ თავის საავადმყოფოში დაუბრუნდა. ერთხელაც უფროსმა თავისთან გამოიძახა.

– ბოლოს და ბოლოს, ბატონო კოლეგავ, – უთხრა ტომაშს, – თქვენ მწერალი, ჟურნალისტი და ერის გადამრჩენი კი არა, ექიმი და მეცნიერი ხართ. ძალიან არ მინდა დაგკარგოთ და ყველაფერს ვიღონებ, რომ აქ დაგტოვოთ. მაგრამ უარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა თქვათ თქვენს სტატიაზე ოიდიპოსის შესახებ. ნუთუ ის თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია?

– რას ბრძანებთ, – თქვა ტომაშმა და გაახსენდა, როგორ შეამოკლეს თავდაპირველი ტექსტი თითქმის მესამედით, – პირიქით, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

– გესმით, ალბათ, რაზეა ლაპარაკი, – უთხრა უფროსმა.

ცხადია, ტომაშს ესმოდა: სასწორზე ორი რამ იდო: ერთ მხარეს მისი ღირსება (ანუ ის, რომ თავის ნათქვამს არ უარყოფდა), მეორეზე კი ის, რაც საკუთარი ცხოვრების აზრად მიაჩნდა (მეცნიერისა და ექიმის საქმიანობა).

უფროსი განაგრძობდა: – მათ მოთხოვნაში, რომ ადამიანებმა ყველას გასაგონად უარყონ თავიანთი შეხედულებები, რაღაც შუასაუკუნეობრივი იგრძნობა. საერთოდ რას ნიშნავს „შეხედულებების უარყოფა“? თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებელია მოსაზრებების სიმცდარის დასაბუთება და არა მათი უარყოფა. ძვირფასო კოლეგავ, ზუსტად იმიტომ, რომ შეხედულებების უარყოფა რაღაც შეუძლებელი, მხოლოდ სიტყვიერი, ფორმალური და მაგიურია, ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა დაეთანხმოთ მათ მოთხოვნას. საზოგადოებაში, რომელსაც ტერორი მართავს, ყოველგვარი განცხადება ფუჭია, ეს ნაძალადევი განცხადებებია და პატიოსანი ადამიანი მოვალეა, მათ ყურადღება არ მიაქციოს და საერთოდ არ შეამჩნიოს. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ: ჩემთვისაც და თქვენი პაციენტებისთვისაც უკეთესი იქნება, თუ თქვენი საქმის კეთებას გააგრძელებთ.

– მართალი ბრძანდებით, – უკმაყოფილო გამომეტყველებით თქვა ტომაშმა.

– მერე? – უფროსი მისი აზრების გამოცნობას შეეცადა.

– მეშინია, რომ შემრცხვება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ვის წინაშე? ნუთუ იმდენად დიდი აზრის ხართ თქვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე, რომ დიდად გადარდებთ, რას ფიქრობენ ისინი თქვენზე?

– არა, მათზე დიდი აზრის არ ვარ, – თქვა ტომაშმა.

– გარდა ამისა, – განაგრძო უფროსმა, – მარწმუნებდნენ, რომ საჯარო განცხადებაზე არ არის ლაპარაკი. ბიუროკრატები არიან. უნდათ, სადმე ედოთ იმის დამადასტურებელი ქაღალდი, რომ რეჟიმს არ ებრძვით. თავის გასამართლებლად სჭირდებათ, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე შეედავებათ იმის გამო, რომ თანამდებობაზე დაგტოვეს. პირობა დადეს, რომ განცხადება თქვენსა და მათ შორის დარჩება და მის გახმაურებას არ აპირებენ.

– ერთი კვირა მომეცით მოსაფიქრებლად, – სთხოვა ბოლოს ტომაშმა.

4

ტომაში საავადმყოფოს საუკეთესო ქირურგად ითვლებოდა. იმასაც კი ამბობდნენ, უფროსი, რომელიც საპენსიო ასაკს უახლოვდებოდა, თავის ადგილს მას გადაულოცავსო. როდესაც ხმა დაირხა, ზემდგომი ორგანოები ტომაშისგან თვითკრიტიკულ განცხადებას მოითხოვენო, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ტომაში დათანხმდებოდა.

ამან ტომაში გააკვირვა: თუმცა საამისო მიზეზი არავისთვის მიუცია, ხალხი მის მანკიერებაზე დებდა ფსონს და არა მის წესიერებაზე.

აკვირვებდა ხალხის რეაქციაც მის სავარაუდო გადაწყვეტილებზე. ეს რეაქცია ორგვარი იყო: პირველი იმათ ეკუთ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნოდა, რომლებმაც თვითონ (ან მათმა ახლობლებმა) მოაწერეს რაიმე მსგავსს ხელი და იძულებული იყვნენ, თავიანთი ტოლერანტობა გამოეხატათ საოკუპაციო რეჟიმის მიმართ, ან მზად იყვნენ, ეს გაეკეთებინათ (მიუხედავად იმისა, რომ არ სურდათ; სიამოვნებით ამას არავინ არ აკეთებდა). ეს ხალხი რაღაც განსაკუთრებულად უღიმოდა, რაც აქამდე არ შეუნიშნავს: შეთქმულთა გაუბედავი ღიმილით. ის იმ ორი მამაკაცის ღიმილს წააგავდა, რომლებიც მოულოდნელად ბორდელში გადაეყარნენ ერთმანეთს: ოდნავ რცხვენიათ და თან სიამოვნებთ, რომ მათი სირცხვილი გაზიარებულია; ამიერიდან მათ ერთგვარი ძმობა აკავშირებთ.

მათი ღიმილი მით უფრო დიდი კმაყოფილების გამომხატველი იყო, რადგან ტომაშს კონფორმისტის სახელი არასოდეს ჰქონია. ამიტომ უფროსის წინადადებაზე ტომაშის მოსალოდნელი თანხმობა იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ლაჩრობა ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვლად ქცევის ნორმად ყალიბდება და მალე მას ლაჩრობად აღარავინ აღიქვამს. ეს ადამიანები მისი მეგობრები არასოდეს ყოფილან; და ტომაშმა შიშით გააცნობიერა, რომ თავისი უფროსის წინადადებას მართლა რომ დასთანხმებოდა, ისინი მას დასალევად დაპატიჟებდნენ და მასთან მეგობრობას მოისურვებდნენ.

მეორე ტიპის რეაქცია იმათ ეკუთვნოდა, რომლებიც (თვითონ ან მათი ახლობლები) ხელისუფლებისაგან იყვნენ შევიწროებული და უარი განაცხადეს საოკუპაციო რეჟიმთან ყოველგვარ კომპრომისზე, ან რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ არასოდეს არავითარ კომპრომისზე არ წავიდოდნენ, თუმცა მათთვის ჯერჯერობით არც მოუთხოვიათ კომპრომისი (ან განცხადება) (შეიძლება, იმიტომაც, რომ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და ვერ მოასწრეს რაიმეში გარევა).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ-ერთმა მათგანმა, ძალიან ნიჭიერმა ახალგაზრდა ექიმმა ს.-მ ჰკითხა კიდეც ტომაშს:

– ბოლოს და ბოლოს დაუწერე, რაც უნდოდათ?

– ბოდიში, მაგრამ რაზე ლაპარაკობ? – ჰკითხა ტომაშმა.

– რაზე და შენი მოსაზრების უარყოფაზე, – უთხრა ს.-მ სრულიად უბოროტოდ. მეტიც, იღიმებოდა. მაგრამ ეს ღიმილი – ღიმილების მრავალფეროვანი ჰერბარიუმიდან ერთ-ერთი – უკვე სხვანაირი იყო: დაკმაყოფილებული მორალური უპირატესობის გამომხატველი.

ტომაში შეეპასუხა:

– რა იცი ჩემი განცხადების შესახებ? წაგიკითხავს?

– არა, – უპასუხა ს.-მ.

– აბა რას ყბედობ? – შეუტია ტომაშმა.

ს. ისევ კმაყოფილებით იღიმებოდა: – მომისმინე, ყველამ ვიცით, როგორ კეთდება ასეთი საქმეები. ასეთ განცხადებას წერილის ფორმით წერენ დირექტორის, მინისტრის ან, ღმერთმა იცის, კიდევ ვის სახელზე და ის იძლევა პირობას, რომ წერილი არ გახმაურდება, რათა ავტორმა თავი დამცირებულად არ იგრძნოს. ხომ ასეა?

ტომაშმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ისევ ს.-ს მიაპყრო სმენა.

– შემდეგ ადრესატი წერილს თავისი მაგიდის უჯრაში დებს კოხტად და ავტორმა კარგად იცის, რომ წერილის არსებობა ყოველ წამს შეიძლება გამჟღავნდეს. ამიტომ ვერასოდეს ველარაფერს იტყვის, ველარაფერს გააკრიტიკებს, ვერ გამოხატავს თავის პროტესტს, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი წერილი გამოქვეყნდება და ავტორი საზოგადოების თვალში ყოველგვარ ღირსებას დაკარგავს. კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ჰუმანური მეთოდია. ბევრად უფრო უარესის წარმოდგენაც შეიძლება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნამდვილად ძალიან ჰუმანური მეთოდია, – თქვა ტომაშმა. – მხოლოდ ის მაინტერესებს, ვინ გითხრა, რომ ამაზე დავთანხმდი?

კოლეგამ ისევ ღიმილით აიჩეჩა მხრები.

ტომაში კიდევ ერთმა უცნაურობამ გააოგნა: ყველანი ულიმოდნენ, ყველას უნდოდა, ის წერილი დაეწერა; ამით ყველას გაახარებდა! პირველი ტიპის რეაქცია მქონეთ გაუხარდებოდათ, რომ სილაჩრის ინფლაცია მათ საქციელს საყოველთაოდ მიღებულს ხდის და დაკარგულ ღირსებას უბრუნებს. მეორენი კი მიეჩვივნენ აზრს, რომ მათი ღირსება პრივილეგიაა და მასზე უარის თქმა არ სურთ. ამიტომაც ლაჩრები ფარულად უყვართ. ლაჩრების გარეშე მათი ვაჟკაცობა ჩვეულებრივ ამბად და ამაო გარჯად გადაიქცეოდა, რომლითაც აღარავინ აღფრთოვანდებოდა.

ტომაშს აღარ შეეძლო ამ ღიმილის ატანა, ეჩვენებოდა, რომ ყველგან მას ხედავდა, უცნობი გამვლელების სახეებზეც კი. ძილი დაუფრთხა. ნეტა რატომ? ნუთუ ამ ხალხს ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს? არა, სულაც არ არის მათზე დიდი წარმოდგენის და საკუთარ თავზე ბრაზობს, რომ მათი მზერა ასე აღელვებს. ამაში ვერავითარ ლოგიკას ვერ ხედავს. როგორ შეიძლება, იმ ადამიანების აზრზე იყოს დამოკიდებული, რომლებსაც ასე ნაკლებად აფასებს?

შეიძლება, ადამიანების მიმართ მისმა ძლიერმა უნდობლობამ (მისმა დაეჭვებამ იმაში, რომ სხვებს მისი ბედის გადაწყვეტისა და მასზე მსჯელობის უფლება აქვთ), განაპირობა კიდეც იმ პროფესიის არჩევა, რომელიც მის ცხოვრებაში საზოგადოების მონაწილეობას გამორიცხავდა. ადამიანი, რომელიც პოლიტიკას ირჩევს პროფესიად, საკუთარი ნებით აქცევს საზოგადოებას თავის მოსამართლედ, გულუბ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რყვილოდ დარწმუნებული იმაში, რომ მის კეთილგანწყობას მოიპოვებს. ბრბოს უკმაყოფილება კი მას კიდევ უფრო აქტიური მოქმედებისაკენ უბიძგებს, სწორედ ისე, როგორც ტომაშისთვისაა დიაგნოზის სირთულე დამატებითი სტიმული.

ექიმს (პოლიტიკოსისა და მსახიობისაგან განსხვავებით) მხოლოდ მისი პაციენტები და უახლოესი კოლეგები აფასებენ, ანუ ოთხ კედელს შუა, პირისპირ. ტომაშს შეუძლია, შემფასებლის მზერას სასწრაფოდ გასცეს პასუხი საკუთარი მზერით, აუხსნას, რაშია საქმე ან თავი გაიმართლოს. ახლა კი ტომაში იმ სიტუაციაში აღმოჩნდა (პირველად ცხოვრებაში), როდესაც მისკენ იმაზე მეტი მზერა იყო მიპყრობილი, რამდენზეც რეაგირება შეეძლო. არც მზერით და არც სიტყვით არ შეეძლო პასუხის გაცემა, მათ ხელში იყო. მასზე ლაპარაკობდნენ საავადმყოფოშიც და მის გარეთაც (იმხანად ნევროზულ პრაღაში აფრიკული ტამტამის სისწრაფით ვრცელდებოდა ამბავი, ვინ უღალატა ერს, ვინ არის გამცემი და ვინ კოლაბორაციონისტი). ტომაშმა იცოდა ეს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. თვითონვე უკვირდა, რა აუტანელი იყო მისთვის ეს სიტუაცია და რა პანიკას შეეპყრო. ამ ხალხის ინტერესი მისთვის ისევე აუტანელი იყო, როგორც ჯგლეთა ან იმათი შეხება, რომლებიც კოშმარულ სიზმრებში ტანზე ტანსაცმელს გვაგლეჯენ.

ტომაში უფროსთან მივიდა და უთხრა, არაფერს არ დავწერო.

უფროსმა ისე ძლიერად ჩამოართვა ხელი, როგორც აქამდე არასოდეს გაუკეთებია და უთხრა, რომ ზუსტად ასეთ გადაწყვეტილებას მოელოდა მისგან.

– ბატონო ექიმო, ვფიქრობ, ასეთი წერილის გარეშეც შესაძლებელია ჩემი აქ დატოვება, – თქვა ტომაშმა. ამით იმის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინიშნება უნდოდა, რომ საკმარისი იქნებოდა ყველა მისი კოლეგის მუქარა, ტომაშის გაგდების შემთხვევაში ჩვენც დავტოვებთ სამსახურსო.

თუმცა არავის მოსვლია აზრად მსგავსი მუქარა და ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ (ამჯერად უფროსმა უფრო ძლიერად ჩამოართვა ხელი; ლურჯი ლაქები კარგა ხანს ეტყობოდა) ტომაშს სამსახურიდან წასვლა მოუხდა.

5

თავიდან პრაღიდან ოთხმოციოდე კილომეტრით დაშორებულ სოფლის კლინიკაში აღმოჩნდა. ყოველდღე მატარებლით მიდიოდა სამსახურში და შინ სრულიად გამოფიტული ბრუნდებოდა. საბედნიეროდ, ერთი წლის შემდეგ უფრო მოსახერხებელი, თუმცა დაბალკვალიფიციური სამსახურის შოვნა მოახერხა პრაღის გარეუბნის პოლიკლინიკაში. აქ ქირურგი არ სჭირდებოდათ და ამიტომ თერაპევტად დაიწყო მუშაობა. პოლიკლინიკის მოსაცდელი ყოველთვის სავსე იყო პაციენტებით, ამიტომ თითოეულისთვის ხუთი წუთის დათმობას ძლივს ახერხებდა; უწერდა ასპირინს, სამსახურისათვის ავადმყოფობის დამადასტურებელ ცნობას აძლევდა და შესაბამის სპეციალისტთან გამოსაკვლევად აგზავნიდა. თავს ექიმად კი არა, ბიუროკრატად მიიჩნევდა.

ერთხელაც მიღების საათების დამთავრებოსას ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი ესტუმრა, რომელსაც ზომიერი სიმსუქნე სოლიდურობას სძენდა. ტომაშს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლად წარუდგინა თავი და ქუჩის მეორე მხარეს რესტორანში მიიპატიჟა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქ ერთი ბოთლი ღვინო შეუკვეთა. ტომაში შეეწინააღმდეგა:

– მანქანით ვარ, პოლიციამ თუ გამაჩერა, მართვის უფლებას ჩამომართმევენ.

სამინისტროს თანამშრომელს გაეცინა:

– თუ ვინმემ გაგაჩერათ, საკმარისი იქნება, ჩემი სახელი ახსენოთ, – და სავიზიტო ბარათი მიაწოდა ტომაშს, სადაც მისი სახელი (ცხადია, გამოგონილი) და სამინისტროს ტელეფონის ნომერი ეწერა.

შემდეგ დიდხანს ლაპარაკობდა იმაზე, რა დიდ პატივს სცემს ტომაშს და როგორი შეწუხებულია მთელი სამინისტრო იმით, რომ ტომაშის მსგავსი ქირურგი ახლა იძულებულია, გარეუბნის პოლიკლინიკაში ასპირინი გამოწეროს. ცდილობდა, ეგრძნობინებინა ტომაშისთვის, რომ საგანგებო სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ ამის ხმამაღლა თქმა არ შეუძლია, არ ეთანხმება ისეთ დრაკონულ ზომებს, როგორიცაა კვალიფიციური მუშაკების განთავისუფლება მათი შესაფერისი სამსახურიდან.

ტომაში, რომელიც, დიდი ხანი იყო, აღარავის შეექო, ყურადღებით უსმენდა მსუქან მოსაუბრეს და უკვირდა, რა ზუსტად და დაწვრილებით იყო ის ინფორმირებული მისი პროფესიული წარმატებების შესახებ. როგორი უმწეოა ადამიანი მლიქვნელობის წინააღმდეგ! ტომაშმა ცდუნებას ვერ გაუძლო, რომ ყველაფერი, რასაც სამინისტროს თანამშრომელი ეუბნებოდა, სერიოზულად არ მიეღო.

მას ეს მხოლოდ პატივმოყვარეობით კი არა, გამოუცდელობითაც მოსდიოდა. როდესაც პირისპირ ზიხარ ადამიანთან, რომელიც ზრდილობიანი, მომხიბვლელი და სანდომიანია, ძალიან ძნელია განუწყვეტლივ იმაზე იფიქრო, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი და გულწრფელად ნათქვამი. იმისათვის, რომ არ გჯეროდეს (გამუდმებით, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე), უზარმაზარი ძალისხმევა და ვარჯიში, ანუ ხშირი პოლიციური დაკითხვებია საჭირო. სწორედ ასეთი ვარჯიში აკლდა ტომაშს.

სამინისტროს თანამშრომელი განაგრძობდა:

– ბატონო ექიმო, ვიცით, რომ ციურიხში არაჩვეულებრივი მდგომარეობა გქონდათ და დიდად ვაფასებთ, რომ სამშობლოში დაბრუნდით. ეს ღირსეული საქციელი იყო. იცოდით, რომ თქვენი ადგილი აქ არის. – შემდეგ კი ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ტომაშს რაღაცას საყვედურობსო, დაუმატა: – მაგრამ თქვენი ადგილი საოპერაციო მაგიდასთანაა!

– სავსებით გეთანხმებით, – უპასუხა ტომაშმა.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ სამინისტროს წარმომადგენელმა სევდიანი ხმით განაგრძო:

– ბატონო ექიმო, ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ კომუნისტებს თვალები უნდა დაეთხაროთ? უცნაურად არ გეჩვენებათ ის ფაქტი, რომ ამას მაინცდამაინც თქვენ ამბობთ, თქვენ, ვინც ამდენ ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა?

– ეს სრული უაზრობაა, – შეეცადა თავის დაცვას ტომაში. – წაიკითხეთ და დააზუსტეთ, რას ვწერდი იქ.

– წაკითხული მაქვს, – თქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხმით, რომელსაც ძალიან უნდოდა, ნაღველი დასტყობოდა.

– განა იქ სადმე წერია, კომუნისტებს თვალები უნდა დავთხაროთო?

– ყველამ ასე გაიგო, – თქვა სამინისტროს წარმომადგენელმა და ხმაში მეტი სევდა დაეტყო.

– ის ტექსტი მთლიანად რომ წაგეკითხათ, იმ სახით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა სახითაც დავწერე, ასეთი აზრები არ გაგიჩნდებოდათ. შემოკლებულად დაბეჭდეს.

– როგორ? – სმენა დაძაბა სამინისტროს წარმომადგენელმა. – მათ იმ სახით არ გამოუქვეყნებიათ ტექსტი, რა სახითაც თქვენ მიაწოდეთ?

– შეამოკლეს.

– ძალიან?

– დაახლოებით ერთი მესამედით.

სამინისტროს წარმომადგენელი გულწრფელად გაბრაზებული ჩანდა: – ეს მათი მხრიდან უპატიოსნო საქციელია.

ტომაშმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– უნდა გაგეპროტესტებინათ! სასწრაფოდ უნდა მოგეთხოვათ ტექსტის გასწორება!

– ზუსტად ამ დროს რუსები შემოვიდნენ და სულ სხვა საზრუნავი გვქონდა ყველას, – უპასუხა ტომაშმა.

– რატომ უნდა ეგონოს ხალხს, რომ თქვენ, ცნობილ ექიმს, ადამიანებისთვის თვალისჩინის წართმევა გინდოდათ?

– რას ამბობთ, ის ჩემი სტატია სადღაც ბოლოში დაბეჭდეს, სხვადასხვა წერილებთან ერთად. ალბათ, არავის შეუმჩნევია.

– ეს არ თქვათ, ბატონი ექიმო, პირადად მისაუბრია არაერთ ადამიანთან, რომლებიც ამ სტატიაზე მსჯელობდნენ და გაკვირვებას ვერ მალავდნენ, რომ ის თქვენი დაწერილი იყო. ახლა, როდესაც უკვე ამიხსენით, რომ სტატია ისე არ დაბეჭდილა, როგორც თქვენ დაწერეთ, ბევრი რამ უფრო გასაგები ხდება. სტატიის დაწერა მათ შემოგთავაზეს?

– არა, – თქვა ტომაშმა, – მე თვითონ გავუგზავნე.

– იცნობთ იმ ხალხს?

– ვის?

– აი სტატია ვინც დაგიბეჭდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არა.

– მათთან არასოდეს გისაუბრიათ?

– ერთხელ რედაქციაში გამომიძახეს.

– რატომ?

– სტატიის გამო.

– და ვის ესაუბრეთ?

– ვიღაც რედაქტორს.

– რა ერქვა?

აქ უკვე ტომაში მიხვდა, რომ დაკითხვას უტარებდნენ. შეიძლებოდა, თითოეული თავისი სიტყვით ვინმე საფრთხის წინაშე დაეყენებინა. რედაქტორის სახელი იცოდა, მაგრამ არ გათქვა. – არ ვიცი.

– კი, მაგრამ, ბატონო ექიმო, – თქვა მოსაუბრემ ხმით, რომელშიც ტომაშის წინააღმდეგობის გამო ბრაზი იგრძნობოდა, – შეხვედრისას ხომ გაგეცნოთ!

განა ტრაგიკომედია არაა, რომ სწორედ ჩვენი კარგი აღზრდა იქცევა საიდუმლო პოლიციის მოკავშირედ. ტყუილის თქმა არ შეგვიძლია. იმპერატივი „არ იცრუო!“, რომელსაც ბავშვობიდან გვინერგავდნენ დედიკო და მამიკო, ისე ავტომატურად მოქმედებს, რომ პოლიციის წინაშეც კი, რომელიც დაკითხვას გვიტარებს, გვრცხვენია ჩვენი ტყუილის. ჩვენთვის უფრო ადვილია, მას ვეჩხუბოთ, შეურაცხყოფა მივაყენოთ (რასაც არავითარი აზრი არ აქვს), ვიდრე თვალებში ვუყუროთ და ვატყუოთ (ის ერთადერთი, რის გაკეთებაც ღირს).

როდესაც სამინისტროს წარმომადგენელმა ტომაში არაგულწრფელობაში დასდო ბრალი, ტომაშმა თითქმის დამნაშავედ იგრძნო თავი: გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვაც კი მოუხდა, რომ ტყუილები გაეგრძელებინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ალბათ, გამეცნო, – თქვა ტომაშმა, – მაგრამ რადგან მისი ვინაობა ჩემთვის სრულიად უცნობი იყო, დამავიწყდა.

– როგორ გამოიყურებოდა?

რედაქტორი, რომელსაც ტომაში შეხვდა, დაბალი იყო და მოკლედ შეჭრილი ღია ფერის თმები ზღარბივით ედგა. ტომაში შეეცადა, სრულიად საპირისპირო ნიშნები დაესახელებინა:

– მაღალი იყო და გრძელი შავი თმა ჰქონდა.

– ააა, და დიდი ნიკაპი არა? – იკითხა სამინისტროს წარმომადგენელმა.

– დიახ, – დაეთანხმა ტომაში.

– ცოტა მხრებში მოხრილი, არა?

– დიახ, – ისევ დაეთანხმა ტომაში და უცებ მიხვდა, რომ სამინისტროს წარმომადგენელს სრულიად კონკრეტული ადამიანი ჰყავდა მხედველობაში. ტომაშმა არა მარტო გასცა ვიღაც საწყალი რედაქტორი, უარესი, ყალბი ცნობების საფუძველზე გასცა იგი.

– რისთვის დაგიძახათ? რაზე საუბრობდით?

– წინადადებაში სიტყვების თანამიმდევრობის შეცვლა უნდოდათ.

ეს პასუხი თავის დაძვრენის მცდელობად გამოიყურებოდა. სამინისტროს წარმომადგენელმა ტომაშის ჯიუტობა ისევ იმ სევდიანი ტონით გაიკვირვა:

– ბატონო ექიმო, ერთი წუთის წინ მითხარით, ხელნაწერი ერთი მესამედით შეამოკლესო, ახლა მეუბნებით, სიტყვების თანამიმდევრობაზე ვსაუბრობდითო. ცოტა არ იყოს, არალოგიკურია!

ტომაში ამჯერად უფრო თავისუფლად პასუხობდა, რადგან, რასაც ამბობდა, სრული სიმართლე იყო.

– ლოგიკური არ არის, მაგრამ ასეა, – სიცილით თქვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან. – მთხოვეს, წინადადებაში სიტყვების თანამიმდევრობის შეცვლის უფლება მიმეცა, შემდეგ კი ნაწერის მესამედი გამოტოვეს.

სამინისტროს წარმომადგენელმა თავი ისე გადააქნია, თითქოს ასეთი ამორალური ქცევის გაგება არაფრით არ შეეძლო და თქვა: – ძალიან არაკორექტულად მოგექცნენ.

ღვინო დალია და დაასკვნა: – ბატონო ექიმო, ვხედავ, რომ მანიპულაციის მსხვერპლად იქეცით, დასანანი იქნებოდა, ამის გამო თქვენ და თქვენი პაციენტები დაზარალებულიყავით. ჩვენ, ბატონო ექიმო, კარგად ვიცით თქვენი ფასი. ვნახოთ, იქნებ რაიმეთი შეიძლება ვუშველოთ ამ საქმეს.

გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი ტომაშს და ორივე თავ-თავისი მანქანისკენ გაემართა.

6

ამ შეხვედრამ ტომაში საშინელ ხასიათზე დააყენა. ვერ პატიობდა საკუთარ თავს, რომ ასეთ უშუალო საუბარში ჩაება. თუკი კატეგორიული უარი არ განაცხადა პოლიციელთან საუბარზე (მზად არ იყო ასეთი სიტუაციისათვის, არ იცოდა, კანონით რის უფლება აქვს და რის არა), რესტორანში მასთან ერთად მეგობრულად ღვინის სმაზე ნამდვილად უნდა ეთქვა უარი! ვინმეს რომ დაენახა, ვინც ამ ადამიანს იცნობს, მერე რაღა უნდა ექნა? ის ნაცნობი ხომ ერთადერთ დასკვნას გამოიტანდა: რომ ტომაში საიდუმლო პოლიციასთან თანამშრომლობს! და საერთოდ, რატომ მოუყვა სტატიის შემოკლების ისტორიას? რა საჭირო იყო ამ სრულიად ზედმეტი ცნობების მიწოდება? ძალიან უკმაყოფილო იყო საკუთარი საქციელით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორი კვირის შემდეგ სამინისტროს წარმომადგენელი ისევ ესტუმრა ტომაშს. როგორც წინა შეხვედრისას, ახლაც რესტორანში დაჯდომა უნდოდა სასაუბროდ, მაგრამ ამჯერად ტომაშმა მისაღებში დარჩენა ამჯობინა.

– მესმის თქვენი, ბატონო ექიმო, – გაიცინა მან.

ამ ფრაზამ ტომაშის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. სამინისტროს წარმომადგენელი იმ მოჭადრაკესავით ლაპარაკობდა, რომელმაც მოწინააღმდეგეს დაუდასტურა, რომ მან წინა სვლისას შეცდომა დაუშვა.

პირისპირ ისხდნენ და ერთმანეთს ტომაშის საწერი მაგიდა აშორებდათ. პირველი ათი წუთის შემდეგ, რომელიც ახალი გრიპის გამძვინვარებულ ეპიდემიაზე საუბარს მოანდომეს, სამინისტროს წარმომადგენელმა უთხრა:

– ვიფიქრეთ თქვენს საქმეზე, ბატონო ექიმო. მხოლოდ თქვენზე რომ იყოს ლაპარაკი, ყველაფერი მარტივად მოგვარდებოდა, მაგრამ საზოგადოებრივ აზრსაც ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ნებით თუ უნებლიეთ, სტატიით ანტიკომუნისტურ ისტერიაში თქვენც შეიტანეთ წვლილი. არ დაგიმალავთ, შემოგვთავაზეს, რომ ამ სტატიისათვის საქმე აღგვეძრა. ამისთვის სპეციალური პარაგრაფი არსებობს: საზოგადოების მოწოდება ძალადობისაკენ. – შემდეგ გაჩუმდა და ტომაშს თვალებში შეხედა. ტომაშმა მხრები აიჩეჩა, თანამოსაუბრემ კი დამამშვიდებელი ტონით განაგრძო: – ჩვენ ეს უარვყავით. რა პასუხისმგებლობაც უნდა გეკისრებოდეთ ამ საქმეში, საზოგადოებისთვის უკეთესია, იქ მუშაობდეთ, სადაც სრულად შეძლებთ თქვენი ნიჭის გამოვლენას. თქვენი უფროსი ძალიან გაქებთ. სხვათა შორის, თქვენი პაციენტებისგანაც გვაქვს ცნობები. ბრწყინვალე სპეციალისტი ხართ, ბატონო ექიმო! არავის აქვს უფლება, ექიმს პოლიტიკაში ღრმად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩახედულობა მოსთხოვოს. თავი გაასულელებინეთ და ეს არის. კარგი იქნებოდა, გამოგვესწორებინა ეს ყველაფერი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ერთი განცხადების ტექსტი შემოგვეთავაზებინა თქვენთვის, რომელიც, ჩვენი აზრით, გაზეთში უნდა გააგზავნოთ, ჩვენ კი ამ განცხადების საჭირო დროს გამოქვეყნებას უზრუნველვყოფთ, – და ტომაშს ფურცელი მიაწოდა.

ტომაშმა ტექსტს თვალი გადაავლო და შეშფოთდა. ახალი ტექსტი იმაზე ბევრად უარესი აღმოჩნდა, რასაც ორი წლის წინ მისგან უფროსი მოითხოვდა. ეს ოიდიპოსის თემაზე დაწერილ სტატიაზე უბრალოდ უარის თქმა არ იყო. აქ ნახავდით ფრაზებს საბჭოთა კავშირის სიყვარულზე, კომუნისტური პარტიის ერთგულებაზე, იყო კრიტიკა ინტელექტუალებისა, რომლებსაც ქვეყნის სამოქალაქო ომის ჩათრევა უნდათ და რაც მთავარია, აქ იყო ყოველკვირეული ჟურნალის რედაქტორების დასმენა, მათ შორის იმ მაღალი და მხრებში მოხრილი რედაქტორისა (ტომაშს ის არასდროს უნახავს, მაგრამ მისი სახელი გაგონილი ჰქონდა და ფოტოებზეც ჰყავდა ნანახი), რომლებმაც ტომაშის სტატია ბოროტად გამოიყენეს და სტატიის ჭეშმარიტი არსი, სრულიად გამიზნულად, ანტირევოლუციურ მოწოდებად გადააქციეს; ნათქვამი იყო, რომ ეს მშიშრები მსგავსი სტატიის დაწერას ვერ ბედავდნენ და გადაწყვიტეს, გულუბრყვილო ექიმს ზურგს ამოფარებოდნენ.

სამინისტროს წარმომადგენელმა ტომაშის თვალებში შეშფოთება შეამჩნია, ამიტომ სასწრაფოდ დაიხარა, მაგიდის ქვეშ მეგობრულად ხელი დაჰკრა მუხლზე და უთხრა:

– ბატონო ექიმო, ეს მხოლოდ მონახაზია! კარგად იფიქრეთ ამაზე და თუ საჭიროდ ჩათვლით რამის შეცვლას, რასაკვირველია, მოვახერხებთ შეთანხმებას, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ თქვენი წერილია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაშმა სასწრაფოდ დაუბრუნა ფურცელი პოლიციელს, თითქოს ეშინოდა, კიდევ ერთი წამით რომ გაეჩერებინა ხელში, მომავალში ამ ფურცელზე მისი თითების ანაბეჭდებს დაუწყებდნენ ძებნას.

ფურცლის გამორთმევის ნაცვლად პოლიციელმა მოჩვენებითი გაკვირვებით გაშალა ხელები (რომის პაპი სწორედ ასე ლოცავს ხოლმე ხალხს აივნიდან): – ბატონო ექიმო, რატომ მიბრუნებთ? დაიტოვეთ და შინ კიდევ ერთხელ წყნარად გადახედეთ.

ტომაში თავს აქნევდა და ჯიუტად ჰქონდა ფურცლიანი ხელი გაშვერილი. სამინისტროს წარმომადგენელმა ბოლოს და ბოლოს თავი დაანება რომის პაპის მიბაძვას და ფურცელი გამოართვა.

ტომაშს უნდოდა მკვახედ ეთქვა, რომ არასოდეს არავითარ ტექსტს არ დაწერს და არ მოაწერს ხელს, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა და მშვიდად თქვა:

– წერა-კითხვის უცოდინარი ხომ არ ვარ, რაც არ დამიწერია, იმას რატომ უნდა მოვაწერო ხელი?

– კეთილი, ბატონო ექიმო, შეგვიძლია სხვა გზა ავირჩიოთ. თქვენ დაწერეთ და მერე ერთად გადავხედოთ. ის კი, რაც ახლა წაიკითხეთ, ნიმუშად გამოგადგებათ.

საინტერესოა, რატომ არ მიახალა პოლიციელს მკვახე უარი?

თავში გაუელვა: გარდა იმისა, რომ ასეთი განცხადებებით ხალხის დემორალიზება სურთ, პოლიციას, ეტყობა, ახლა რაღაც კონკრეტული გეგმა აქვს: შეიძლება იმ ყოველკვირეული ჟურნალის რედაქტორების სასამართლო პროცესის გამართვას აპირებენ. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ტომაშის განცხადება სჭირდებათ, როგორც მათ წინააღმდეგ მიმართული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრალდებისა და ბინძური ბეჭდვითი კამპანიის ნაწილი. ახლა პრინციპული და საბოლოო უარი თუ განაცხადა, იმის საშიშროება შეიქმნება, რომ პოლიცია თავისივე დაწერილ წერილს ტომაშის ყალბი ხელმოწერით გამოაქვეყნებს. შემდეგ კი ტომაშის პროტესტს არც ერთი გაზეთი აღარ მიიღებს! აღარავინ დაიჯერებს, რომ ეს წერილი მისი დაწერილი და მისივე ხელმოწერილი არ არის! ტომაში უკვე დიდი ხანია მიხვდა, რა კმაყოფილებას განიცდიან ადამიანები, როდესაც სხვას მორალურად დამცირებულს ხედავენ და არავის მისცემენ უფლებას, ეს სიამოვნება ახსნა-განმარტებებით ჩააშხამონ.

პოლიციელის დაიმედებით, რომ წერილს დაწერდა, ტომაშმა დრო მოიგო. მეორე დღესვე წარადგინა განცხადება და სამსახური მიატოვა. მისი ვარაუდით (რომელსაც რეალური საფუძველი ჰქონდა), თუ სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე საკუთარი ნებით ჩავიდოდა (სადაც სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი ათასობით ინტელექტუალი აღმოჩნდა იმ პერიოდში), პოლიცია მასზე ძალაუფლებას დაკარგავდა და მისით აღარ დაინტერესდებოდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ტომაშის სახელით ყალბი ტექსტების გამოქვეყნებას ვეღარ შეძლებდნენ, რადგან ეს სრულიად არადამაჯერებელი იქნებოდა. სამარცხვინო განცხადებები ხომ ყოველთვის განმცხადებლის დაწინაურებასთან არის კავშირში და არა დაქვეითებასთან.

ჩეხეთში ექიმი სახელმწიფო მოხელეა და სახელმწიფოს შეუძლია, ის სამსახურიდან გაათავისუფლოს ან არ გაათავისუფლოს. მოხელე, რომელსაც განთავისუფლების შესახებ ესაუბრებოდა, კარგად იცნობდა და პატივს სცემდა ტომაშს, ამიტომაც ცდილობდა მის გადარწმუნებას. მოულოდნელად ტომაშს ეჭვი შეეპარა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მასთან ერთგულების ფიცით იყო დაკავშირებული, ამიტომ ურყევად იდგა თავის აზრზე. ასე გადაიქცა ტომაში ფანჯრების მწმენდავად.

7

წლების წინ, როდესაც ტომაში ციურიხიდან პრაღაში ბრუნდებოდა, საკუთარ თავს უმეორებდა: „Es muss sein!“ და ტერეზასადმი სიყვარულზე ფიქრობდა. თუმცა საზღვრის გადმოკვეთისთანავე გაუჩნდა ეჭვი, მართლაც ასე უნდა მომხდარიყო ეს ყველაფერი თუ არა: გააცნობიერა, რომ შვიდი წლის წინ მხოლოდ სასაცილო შემთხვევითობების ჯაჭვმა (რომელიც უფროსის იშიაზით იწყებოდა) მიიყვანა ის ტერეზასთან და რომ მხოლოდ ამ შემთხვევითობების გამო ბრუნდება დღეს იმ ხაფანგში, საიდანაც შეუძლებელი იქნება გაქცევა.

ნიშნავს კი ეს იმას, თითქოს მის ცხოვრებაში არავითარი „Es muss sein!“, არავითარი განსაკუთრებული აუცილებლობა არ არსებობდა? პირიქით, ვფიქრობ, არსებობდა. ეს არ იყო სიყვარული, ეს პროფესია იყო. ტომაში მედიცინამდე შემთხვევითობამ ან ანგარებამ კი არა, დაუძლეველმა შინაგანმა ლტოლვამ მიიყვანა.

თუკი შეიძლება ადამიანები გარკვეულ კატეგორიებად დავყოთ, მაშინ პირველ რიგში იმ სიღრმისეული მისწრაფებების მიხედვით, რომლებიც მათ ამა თუ იმ მიზნისაკენ მიმართავენ. ყველა ფრანგი განსხვავებულია. სამაგიეროდ მსოფლიოს ყველა მსახიობი, პარიზიდან, პრაღიდან თუ უკანასკნელი პროვინციული თეატრიდან, ერთმანეთს ჰგავს. მსახიობი ისაა, ვინც ბავშვობიდანვე თანახმაა, ანონიმური პუბლიკის წინაშე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარდგეს. ამ თანხმობის გარეშე, რომელსაც ნიჭთან არაფერი აქვს საერთო და უფრო სილრმისეული მოვლენაა, ვიდრე უბრალოდ ნიჭი, ადამიანი მსახიობი ვერ გახდება. იგივე შეიძლება ითქვას ექიმზეც. ექიმი ის არის, ვინც თანახმაა, მთელი ცხოვრება ადამიანის სხეულთან ჰქონდეს საქმე, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. სწორედ ეს თანხმობა (და არა ნიჭი ან უნარი) აძლევს მას ძალას, პირველ კურსზე პროზექტურაში შევიდეს და ექვსი წლის შემდეგ ექიმი გახდეს.

ქირურგიას ექიმის პროფესიის ძირითადი იმპერატივი უკიდურეს საზღვრამდე მიჰყავს, სადაც ადამიანური ღვთაებრივს ეხება. როდესაც ვინმეს ძლიერად ჩაარტყამთ თავში ხელკეტს, ის მოკვდება. თუმცა ოდესმე ისედაც მოკვდებოდა. ასეთი მკვლელობა ოდნავ უსწრებს წინ იმას, რასაც ღმერთი თვითონ მოიმოქმედებდა მოგვიანებით. სავარაუდოდ, ღმერთს მკვლელობის შესაძლებლობა გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ქირურგიაზე აღარ უფიქრია. აზრად არ მოსვლია, რომ ვინმე გაბედავდა ხელის ჩაყოფას იმ მექანიზმში, რომელიც მან შექმნა, დიდი მზრუნველობით გაახვია კანში, დაბეჭდა და ადამიანის თვალს დაუმალა. როდესაც ტომაშმა ნარკოზით დაძინებულ მამაკაცს პირველად შეახო სკალპელი, თამამი და ენერგიული მოძრაობით გახვრიტა კანი და ზუსტი მოძრაობებით გასერა იგი (თითქოს უსულო მატერიის ნაჭერი, პალტო, კაბა ან ფარდა ყოფილიყო), მკრეხელობის ხანმოკლე, მაგრამ ძალიან ძლიერი შეგრძნება დაეუფლა. თუმცა სწორედ ეს იზიდავდა მას! ეს იყო მასში ღრმად ფესვგადგმული „Es muss sein!“, სადამდეც ტომაში არც შემთხვევითობას მიუყვანია, არც უფროსის იშიაზს – არაფერს გარეშეს.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ის ასეთ სილრმისეულ ლტოლვას ასე სწრაფად და ადვილად შეელია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაში გვიპასუხებდა, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ პოლიციას ბოროტად არ გამოეყენებინა ჩემი სახელიო. მოდით გულწრფელად ვაღიაროთ: მიუხედავად თეორიული შესაძლებლობისა (და მომხდარა კიდეც ამგვარი რამ), იმის ალბათობა, რომ პოლიცია გამოაქვეყნებდა ყალბ განცხადებას ყალბი ხელმოწერით, არც ისე დიდი იყო.

თუმცა ადამიანს უფლება აქვს, ნაკლებად მოსალოდნელი ხიფათისაც ეშინოდეს. დავუშვათ, ასეა. ისიც დავუშვათ, რომ საკუთარ თავსა და საკუთარ უხერხემლობაზე გამწარებულმა, სცადა, მომავალში პოლიციასთან შეხვედრები აეცილებინა თავიდან, რაც მასში უძლურების შეგრძნებას გააღრმავებდა. ისიც დავუშვათ, რომ პროფესიას ასე თუ ისე მაინც დაკარგავდა, რადგან მექანიკურ სამუშაოს პოლიკლინიკაში, სადაც პაციენტებს ასპირინს უწერდა, ექიმის საქმიანობაზე მის წარმოდგენასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მიუხედავად ამისა, მისი გადაწყვეტილების ასეთი სისწრაფე უცნაურად მეჩვენება. ხომ არ იმალება ამის უკან რაღაც სხვა და უფრო ღრმა, ის, რაც ფიქრისას გამორჩა?

8

მიუხედავად იმისა, რომ ტერეზას სიყვარულით ტომაშმა ბეთჰოვენიც შეიყვარა, მუსიკაში დიდად მაინც ვერ ერკვეოდა და ეჭვი მეპარება, რომ იცოდა ჭეშმარიტი ისტორია ბეთჰოვენის ცნობილი მელოდიისა: „Muss es sein? Es muss sein!“

საქმე კი ასე იყო: ვინმე ბატონ დემბშერს ბეთჰოვენის ვალი ჰქონდა ორმოცდაათი ფორინტი და კომპოზიტორმა, რომელიც მუდამ უფულოდ იყო, ეს ვალი შეახსენა. „Muss es

www.PDF.ChiaturaINFO.GE

sein?“ საწყლად ამოიხვნეშა ბატონმა დემბშერმა, ბეთჰოვენმა კი გადაიხარხარა: „Es muss sein!“ და ეს სიტყვები, შესაბამისი მელოდიით, სასწრაფოდ ჩაიწერა, შემდეგ კი ამ მოტივზე პატარა ნაწარმოები ააგო ოთხი ხმისათვის. სამი ხმა მღეროდა: „Es muss sein, es muss sein, ja, ja, ja“ (ასე უნდა იყოს, ასე უნდა იყოს, დიახ, დიახ, დიახ), მეოთხე ხმა კი უმატებდა: „heraus mit dem Beutel!“ (დააძრე საფულე!).

ერთი წლის შემდეგ იგივე მოტივი საფუძვლად დაედო მისი ბოლო კვარტეტის – 135-ე ოპუსის – მეოთხე ნაწილს. მაშინ ბეთჰოვენი დემბშერის საფულეზე აღარ ფიქრობდა. სიტყვები „Es muss sein!“ უფრო და უფრო ზეიმურად ჟღერდა მისთვის, თითქოს თვით ბედი წარმოთქვამდა მათ. კანტის ენაში სიტყვამ „გამარჯობა!“, შესაბამისად თქმულმა, შეიძლება მეტაფიზიკური თეზისის სახე მიიღოს. გერმანული მძიმე სიტყვების ენაა. „Es muss sein!“ ხუმრობა კი აღარ იყო, არამედ „der schwer gefasste Entschluss“ – ძნელად მიღებული გადაწყვეტილება.

ამრიგად, ბეთჰოვენმა მსუბუქი შთაგონება სერიოზულ კვარტეტად აქცია, ხუმრობა – მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებად. ეს მარტივის რთულად გარდაქმნის საინტერესო მაგალითია (ანუ, პარმენიდეს მიხედვით, პოზიტიურის ნეგატიურად გარდაქმნის მაგალითი). უცნაურია, მაგრამ ასეთი გარდაქმნა არ გვაკვირვებს. პირიქით, სულაც არ მოგვეწონებოდა, ბეთჰოვენს თავისი კვარტეტის სერიოზულობა დემბშერის საფულის შესახებ ოთხხმიან მსუბუქ ხუმრობად რომ ექცია. თუმცა ეს მაინც პარმენიდეს სულისკვეთებით გამსჭვალული საქციელი იქნებოდა: რთულს მარტივად გადააქცევდა, ანუ ნეგატიურს პოზიტიურად! დასაწყისში (როგორც დაუმთავრებელი ესკიზი) დიდი მეტაფიზიკური ჭეშმარიტება იქნებოდა, ბოლოს კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(როგორც დასრულებული ნაწარმოები) – მსუბუქი ხუმრობა! ოღონდ დღეს პარმენიდესავით აზროვნება აღარ შეგვიძლია.

მეჩვენება, რომ ეს აგრესიული, დემონსტრაციული და მკაცრი „Es muss sein!“ დიდი ხანია ფარულად აღიზიანებდა ტომაშს და პარმენიდეს მსგავსად, რთულის მარტივად გადაქცევის ძლიერმა სურვილმა შეიპყრო. გავიხსენოთ, როგორ ერთბაშად თქვა უარი პირველი ცოლისა და შვილის ნახვაზე და როდესაც მშობლებმა მასთან ურთიერთობა შეწყვიტეს, რა შვება იგრძნო. ეს ხომ მკვეთრი და არც მთლად გონივრული ჟესტი იყო, რომლითაც მოიშორა ყველაფერი, რაც მის მძიმე მოვალეობას, მის „Es muss sein!“-ს წარმოადგენდა!

მაშინ ეს, რა თქმა უნდა, გარეგანი, საზოგადოებრივი პირობითობებით თავსმოხვეული „Es muss sein!“ იყო, მედიცინის მიმართ მისი სიყვარულის „Es muss sein!“ კი – შინაგანი. მით უარესი. შინაგანი იმპერატივი კიდევ უფრო ძლიერია და მით უფრო ძლიერია მისგან მომდინარე მოწოდებაც აჯანყებისაკენ.

ქირურგობა საგნების ზედაპირის გაჭრას და მათში დაფარულის დანახვის სურვილს ნიშნავს. შეიძლება, სწორედ ამიტომაც გაუჩნდა ტომაშს სურვილი, გაერკვია, რა არის „Es muss sein!“-ის იქით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იმის გარკვევა სურდა, რა დარჩება ცხოვრებისგან, როცა ადამიანი იმას უკუაგდებს, რასაც თავის მოწოდებად თვლის.

თუმცა, როდესაც ტომაში „ვიტრინებისა და ფანჯრების წმენდის“ პრაღის სამმართველოს უფროსს ეახლა, უცებ მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და შიშმა შეიპყრო. პირველმა რამდენიმე დღემ ახალ სამუშაოზე ამ განცდით ჩაიარა. მაგრამ როგორც კი თავის ახალ ცხოვრებას შეეგუა (ამისთვის დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდა), მიხვდა, რომ ეს მისი დიდი არდადეგებია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაში იმ საქმეს აკეთებდა, რომელიც სრულებით არ აღელვებდა და ეს ძალიან მოსწონდა. ახლა მიხვდა იმათ ბედნიერებას (აქამდე ისინი ყოველთვის ეცოდებოდა), ვინც მხოლოდ იმ მოვალეობებს ასრულებს, რომლებიც მათთვის არავითარ შინაგან „Es muss sein!"-ს არ დუკისრებია და ვისაც შეუძლია, ეს მოვალეობები სამსახურის დამთავრებისთანავე დაივიწყოს. აქამდე არასოდეს ჰქონია ასეთი ბედნიერი გულგრილობის განცდა. როდესაც საოპერაციო მაგიდაზე რამე ისე არ გამოსდიოდა, როგორც სურდა, თავს უბედურად გრძნობდა და ღამეს თეთრად ათენებდა. მისი პროფესიის „Es muss sein!" ვამპირივით იყო, განუწყვეტლივ სისხლს სწოვდა.

ახლა კი ფანჯრების საწმენდი გრძელი ჯოხით დადიოდა პრაღაში და გაკვირვებული, თავს ათი წლით უმცროსად გრძნობდა. „ბატონო ექიმო", ეძახდნენ ხოლმე სურდოთი, ზურგის ტკივილებით და არარეგულარული მენსტრუაციით გაწამებული გამყიდველები (პრაღის ტამტამი გამართულად მუშაობდა) და რჩევას ეკითხებოდნენ. როდესაც ტომაში გრძელ ჯოხზე ჯაგრისს ამაგრებდა, ვიტრინას წყალს ასხამდა და შუშის წმენდას იწყებდა, გამყიდველებს რცხვენოდათ. მყიდველების უყურადღებოდ დატოვება რომ შეძლებოდათ, უეჭველად გამოართმევდნენ ჯაგრისწამოცმულ ჯოხს და მის მაგივრად გაწმენდნენ მაღაზიის შუშებს.

ტომაშს ძირითადად დიდი მაღაზიები ეძახდნენ, თუმცა სამმართველო ხშირად კერძო პირებთანაც აგზავნიდა. მაშინ ჩეხი ინტელექტუალების მასობრივ დევნას საზოგადოება ჯერ კიდევ გარკვეული ეიფორიული სოლიდარობით უყურებდა. როდესაც მისი ყოფილი პაციენტები იგებდნენ, რომ ტომაში ფანჯრების მწმენდავად მუშაობდა, სამმართველოში რეკავდნენ და მას იძახებდნენ. შინ კი შამპანურის ბოთლით ან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სლივოვიცეთი[9] ეგებებოდნენ, საბუთებში უწერდნენ, რომ ცამეტი ფანჯარა გაწმინდა და ერთ-ორ საათს მასთან ბაასსა და ჭიქების ჭახუნში ატარებდნენ. მშვენერ განწყობაზე დამდგარი ტომაში კი შემდეგი ბინისკენ ან მაღაზიისაკენ მიემართებოდა. ქვეყანაში რუსი სამხედროები მკვიდრდებოდნენ თავიანთი ოჯახებით, რადიოდან ძველი თანამშრომლები გაყარეს და მათი გადაცემების მაგივრად შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მუქარით სავსე გამოსვლები ისმოდა. ტომაში კი პრაღის ქუჩებში მთვრალი დაბარბაცებდა და ეჩვენებოდა, რომ ერთი დღესასწაულიდან მეორისკენ ინაცვლებდა. ეს მისი დიდი არდადეგები იყო.

ახალმა ცხოვრებამ ტომაში ახალგაზრდობაში, უცოლობის პერიოდში დააბრუნა, ანუ უცებ ტერეზას გარეშე აღმოჩნდა. მას მხოლოდ ორჯერ ხედავდა. ერთხელ ღამე, როდესაც ტერეზა სამსახურიდან ბრუნდებოდა და ახალჩაძინებული ტომაში წამით თვალს გაახელდა და მეორედ დილას, როდესაც ტერეზა შუა ძილში იყო, თვითონ კი სამუშაოზე მიიჩქაროდა. ტომაშს ყოველდღე თავისუფალი თექვსმეტი საათი ჰქონდა, რაც მოულოდნელად მიღებული თავისუფლება იყო მისთვის. თავისუფლება კი ადრეული ახალგაზრდობიდან მოყოლებული მისთვის ქალებს ნიშნავდა.

9

როდესაც მეგობრები ეკითხებოდნენ, რამდენი ქალი გყავდა ცხოვრებაშიო, პასუხს თავს არიდებდა და თუ ძალიან

---

[9] სლივოვიცე – ჩეხეთში პოპულარული ქლიავის არაყი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უწყალებდნენ გულს, ამბობდა: „ალბათ, დაახლოებით ორასამდე“. ზოგიერთი შურიანი თვლიდა, რომ აჭარბებდა, ტომაში თავს იცავდა: „ეს, რა, ბევრია? ქალებთან ურთიერთობა დაახლოებით ოცდახუთი წლის წინ დავიწყე. ორასი ოცდახუთზე გაყავით და წელიწადში რვა ქალი გამოვა. არც ისე ბევრია“.

რაც ტერეზა მოიყვანა ცოლად, მისი სექსუალური აქტიურობა საორგანიზაციო სახის სირთულეებს წააწყდა. ამისთვის მხოლოდ დროის ვიწრო ზოლი (საოპერაციო მაგიდასა და სახლს შორის) შეეძლო გამოეყო, რომელსაც, ცხადია, ინტენსიურად იყენებდა (იმ გულმოდგინებით, რომლითაც მიწათმოქმედები მაღალმთიან რაიონებში ვიწრო ტერასებს ამუშავებენ), მაგრამ ციდან ჩამოვარდნილ თექვსმეტ საათთან ამის შედარებაც კი არ შეიძლებოდა (თექვსმეტი საათი-მეთქი, ვამბობ, რადგან იმ რვა საათის განმავლობაშიც, როცა ფანჯრებს წმენდდა, ახალ ნაცნობობას ამყარებდა, ეცნობოდა გამყიდველებს, დიასახლისებს, ოფისის მუშაკებს, რომლებთანაც მომავალ შეხვედრებზე შეთანხმება შეეძლო).

რას ეძებდა ტომაში ამ ქალებში? რა იზიდავდა მათში? განა სექსუალური ურთიერთობა მუდამ ერთისა და იმავეს გამეორება არ არის?

არა, არ არის. ყოველთვის რჩება წარმოუდგენლის პატარა პროცენტი. როდესაც ქალს ხედავდა, შეეძლო დაახლოებით წარმოედგინა, როგორი იქნებოდა შიშველი (ექიმისა და საყვარლის გამოცდილება ამ დროს ერთმანეთს ავსებდა), მაგრამ ამ წარმოდგენასა და რეალობას შორის ყოველთვის რჩებოდა მოულოდნელობის ღრიჭო, რომელიც სიმშვიდეს აკარგვინებდა. თუმცა წარმოუდგენლის დევნა გაშიშვლებით არ მთავრდება და უფრო შორს მიდის: როგორ მოიქცევა ქალი, როდესაც ტომაში გახდის? რაზე ილაპარაკებს, როდესაც და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეუფლება? როგორ იკვნესებს? რა აღებეჭდება სახეზე ტკბობის მწვერვალზე ყოფნისას?

ადამიანის „მეს“ განუმეორებლობა სწორედაც ის არის, რის წარმოდგენაც შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ იმის წარმოდგენა შეგვიძლია, რაც ყველას საერთო აქვს. ინდივიდუალური „მე“ კი ამ საერთოსგან განსხვავდება, ანუ ის არის, რის წინასწარ გამოცნობა და გათვლა შეუძლებელია, ის, რაც უნდა აღმოაჩინო, რასაც ფარდა უნდა ახადო და მოიპოვო.

ტომაშმა, რომელიც თავისი სამედიცინო კარიერის ბოლო ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ადამიანის ტვინზე მუშაობდა, მშვენივრად იცის, რომ არაფერია ისე რთულად მოსახელთებელი, როგორც „მე“. ჰიტლერსა და აინშტაინს, ბრეჟნევსა და სოლჟენიცინს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. რიცხვებით რომ შეიძლებოდეს ამის გამოხატვა, მათ შორის განსხვავება ერთი მემილიონედი იქნებოდა, ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი მემილიონედი კი საერთო ექნებოდათ.

ტომაში შეპყრობილია სურვილით, აღმოაჩინოს და დაეუფლოს ამ ერთ მემილიონედ განსხვავებას. მისი აზრით, ეს არის ქალების მიმართ მისი გადაულახავი ლტოლვის ჭეშმარიტი მიზეზი. შეპყრობილია არა ქალებით, არამედ იმ წარმოუდგენლით, რომელიც ყოველ მათგანში იმალება. ერთი სიტყვით, ის შეპყრობილია იმ მემილიონედით, რომელიც ერთ ქალს დანარჩენი ქალებისაგან გამოარჩევს.

(ეტყობა, აქ იკვეთებოდა მისი, როგორც ქირურგისა და როგორც მექალთანის, ვნებები. წარმოსახვით სკალპელს არც მაშინ უშვებდა ხელიდან, როდესაც საყვარელთან იწვა. იმის დაუფლებაზე ოცნებობდა, რაც ღრმად შიგნით იმალება და ზედაპირის გაჭრას მოითხოვს).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიკითხოთ, რატომ ეძებდა ამ ერთ მემილიონედ განსხვავებას მაინცდამაინც სექსში. განა არ შეეძლო, ის ამა თუ იმ ქალის სიარულის მანერაში, გემოვნებაში ან ხელოვნებისადმი მათ დამოკიდებულებაში ეძებნა?

ეს მემილიონედი, რა თქმა უნდა, ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროშია, ოღონდ ყველგან ყველასთვის ხელმისაწვდომია და მის აღმოსაჩენად სკალპელი არ არის საჭირო. თუკი ერთი ქალი ნამცხვარს ყველს ამჯობინებს, მეორე კი ყვავილოვან კომბოსტოს ვერ იტანს, ეს მართლაც ორიგინალურობაა, მაგრამ ეს ორგინალურობა სწრაფადვე გვარწმუნებს, რომ ყოვლად უმნიშვნელოა, ზედმეტია, რომ მისთვის ყურადღების მიქცევა და მასში რაიმე ფასეულის ძებნა უაზრობაა.

ეს მემილიონედი მხოლოდ სექსუალობაში გვევლინება იშვიათობად, რადგან საზოგადოებისათვის მიუწვდომელია და მისი მოპოვებაა საჭირო. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ამას ბევრი დრო სჭირდებოდა (კვირები ან თვეებიც კი!) და მოპოვებულის ფასეულობა სწორედ ამ საქმისთვის დახარჯული დროით განისაზღვრებოდა. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებისათვის საჭირო დრო საგრძნობლად შემცირდა, სექსუალობა მაინც რკინის ზარდახშად რჩება, რომელშიც ქალის „მეს“ საიდუმლოა დაფარული.

ასე რომ, ტომაშს ქალებისკენ ტკბობის დაუძლეველი სურვილი კი არა (ტკბობას უფრო პრემიის სახე ჰქონდა), სამყაროს დაუფლების (სკალპელით მის წინ მწოლიარე სამყაროს სხეულის გახსნის) სურვილი უბიძგებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის მამაკაცები, რომლებიც თავდავიწყებით ელტვიან ქალებს, ორი კატეგორიად შეიძლება დავყოთ. ერთნი ყოველ ქალში ყოველთვის ერთსა და იმავე საკუთარ სუბიექტურ სიზმარს ეძებენ. მეორენი ქალის ობიექტური სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნების დაუფლების სურვილით არიან ატანილი.

პირველთა შეპყრობილობა ლირიკულია: ქალებში საკუთარ თავს ეძებენ, საკუთარ იდეალს და ყოველ ჯერზე იმედგაცრუებულები რჩებიან, რადგან, როგორც ცნობილია, იდეალის პოვნა შეუძლებელია. ის იმედგაცრუება, რომელიც ამ კაცებს ერთი ქალისაგან მეორისკენ ერეკება, მათ მერყეობას გარკვეულ რომანტიკას ანიჭებს, რის გამოც მრავალი სენტიმენტალური ქალი მათი აუტანელი პოლიგამიურობით იხიბლება კიდეც.

მეორეთა შეპყრობილობა ეპიკურია და ქალები მასში მომხიბვლელს ვერაფერს ხედავენ: კაცი ქალებზე არავითარი სუბიექტური იდეალების პროეცირებას არ ახდენს; ამიტომ მას ყველაფერი აინტერესებს და ვერაფერი გაუცრუებს იმედებს. სწორედ ეს არის დასაძრახი. ეპიკური მექალთანის შეპყრობილობა ხალხის თვალში გამოსყიდული (იმედის გაცრუებით გამოსყიდული) არ არის.

იმის გამო, რომ ლირიკული მექალთანე ყოველთვის ერთი ტიპის ქალებს ელტვის, ვერავინ ამჩნევს, რომ საყვარლებს იცვლის. მეგობრები გამუდმებით უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ იმით, რომ ვერ არჩევენ მის საყვარლებს და ყველას ერთი და იმავე სახელით მიმართავენ.

ეპიკური მექალთანეები (და სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ტომაში) ცოდნის დევნაში უფრო და უფრო შორდებიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალის ბანალურ სილამაზეს, რომელიც სწრაფად ყირჭდებათ და მათი ბოლო იშვიათობების შემგროვებლობაა. იციან ეს და საკუთარი თავის ოდნავ რცხვენიათ, ამიტომ, მეგობრები უხერხულობაში რომ არ ჩააგდონ, საზოგადოებაში საყვარლებს არ აჩენენ.

უკვე თითქმის ორი წელი იყო გასული, რაც ტომაშმა ფანჯრების წმენდა დაიწყო, როდესაც ერთმა ქალმა გამოიძახა. მისმა უცნაურობამ კარის გაღებისთანავე მიიქცია ტომაშის ყურადღება. თუმცა ეს უცნაურობა, დელიკატური და შეფარული, მომხიბვლელი ბანალურობის ჩარჩოებს არ სცილდებოდა (უჩვეულობით ტომაშის გატაცებას არაფერი ჰქონდა საერთო მონსტრებით ფელინის გატაცებასთან): ქალი მაღალი იყო, ტომაშზე საკმაოდ მაღალიც კი, ძალიან გრძელი თხელი ცხვირი და ისეთი უჩვეულო სახე ჰქონდა, რომ შეუძლებელი იყო, მასზე ლამაზი გეთქვა (ამას ყველა გააპროტესტებდა!), თუმცა ულამაზოსაც (ყოველ შემთხვევაში, ტომაშის აზრით) ვერ უწოდებდი. შარვალსა და თეთრ ბლუზში გამოწყობილი, ქალური გარეგნობის ბიჭის, ჟირაფისა და წეროს უჩვეულო შეხამებას წარმოადგენდა.

ტომაშს ხანგრძლივი, ცნობისმოყვარე და ყურადღებიანი მზერა მიაპყრო, რომელშიც ჭკვიანი ადამიანის ირონიაც იგრძნობოდა.

– შემობრძანდით, ბატონო ექიმო, – უთხრა.

ტომაში მიხვდა, რომ ქალმა მისი ვინაობა იცოდა, მაგრამ ამის ჩვენება არ უნდოდა და ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდა: – სად შემიძლია წყალი ავიღო?

ქალმა სააბაზანოს კარი გაუღო. ტომაშმა პირსაბანი, აბაზანა და უნიტაზი დაინახა; თითოეულის წინ პატარა ვარდისფერი ნოხი იდო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალი, რომელიც ჟირაფსა და წეროს წააგავდა, იცინოდა და თვალებს ჭუტავდა, რის გამოც ყველაფერი, რასაც ამბობდა, ირონიულ ან საიდუმლო აზრს იძენდა.

– სააბაზანო თქვენს განკარგულებაშია, ბატონო ექიმო, – უთხრა, – შეგიძლიათ, რაც გნებავთ, ის აკეთოთ.

– ვიბანაო კიდეც?

– გიყვართ ბანაობა? – კითხვაზე კითხვითვე მიუგო ქალმა.

ტომაშმა ვედრო წყლით გაავსო და სასტუმრო ოთახში შებრუნდა.

– საიდან გირჩევნიათ, დავიწყო?

– ეს თქვენთვის მომინდვია, – მხრები აიჩეჩა ქალმა.

– შეიძლება სხვა ოთახების ფანჯრებიც ვნახო?

– ჩემი ბინის დათვალიერება გნებავთ? – გაეცინა ქალს, თითქოს ფანჯრების წმენდა ტომაშის ახირება ყოფილიყოს, რომელთანაც მას არაფერი აქვს საერთო.

ტომაში გვერდით ოთახში შევიდა. საძინებელი იყო, ერთი დიდი ფანჯრით, ორი ერთმანეთთან მიდგმული საწოლით და შემოდგომის ბუნების ფონზე ჩამავალი მზის სურათით.

სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდა, მაგიდაზე ღვინის გახსნილი ბოთლი და ორი ჭიქა დაინახა.

– თქვენი რთული სამუშაოს დაწყებამდე ძალებს ხომ არ მოკრეფდით? – იკითხა ქალმა.

– დიდი სიამოვნებით, – თქვა ტომაშმა და დაჯდა.

– ამდენი ახალი ბინის დათვალიერება, ალბათ, საინტერესო გამოცდილებაა, – თქვა მასპინძელმა.

– ალბათ, – მიუგო ტომაშმა.

– ყველგან ქალები გელოდებიან, მათი ქმრები კი ამ დროს სამსახურში არიან. www.PDF.ChiaturaINFO.GE

– უფრო ხშირად ბებიები და სიდედრები, – უპასუხა ტომაშმა.

– ძველი სამუშაო არ გენატრებათ?

– კი, მაგრამ საიდან იცით ჩემი წინა სამსახურის შესახებ?

– თქვენი დამსაქმებელი თქვენით ამაყობს, – მიუგო წეროს მსგავსმა ქალმა.

– დღემდე? – გაიკვირვა ტომაშმა.

– რომ დავრეკე და ვთხოვე, ვინმე გამოეგზავნათ ფანჯრების გასაწმენდად, თქვენი თავი შემომთავაზეს. მითხრეს, რომ სახელგანთქმული ქირურგი ხართ, რომელიც საავადმყოფოდან გამოაგდეს. ამან ძალიან დამაინტერესა.

– ძალიან ცნობისმოყვარე ხართ.

– მეტყობა?

– დიახ, გამოხედვაზე.

– კი, მაგრამ როგორ ვიყურები?

– თვალებს ჭუტავთ და უამრავ შეკითხვას სვამთ.

– არ გიყვართ პასუხების გაცემა?

მასპინძლის წყალობით საუბარს თავიდანვე მომხიბვლელი კეკლუცობის ხასიათი მიეცა. მისი არც ერთი სიტყვა არ შეხებია გარემომცველ სამყაროს, საუბარი მხოლოდ მათ ეხებოდა. ამიტომაც არაფერი იყო იმაზე ადვილი, ვიდრე სიტყვების შეხებით შევსება. როდესაც ტომაში მის მოჭუტულ თვალებზე ლაპარაკობდა, ნაზად შეეხო მის ქუთუთოებს. ქალი ყოველ მის შეხებას იმავეთი პასუხობდა. ამას სპონტანურად კი არა, გარკვეული თანამიმდევრულობით აკეთებდა, თითქოს თამაშობდა თამაშს სახელწოდებით: „რასაც თქვენ გააკეთებთ, მეც იმავეს გავიმეორებ“. გვერდიგვერდ ისხდნენ და ხელებით ერთმანეთის სხეულს ეხებოდნენ.

მაგრამ როდესაც ტომაში შეეცადა, მის ბოქვენს შეხე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდა, ქალმა წინააღმდეგობა გაუწია. ტომაშმა არ იცოდა, გულწრფელი იყო თუ არა ეს წინააღმდეგობა. თუმცა უკვე დიდი დრო იყო გასული – ათ წუთში სხვა კლიენტთან უნდა ყოფილიყო. ტომაში წამოდგა და ქალს აუხსნა, მეჩქარებაო. ქალი გაწითლებული იყო.

– ფაქტურაზე ხელი უნდა მოგიწეროთ, – უთხრა ქალმა.

– კი, მაგრამ არაფერი გამიკეთებია, – გააპროტესტა ტომაშმა.

– ეს ჩემი ბრალია, – ჩაილაპარაკა ქალმა და ჩუმი და უცოდველი ხმით დააყოლა: – ისევ მომიწევს თქვენი გამოძახება, რომ დაამთავროთ ის, რის დაწყებაც კი ვერ მოახერხეთ ჩემი მიზეზით.

როდესაც ტომაშმა ფაქტურის მიცემაზე უარი განაცხადა, ალერსიანი ხმით, თითქოს შეწყალებას ეხვეწებაო, შესთხოვა:

– გთხოვთ, მომეცით, – და თვალების ჭუტვით დაამატა: – ჩემი ქმარი იხდის და არა მე, თანაც სახელმწიფო სამსახურს უხდის და არა თქვენ. ასე რომ, ეს ფინანსური ოპერაცია ჩვენ საერთოდ არ გვეხება.

II

ჟირაფისა და წეროს მსგავს ქალში არსებული უცნაური შეუთავსებლობა ტომაშს წარმოდგენებშიც კი აღაგზნებდა: მოუხერხებლობასთან შერწყმული კეკლუცობა; ირონიული ღიმილით შევსებული შეუფარავი სექსუალური ლტოლვა, ბინის ვულგარული ორდინალურობა და მფლობელის არაორდინალურობა. ნეტა როგორი იქნება ლოგინში? ცდილობდა, წარმოედგინა, მაგრამ ეს არაფერი გამოსდიოდა. რამდენიმე დღე სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც ჟირაფისა და წეროს მსგავსმა ქალმა მეორედ მიიპატიჟა, ღვინო და ორი ჭიქა უკვე მაგიდაზე ეწყო. ამჯერად მოვლენები სწრაფად განვითარდა. სულ მალე საძინებელში (სურათზე არყის ხეების იქით მზე ჩადიოდა) იდგნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. ტომაშმა ჩვეულებისამებრ თქვა: „გაიხადეთ!“, მაგრამ ქალმა დამორჩილების ნაცვლად, იქით მოითხოვა: „არა, ჯერ თქვენ!“

ტომაში ამას ჩვეული არ იყო და ცოტა დაიბნა. ქალი ტომაშის შარვალის უბეს წაეტანა და გახსნა დაუწყო. ტომაშმა ერთი-ორჯერ კიდევ უბრძანა (კომიკური წარუმატებლობით) „გაიხადეთ!“, მაგრამ კომპრომისზე წასვლის გარდა აღარაფერი რჩებოდა. იმ თამაშის წესების თანახმად, რომელიც ტომაშს წინა შეხვედრისას შეაპარეს („რასაც თქვენ გააკეთებთ, მეც იმავეს გავიმეორებ“), ქალმა შარვალი გახადა, ტომაშმა – ქვედატანი, შემდეგ ტომაშს პერანგი გახადეს, ტომაშმა კი ბლუზი გახადა და სულ მალე ორივე შიშველი აღმოჩნდა. ტომაშის თითებმა ქალის ფეხებს შორის სისველე იგრძნო, შემდეგ ხელი უფრო უკან წაიღო და მის უკანა გასასვლელს შეეხო, იმას, რაც ქალის სხეულზე ყველაზე მეტად უყვარდა. ამ ქალბატონს ეს ადგილი უჩვეულოდ გამობურცული ჰქონდა, რითაც ცოცხალი წარმოდგენა იქმნებოდა საჭმლის მომნელებელი სისტემაზე, რომელიც აქ ბოლოვდება და ოდნავ გამოშვერილია სხეულიდან. მოსინჯა მაგარი და ჯანმრთელი რგოლი, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ბეჭედი ბეჭდებს შორის, რომელსაც სამედიცინო ენაზე სფინქტერს უწოდებენ და ამ დროს მისი თითები იგრძნო საკუთარ სხეულზე, ზუსტად იმავე ადგილას. ქალი მის ყველა მოძრაობას სარკისებური სიზუსტით იმეორებდა.

როგორც უკვე ვიცით, ტომაშს ორასამდე ქალი ჰყავდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(ფანჯრების მწმენდავად მუშაობის პერიოდში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა), მაგრამ ეს პირველად იყო, რომ მასზე მაღალი და თვალებმოჭუტული ქალი მის წინ იდგა და მის უკანა გასასვლელს სინჯავდა. დაბნეულობას რომ მორეოდა, ქალს ხელი ჰკრა და ლოგინზე დააგდო.

ამ მოულოდნელმა მოძრაობამ ქალი შეაშინა. მისი მაღალი სხეული ზურგზე ეცემოდა, წითელი ლაქებით დაფარულ სახეზე წონასწორობადაკარგული ადამიანის შეშინებული გამომეტყველება ეწერა. მის წინ მდგომმა ტომაშმა ხელები მუხლებს ქვემოთ წაავლო და ოდნავ გაშლილი ფეხები მაღლა აუწია: უცებ ისინი იმ მეომრის ხელებს დაემსგავსა, რომელიც დამიზნებული იარაღის წინ შეშინებული სწევს ხელებს.

მონდომებასთან შეხამებულმა მოუხერხებლობამ და მოუხერხებლობასთან შეხამებულმა მონდომებამ ტომაში გვარიანად აღაგზნო. ძალიან დიდხანს ერწყმოდნენ ერთმანეთს. ტომაში თვალს არ აცილებდა წითელი ლაქებით დაფარულ მის სახეს და მასში იმ შეშინებული ქალის მზერას ეძებდა, რომელსაც ფეხი დაუდეს და ახლა ვარდება. იმ განუმეორებელ გამომეტყველებას ეძებდა, რომლით გამოწვეული აღგზნებისგანაც რამდენიმე წამის წინ სისხლმა აასხა ტვინში.

როდესაც ყველაფერი დასრულდა, აბაზანაში შევიდა. ქალი ფეხდაფეხ მიჰყვა და დიდხანს უხსნიდა, სად დევს საპონი, სად ღრუბელი და როგორ მოუშვას ცხელი წყლის ონკანი. ტომაშს არ ესმოდა, ამ მარტივ რამეებს ასე დაწვრილებით რატომ უხსნიდა. ბოლოს უთხრა, ყველაფერი გავიგეო და მიანიშნა, რომ მარტო დარჩენა უნდოდა.

– შეიძლება, დავრჩე? – სთხოვა ქალმა.

ბოლოს და ბოლოს ტომაშმა მოახერხა მისი სააბაზანოდან გასტუმრება. ბანაობდა, პირსაბანში შარდავდა (ჩეხი ექიმების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცნობილი ჩვევა) და თან ეჩვენებოდა, რომ მასპინძელი კარის იქით მოუსვენრად წრიალებს და სააბაზანოში შეჭრის გეგმებს აწყობს. როდესაც ონკანი დაკეტა და ბინაში გამეფებული სიჩუმე შეიგრძნო, გაიფიქრა, რომ ქალი სადღაციდან უთვალთვალებს, რომ სააბაზანოს კარში ნახვრეტი აქვს გაბურღული, რომელსაც ლამაზად მოჭუტული თვალით ეკვრის.

იქაურობას მშვენიერი განწყობით ტოვებდა. ცდილობდა, კარგად დაემახსოვრებინა ყველაზე არსებითი და თავისი მოგონებებისგან აბსტრაქტულად რაღაც ქიმიური ფორმულა გამოეყვანა, რომლითაც ამ ქალის განსაკუთრებულობის (განსხვავებულობის ერთი მემილიონედის) დადგენა იქნებოდა შესაძლებელი. ბოლოს მიაგნო ფორმულას, რომელიც სამი მონაცემისგან შედგებოდა:

1) მონდომებასთან შეხამებული მოუხერხებლობა;

2) შეშინებული გამომეტყველება ადამიანისა, რომელმაც წინასწორობა დაკარგა და ეცემა.

3) ტყვედ ჩაბარებულის აღმართული ხელებივით მაღლა აწეული ფეხები.

იმეორებდა ამას და სამყაროს პატარა ნაგლეჯის კიდევ ერთხელ დაუფლების ბედნიერი შეგრძნება ათრობდა. შეგრძნება, რომ სამყაროს უსასრულო ტილოდან თავისი წარმოსახვითი სკალპელით კიდევ ერთი ზოლი ამოჭრა.

12

დაახლოებით იმავე პერიოდში შემდეგი რამ მოხდა: ბინაში, რომელსაც ძველი მეგობარი შუაღამემდე უტოვებდა ხოლმე, ტომაში ერთ გოგოს შეხვდა რამდენჯერმე. დაახლოებით ორი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვის შემდეგ გოგონამ მათი ერთ-ერთი შეხვედრა შეახსენა: თურმე ხალიჩაზე ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, გარეთ კი ელავდა და ქუხდა. მთელი ჭექა-ქუხილის განმავლობაში არ მოსწყდომიან ერთმანეთს და ეს ისე მშვენიერი იყო, რომ დავიწყება შეუძლებელი იყო!

ტომაშს ცოტა შეეშინდა: ხალიჩაზე რომ იწვნენ, ახსოვდა (მეგობრის ბინაში მხოლოდ ვიწრო ტახტი იდგა, რომელზეც თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა), მაგრამ ჭექა-ქუხილი საერთოდ დაავიწყდა! საკვირველი იყო: შეეძლო გაეხსენებინა თითოეული შეხვედრა ამ გოგოსთან, ახსოვდა მათი სექსუალური ურთიერთობის მრავალი წვრილმანი (უკნიდან არ ეძლეოდა), ახსოვდა, რას ამბობდა სექსის დროს (განუწყვეტლივ სთხოვდა, რომ უფრო მეტად მოეჭირა ხელი თეძოებზე და თან არ უნდოდა, ტომაშს სახეში შეეხედა), მეტიც, ახსოვდა, როგორი იყო მისი საცვლები, მაგრამ ჭექა-ქუხილი სრულიად ამოუვარდა მეხსიერებიდან.

ტომაშის მეხსიერება სასიყვარულო თავგადასავლებიდან მხოლოდ სექსუალური დაპყრობის ვიწრო და მოკლე გზას იმახსოვრებდა: პირველი სიტყვიერი შეტევა, პირველი შეხება, პირველი უწმაწურობა, რომელიც ტომაშმა ქალს უთხრა და შემდეგ ქალმა ტომაშს, პატარ-პატარა გარყვნილებები, რომლებზეც ქალი დაიყოლია ან რომლებზეც უარი მიიღო. დანარჩენი ყველაფერი მეხსიერებიდან (თითქმის პედანტურად) ამოშლილი იყო. ისიც კი არ ახსოვდა, რომელი ქალი სად ნახა პირველად, რადგან ეს მის სექსუალურ თავდასხმას წინ უსწრებდა.

გოგო მეოცნებე სახით ღიმილით უყვებოდა ჭექა-ქუხილზე, ტომაში კი გაკვირვებით უყურებდა და რცხვენოდა: საყვარელი რაღაც ლამაზს განიცდიდა, მას კი არ შეეძლო ამ განცდის გაზიარება. საღამოს ჭექა-ქუხილზე მათი მეხსიერე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბის სხვადასხვა რეაქციით გამოიხატებოდა სიყვარულსა და არსიყვარულს შორის არსებული მთელი განსხვავება.

სიტყვა „არსიყვარულით“ იმის თქმა არ მინდა, რომ ტომაშს ამ გოგოს მიმართ ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა, ან რომ მასში მხოლოდ სექსუალურ ობიექტს ხედავდა. პირიქით, როგორც მეგობარი, ძალიან უყვარდა, პატივს სცემდა მის თვისებებსა და ჭკუას, მზად იყო, პირველივე საჭიროებისას დახმარებოდა მას. საყვარელს ტომაში კი არა, მისი მეხსიერება ექცეოდა ცუდად, რომელმაც ტომაშის დაუკითხავად გამორიცხა ეს გოგო სიყვარულის სფეროდან.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ტვინში განსაკუთრებული უბანი არსებობს, რომელსაც შეიძლება პოეტური მეხსიერების სამყოფელი ვუწოდოთ, სადაც იწერება ის, რამაც მოგვხიბლა, გული აგვიჩუყა და ჩვენს ცხოვრებას სილამაზე შესძინა. იმ წამიდან, რაც ტერეზა გაიცნო, სხვა ქალებს ტვინის ამ უბანში უმნიშვნელო კვალის დატოვების უფლებაც კი აღარ ჰქონდათ.

ტერეზა დესპოტურად დაეპატრონა მის პოეტურ მეხსიერებას და ყველა სხვა ქალის კვალი ამოშალა იქიდან. ეს სამართლიანი არ იყო, რადგან გოგო, რომელთან ერთადაც ტომაში ჭექა-ქუხილის დროს ხალიჩაზე იწვა, ტერეზაზე ნაკლებად არ იმსახურებდა პოეზიას. გოგო ტომაშს უყვიროდა: „დახუჭე თვალები, თეძოებზე უფრო მეტად მომიჭირე ხელი, მაგრად დამიჭირე!“ არ მოსწონდა ტომაშის მზერა, რომელიც აკვირდებოდა და სწავლობდა მას; რომ მისი ოდნავ აწეული სხეული მის კანს არ ეკვროდა. არ მოსწონდა, რომ შესწავლის საგანი იყო. ტომაშის იმ ჯადოსნურ მორევში ჩათრევა უნდოდა, რომელშიც მხოლოდ დახუჭული თვალებით შეიძლება მოხვდე. ამიტომ უარობდა ოთხზე დადგომას, რადგან ასეთ პოზაში მა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თი სხეულები თითქმის არ ეხებოდა ერთმანეთს, ტომაშს კი ნახევარი მეტრის მანძილიდან შეეძლო მისი თვალიერება. ვერ იტანდა ამ მანძილს, რადგან ტომაშთან მთლიანად უნდოდა შერწყმა. ეუბნებოდა, რომ ამ მანძილის გამო ვერ აღწევს ტკბობას, მთელი ხალიჩა კი ამ დროს მისი ორგაზმით იყო მორწყული. „უბრალოდ ტკბობა არ მინდა, – ამბობდა ის, – ბედნიერება მინდა, ტკბობა კი ბედნიერების გარეშე ტკბობა არ არის“. ერთი სიტყვით, ტომაშის პოეტური მეხსიერების კარიბჭეს ეჯავჯგურებოდა. მაგრამ კარიბჭე ჩარაზული იყო. პოეტურ მეხსიერებაში მისი ადგილი არ მოიძებნა, მისი ადგილი მხოლოდ ხალიჩაზე იყო.

ტომაშის თავგადასავალი ტერეზასთან ზუსტად იქ დაიწყო, სადაც სხვა ქალებთან თავგადასავლები დასრულდა. ის იმ იმპერატივის მეორე მხარეს მიმდინარეობდა, რომელიც მას ქალების დაპყრობისაკენ მოუწოდებდა. ტომაშს ტერეზაში არაფრის აღმოჩენა არ სჭირდებოდა, ტერეზა მთლიანად გახსნილი მიიღო. ლოგინში იმაზე ადრე აღმოჩნდნენ, ვიდრე თავისი წარმოსახვითი სკალპელის ხელში აღებას მოასწრებდა, რომლითაც მის წინ მწოლიარე სამყაროს სხეულს ხსნიდა ხოლმე. იმაზე დაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, როგორი იქნებოდა ტერეზა ლოგინში, რომ უკვე იქ აღმოჩნდნენ.

სიყვარული მოგვიანებით გაჩნდა: ტერეზას სიცხემ აუწია და ტომაშს არ შეეძლო, ის სხვა ქალებივით შინ გაესტუმრებინა. მის საწოლთან ჩაიმუხლა და უცებ მოეჩვენა, რომ ტერეზა ვიღაცამ კალათში ჩასვა და დინებას მისკენ გამოატანა. ერთხელ ხომ უკვე ვთქვი, რომ მეტაფორები სახიფათოა. სიყვარული მეტაფორით იწყება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: სიყვარული იწყება იმწუთას, როდესაც ქალი თავისი პირველი სიტყვებით ჩვენს პოეტურ მეხსიერებაში აღიბეჭდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე დღის წინ ტერეზა ისევ დაეპატრონა ტომაშის ფიქრებს: დილას ადრე, როგორც ყოველთვის, რძე იყიდა და შინ ბრუნდებოდა. როდესაც ტომაშმა კარი გაულო, მკერდზე წითელ ყელსახვევში გახვეული ყვავი ჰყავდა მიკრული. ასე ბოშებს უჭირავთ ხოლმე ბავშვები. ეს სურათი არასოდეს დაავიწყდება ტომაშს: საყვედურით აღსავსე უზარმაზარი ნისკარტი ტერეზას სახესთან.

მიწაში ჩამარხული ეპოვა. ასე ეპყრობოდნენ ხოლმე კაზაკები დატყვევებულ მტრებს. „ეს ბავშვების ნამოქმედარია“, – თქვა და ამ წინადადებაში არა მარტო ფაქტის კონსტატაცია იყო, არამედ ადამიანების მიმართ გაჩენილი მოულოდნელი ზიზღიც. გაახსენდა, ცოტა ხნის წინ როგორ უთხრა ტერეზამ: „მადლობელი ვარ შენი, რომ არასოდეს გდომებია შვილების ყოლა“.

გუშინ კი ტერეზამ დაიჩივლა, რომ ბარში ვიღაც კაცი გადაეკიდა, ცდილობდა, მის მძივს სწვდომოდა და ეუბნებოდა, ეს მძივი, ალბათ, პროსტიტუციით იშოვეო. ამის გამო ტერეზა ძალიან იყო აღელვებული. იმაზე მეტად, ვიდრე ეს ეპიზოდი იმასახურებს ამასო, გაიფიქრა ტომაშმა და უცებ შეშფოთებით გააცნობიერა, რა იშვიათად ხედავს ტერეზას ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში და რა იშვიათად ეძლევა საშუალება, მისი ხელები ღონივრად ჩაიჭიროს, რათა კანკალი შეაწყვეტინოს.

ამ ფიქრებით გართული მიემართებოდა სამსახურისაკენ, სადაც ფანჯრების მწმენდავებს დილაობით დღის სამუშაო განრიგს ურიგებდნენ. ვიღაც კერძო შემკვეთი ფანჯრების გასაწმენდად მაინცდამაინც ტომაშს თხოულობდა დაჟინებით. ძალდატანებით მიდიოდა გამოძახებაზე, ეშინოდა, რომ ისევ რომე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიმე ქალმა გამოიძახა. მისი ფიქრები მხოლოდ ტერეზას უტრიალებდა და არავითარი თავგადასავლის გაგონება არ სურდა.

როდესაც კარი გაუღეს, შვებით ამოისუნთქა. მის წინ მხრებში ოდნავ მოხრილი მაღალი მამაკაცი იდგა. დიდი ნიკაპი ჰქონდა და ტომაშს ვიღაცას აგონებდა.

– შემობრძანდით, ბატონო ექიმო, – ღიმილით უთხრა და ოთახში შეუძღვა. ოთახში ახალგაზრდა იდგა. სახეაწითლებული, ტომაშს უყურებდა და გაღიმებას ცდილობდა.

– ვფიქრობ, თქვენი ერთმანეთისთვის წარდგენა საჭირო არ არის, – თქვა მამაკაცმა.

– არა, – უპასუხა ტომაშმა და ღიმილის გარეშე ჩამოართვა ახალგაზრდას ხელი. ეს მისი შვილი იყო.

მამაკაცი მხოლოდ ამის შემდეგ გაეცნო ტომაშს.

– ასეც ვიცოდი, რომ ვიღაცას მაგონებთ! – თქვა ტომაშმა. – რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა, გიცნობთ. ფოტოებიდან.

დაბალი მაგიდის აქეთ-იქით სავარძლებზე დასხდნენ. ტომაში უცებ მიხვდა, რომ პირისპირ მჯდომი ორივე მამაკაცი მისი ძალაუნებური ქმნილებაა. შვილის შექმნა პირველმა ცოლმა აიძულა, მაღალი მამაკაცი კი იმ პოლიციელის ძალდატანებით გაჩნდა, რომელმაც დაკითხა.

ამ აზრებისთვის თავის დასაღწევად ტომაშმა იკითხა:

– აბა, რომელი ფანჯრით დავიწყო?

მის პირდაპირ მჯდომ ორივე მამაკაცს გულიანად გაეცინა.

რასაკვირველია, ფანჯრების წმენდაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ტომაში აქ ამისთვის არ მოუწვევიათ, ეს ხაფანგი იყო. შვილთან არასდროს ულაპარაკია. დღეს პირველად ჩამოართვა ხელი. მხოლოდ შორიდან ჰყავდა ნანახი და მეტს არც ესწრაფოდა. არ უნდოდა, მასზე რამე სცოდნოდა და შვილისგანაც იმავეს მოელოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კარგი პლაკატია, არა? – იკითხა რედაქტორმა და ჩარჩოში ჩასმული დიდი ნახატისკენ გაახედა ტომაში.

ტომაშმა ახლალა მოათვალიერა ბინა. კედლებზე საინტერესო ნახატები, ფოტოები და პლაკატები ეკიდა. პლაკატი, რომელზეც რედაქტორმა მიუთითა, 1969 წელს გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალის ერთ-ერთ ბოლო ნომერში, რომლის გამოცემაც შემდეგ რუსებმა შეაჩერეს. ეს იყო იმ კარგად ცნობილი პლაკატის იმიტაცია, რომელიც 1918 წლის რუსეთის სამოქალაქო ომის დროს მოსახლეობას წითელ არმიაში შესვლისკენ მოუწოდებდა: ჯარისკაცი, ქუდზე გამოსახული წითელი ვარსკვლავით, უჩვეულოდ მკაცრი გამომეტყველებით პირდაპირ თვალებში გიყურებთ, თქვენკენ იწვდის ხელს და საჩვენებელ თითს გიმიზნებთ. პლაკატის ქვეშ მიწერილი ორიგინალური რუსული ტექსტი ასეთი იყო: „მოქალაქევ, უკვე ჩაეწერე წითელ არმიაში?“[10] ეს ტექსტი ჩეხური ტექსტით იყო შეცვლილი: „მოქალაქევ, უკვე მოაწერე ხელი ორი ათას სიტყვას?“

ჩინებული ხუმრობა გახლდათ! „ორი ათასი სიტყვა“ მანიფესტი იყო, რომელიც კომუნიტური რეჟიმის რადიკალური დემოკრატიზაციისაკენ მოწოდებას შეიცავდა. ამ დოკუმენტს უამრავმა ინტელექტუალმა მოაწერა ხელი, შემდეგ უბრალო ხალხმაც დაიწყო მასზე ხელის მოწერა. საბოლოოდ კი იმდენი ხელმოწერა შეგროვდა, რომ ველარც კი დაითვალეს. როდესაც წითელი არმია ჩეხეთში შემოიჭრა და პოლიტიკური წმენდა დაიწყო, ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც მოქალაქეებს უსვამდნენ, იყო: „შენც მოაწერე ხელი „ორი ათას სიტყვას“?“

---

[10] 1920 წელს დაბეჭდილ დიმიტრი მორის (ნამდვილი გვარი ორლოვი) საყოველთაოდ ცნობილ პლაკატს სინამდვილეში ეწერა: „შენ ჩაეწერე მოხალისედ?“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა, ვინც თავისი ხელმოწერის ფაქტი ცნო, სამსახურიდან ულაპარაკოდ დაითხოვეს.

– მშვენიერი ნახატია, კარგად მახსოვს, – თქვა ტომაშმა.

რედაქტორს გაეცინა:

– იმედი მაქვს, ეს წითელარმიელი არ გვისმენს.

მერე კი სერიოზულად დაამატა: – ყველაფერი გასაგები რომ იყოს, ბატონო ექიმო, ეს ჩემი ბინა არ არის. მეგობრის ბინაა. ამიტომ დარწმუნებული არ ვარ, რომ ახლა პოლიცია გვისმენს, თუმცა ასეთი შესაძლებლობაც არსებობს. ჩემთან რომ მიმეპატიჟებინეთ, იქ უეჭველად მოგვისმენდნენ.

შემდეგ კი უფრო მსუბუქი ტონით განაგრძო: – მაგრამ ჩემთვის მთავარი ის არის, რომ არაფერი გვაქვს დასამალი. მეორე მხრივ კი, წარმოიდგინეთ, რა სიხარული ელით მომავალ ჩეხ ისტორიკოსებს! ერთ მშვენიერ დღეს პოლიციის მაგნიტოფონის ფირებზე მთელი ჩეხი ინტელექტუალების ცხოვრებას აღმოაჩენენ! იცით, რა რთულია ისტორიკოსებისათვის, ვთქვათ, ვოლტერის, ბალზაკის ან ტოლსტოის სექსუალური ცხოვრების წარმოდგენა in concreto? ჩეხების შემთხვევაში კი არაფერი დარჩება გაურკვეველი. ყველაფერი ჩაწერილია. ყოველი ამოსუნთქვა.

შემდეგ კედელში ჩამალულ წარმოსახვით მიკროფონებს მიუბრუნდა და ხმამაღლა თქვა: – ბატონებო, როგორც ყოველთვის მსგავს სიტუაციებში, მინდა ჩემი და მომავალი ისტორიკოსების სახელით დიდი მადლობა მოგახსენოთ!

ერთხანს სამივე იცინოდა, შემდეგ კი რედაქტორმა იმაზე დაიწყო ლაპარაკი, როგორ აკრძალეს მისი ყოველკვირეული ჟურნალი, რას აკეთებს დღეს ამ პლაკატის ავტორი, რა დღეში არიან დანარჩენი ჩეხი მხატვრები, ფილოსოფოსები და კინოხელოვანები. რუსული ოკუპაციის შემდეგ ყველას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაატოვებინეს სამსახური და გადააქციეს ფანჯრების მწმენდავებად, მანქანების სადგომების მეთვალყურეებად, ღამის დარაჯებად, საზოგადოებრივი დაწესებულებების გათბობის საქვაბეების მუშებად და საუკეთესო შემთხვევაში, ისიც პროტექციით, ტაქსისტებად.

რასაც რედაქტორი ამბობდა, უინტერესო არ იყო, მაგრამ ტომაშს ყურადღება სხვაგან გაურბოდა. შვილზე ფიქრობდა. გაახსენდა, რომ უკვე რამდენიმე თვე იყო, ქუჩაში ხედავდა. ეტყობა, ეს შემთხვევით არ ხდებოდა. თან გაკვირვებული იყო, რომ ახლა მას ხელისუფლების მიერ დევნილი რედაქტორის საზოგადოებაში ხედავდა. ტომაშის პირველი ცოლი თავგამოდებული კომუნისტი იყო და ტომაშს ბუნებრივად მიაჩნდა, რომ შვილი დედის გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. შვილზე არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, შეეძლო ეკითხა, როგორი ურთიერთობა გაქვს დედასთანო, მაგრამ უცხო ადამიანის თანდასწრებით ამაზე ლაპარაკი უტაქტოდ მოეჩვენა.

ბოლოს და ბოლოს რედაქტორი საქმის არსზე გადავიდა. თქვა, სულ უფრო იზრდება საკუთარი შეხედულებების ერთგულებისათვის დაპატიმრებულთა რაოდენობაო და დაამატა: – და ამიტომ გადავწყვიტეთ, რამე ვიღონოთ.

– რას აპირებთ? – იკითხა ტომაშმა.

ამ დროს მისი შვილიც ჩაება საუბარში. ტომაშს პირველად ესმოდა მისი ხმა და გაკვირვებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ მას ენა ებმოდა.

– ცნობები გვაქვს, – დაიწყო, – რომ პოლიტიკურ პატიმრებს ცუდად ეპყრობიან. ზოგიერთის მდგომარეობა კი უბრალოდ სავალალოა. ამიტომ, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, დაგვეწერა პეტიცია, რომელსაც ყველაზე ცნობილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩეხი ინტელექტუალები მოაწერენ ხელს. მათი სახელები ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს.

არა, ენაბლუ არ იყო, მხოლოდ ოდნავ ებმოდა ენა, რაც მის მეტყველებას ანელებდა. ამის გამო ყოველი სიტყვა მისდა უნებურად განსაკუთრებული ხაზგასმითა და მნიშვნელობით ჟღერდა. ცხადია, ამას აცნობიერებდა და ამიტომ სულ რაღაც ერთი წუთის წინ გაფითრებული სახე ისევ გაუწითლდა.

– ჩემი რჩევა გჭირდებათ, ვის მიმართოთ ჩემს სფეროში? – იკითხა ტომაშმა.

– არა, – გაიცინა რედაქტორმა, – თქვენი რჩევა არ გვჭირდება, თქვენი ხელმოწერა გვინდა!

ტომაში ნასიამოვნები იყო! ისევ გაუხარდა, რომ ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, ვისაც ახსოვდა, რომ ქირურგი იყო! და მხოლოდ მორიდებულობის გამო შეეწინააღმდეგა ოდნავ:
– რას ამბობთ! სამსახურიდან რომ გამაგდეს, სულაც არ ნიშნავს, რომ გამოჩენილი ექიმი ვარ!

– ჩვენ არ დაგვვიწყებია, რა გამოაქვეყნეთ ჩვენს ყოველკვირეულ ჟურნალში, – გაიღიმა რედაქტორმა.

რაღაცნაირი აღფრთოვანებით, რომელიც ტომაშს, ალბათ, არც შეუმჩნევია, შვილმა ამოისუნთქა: – აბა რა!

ტომაშმა განაგრძო: – არა მგონია, რაღაც პეტიციაზე ჩემს ხელმოწერას პოლიტიკური პატიმრების დახმარება შეეძლოს. იქნებ ჯობდეს, იმათ მოაწერონ ხელი, ვისაც ჯერჯერობით არ სდევნიან და ხელისუფლებაში მყოფებზე მინიმალური გავლენა მაინც შეინარჩუნეს?

რედაქტორმა გაიცინა: – რა თქმა უნდა, ჯობია!

ტომაშის შვილმაც, იმ ადამიანივით, რომელიც უკვე ბევრ რამეს ჩასწვდა ცხოვრებაში, გაიცინა: – ოღონდ ისინი ამას ხელს არასოდეს მოაწერენ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რედაქტორმა გააგრძელა: – მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათთან არ მივდივართ! არც ისეთი გულკეთილები ვართ, რომ დავინდოთ და უხერხული სიტუაცია თავიდან ავაცილოთ, – იცინოდა ის. – მათი თავის მართლება უნდა მოგასმენინათ, საოცარ რამეებს იგონებენ!

ტომაშის შვილიც იცინოდა თანხმობის ნიშნად.

რედაქტორი განაგრძობდა: – ცხადია, ერთხმად გვიმტკიცებენ, რომ ყველაფერში გვეთანხმებიან, ოღონდ, მათი აზრით, ეს ყველაფერი ცოტა სხვაგვარად უნდა გაკეთდეს: უფრო ტაქტიანად, გონივრულად და დელიკატურად. ხელის მოწერის ეშინიათ და თან წუხან, რომ, თუ ხელს არ მოაწერენ, გავკიცხავთ.

ტომაშის შვილმა და რედაქტორმა ისევ გაიცინეს.

რედაქტორმა ტომაშს ფურცელზე დაწერილი მოკლე ტექსტი მიაწოდა, რომელშიც საკმაოდ თავაზიანი ტონით პოლიტიკური პატიმრების ამნისტიას ითხოვდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტისგან.

ტომაში ცდილობდა, სწრაფად ეფიქრა: პოლიტიკური პატიმრების ამნისტია? მაგრამ ვინ დათანხმდება ამნისტიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ამას რეჟიმის მიერ უარყოფილი ხალხი (ანუ პოტენციური ახალი პოლიტიკური პატიმრები) მოითხოვს პრეზიდენტისაგან? ეს მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ პოლიტიკურ პატიმრებს არ შეიწყალებენ, თუნდაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდეთ მათი შეწყალება!

ტომაშს ფიქრი შვილმა შეაწყვეტინა: – მთავარია, ხალხმა გაიგოს იმ ერთი მუჭა ადამიანების არსებობა, რომლებსაც არ ეშინიათ. ვაჩვენოთ, ვინ სად დგას, გამოვარჩიოთ ხორბალი სარეველასაგან.

ტომაში ფიქრს განაგრძობდა: „კარგი, ეს სამართლიანია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ პოლიტიკურ პატიმრებს როგორღა წაადგება ეს? ან იმაზე უნდა იზრუნონ, რომ პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლონ, ან იმაზე, რომ ხორბალი სარეველასაგან გამოარჩიონ. ეს სხვადასხვა რამეა“.

– ვერ გადაგიწყვეტიათ, ბატონო ექიმო? – ჰკითხა რედაქტორმა.

ტომაში მართლაც ყოყმანობდა, მაგრამ ეშინოდა ამის აღიარების. მის წინ კედელზე ჯარისკაცის პლაკატი ეკიდა, რომელიც თითით ემუქრებოდა და ეკითხებოდა: „ვერ გადაგიწყვეტია, შეხვიდე თუ არა წითელ არმიაში?“ ან: „არ მოაწერე ხელი „ორი ათას სიტყვას?“ ან კიდევ: „შენც მოაწერე ხელი „ორი ათას სიტყვას?“ ან სულაც: „არ გინდა, ამნისტიის პეტიციას მოაწერო ხელი?“ და ყოველ ამ შეკითხვაში მუქარა იგრძნობოდა.

ცოტა ხნის წინ რედაქტორმა თქვა, რას ფიქრობს იმ ადამიანებზე, რომლებიც ეთანხმებიან პოლიტიკური პატიმრების ამნისტიას და მიუხედავად ამისა, ათასი არგუმენტი მოჰყავთ, რომ პეტიციას ხელი არ მოაწერონ. მისი აზრით, ყოველი მათი არგუმენტი მხოლოდ თავის გამართლების მცდელობა იყო, რომლის უკანაც მშიშარა ადამიანები იმალებიან. რა უნდა ეთქვა ტომაშს ასეთ სიტუაციაში?

ტომაშმა მოულოდნელად გაიცინა, რითაც ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია და კედელზე ჩამოკიდებული პლაკატისკენ გაიშვირა თითი: – ეს ჯარისკაცი მემუქრება და მეკითხება, მოვაწერ თუ არა ხელს. ასე რომ მიყურებს, ფიქრი მიჭირს!

ამ ხუმრობას სამივეს ხანმოკლე და ერთდროული სიცილი მოჰყვა, მერე კი ტომაშმა თქვა: – კარგი, დავფიქრდები. შეგვიძლია, იქით კვირაში სადმე შევხვდეთ ერთმანეთს?

– თქვენი ნახვა ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო იქნება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– თქვა რედაქტორმა, – მაგრამ პეტიციისათვის ძალიან დაგვიანდება, ხვალ გვინდა გადავცეთ პრეზიდენტს.

– ხვალ? – იკითხა ტომაშმა და გაახსენდა, როგორ მიაწოდა მსუქანმა პოლიციელმა ფურცელი მზა ტექსტით, რომლითაც სწორედ ეს დიდნიკაპიანი მაღალი მამაკაცი უნდა დაესმინა. ყველა აძალებს, რომ ხელი მოაწეროს ტექსტს, რომელიც თვითონ არ დაუწერია.

შვილმა თქვა: – აქ ხომ არაფერია საფიქრალი!

სიტყვები აგრესიული იყო, ტონი კი თითქმის თხოვნის გამომხატველი. ისინი ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ და უცებ ტომაშმა შენიშნა, რომ, როდესაც ბიჭი დაძაბულად იყურებოდა, ზედა ტუჩის მარცხენა კუთხე ოდნავ მაღლა ეწეოდა. ეს გრიმასა საკუთარ სახეზე არაერთგზის უნახავს ტომაშს, ვთქვათ, როდესაც სარკეში დაძაბულად იყურებოდა, რათა გაერკვია, კარგადაა თუ არა გაპარსული. ახლა კი, როდესაც ეს გრიმასა სხვის სახეზე დაინახა, გულისრევის შეგრძნება დაეუფლა.

როდესაც მშობლები შვილებთან ერთად პატარობიდანვე ცხოვრობენ, ასეთ მსგავსებებს ეჩვევიან, ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ და თუკი დროგამოშვებით რამეს ამჩნევენ, ეს გასართობადაც კი ეჩვენებათ. მაგრამ ტომაში ახლა პირველად ელაპარაკებოდა შვილს! არ იყო მიჩვეული საკუთარი აპრეხილი ტუჩის წინ ჯდომას!

წარმოიდგინეთ, ხელი რომ მოგაჭრან და შემდეგ ის სხვა ადამიანს გადაუნერგონ. მერე კი ეს ადამიანი თქვენ გვერდით აღმოჩნდეს და საუბრისას ამ ხელით ჟესტიკულირება დაიწყოს. საფრთხობელასავით შეხედავდით მის ხელს და მიუხედავად იმისა, რომ ეს თქვენი საკუთარი და მშობლიური ხელია, გული გაგისკდებოდათ მის შეხებაზე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიჭი არ ჩერდებოდა: – შენ ხომ იმათ მხარეზე ხარ, ვისაც დევნიან და ავიწროებენ!

მთელი ამ ხნის განმავლობაში ტომაში იმაზე ფიქრობდა, შვილი შენობით დამელაპარაკება თუ თქვენობითო. ის კი ყველა წინადადებას ისე აგებდა, რომ ამ არჩევანისთვის გვერდი აევლო. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და შენობით მიმართა მამას. ტომაში უცებ მიხვდა, რომ საქმე ახლა პატიმრების ამნისტიას კი არა, შვილს ეხებოდა: თუ ხელს მოაწერს, მათი მომავალი ერთმანეთს გადაეჯაჭვება და იძულებული იქნება, ასე თუ ისე დაუახლოვდეს შვილს. თუ არ მოაწერს, ადრინდელივით არავითარი ურთიერთობა არ ექნებათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ეს მისი კი არა, შვილის გადაწყვეტილება იქნება, რომელიც მშიშარა მამაზე უარს განაცხადებს.

ტომაში იმ მოჭადრაკის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელსაც სვლა აღარ აქვს, რომელიც დამარცხებისაგან გადაარჩენს და დანებებაღა დარჩენია. სულერთია, მოაწერს ხელს თუ არა. მაინც არაფერი შეიცვლება არც მის საკუთარ და არც პოლიტიკური პატიმრების ბედში.

– მომეცით, – თქვა და ქაღალდი აიღო.

14

– ოიდიპოსზე დიდებულად დაწერეთ, – თქვა რედაქტორმა, თითქოს ტომაშს მიღებული გადაწყვეტილებისთვის აჯილდოებსო, შვილმა კი კალამი მიაწოდა და დაამატა: – ზოგიერთი მოსაზრება ტერორისტული აქტის ტოლფასი იყო.

რედაქტორის შექება ესიამოვნა ტომაშს, მაგრამ შვილის მეტაფორა გადაჭარბებულად და უადგილოდ მოეჩვენა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სამწუხაროდ, „ტერორისტულმა აქტმა“ მხოლოდ მე შემიწირა. იმ სტატიის წყალობით დღეს ოპერაციებს ველარ ვატარებ, – თქვა მან.

მისი სიტყვები ცივად და თითქმის მტრულადაც კი ჟღერდა.

დაძაბულობის განსამუხტავად საუბარში რედაქტორი ჩაერთო (მისი სიტყვები მობოდიშებასავით ისმოდა): – მაგრამ თქვენი სტატია ბევრ ადამიანს დაეხმარა!

ადრეული ასაკიდან მოყოლებული სიტყვებში „ადამიანის დახმარება“ ტომაში მხოლოდ ერთ რამეს გულისხმობდა: ექიმობას. რა? ის სტატია ადამიანებს დაეხმარა? ეს ორნი რაში არწმუნებენ მას? მთელი მისი ცხოვრება შეკვეცეს და ოიდიპოსის შესახებ გამოთქმულ ერთ აზრამდე დაიყვანეს, არა, კიდევ უფრო ნაკლებზე, რეჟიმისთვის სახეში ნასროლ ერთ „არა!“-ზე.

– არ ვიცი, იმ სტატიამ ვინმეს უშველა თუ არა, მე კი, როგორც ქირურგმა, რამდენიმე ადამიანს სიცოცხლე შევუნარჩუნე, – თქვა ტომაშმა (და, თუმცა ამას ვერ აცნობიერებდა, მისი ხმა ისევ ისე ცივად ჟღერდა).

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მისმა შვილმა დაარღვია: – აზრებსაც შეუძლიათ სიცოცხლის გადარჩენა.

ტომაში მის სახეზე საკუთარ ტუჩებს უყურებდა და ფიქრობდა: რა უცნაურია, რომ ხედავ, როგორ ებმის ენა შენს ტუჩებს.

– იმ სტატიაში ერთი რამ იყო მშვენიერი, – განაგრძო ბიჭმა, თან ეტყობოდა, რომ დაძაბული იყო, – შენი უკომპრომისობა. კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, რომელიც გვეკარგება. აღარ ვიცით, რას ნიშნავს თავის დამნაშავედ გრძნობა. კომუნისტებს გამართლება აქვთ, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტალინმა მოატყუა. მკვლელი თავს იმართლებს, რომ დედას არ უყვარდა და ფრუსტრაციაშია. შენ კი უცებ განაცხადე: არავითარი გამართლება არ არსებობს. არავინ ყოფილა შინაგანად ოიდიპოსივით სუფთა და მიუხედავად ამისა, როდესაც მიხვდა, რა ჩაიდინა, თავი დაისაჯა.

ტომაშმა ძლივს მოსწყვიტა მზერა საკუთარ ტუჩებს შვილის სახეზე და სცადა, ყურადღება რედაქტორზე გადაეტანა. გაღიზიანებული იყო და კამათის სურვილი გაუჩნდა: – კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი გაუგებრობაა. სინამდვილეში ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის ძალიან ბუნდოვანია. თან სულაც არ მიფიქრია იმაზე, რომ ვინმე უნდა დაისაჯოს. იმის დასჯა, ვინც არ უწყის, რას სჩადის, ბარბაროსობაა. ოიდიპოსის მითი ლამაზია, მაგრამ მისი ასე გამოყენება... – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ შეიძლება პოლიცია უსმენდეთ. იმაზე სულაც არ ფიქრობდა, რომ მომავალ ისტორიკოსებს მისი ციტირება შესძლებოდათ. მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ მის ციტირებას პოლიცია შეძლებდა. პოლიცია ხომ სწორედ საკუთარი სტატიის უარყოფას მოითხოვდა ტომაშისგან და ახლა იმის წარმოდგენა, რომ ისინი ამას მართლაც ეღირსებიან, ძალიან არ ესიამოვნა. იცოდა, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი, რასაც ადამიანი ამბობს, ხვალ შეიძლება რადიოთი გადაიცეს. ამიტომ გაჩუმდა.

– რამ გაიძულათ, ასე შეგეცვალათ შეხედულებები? – იკითხა რედაქტორმა.

– საინტერესო უფრო ის არის, რამ მაიძულა იმ სტატიის დაწერა... – თქვა ტომაშმა და მყისვე გაახსენდა: ტერეზა კალათში ჩასმული და ტალღებს მინდობილი ბავშვივით მოადგა მის საწოლს. სწორედ ამან აიძულა იმ წიგნის წაკითხვა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომულუსის, მოსეს და ოიდიპოსის ამბებს უბრუნდებოდა. ამის გაფიქრება იყო და ტერეზა ისევ დაეუფლა ტომაშის ფიქრებს. ხედავდა, როგორ იკრავდა ტერეზა მკერდში წითელ ყელსახვევში გახვეულ ყვავს. სურათი, რომელიც ასე ხიბლავდა ტომაშს, თითქოს იმის სათქმელად წარმოუდგა, რომ ტერეზა ცოცხალია, იმავე ქალაქში ცხოვრობს, რომელშიც თვითონ და სხვა დანარჩენს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ჩამოვარდნილი სიჩუმე რედაქტორმა დაარღვია: – მესმის თქვენი, ბატონო ექიმო. არც მე მსიამოვნებს, როდესაც ადამიანს სჯიან. მაგრამ ჩვენ ხომ დასჯას არ ვითხოვთ, – გაიღიმა მან, – არამედ, პირიქით, პატიებას.

– ვიცი, – თქვა ტომაშმა. ის უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ სულ მალე იმას გააკეთებს, რაც კეთილშობილური იქნება, მაგრამ ამაო (რადგან პოლიტიკურ პატიმრებს არაფრით წაადგება), პირადად მისთვის კი – უსიამოვნო (რადგან ამის გაკეთებას შექმნილი ვითარება აიძულებს).

შვილმა დაამატა (თითქმის ხვეწნით): – ამის ხელმოწერა შენი მოვალეობაა!

მოვალეობა? შვილმა უნდა შეახსენოს მოვალეობები? ამაზე უარესს ვერავინ ვერაფერს ეტყოდა ტომაშს! ისევ წარმოუდგა თვალწინ, როგორ ეჭირა ტერეზას ხელში ყვავი. გაახსენდა, როგორ აეკიდა ბარში ჯაშუში. ტერეზას ისევ უკანკალებს ხელები. დაბერდა. ტომაშისთვის, ტერეზას გარდა, არაფერს აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ ტერეზაა მნიშვნელოვანი, ექვსი შემთხვევითობის შედეგად შობილი ტერეზა, უფროსის იშიაზიდან აღმოცენებული ყვავილი, ის, რომელიც ყოველგვარი „Es muss sein!"-ის მეორე მხარეზე დგას. ტერეზა ერთადერთია, რითაც საზრდოობს.

რატომ ყოყმანობს, მოაწეროს ხელი თუ არა? ყველა მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაწყვეტილებისათვის ერთადერთი კრიტერიუმია: უფლება არ აქვს, რამე ისეთი გააკეთოს, რაც ტერეზას ავნებს. ტომაშს არ შეუძლია პოლიტიკური პატიმრების გადარჩენა, სამაგიეროდ შეუძლია, ტერეზას თავი ბედნიერად აგრძნობინოს, თუმცა არც ეს გამოსდის. მაგრამ პეტიციის ხელმოწერის შემდეგ, ალბათ, ჯაშუშები მოუხშირებენ ტერეზასთან სიარულს და ტერეზას კიდევ უფრო ძალიან აუკანკალდება ხელები.

ამ ფიქრებით გართულმა თქვა:

– მიწიდან ყვავის ამოთხრა პრეზიდენტისათვის პეტიციის გაგზავნაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

ესმოდა, რომ ეს ფრაზა სრულიად უაზროდ ჟღერდა და მით უფრო მოსწონდა იგი. ტომაში თრობის მოულოდნელმა და ძლიერმა შეგრძნებამ შეიპყრო. ეს ისეთივე განცდა იყო, როგორიც მრავალი წლის წინ, როდესაც ცოლს აცნობა, რომ არც მისი და არც შვილის დანახვა აღარ სურს. ისეთივე განცდა, როგორიც მაშინ, როდესაც საფოსტო ყუთში წერილს აგდებდა, რომლითაც სამუდამოდ უარს აცხადებდა საკუთარ პროფესიაზე. არ იყო დარწმუნებული თავისი საქციელის სისწორეში, სამაგიეროდ იცოდა, რომ იმას აკეთებდა, რაც სურდა.

– არ გეწყინოთ, ხელს არ მოვაწერ, – თქვა მან.

15

რამდენიმე დღეში პეტიციის შესახებ ყველა გაზეთი წერდა.

თუმცა არსად არ უხსენებიათ, რომ ეს თავაზიანი ტონით დაწერილი თხოვნა იყო, რომელიც პოლიტიკურ პატიმრებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ექომაგებოდა და მათ გათავისუფლებას მოითხოვდა. არც ერთ გაზეთში არც ერთი ციტატა არ მოუყვანიათ იმ ტექსტიდან. სამაგიეროდ გრძლად, ბუნდოვნად და მუქარით ლაპარაკობდნენ ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებზე, რომლებსაც საფუძველი უნდა მოემზადებინათ მომავალი ბრძოლისათვის სოციალიზმის წინააღმდეგ. ასახელებდნენ პეტიციის ხელმომწერებს და მათი გვარებს თან ახლდა ცილისწამება და სხვა თავდასხმები, რომლებისგანაც ტომაშს თმა ყალყზე უდგებოდა.

რა თქმა უნდა, ეს მოსალოდნელი იყო. იმ დროს ნებისმიერი საზოგადოებრივი აქცია (თავშეყრა, პეტიცია, ქუჩის აქცია), თუკი თვით კომუნისტური პარტიის მიერ არ იყო ორგანიზებული, ავტომატურად კანონგარეშე ცხადდებოდა და მონაწილეებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ეს ყველამ იცოდა და ამიტომ ტომაშს კიდევ უფრო მეტად სწყდებოდა გული, რომ პეტიციას ხელი არ მოაწერა. მაინც რატომ არ მოაწერა? ახლა წესიერად აღარც კი ახსოვს მაშინდელი გადაწყვეტილების მოტივები.

ახლაც ზუსტად ისევე ვხედავ ტომაშს, როგორც რომანის დასაწყისში. დგას თავისი ბინის ფანჯარასთან, რომელიც მთელ ეზოს გადაჰყურებს, მისჩერებია მოპირდაპირე მრავალბინიანი სახლის კედელს და არ იცის, რა ქნას.

ტომაში სწორედ ამ სურათ-ხატმა შვა. როგორც უკვე ვთქვი, პერსონაჟები დედის სხეულიდან კი არ იბადებიან, როგორც ცოცხალი ადამიანები, არამედ სიტუაციებიდან, წინადადებებიდან და მეტაფორებიდან. მათშია მოქცეული, როგორც კაკლის ნაჭუჭში, ძირითადი ადამიანური შესაძლებლობა, რომელიც, ავტორის აზრით, ჯერ არავის აღმოუჩენია ან რომელზეც ჯერ არავის უთქვამს რამე მნიშვნელოვანი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიახ, ეს გახლავთ სურათ-ხატი, რომელმაც ტომაში შვა; ახლა ისევ მას დავუბრუნდეთ: დგას ფანჯარასთან, რომელიც მთელ ეზოს გადაჰყურებს და მოპირდაპირე მრავალბინიანი სახლის ჭუჭყიან კედელს მისჩერებია. იმ დიდნიკაპიან მაღალ მამაკაცთან და მის მეგობრებთან უნდა ყოფნა, რომლებსაც არ იცნობდა და რომელთა წრესაც არ მიეკუთვნებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სადგურის ბაქანზე უცნობი ლამაზი ქალი დაინახა და სანამ გამოცნაურებას მოასწრებდა, ქალი სტამბოლსა თუ ლისაბონში მიმავალ მატარებელში ჩაჯდა.

ტომაში ისევ იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო მაშინ. ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია გრძნობებისთვის (რედაქტორით აღფრთოვანებისა და შვილით გაღიზიანებისთვის), მაგრამ მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ შემოთავაზებულ ტექსტზე ხელი უნდა მოეწერა.

სწორია ხმის ამაღლება მაშინ, როდესაც ადამიანს ძალით აჩუმებენ? რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ მეორე მხრივ: რატომ დაუთმო პრესამ ამ პეტიციას ამხელა ყურადღება? პრესას (თავიდან ბოლომდე სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფს) შეეძლო გაჩუმება და მთელი ამ ამბის შესახებ არავის არაფერი ეცოდინებოდა. პრესით ატეხილი ხმაური კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ქვეყნის მმართველებს ასე აძლევდათ ხელს! უკვე ჰქონდათ საშუალება, რომელიც პირდაპირ ციდან დაეცათ, რომ წამოეწყოთ და გაემართლებინათ რეპრესიის ახალი ტალღა.

მაშ რა იყო სწორი? ხელის მოწერა თუ არმოწერა?

ეს კითხვა ასეც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: რა სჯობს, ვიყვიროთ და ამით საკუთარი აღსასრული დავაჩქაროთ თუ ჩუმად ყოფნის ფასად ნელი სიკვდილის უფლება მოვიპოვოთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და საერთოდ, არსებობს პასუხი ამ კითხვებზე?

აქ ტომაშს ისევ ის, ჩვენთვის უკვე ნაცნობი აზრი ამოუტივტივდა: ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და ამიტომ ვერასოდეს შევძლებთ იმის გაგებას, ჩვენი რომელი გადაწყვეტილება იყო სწორი და რომელი არა. მოცემულ სიტუაციაში მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების მიღება შეგვეძლო და არ გვაქვს მეორე, მესამე და მეოთხე ცხოვრება, რომ სხვადასხვა გადაწყვეტილება ერთმანეთს შევადაროთ.

იგივე შეიძლება ითქვას ისტორიაზეც. 1618 წელს ჩეხმა დიდგვაროვნებმა გადაწყვიტეს, თავიანთი რელიგიური გრძნობების თავისუფლება დაეცვათ, აჯანყდნენ და ვენაში მყოფ იმპერატორზე გამწარებულებმა, მისი ორი მაღალჩინოსანი პრაღის ჰრადის ფანჯრიდან გადააგდეს. ასე დაიწყო ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც ჩეხი ერი თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანა. ხომ არ აჯობებდა, ჩეხებს მაშინ მეტი სიფრთხილე და ნაკლები გამბედაობა გამოევლინათ?

სამას ოცი წლით გვიან, 1938 წელს, მიუნხენის კონფერენციის შემდეგ მთელმა მსოფლიომ ერთხმად გადაწყვიტა, ჩეხების სამშობლო მსხვერპლად შეეწირა ჰიტლერისთვის. რვაჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ მარტო დარჩენილებს უნდა ებრძოლათ? 1618 წლისგან განსხვავებით, ამჯერად გამბედაობაზე მეტად სიფრთხილე გამოიჩინეს. მათი კაპიტულაციით კი მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, რომელმაც ჩეხებს გაურკვეველი დროით თავისუფლება დააკარგვინა. სიფრთხილეზე მეტად მაშინ გამბედაობა ხომ არ უნდა გამოეჩინათ? რა უნდა ექნათ?

ჩეხეთის ისტორიის გამეორება რომ შეიძლებოდეს, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა სხვადასხვა არჩევანის გაკეთება და შემდეგ მათი შედეგების შედარება. ასეთი ექსპერიმენტის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარეშე ნებისმიერი მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეზებით გართობაა და მეტი არაფერი.

Einmal ist keinmal. რაც ერთხელ მოხდა, შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს მომხდარა. ჩეხეთის ისტორია არ გამეორდება, ისევე როგორც ევროპის ისტორია. ჩეხეთისა და ევროპის ისტორიები ორი ესკიზია, რომლებიც კაცობრიობის საბედისწერო გამოუცდელობამ დახატა. ისტორიაც ისე მსუბუქია, როგორც ყოველი ცალკეული ადამიანის ცხოვრება, აუტანლად მსუბუქია, მსუბუქია, როგორც ბუმბული, როგორც მტვრის ბული, როგორც ის, რაც ხვალ აღარ იარსებებს.

ტომაშმა კიდევ ერთხელ ნოსტალგიით, თითქმის სიყვარულითაც კი, გაიხსენა მაღალი და მხრებში მოხრილი რედაქტორი, რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს ისტორია ესკიზი კი არა, უკვე დასრულებული ნახატი ყოფილიყოს. ისე იქცეოდა, თითქოს ყველაფერი, რასაც აკეთებდა, უსასრულოდ უნდა გამეორებულიყო და დარწმუნებული იყო, რომ თავის დღევანდელ საქციელს მომავალში ეჭვის თვალით არასოდეს შეხედავდა. დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და ამას შეზღუდულობის კი არა, ღრმა ზნეობის ნიშნად აღიქვამდა. ეს ადამიანი სხვა, ტომაშის ისტორიისაგან განსხვავებულ ისტორიაში ცხოვრობდა: ისტორიაში, რომელიც ესკიზი არ იყო (ან უბრალოდ ეს არ იცოდა).

16

რამდენიმე დღის მერე ტომაშს თავში ერთი აზრი მოუვიდა, რომელსაც აქ, როგორც წინა თავის დამატებას, ისე მოვიყვან: სამყაროში არსებობს პლანეტა, სადაც ყველა ადა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიანი მეორედ იბადება. ამ პლანეტაზე ყოფნისას მათ სრულად ემახსოვრებათ დედამიწაზე გატარებული ცხოვრება და მთელი იქ მიღებული გამოცდილება.

შეიძლება არსებობს კიდევ ერთი პლანეტაც, სადაც უკვე პირველი ორი პლანეტის გამოცდილებით დავიბადებით ყველანი.

არ არის გამორიცხული სხვა პლანეტების არსებობაც, სადაც კაცობრიობა ყოველთვის ერთი საფეხურით (ერთი ცხოვრებით) უფრო გამოცდილი დაიბადება.

ეს მუდმივი დაბრუნების ტომაშისეული ვერსიაა.

თუმცა დედამიწაზე (ნომერ ერთ პლანეტაზე, გამოუცდელობის პლანეტაზე) ჩვენ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა შეიძლება გვქონდეს იმის შესახებ, რა დაემართება ადამიანს დანარჩენ პლანეტებზე. ვითომ უფრო ბრძენი იქნება? და საერთოდ ძალუძს ადამიანს, ბრძენი იყოს? მიიღწევა კი სიბრძნე გამეორებით?

მხოლოდ ამ უტოპიის პირობებში შეიძლებოდა გამოგვეყენებინა მართებულად პესიმიზმისა და ოპტიმიზმის ცნებები: ოპტიმისტია ის, ვინც ფიქრობს, რომ პლანეტა ნომერ ხუთზე კაცობრიობის ისტორია ნაკლებად სისხლიანი იქნება. პესიმისტი კი ის არის, ვინც ასე არ ფიქრობს.

17

ჟიულ ვერნის ცნობილ რომანს, რომელიც ტომაშს ბავშვობიდან უყვარდა, „არდადეგების ორი წელიწადი“ ერქვა და მართლაც, ორი წელიწადი არდადეგებისათვის მაქსიმალური ვადაა. ტომაში კი უკვე მესამე წელი მუშაობდა ფანჯრების მწმენდავად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწორედ ამ დღეებში მიხვდა ტომაში (თან სევდიანად, თან ირონიულად), რომ ფიზიკურად გადაღლილია და მართალია, ლტოლვა არსად არ გამქრალა, მაგრამ ქალებს უკანასკნელი ძალების დაძაბვით ეუფლება (დავამატებ: არა სექსუალური, არამედ სწორედ ფიზიკური ძალების დაძაბვით. პრობლემებს თავისი მამაკაცური ღირსება კი არ უქმნიდა, არამედ ქოშინი, რომელიც სწრაფად აუვარდებოდა ხოლმე. და ამაში იყო რაღაც კომიკური).

ერთხელ ტომაშმა შუადღისას ვინმესთან შეხვედრა გადაწყვიტა, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ვერც ერთ ქალს ვერ მიაგნო ტელეფონით, რაც მოსაწყენ დღეს ჰპირდებოდა. ცუდ ხასიათზე დადგა. ათჯერ მაინც დაურეკა ერთ ძალიან მომხიბვლელ სტუდენტ გოგონას, მომავალ მსახიობს, რომლის სხეულიც იუგოსლავიის რომელიღაც ნუდისტურ პლაჟზე ისე თანაბრად იყო გარუჯული, თითქოს შამფურზე წამოცმულს უზუსტესი მექანიზმი ატრიალებდა. ყველა იმ მაღაზიიდან ურეკა, სადაც მუშაობამ მოუწია იმ დღეს, მაგრამ ამაოდ. როდესაც ოთხისთვის მუშაობა დაამთავრა და ხელმოწერილი ფაქტურები კანცელარიაში ჩასაბარებლად მიჰქონდა, პრაღის ცენტრში უცნობმა ქალმა გააჩერა და ღიმილით უთხრა: „ბატონო ექიმო, სად ხართ, სულ მთლად დამეკარგეთ!“

ტომაში დაძაბული ცდილობდა, გაეხსენებინა, საიდან იცნობდა ამ ქალს. პაციენტი იყო? არა, ახლო მეგობარივით იქცეოდა. ტომაში ცდილობდა, პასუხები ისე გაეცა, რომ გულმავიწყობა არ დასტყობოდა. უკვე იმაზე ფიქრობდა, როგორ მიეწვია მეგობრის ბინაში, რომლის გასაღებიც ჯიბეში ედო, რომ უცებ მისი რომელიღაც შემთხვევითი ფრაზით მიხვდა, ვინც იყო: ეს ის ზღაპრულად გარუჯული დამწყები მსახიობი იყო, რომელსაც დღეს მთელი დღე ურეკავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ შემთხვევამ ტომაში თან გაართო და თან შეაშინა: არა მარტო ფიზიკურად, ფსიქიკურადაც გადაღლილია; არდადეგების ამ ორი წლის უსასრულოდ გაგრძელება შეუძლებელია.

18

არდადეგები საოპერაციო მაგიდის გარეშე ამავე დროს ტერეზას გარეშე არდადეგები იყო: კვირაში ექვს დღეს თითქმის ვერ ხედავდნენ ერთმანეთს და მხოლოდ კვირას ახერხებდნენ ერთად ყოფნას. ერთმანეთი ძალიან ენატრებოდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ ჯერზე გრძელი გზის გავლა უხდებოდათ ერთმანეთთან მისაახლოებლად, ზუსტად ისე, როგორც ციურიხიდან ტომაშის დაბრუნების შემდეგ. სექსს მათთვის ტკბობა მოჰქონდა, მაგრამ არა ნუგეში. ლოგინში ტერეზა აღარ ყვიროდა და ორგაზმის დროს მისი სახე თითქოს ტკივილსა და რეალობისაგან განშორებას გამოხატავდა. მხოლოდ ძილში იყვნენ ხოლმე ნაზად დაკავშირებული, ერთმანეთის ხელი ეჭირათ და ტერეზას ავიწყდებოდა უფსკრული (დღის სამყაროს უფსკრული), რომელიც მათ ყოფდა. მაგრამ ეს ღამეები ტერეზას დასაცავად და მასზე საზრუნავად საკმარისი არ იყო. როდესაც დილაობით ტერეზას ხედავდა, შიშით გული ეკუმშებოდა ხოლმე: ის ცუდად, ავადმყოფურად გამოიყურებოდა.

ერთ-ერთ კვირადღეს ტერეზამ მანქანით ქალაქგარეთ გასეირნება სთხოვა ტომაშს. პატარა საკურორტო ქალაქს მიადგნენ, რომლის ქუჩებსაც რუსული სახელები ჰქონდა დარქმეული. იქ მათ ტომაშის ძველი პაციენტი შეხვდათ. შეხვედრამ ტომაშს განწყობა გაუფუჭა. მოულოდნელად ისევ ისე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაელაპარაკნენ, როგორც ექიმს და ტომაშს თავისი ოდინ-
დელი ცხოვრების ექო შემოესმა შორიდან, თავისი გამოზო-
მილი დღის განრიგით, პაციენტების გამოკვლევით და მათი
ნდობით აღსავსე მზერით. მაშინ თითქოს არ იმჩნევდა ამას,
მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან უხაროდა. დღეს კი ეს მზერა
ძალიან აკლია.

მოგვიანებით, როდესაც შინ მანქანით ბრუნდებოდნენ,
ტომაში იმაზე ფიქრობდა, რომ მათი ციურიხიდან პრაღაში
დაბრუნება საბედისწერო შეცდომა იყო. დაძაბულ მზერას
გზას არ აშორებდა, რადგან ტერეზას დანახვა არ უნდოდა.
ძალიან გაბრაზებული იყო მასზე. თავის გვერდით ტერეზას
ყოფნა სრულიად აუტანელ შემთხვევითობად ეჩვენებოდა.
რატომ არის მის გვერდით? ვინ ჩააწვინა კალათაში და ვინ
გამოუგზავნა? რატომ გამოაგზავნა მაინცდამაინც მისი სა-
წოლის ნაპირზე? და რატომ მაინცდამაინც ტერეზა და არა
ვინმე სხვა?

მთელი გზა არც ერთს არ ამოუღია ხმა.

შინ დაბრუნებულებმა ასევე უხმოდ ივახშმეს.

სიჩუმე უბედურებასავით იყო ჩამოწოლილი მათ შორის
და სულ უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა. ამ სიჩუმისაგან
თავის დასაღწევად ადრე დაწვნენ. ღამე კი ტომაშს მტირალი
ტერეზას გაღვიძება მოუხდა.

ტერეზა მოუყვა: – უკვე დიდი ხნის დამარხული ვიყავი.
ყოველკვირა მოდიოდი ჩემთან. კუბოზე აკაკუნებდი და მეც
გამოვდიოდი იქიდან. თვალები მიწით მქონდა ამოვსებული.

მეუბნებოდი: „ასე ხომ ვერაფერს დაინახავ“ – და მიწას
მაშორებდი თვალებიდან.

მე კი გპასუხობდი: „მაინც ვერაფერს ვხედავ, თვალების
მაგივრად ხომ ხვრელები მაქვს“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ მშვენიერ დღეს დიდი ხნით გაქრი და ვიცოდი, რომ ვილაც უცხო ქალთან ხარ. კვირები გადიოდა და არ ჩანდი. მეშინოდა, შენი მოსვლა არ გამომრჩენოდა და ამიტომ არც ერთი წუთით არ მძინებია. ბოლოს და ბოლოს, ისევ დააკაკუნე კუბოზე, მაგრამ ერთთვიანი უძილობით ისეთი დაუძლურებული ვიყავი, რომ ზევით ამოსვლის ძალა აღარ მქონდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, ამოსვლა მოვახერხე, იმედგაცრუებულმა შემხედე და მითხარი, ცუდად გამოიყურებიო. ვგრძნობდი, რომ არ მოგწონვარ, რადგან ჩავარდნილი ლოყები მაქვს და მკვეთრ მოძრაობებს ვაკეთებ.

პატიებას გთხოვდი: „მაპატიე, მთელი ეს ხანი არ მძინებია“.

შენ კი ყალბი ხმით მაწყნარებდი: „აი ხომ ხედავ, დასვენება გჭირდება. ერთი თვით შვებულება უნდა აიღო“.

მე კი კარგად მესმოდა, იმ შვებულებაში რასაც გულისხმობდი! ვიცოდი, რომ არ მოგინდებოდა ამ ერთი თვის განმავლობაში ჩემი ნახვა, რადგან ვილაც სხვა ქალთან იქნებოდი. შენ წახვედი, მე კი ისევ საფლავში დავბრუნდი და ვიცოდი, რომ ისევ მთელი თვე ვერ დავიძინებ, რათა შენი მოსვლა არ გამომრჩეს, და რომ ერთი თვის შემდეგ, შენი მოსვლისთვის, ახლანდელზე უფრო მახინჯი ვიქნები და უფრო მეტად გაგიცრუვდება იმედი.

ამაზე მტანჯველი ტომაშს არაფერი მოუსმენია. გულში იკრავდა ტერეზას, გრძნობდა, როგორ უკანალებდა სხეული და ეჩვენებოდა, რომ საკუთარი სიყვარულის ტვირთს ვერ ერევა.

შეიძლება დედამიწა ბომბების აფეთქებამ აზანზაროს, მისი სამშობლო გაუთავებლად მომხდურმა ააოხროს, მეზობელი ქუჩის ყველა მცხოვრები დასასჯელად წაათრიონ – ეს ყველაფერი აღიარებაზე უფრო ადვილი იქნებოდა ტომაში-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სათვის. მაგრამ ტერეზას ერთადერთი სიზმრით გამოწვეული ტანჯვის ატანა მის ძალებს აღემატებოდა.

ტერეზას მოყოლილ სიზმარს უბრუნდებოდა. წარმოიდგენდა, როგორ ეფერება სახეზე და ქურდულად, ისე, რომ ტერეზამ ვერ იგრძნოს, თვალების ცარიელი ფოსოებიდან მიწას როგორ აცლის. შემდეგ კი ის მტანჯველი წინადადება ჩაესმოდა: „მაინც ვერაფერს ვხედავ, თვალების მაგივრად მხოლოდ ხვრელები მაქვს“.

გული ისე ეკუმშებოდა, ეგონა, ეს-ესაა გამისკდებაო.

ტერეზას ისევ ეძინა, ტომაში კი ველარ იძინებდა და მის სიკვდილზე ფიქრობდა. წარმოიდგინა, რომ ტერეზა მკვდარია და კოშმარები ესიზმრება, მაგრამ, რადგან მკვდარია, ტომაშს არ შეუძლია, გაალვიძოს. დიახ, ეს სიკვდილია: ტერეზას სძინავს, კოშმარული სიზმრები ესიზმრება და ტომაშს არ შეუძლია მისი გაღვიძება.

19

ტომაშის სამშობლოში რუსების შემოჭრიდან გასული ხუთი წლის მანძილზე პრაღა ძალიან შეიცვალა: ტომაში ახლა სულ სხვა ხალხს ხვდებოდა ქუჩაში. მისი ნაცნობების ნახევარი ემიგრაციაში წავიდა, ხოლო დარჩენილებიდან ნახევარი დაიხოცა. ამ ფაქტს არც ერთი ისტორიკოსი არ დააფიქსირებს: რუსული ოკუპაციის შემდგომი წლები გასვენებების ხანა იყო. სიკვდილიანობამ ყველა სხვა პერიოდის მაჩვენებლებს საგრძნობლად გადააჭარბა. მხოლოდ იმ (შედარებით იშვიათ) შემთხვევებზე არ ვლაპარაკობ, როდესაც ადამიანებს დაუნდობლად დევნიდნენ და კლავდნენ, როგორც იან პრო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხაზკას შემთხვევაში მოხდა. ორი კვირის განმავლობაში მის პირად საუბრებს ყოველდღე რადიოთი გადასცემდნენ. ამის შემდეგ პროხაზკა საავადმყოფოში აღმოჩნდა. სიმსივნე, რომელიც მის სხეულში სავარაუდოდ უკვე თვლემდა, უცებ ვარდივით გაიფურჩქნა. ოპერაცია პოლიციის თანდასწრებით გაუკეთდა. მაგრამ, როგორც კი გაირკვა, რომ მწერალი განწირული იყო, მის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს და ცოლს შეატოვეს ხელში. თუმცა ისინიც იხოცებოდნენ, ვისაც ასე აშკარად არ დევნიდნენ. უიმედობა, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, სულებიდან სხეულებში აღწევდა და ანადგურებდა მათ. ზოგიერთი რეჟიმის კეთილგანწყობას გაურბოდა უკან მოუხედავად. რეჟიმი ცდილობდა, ისინი თავისი ყურადღებით გაებრუებინა და ამ გზით ეიძულებინა, ხელისუფლების გვერდით მდგარიყვნენ. ასე შეიწირა პარტიის მზრუნველმა სიყვარულმა პოეტი ფრანტიშეკ ჰრუბინი. კულტურის მინისტრმა, რომელსაც თავგამოდებით ემალებოდა, ბოლოს მაინც დაიჭირა ის, ოღონდ უკვე კუბოში და მის თავთან წარმოთქვა სიტყვა საბჭოთა კავშირის მიმართ ჰრუბინის დიდ სიყვარულზე. ამ უგვანი საქციელით, ალბათ, ჰრუბინის გაღვიძება უნდოდა. მაგრამ სამყარო ისეთი ამაზრზენი იყო, რომ მკვდრეთით აღდგომა აღარავის სურდა.

ტომაში უნივერსიტეტიდან და მეცნიერებათა აკადემიიდან გაგდებული ბიოლოგიის პროფესორის კრემაციის ცერემონიაზე გაემართა. ხელისუფლებამ ნეკროლოგში დაკრძალვის დროის აღნიშვნა აკრძალა. ეშინოდათ, ეს ცერემონია დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო. მხოლოდ ბოლო მომენტში შეიტყვეს ახლობლებმა, რომ კრემაცია დილის შვიდის ნახევარზე ჩატარდებოდა.

როდესაც ტომაში კრემატორიუმის დარბაზში შევიდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცებ ვერც ვერ მიხვდა, რა ხდებოდა: დარბაზი გადასაღები მოედანივით იყო გაჩახჩახებული. გაკვირვებული იყურებოდა იქით-აქეთ და ბოლოს სამ ადგილას დამონტაჟებული კამერები შეამჩნია. მაგრამ ეს ტელევიზია კი არა, პოლიცია იყო, რომელიც დაკრძალვას იღებდა, რათა შემდეგ ცერემონიაში მონაწილეები აღერიცხა. გარდაცვლილი მეცნიერის ერთმა ხანდაზმულმა კოლეგამ, ჯერ კიდევ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გამბედაობა გამოიჩინა და სიტყვა წარმოთქვა გარდაცვლილის კუბოსთან. ალბათ, არ იცოდა, რომ იმ დღიდან კინოვარსკვლავად იქცეოდა.

როდესაც ცერემონია დასრულდა და გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ყველამ მიუსამძიმრა, ტომაშმა დარბაზის კუთხეში ადამიანების პატარა ჯგუფი შენიშნა, მათ შორის მაღალი და მხრებში ოდნავ მოხრილი რედაქტორიც იდგა. ისევ იგრძნო, როგორ ეწევა რაღაც ამ ადამიანებისაკენ, რომლებსაც არაფრის არ ეშინიათ და ერთმანეთთან დიდი მეგობრობა აკავშირებთ. ტომაშმა მისალმება გადაწყვიტა და ღიმილით გაეშურა მხრებში მოხრილი მამაკაცისკენ, მაგრამ მან დაასწრო და უთხრა: – ფრთხილად, ბატონო ექიმო, ჯობს, თავი მოგვარიდოთ.

რედაქტორის ნათქვამი ორაზროვანი იყო. ტომაშს შეეძლო, ეს მეგობრულ გაფრთხილებად მიეღო („ფრთხილად, გვიღებენ, თუ დაგველაპარაკებით, შეიძლება ერთით მეტი დაკითხვა ჩაგიტარონ“), ან ირონიად გაეგო („რაკი პეტიციაზე ხელის მოწერის გამბედაობა არ გეყოთ, თანამიმდევრული იყავით და ნუ მოგვიახლოვდებით!“). ასე იყო თუ ისე, ტომაშმა ყურად იღო გაფრთხილება და იქაურობას გაეცალა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ექსპრეს-მატარებელში ამავალ ლამაზ ქალს ხედავს და იმ წამს, როდესაც აღფრთოვანება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა გამოხატოს, ქალი თითს ტუჩებზე იდებს და ხმის ამოღებას უკრძალავს.

20

იმავე დღის ნაშუადღევს ტომაში ერთი საინტერესო შეხვედრის მონაწილე აღმოჩნდა. ფეხსაცმლის დიდი მაღაზიის ვიტრინას წმენდდა, როდესაც მის გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი გაჩერდა. ვიტრინისაკენ დაიხარა და ფასებს დაუწყო თვალიერება.

– გააძვირეს, – უთხრა ტომაშმა ისე, რომ შუშაზე ნაკადად ჩამომდინარე წყლის შემშრალება არ შეუწყვეტია.

მამაკაცმა აიხედა. ის ტომაშის კოლეგა აღმოჩნდა, რომელიც ს.-თი აღვნიშნე, ის, რომელიც ოდესღაც დამცინავი ღიმილით წუხდა იმის გამო, რომ ტომაშმა უარყოფის წერილი არ დაწერა. ტომაშს გაუხარდა მასთან შეხვედრა (იმ გულუბრყვილო სიხარულით, რომელიც მოულოდნელ მოვლენებს მოაქვს ხოლმე ჩვენთვის), მაგრამ კოლეგის გამოხედვაში (სანამ ს. თავს მოერეოდა) უსიამოვნო გაკვირვება შენიშნა.

– როგორ ხარ? – ჰკითხა ს.-მ.

სანამ პასუხის გაცემას მოასწრებდა, ტომაშმა შეამჩნია, რომ ს.-ს საკუთარი შეკითხვის რცხვენოდა. მართლაც ხომ უაზრობაა, რომ ექიმი, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას აგრძელებს, „როგორ ხარო“ ეკითხება ექიმს, რომელიც ვიტრინებს წმენდს.

უხერხულობის გასაქარწყლებლად ტომაშმა რაც შეიძლება მხიარულად მიუგო: – მშვენივრად! – მაგრამ უცებ მიხვდა, რომ ეს „მშვენივრად“, მისდა უნებურად (და სწორედ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმიტომაც, რომ შეეცადა, მხიარულად ეთქვა), ირონიულად ყლერდა და სასწრაფოდ დააყოლა:

– რა არის საავადმყოფოში ახალი?

– არაფერი, ყველაფერი რიგზეა, – უპასუხა ს.-მ.

ეს პასუხიც, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური იყო, სრულიად უაზრო იყო და ეს ორივემ იცოდა. მეტიც, ისიც იცოდნენ, რომ ეს ორივემ იცის: როგორ შეიძლება, ყველაფერი რიგზე იყოს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ვიტრინებს წმენდს?

– შეფი როგორ არის? – იკითხა ტომაშმა.

– არ ხვდები ხოლმე? – ჰკითხა ს.-მ.

– არა, – უპასუხა ტომაშმა.

მართლაც, მიუხედავად მჭიდრო თანამშრომლობისა და, შეიძლება ითქვას, მეგობრობისაც, რაც საავადმყოფოდან წამოვიდა, ტომაშს თავისი უფროს აღარ უნახავს. როგორც უნდა ეცადა, მის პასუხში რაღაც სევდა გამოსჭვიოდა. ტომაში გრძნობდა, რომ ს. თავს უბრაზდებოდა ამ შეკითხვისთვის, რადგან უფროსის არ იყოს, არც თვითონ მისულა როდისმე ტომაშთან და არ უკითხავს, როგორაა საქმეები და რამე ხომ არ გიჭირსო.

ყოფილ კოლეგებს საუბარი აშკარად არ გამოსდიოდათ, თუმცა კი ორივე ნანობდა ამას, განსაკუთრებით – ტომაში. ის ყოფილი თანამშრომლების გულმავიწყობაზე არ ბრაზობდა და სიამოვნებით აუხსნიდა ამას თავის ახალგაზრდა კოლეგას. უნდოდა მისთვის ეთქვა: „ნუ გრცხვენია! ყველაფერი რიგზეა, ერთმანეთს რომ არ ვხვდებით, სრულიად ნორმალურია! ნუ წუხხარ ამის გამო! მიხარია, რომ გხედავ!“ მაგრამ ამის თქმისაც ეშინოდა, რადგან ყველაფერი, რაც აქამდე თქვა, არასასურველ ელფერს იძენდა და ს. ამ ფრაზაშიც ალბათ, მხოლოდ აგრესიულ ირონიას დაინახავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არ გეწყინოს, – თქვა ბოლოს ს.-მ, – ძალიან მეჩქარება, – და ხელი ჩამოართვა ტომაშს. – დაგირეკავ.

მაშინ, როცა მოსალოდნელი უკან დახევისთვის კოლეგები ტომაშს ზევიდან უყურებდნენ, ყველა ულიმოდა. ახლა, როდესაც ზევიდან ველარ შეხედავენ, მეტიც, როდესაც იძულებული არიან, პატივისცემით უყურონ, ცდილობენ, სულაც თავი აარიდონ.

სხვათა შორის, ძველი პაციენტებიც აღარ ეძახდნენ სტუმრად და აღარ ეგებებოდნენ შამპანურით. დეკლასირებული ინტელექტუალების მდგომარეობა განსაკუთრებული აღარ იყო; ის მუდმივ და უსიამოვნო მოვლენად გადაიქცა.

21

ტომაში სახლში დაბრუნდა, დაწვა და ჩვეულებრივზე ადრე დაიძინა. დაახლოებით ერთ საათში კუჭის ტკივილმა გააღვიძა. ეს დიდი ხნის სენი იყო, რომელიც დეპრესიის დროს აუცილებლად ახსენებდა ხოლმე თავს. საშინაო აფთიაქი გახსნა და გაშეშდა. აფთიაქი ცარიელი იყო. დაავიწყდა წამლების ყიდვა. შეეცადა, ტკივილი ნებისყოფით დაეძლია, რაც თითქმის გამოუვიდა კიდეც, მაგრამ დაძინება ველარ შეძლო. როდესაც ღამის ორის ნახევრისთვის ტერეზა დაბრუნდა, მასთან ლაპარაკი მოუნდა. მოუყვა დასაფლავებისა და იმის შესახებ, როგორ აარიდა თავი რედაქტორმა მასთან ლაპარაკს; მოუყვა ს.-თან შეხვედრაზეც.

– პრალა საზიზღარი გახდა, – თქვა ტერეზამ.

– გახდა, – დაეთანხმა ტომაშმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოტა ხნის შემდეგ ტერეზამ ჩუმად დაუმატა: – კარგი იქნებოდა, აქაურობას გავცლოდით.

– ჰო, – თქვა ტომაშმა, – მაგრამ წასასვლელი არ გვაქვს.

პიჟამიანი ტომაში ლოგინზე იჯდა, ტერეზა გვერდით მიუჯდა და ხელი მოხვია.

– სოფელში, – თქვა ტერეზამ.

– სოფელში? – გაიკვირვა ტომაშმა.

– იქ მარტონი ვიქნებოდით, არც რედაქტორს შეხვდებოდი და არც ყოფილ კოლეგებს. იქ სულ სხვა ხალხი ცხოვრობს და ბუნებაც ისეთივეა, როგორიც ყოველთვის იყო.

ამ დროს კუჭის ტკივილმა თავიდან მოუარა. უცებ თავი მოხუცებულად იგრძნო და მოეჩვენა, რომ სიმშვიდისა და სიჩუმის მეტი ამქვეყნად არაფერი სჭირდებოდა.

– შეიძლება, მართალიც ხარ, – თქვა ტომაშმა გაჭირვებით, რადგან ტკივილისგან სუნთქვა ეკვრებოდა.

– იქ პატარა სახლი გვექნებოდა თავისი ბაღით, კარენინს სარბენი ადგილი გაუჩნდებოდა, – თქვა ტერეზამ.

– ალბათ, – დაეთანხმა ტომაში.

შემდეგ კი წარმოიდგინა, რა იქნებოდა, მართლა რომ გადასახლებულიყვნენ სოფლად. იქ ყოველ კვირას ახალი ქალის პოვნა ძნელი იქნებოდა, და მის ეროტიკულ თავგადასავლებს ბოლო მოეღებოდა.

– თუმცა ჩემთან ერთად სოფელში ყოფნა მოგწყინდებოდა, – თქვა ტერეზამ, თითქოს ტომაშის აზრებს კითხულობსო.

ტკივილი ისევ მატულობდა. ტომაში ვეღარ ლაპარაკობდა. მერე თავში აზრად მოუვიდა, რომ ქალების განუწყვეტელი დევნაც ერთგვარი „Es muss sein!"-ია, იმპერატივი, რომელმაც დაიმონა. არდადეგებზე ოცნებობდა. ოღონდ ნამდვილ არდადეგებზე, ყოველგვარი იმპერატივებისა და „Es muss sein!"-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ებისაგან თავისუფალ არდადეგებზე. ხომ მოახერხა საავადმყოფოს საოპერაციო მაგიდისაგან დასვენება (თანაც სამუდამოდ), რატომ არ უნდა დაესვენა ახლა სამყაროს საოპერაციო მაგიდისაგან, რომელზეც წარმოსახვითი სკალპელით იმ ზარდახშას ხსნიდა, რომელშიც საკუთარი განსხვავებულობის ილუზორულ ერთ მემილიონედს მალავდნენ ქალები?

– კუჭი გტკივა, არა? – გამოიცნო ტერეზამ.

ტომაშმა დაუდასტურა.

– გაიკეთე ნემსი?

თავი გააქნია: – წამლების ყიდვა დამავიწყდა.

ტერეზა გაბრაზდა ტომაშზე საკუთარი თავის მიმართ უყურადღებობაზე და თან ტკივილისაგან ოდნავ გაოფლიანებულ შუბლზე მიეფერა.

– ახლა ცოტა უკეთესად ვარ, – თქვა ტომაშმა.

– დაწექი, – სთხოვა ტერეზამ, საბანი დაახურა და სააბაზანოში გავიდა. მალე დაბრუნდა და ტომაშს გვერდით მიუწვა.

ტომაშმა თავი ტერეზასაკენ გადაატრიალა და გული შეეკუმშა: ნაღველი, რომელიც ტერეზას თვალებში იხატებოდა, აუტანელი იყო.

– ტერეზა, მითხარი, რა მოგივიდა? ამ ბოლო დროს რაღაც ხდება, მე ამას ვგრძნობ, მე ეს ვიცი.

ტერეზამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია: – არაფერი.

– ნუ უარყოფ!

– ისევ იგივეა, – თქვა ტერეზამ.

„ისევ იგივე“ ნიშნავდა ტერეზას ეჭვიანობას და ტომაშის ღალატს.

მაგრამ ტომაში შეუჩნდა:

– ტერეზა, ამჯერად ეს რაღაც სხვაა. ამის გამო ასე ცუდად არასოდეს ყოფილხარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კარგი, გეტყვი, ნადი და თავი დაიბანე.

ტომაში ვერაფერს მიხვდა.

ტერეზამ ნაღვლიანად და ბრაზის გარეშე, თითქმის ნაზად, უთხრა:

– თმაზე ბოლო რამდენიმე თვეა ძლიერი სუნი აგდის, ვილაც ქალის საშოს სუნი. არ მინდოდა შენთვის ამის თქმა, მაგრამ უკვე დიდი ხანია, შენი საყვარლის საშოს სუნს ვისუნთქავ.

როგორც კი ტერეზამ ეს თქვა, ტომაშს ისევ ასტკივდა კუჭი. საშინლად დაღონდა. რამდენს ბანაობს! გაუთავებლად იხეხავს მთელ სხეულს, ხელებს, სახეს, რომ სხვისი სუნის ნატამალიც არ დარჩეს ზედ. სხვების სურნელოვანი საპნით არ ბანაობს და საკუთარი საპონი დააქვს თან. მაგრამ თმა დაავიწყდა! არც უფიქრია ამაზე!

მერე ტომაშს ის ქალი გაახსენდა, სახეზე რომ აჯდებოდა და უნდოდა, ტომაშს სახითა და თხემით დაეკმაყოფილებინა. როგორ სძულდა ახლა ის ქალი ამ სულელური სურვილებისათვის! ხედავდა, რომ რამის უარყოფას აზრი არ ჰქონდა და ისღა დარჩენოდა, უაზრო ღიმილით სააბაზანოში გასულიყო და თავი დაებანა.

ტერეზა ნაზად მიეფერა შუბლზე: – იწექი, აღარ ღირს, უკვე შევეჩვიე.

ტომაშს კი კუჭი სტკიოდა და სიმშვიდისა და სიჩუმის გარდა არაფერი უნდოდა.

– კურორტზე რომ შეგვხვდა, იმ პაციენტს მივწერ. იცნობ იქაურობას, სადაც მისი სოფელია?

– არა, – უპასუხა ტერეზამ.

ტომაშს ლაპარაკი უჭირდა, მხოლოდ ესღა თქვა: – ტყეები... გორები...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჰო, ასე ვქნათ, – თქვა ტერეზამ, – გავეცალოთ აქაურობას. მაგრამ ახლა ნუღარ ლაპარაკობ, – და ისევ მიეფერა შუბლზე. გვერდიგვერდ იწვნენ და არაფერზე აღარ ლაპარაკობდნენ. ტკივილი ნელ-ნელა ყუჩდებოდა. მალე ორივეს ჩაეძინა.

22

ტომაშს შუაღამისას გაეღვიძა და გაკვირვებულს გაახსენდა, რომ ეროტიკული სიზმრები ესიზმრებოდა. ცხადად მხოლოდ ბოლო სიზმარი ახსოვდა: აუზში ზურგზე უზარმაზარი შიშველი ქალი ცურავდა, რომელიც ტომაშზე ხუთჯერ დიდი მაინც იქნებოდა და რომელსაც მთელი მუცელი ჭიპამდე ხშირი თმით ჰქონდა დაფარული. ტომაში კი ნაპირიდან უყურებდა და ძალიან აღგზნებული იყო.

ნუთუ შეიძლებოდა აღგზნებული ყოფილიყო მაშინ, როდესაც კუჭის ტკივილით ასეთი დასუსტებული იყო? რატომ აღაგზნო იმ ქალმა, რომელიც სიფხიზლეში მხოლოდ ზიზღს თუ გამოწვევდა?

უცებ გაიფიქრა: ადამიანის თავში საათის მექანიზმია და იქ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ორი კბილანა ტრიალებს. ერთზე გამოსახულებებია, მეორეზე – სხეულის რეაქციები. გამოსახულებიანი კბილანა მეორე კბილანას ეხება, რომელზეც ერექციის ბრძანებაა მონიშნული. თუ უცაბედად რაიმე მიზეზით კბილანები წაინაცვლებენ და აღგზნების კბილანა იმას შეეხება, რომელზეც გაფრენილი მერცხალია დახატული, მაშინ ჩვენი სასქესო ორგანოც მერცხლის დანახვაზე დაიწყებს გამართვას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვათა შორის, იცნობდა ერთი კოლეგის გამოკვლევებს, რომელიც ადამიანის ძილს იკვლევდა და ამტკიცებდა, რომ ერექცია ნებისმიერი სიზმრის დროს ემართება მამაკაცს. ეს ნიშნავდა, რომ ერექციისა და შიშველი ქალის ერთმანეთთან დაკავშირება მხოლოდ ერთ-ერთი იყო იმ ათასი შესაძლებლობიდან, რომელიც მამაკაცის თავში არსებული მექანიზმის ასამუშავებლად ჰქონდა შემოქმედს.

მაგრამ რა აქვს საერთო ამ ყველაფერთან სიყვარულს? არაფერი. თუ ტომაშის თავში კბილანა ოდნავ წაინაცვლებს და მხოლოდ მერცხლის დანახვაზე აღიგზნება, ეს ტერეზასადმი მის სიყვარულში ვერაფერს შეცვლის.

თუ აღგზნება ის მექანიზმია, რომლითაც ჩვენი შემქმნელი ერთობა, მაშინ სიყვარული, პირიქით, ის არის, რაც მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის და რითაც ხელიდან ვუსხლტებით შემოქმედს. სიყვარული ჩვენი თავისუფლებაა. სიყვარული „Es muss sein!"-ის მეორე მხარეს ძევს.

მაგრამ არც ეს არის სრული სიმართლე. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარული სექსის მექანიზმი არ არის, რომლითაც შემოქმედი ერთობა, ის მაინც ამ მექანიზმზეა მიბმული ისევე, როგორც ნაზი, შიშველი ქალი უზარმაზარი საათის ქანქარაზე.

ტომაში ფიქრობდა: სიყვარულის დაკავშირება სექსთან, ალბათ, შემოქმედის ყველაზე უცნაური იდეაა.

მერე ესეც გაიფიქრა: სექსის უაზრობისგან სიყვარულის დაცვის ერთადერთი საშუალება ჩვენს თავში არსებული საათის მექანიზმის ისე დარეგულირებაა, რომ აღგზნებას მერცხლის დანახვა იწვევდეს.

ამ სასიამოვნო აზრით იძინებდა. და უცებ ძილ-ღვიძილში, ბუნდოვანი წარმოდგენების ზღაპრულ ქვეყანაში, ირწმუნა, რომ აღმოაჩინა ყველა პრობლემის გადაჭრის გზა, ყველა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საიდუმლოს გასაღები, ახალი უტოპია, სამოთხე: სამყარო, სადაც ადამიანი მერცხლის დანახვაზე აღიგზნება და შეუძლია ისე უყვარდეს ტერეზა, რომ სექსის აგრესიულმა უაზრობამ ხელი არ შეუშალოს.

ტომაშს დაეძინა.

23

ოთახში რამდენიმე ნახევრად შიშველი ქალი იყო, რომლებიც გარს ეხვეოდნენ, თვითონ კი თავს დაღლილად გრძნობდა. მათგან გასაქცევად გვერდითა ოთახის კარი გააღო. მის პირდაპირ დივანზე გოგო იწვა. ისიც ნახევრად შიშველი იყო, მხოლოდ ქვედა საცვალი ეცვა. იდაყვდაყრდნობილი იწვა და ტომაშს ღიმილით უყურებდა, თითქოს იცოდა, რომ ის მივიდოდა.

ტომაში მიუახლოვდა. უსაზღვრო ბედნიერების შეგრძნება დაეუფლა, რომ როგორც იქნა იპოვა ეს გოგო და მასთან ყოფნა შეეძლო. გვერდით ჩამოუჯდა, რაღაც უთხრა, გოგომ უპასუხა. მისგან საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა. მისი ხელის მოძრაობები ნელი და ჰაეროვანი იყო. მთელი ცხოვრება ასეთ მშვიდ ჟესტებზე ოცნებობდა. სწორედ ეს ქალური სიმშვიდე აკლდა მთელი ცხოვრება.

ზუსტად ამ დროს ძილისგან გამორკვევა დაიწყო. იმ no man's land-ში[11] აღმოჩნდა, სადაც ადამიანს უკვე აღარ სძინავს, მაგრამ ჯერ არც გაუღვიძია. იმით თავზარდაცემულმა, რომ გოგო მის თვალწინ ქრებოდა, გაიფიქრა: ღმერთო, მისი

---

[11] ტერიტორია, რომელიც არავის არ ეკუთვნის; ნეიტრალური ტერიტორია (ინგ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკარგვის უფლება არ მაქვს! ცდილობდა, გაეხსენებინა, ვინ იყო ეს გოგო, სად შეხვდა, რა აქვთ საერთო. როგორ მოახერხა ამ ყველაფრის დავიწყება, როცა მას ასე კარგად იცნობდა? საკუთარ თავს ჰპირდებოდა, რომ აუცილებლად დაურეკავდა. მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ვერ დაურეკავდა, რადგან მისი სახელიც კი აღარ ახსოვდა. საინტერესოა, როგორ მოახერხა იმ ადამიანის სახელის დავიწყება, ვისაც ასე კარგად იცნობდა? შემდეგ საბოლოოდ გამოფხიზლდა, თვალები გაახილა და გაიფიქრა: სად ვარ? რა თქმა უნდა, პრაღაში ვარ, მაგრამ ის გოგო? პრაღელია? სადმე სხვაგან ხომ არ შევხვედრივარ? იქნებ შვეიცარიაში მყავს ნანახი? რაღაც დრო დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ იმ გოგოს ნამდვილად არ იცნობდა, რომ ის არც პრაღიდან იყო და არც შვეიცარიიდან, რომ ის მხოლოდ სიზმრიდან იყო.

ამან გული ისე დაუმძიმა, რომ ლოგინში წამოჯდა. გვერდით ტერეზას ღრმა სუნთქვა ისმოდა. ფიქრობდა იმ გოგოზე და ხვდებოდა, რომ ის არც ერთ ნაცნობ ქალს არ ჰგავდა. გოგო, რომელიც ყველაზე ახლო ნაცნობად მიაჩნდა, აბსოლუტურად უცნობი აღმოჩნდა. მაგრამ თურმე მთელი ცხოვრება მას ეძებდა. პირადი სამოთხე რომ არსებობდეს, ეს გოგო იქ ტომაშთან ერთად უნდა ცხოვრობდეს. ეს ქალი მისი ოცნებაა, მისი სიყვარულის „Es muss sein!"-ია.

გაახსენდა ცნობილი მითი პლატონის „ნადიმიდან": ადამიანები თავიდან ანდროგინები იყვნენ და ღმერთმა ისინი ორად გაყო. მას შემდეგ ეს ნახევრები ქვეყნად დაეხეტებიან და ერთმანეთს დაეძებენ. სიყვარული ოცნებაა ჩვენივე დაკარგული ნახევრის პოვნაზე.

დავუშვათ, რომ ასეა; რომ ყოველი ჩვენგანისთვის ამქვეყნად არსებობს სხვა ადამიანი, რომელთანაც ოდესღაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ მთლიანს შეადგენდა. და ტომაშის მეორე ნახევარი სწორედ სიზმარში ნანახი ქალი იყო. მაგრამ ადამიანს არ უწერია თავისი მეორე ნახევრის პოვნა. ამის მაგივრად მას კალათში ჩასმულ ტერეზას უგზავნიან. რა მოხდება, თუ ტომაში ოდესმე მართლა იპოვის იმ თავის მეორე ნახევარს? ვის მიანიჭებს უპირატესობას? ქალს კალათიდან თუ ქალს პლატონის მითიდან?

წარმოიდგინა, რომ თავისი სიზმრის გოგოსთან ერთად იდეალურ სამყაროში ცხოვრობს და რომ მათი სახლის წინ ტერეზა მიდის. მარტოა. ჩერდება და ტომაშს უსაზღვროდ ნაღვლიანი მზერით უყურებს. ტომაში ვერ უძლებს ამ მზერას და ტერეზას ტკივილს საკუთარ გულში გრძნობს! ისევ თანაგრძნობის ტყვეობაშია და ტერეზას სულში ეფლობა. ფანჯრიდან ხტება და ტერეზასთან მიდის, მაგრამ ტერეზა სევდიანად ეუბნება, რომ ჯობს იქ დარჩეს, სადაც ბედნიერად გრძნობს თავს და ამ სიტყვებს გაუწონასწორებელ მკვეთრ ჟესტებს აყოლებს, რაც ყოველთვის აღიზიანებდა ტომაშს. იჭერს ამ ნერვიულ ხელებს და ხელს უჭერს, რომ დააწყნაროს ტერეზა. იცის, რომ ნებისმიერ წამს მიატოვებს თავისი ბედნიერების სახლს, ნებისმიერ წამს მიატოვებს სამოთხეს, რომელშიც თავისი სიზმრის გოგოსთან ერთად ცხოვრობს, რომ უღალატებს საკუთარი სიყვარულის „Es muss sein!“-ს, რათა ტერეზასთან ერთად იყოს, რომელიც ექვსმა სასაცილო შემთხვევითობამ შვა.

ისევ ლოგინზე იჯდა და უყურებდა ქალს, რომელიც მის გვერდით იწვა და ძილში მის ხელს იხუტებდა. ტერეზას მიმართ უსაზღვრო სიყვარულს გრძნობდა. ტერეზას, ალბათ, ძალიან ფხიზლად ეძინა, რადგან თვალები გაახილა და შეშინებულმა შეხედა ტომაშს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რას უყურებ? – ჰკითხა.

იცოდა, რომ არ უნდა გაელვიძებინა ტერეზა, პირიქით, ისევ უნდა დაეძინებინა; ამიტომ შეეცადა, ისე ეპასუხა, რომ მისი სიტყვები ტერეზასთვის ახალ სიზმრად გადაქცეულიყო.

– ვარსკვლავებს ვუყურებ, – უპასუხა.

– ნუ ტყუი, რომ ვარსკვლავებს უყურებ, თვალები დახრილი გაქვს.

– თვითმფრინავში ვარ და ვარსკვლავებს ზევიდან დავყურებ.

– ააა, თვითმფრინავში, – ჩაიბუტბუტა ტერეზამ, კიდევ უფრო ღონივრად მოუჭირა ხელი და ძილი შეიბრუნა. ტომაშმა იცოდა, რომ ახლა ტერეზა ქვევით იყურება თვითმფრინავის მრგვალი ფანჯრიდან, რომელიც ვარსკვლავებზე მაღლა მიფრინავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეექვსე ნაწილი

დიდი ლაშქრობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

მხოლოდ 1980 წელს შევიტყვეთ „სანდი ტაიმსიდან“, როგორ დაიღუპა სტალინის შვილი იაკობი. მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი იაკობი ინგლისელ ტყვე ოფიცრებთან ერთად მოათავსეს ბანაკში. საერთო ტუალეტი ჰქონდათ. სტალინის შვილი ტუალეტს დაბინძურებულს ტოვებდა ხოლმე. ინგლისელებს კი არ სიამოვნებდათ განავლით დასვრილ ტუალეტში სიარული, მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანის შვილის განავალი იყო. უსაყვედურეს. ეწყინა. საყვედურები არ შეუწყვეტიათ და ტუალეტის გაწმენდას აიძულებდნენ. იაკობი გაბრაზდა, ედავებოდა, იჩხუბეს კიდეც. ბოლოს ბანაკის უფროსთან შეხვედრა ითხოვა. უნდოდა, მას განესაჯა სადავო საკითხი. მაგრამ გაბღენძილმა გერმანელმა ოფიცერმა განავალზე ლაპარაკი არ ისურვა. სტალინის შვილმა ვერ აიტანა დამცირება. საშინელი რუსული ლანძღვა-გინება გადმოანთხია, ბანაკს შემოვლებული მაღალი ძაბვის მავთულებისაკენ გაქანდა და ზედ მიენარცხა. მისი სხეული, რომელიც ამიერიდან ვეღარასოდეს დაუსვრიდა ინგლისელებს ტუალეტს, მავთულებზე ჩამოკიდებული დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტალინის შვილის ცხოვრება ადვილი არ იყო. მამამისს იმ ქალისგან გაუჩნდა, რომელსაც, როგორც ყველა წყარო ირწმუნება, შემდეგ ტყვია ესროლა და მოკლა. ახალგაზრდა სტალინი, ერთი მხრივ, ღმერთის შვილი იყო (რადგან მამამისს ღმერთივით ეთაყვანებოდნენ), მეორე მხრივ კი – მის მიერვე განდევნილი. ხალხს მისი ორმაგად ეშინოდა: შეეძლო ევნო მათთვის როგორც თავისი ძალაუფლებით (ბოლოს და ბოლოს სტალინის შვილი იყო), ისე კეთილგანწყობით (მამამისს შეეძლო განდევნილი შვილის ნაცვლად მისი მეგობრები დაესაჯა).

განდევნილობა და პრივილეგირებულობა, ბედნიერება და უბედურება – იაკობივით ასე კონკრეტულად არავის უგრძნია, რომ ეს საპირისპირო მოვლენები ურთიერთჩანაცვლებადია და რომ ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ ნაბიჯითაა დაშორებული.

ომის დაწყებისთანავე ჩაუვარდა ტყვედ გერმანელებს და იმ ერის წარმომადგენელმა ტყვეებმა, რომელიც მთელი თავისი არსებით ეზიზღებოდა მათი გაუგებარი კარჩაკეტილობისათვის, ის უსუფთაობაში დაადანაშაულეს. ნუთუ იაკობი, რომელიც ორ უდიდეს დრამას ეზიდებოდა მხრებით (ღმერთის შვილიც იყო და განდევნილი ანგელოზიც), ახლა რაიმე ამაღლებულისთვის კი არა (იმისთვის, რაც ღმერთსა და ანგელოზებს ეხება), განავლისთვის უნდა გაესამართლებინათ? ნუთუ მანძილი უმაღლესიდან უდაბლეს დრამამდე ასე თავბრუდამხვევად მცირეა?

თავბრუდამხვევად მცირე მანძილი? განა სიახლოვეს შეუძლია თავბრუსხვევის გამოწვევა?

შეუძლია. როდესაც ჩრდილოეთ პოლუსი სამხრეთ პო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლუსს გაწვდილი ხელის მანძილზე მიუახლოვდება, დედამიწა გაქრება, ადამიანი კი სიცარიელეში აღმოჩნდება, რომელიც მას თავბრუს დაახვევს და უფსკრულისაკენ მიიზიდავს.

თუ განდევნილობა და პრივილეგირებულობა ერთი და იგივეა, თუ არ არსებობს განსხვავება ამაღლებულობასა და სიმდაბლეს შორის, თუ ღმერთის შვილი შეიძლება განავლისთვის გაასამართლონ, მაშინ ადამიანის არსებობა კარგავს თავის მნიშვნელობას და აუტანლად მსუბუქი ხდება. აი სწორედ ასეთ მომენტში გაიქცა სტალინის შვილი დენიანი მავთულისკენ, რომ მასზე თავისი სხეული ისე შეეგდო, როგორც სასწორის თეფშზე; სასწორისა, რომელიც საცოდავად იყო ცაში გამოკიდებული განზომილებადაკარგული სამყაროს უსასრულო სიმსუბუქის წყალობით.

სტალინის შვილმა განავლის გამო გაწირა სიცოცხლე. მაგრამ ასეთი სიკვდილი სრულებითაც არ არის უაზრო. გერმანელები, რომლებიც სიცოცხლეს იმისთვის სწირავდნენ, რომ თავისი იმპერიის საზღვრები აღმოსავლეთით გაეფართოებინათ და რუსები, რომლებიც იმისთვის იხოცებოდნენ, რომ მათი სამშობლო შორს დასავლეთით გადაჭიმულიყო, მართლაც, სისულელისათვის კვდებოდნენ, მათი სიკვდილი აზრსა და ზოგად კანონზომიერებას იყო მოკლებული. სტალინის შვილის სიკვდილი, პირიქით, ომის სრული უაზრობის შუაგულში ერთადერთი მეტაფიზიკური სიკვდილი იყო.

3

როდესაც პატარა ვიყავი, გუსტავ დორეს ილუსტრირებულ, ბავშვებისათვის ადაპტირებულ ძველ აღთქმას ვათ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვალიერებდი. იქ ღრუბელზე მდგარი მამაღმერთის სურათიც იყო. ეს გახლდათ მოხუცი კაცი, ჰქონდა თვალები, ცხვირი, გრძელი წვერი და ვფიქრობდი, თუ პირი აქვს, მაშინ უნდა ჭამდეს კიდეც და თუ ჭამს, მაშინ ნაწლავებიც უნდა ჰქონდეს-მეთქი. მაგრამ ეს აზრი მაშინვე მაშინებდა, რადგან არამორწმუნე ოჯახის შვილიც კი ვგრძნობდი, რომ ღმერთის ნაწლავების წარმოდგენა მკრეხელობაა.

ჩემდა უნებურად, ყოველგვარი თეოლოგიური მომზადების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ვიყავი, ვაცნობიერებდი ღმერთისა და განავლის შეუთავსებლობას და აქედან გამომდინარე, მაეჭვებდა ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფუძემდებლური თეზისი იმის შესახებ, რომ ადამიანი ღვთის მსგავსად და ხატად შეიქმნა. ან ერთი, ან მეორე: ან ადამიანი მართლაც ღვთის ხატად არის შექმნილი და მაშინ ღმერთს ნაწლავები აქვს, ან ღმერთს ნაწლავები არ აქვს და ადამიანი მას არ ჰგავს.

ძველი გნოსტიკოსები ამას ისევე კარგად გრძნობდნენ, როგორც მე ხუთი წლის ასაკში. ვალენტინი, გნოსტიციზმის დიდი მეტრი, ამ დაწყევლილი პრობლემის გადასაჭრელად ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ამტკიცებდა, რომ იესო „ჭამდა, სვამდა, მაგრამ დეფეკაცია არ სჭირდებოდა“.

განავალი ბოროტებაზე უფრო რთული თეოლოგიური პრობლემაა. ღმერთმა ადამიანს თავისუფლება მისცა და ამიტომ ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია დავუშვათ, რომ ადამიანის ბოროტმოქმედებებზე პასუხისმგებელი არ არის. მაგრამ განავალზე პასუხისმგებლობა მთლიანად იმას აწევს, ვინც ადამიანი შექმნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეოთხე საუკუნეში წმინდა იერონიმე გადაჭრით უარყოფდა იმას, რომ ადამს და ევას სამოთხეში სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. იოანე სკოტუს ერიუგენა, მეცხრე საუკუნის დიდი თეოლოგი, პირიქით, ამას მისაღებად მიიჩნევდა, ოღონდ აზუსტებდა, რომ ადამს ასოს გამართვა ისევე შეეძლო, როგორც ხელის ან ფეხის, ანუ როცა უნდოდა და როგორც უნდოდა. ამ წარმოდგენაში იმპოტენციის შიშით შეპყრობილი მამაკაცის აკვიატებულ სიზმარს ნუ დავუწყებთ ძებნას. სკოტუს ერიუგენას ამ მოსაზრებას სულ სხვა შინაარსი აქვს. თუკი ასოს გამართვა ტვინის ერთი უბრალო ბრძანებით შეიძლება, ეს იმას ნიშნავს, რომ აღგზნება სრულიად ზედმეტი მოვლენაა ამქვეყნად. ასო იმიტომ კი არ იმართება, რომ ჩვენ აღგზნებულები ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მას ვუბრძანეთ. ის, რაც დიდ თეოლოგს სამოთხესთან შეუთავსებლად მიაჩნდა, არც სექსუალური ურთიერთობა იყო და არც მასთან დაკავშირებული ტკბობა. სამოთხესთან შეუთავსებელი აღგზნება იყო. კარგად დავიმახსოვროთ: სამოთხეში არსებობდა ტკბობა, მაგრამ არა აღგზნება.

სკოტუს ერიუგენას მსჯელობაში შეგვიძლია დავინახოთ განავლის ერთგვარი თეოლოგიური გამართლება (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეოდიცეა). როდესაც ადამიანს სამოთხეში ყოფნის უფლება ჰქონდა, ან დეფეკაცია არ სჭირდებოდა (როგორც ქრისტეს, ვალენტინის წარმოდგენით), ან, რაც უფრო დამაჯერებლად ჟღერს, განავალი არ აღიქმებოდა საზიზღრობად. როდესაც ღმერთმა ადამიანი სამოთხიდან გააძევა, მას ზიზღის შეცნობის უნარი უბოძა. ადამიანმა დაიწყო იმის დაფარვა, რისაც რცხვენოდა, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც კი საბურველი მოიშორა, ბრწყინვალე ნათებამ დაა-ბრმავა. ასე რომ, ზიზღის შეცნობასთან ერთად ადამიანმა აღგზნებაც შეიცნო. განავლის გარეშე (სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) არ იარსებებდა სექსუალური სიყვარული იმ სახით, რა სახითაც ვიცით: გულის ძგერისა და გონების დაბნელების თანხლებით.

რომანის მესამე ნაწილში ვყვებოდი, როგორ იდგა ნახევ-რად შიშველი საბინა, თავზე ქუდით, ტომაშის გვერდით. მაშინ ერთი რამ არ ვახსენე. როდესაც სარკეში იყურებოდა და საკუთარი კომიკური გარეგნობა აღაგზნებდა, საბინას თავ-ში გაუელვა წარმოდგენამ, რომ ტომაში ამ ქუდიანად უნი-ტაზზე სვამს და მის წინაშე ნაწლავებს ითავისუფლებს. ამ წარმოდგენისგან გულისცემა აუჩქარდა, გონება დაებინდა, ტომაშთან ერთად იატაკზე დაეშვა და უმალ მისი ვნებიანი ყვირილი გაისმა.

5

კამათი იმათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა და ვინც ფიქრობს, რომ სამყარო თვითონ წარმოიქმნა, იმას ეჯახება, რაც ჩვენს გაგების უნარსა და გამოცდილებას სცილდება. ბევრად უფრო რეალურია გან-სხვავება იმათ შორის, ვისაც ეჭვი შეაქვს ყოფაში, რომელიც ადამიანს მიეცა (სულერთია, ვისგან და როგორ) და ვინც მას უსიტყვოდ იღებს.

ყველა ევროპული სარწმუნოება, რელიგიური იქნება თუ პოლიტიკური, „შესაქმის“ პირველ თავს ემყარება, საიდანაც ვიგებთ, რომ სამყარო სამართლიანად შეიქმნა, რომ ყოფა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარგია და ამიტომაც ვალდებულები ვართ, გავმრავლდეთ. ამ მთავარ რწმენას ყოფის უპირობოდ მიღება ვუწოდოთ.

მორალს ნუ მივაწერთ იმას, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ წიგნებში სიტყვა „განავალი“ მრავალწერტილით იყო ჩანაცვლებული. იმის მტკიცებას ხომ არ დავიწყებთ, რომ განავალი ამორალურია! განავლის უარყოფა მეტაფიზიკურია. დეფეკაციის წუთები შექმნის მიუღებლობის ყოველდღიური მტკიცებაა. ორიდან ერთი: ან განავალი მისაღებია (და მაშინ ტუალეტში ნუ ვიკეტებით!), ან ჩვენ მიუღებელი გზით ვართ შექმნილი.

აქედან გამომდინარე, ყოფის უპირობოდ მიღების ესთეტიკური იდეალი არის სამყარო, რომელშიც განავალი უგულებელყოფილია და ყველანი ისე იქცევიან, თითქოს ის საერთოდ არ არსებობს. ამ ესთეტიკურ იდეალს კიჩი ეწოდება.

„კიჩი“ გერმანული სიტყვაა, რომელიც სენტიმენტალური მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა და შემდეგ ყველა ენამ მიიღო. თუმცა ხშირმა ხმარებამ გააქრო მისი თავდაპირველი მეტაფიზიკური აზრი, ანუ ის, რომ კიჩი განავლის სრული უარყოფაა, ამ სიტყვის სრული და გადატანითი მნიშვნელობით. კიჩი თავისი მხედველობის არიდან გამორიცხავს ყველაფერს, რაც ადამიანის არსებობაში მიუღებელია.

6

კომუნიზმის წინააღმდეგ საბინას პირველი შინაგანი აჯანყება ეთიკური კი არა, ესთეტიკური ხასიათისა იყო. ის, რაც მას ზიზღს უჩენდა, იმდენად კომუნისტური სამყაროს სიმახინჯე არ ყოფილა (ბოსლებად გადაქცეული სასახლეები), რამდენადაც სილამაზის ნიღაბი, რომლის მორგებასაც იგი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცდილობდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნისტური კიჩი. მისი მოდელი პირველ მაისად წოდებული დღესასწაულია.

საბინას ახსოვს იმდროინდელი საპირველმაისო დემონსტრაციები, როდესაც ხალხი ჯერ კიდევ აღფრთოვანებული იყო ან ამ აღფრთოვანებას მონდომებით განასახიერებდა. ქალებს წითელი, თეთრი და ცისფერი პერანგები ეცვათ და აივნიდან ან ფანჯრიდან თუ დახედავდით, დაინახავდით, რომ სხვადასხვა გამოსახულებას ქმნიდნენ: ხუთქიმიან ვარსკვლავს, გულს, ასოებს. კოლონებს შორის პატარა ორკესტრები მოაბიჯებდნენ, რომლებიც მარშს უკრავდნენ. როდესაც კოლონები ტრიბუნას უახლოვდებოდნენ, ყველაზე დაღვრემილებსაც კი სახე ღიმილით უნათდებოდათ, თითქოს იმის დამტკიცება უნდოდათ, რომ ისე უხარიათ, როგორც საჭიროა, ან უფრო ზუსტად: ისე ეთანხმებიან, როგორც საჭიროა. ეს კომუნიზმის უბრალოდ პოლიტიკური აღიარება კი არ იყო, არამედ ზოგადად ყოფის მიღება. პირველი მაისის დღესასწაული ყოფის უპირობოდ მიღების ღრმა ჭიდან იღებდა შთაგონებას. დემონსტრაციის დაუწერელი მოწოდება იყო: „იცოცხლოს კომუნიზმმა!“ ან „იცოცხლოს სიცოცხლემ!“. კომუნისტური პოლიტიკის ძალა და ცბიერება ის იყო, რომ ეს მოწოდება მიისაკუთრა. ზუსტად ეს იდიოტური ტავტოლოგია („იცოცხლოს სიცოცხლემ!“) იზიდავდა კომუნისტური დემონსტრაციისაკენ იმათაც კი, ვინც კომუნისტური თეზისებისადმი გულგრილი იყო.

7

ათი წლით უფრო გვიან (მაშინ უკვე ამერიკაში ცხოვრობდა) საბინა თავისი მეგობრების მეგობრის, ერთი ამე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რიკელი სენატორის უზარმაზარ მანქანაში იჯდა, რომლის უკანა სავარძელზეც მისი ოთხი შვილი ჩამწკრივებულიყო. სენატორმა მანქანა გააჩერა; ბავშვები მანქანიდან გადავიდნენ და ფართო გაზონს სირბილით გაუყვნენ სტადიონისაკენ, სადაც საციგურაო მოედანი იყო. სენატორი საჭესთან იჯდა და მეოცნებე გამომეტყველებით გაჰყურებდა ოთხ პატარა ბავშვს, რომლებიც სტადიონისკენ გარბოდნენ. შემდეგ საბინას მიუბრუნდა: – შეხედეთ, – და ხელით წრე შემოწერა, რომელსაც სტადიონი, გაზონი და ბავშვები უნდა მოეცვა: – აი ამას ვეძახი ბედნიერებას.

ამ სიტყვებში ჩანდა არა მარტო სიხარული, რომ ბავშვები დარბიან და ბალახი იზრდება, არამედ რწმენაც, რომ კარგად ესმის კომუნისტური ქვეყნიდან ჩამოსული ქალისა, სადაც, სენატორის აზრით, ბავშვები არ დარბიან და ბალახი არ იზრდება.

საბინამ კი ამ დროს სენატორი პრალის მოედნის ტრიბუნაზე წარმოიდგინა. სახეზე მასაც ისეთივე ღიმილი ეხატებოდა, როგორითაც კომუნისტი ფუნქციონერები დასცქეროდნენ მაღალი ტრიბუნიდან კოლონებში მოღიმარ მოქალაქეებს.

8

საიდან იცოდა ამერიკელმა სენატორმა, რომ ბავშვები ბედნიერებას ნიშნავს? განა მათ სულში იყურებოდა? როდესაც თვალს მიეფარნენ, სამი მათგანი მეოთხეს რომ მივარდნოდა და ცემა დაეწყოთ, მაშინ რას იტყოდა?

ამგვარი მტკიცების სასარგებლოდ სენატორს მხოლოდ ერთი არგუმენტი ჰქონდა: საკუთარი შეგრძნება. იქ, სადაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გული ლაპარაკობს, გონების არგუმენტები უადგილოა. კიჩის სამყაროში გულის დიქტატურა მეფობს.

თუმცა გრძნობა, რომელსაც კიჩი ბადებს, ისეთი უნდა იყოს, რომ მას ხალხის უმრავლესობა იზიარებდეს. ამიტომ კიჩი უჩვეულო სიტუაციებს კი არა, ადამიანთა მეხსიერებაში აღბეჭდილ ძირითად სურათ-ხატებს ეფუძნება: უმადურ ქალიშვილს, მიტოვებულ მამას, ბალახში მორბენალ ბავშვებს, პირველი სიყვარულის მოგონებას.

კიჩი გულაჩუყების ორ ცრემლს იწვევს. პირველი ცრემლი ამბობს: რა კარგია, ბავშვები რომ ბალახში დარბიან!

მეორე ცრემლი ამბობს: რა კარგია, ბალახში მორბენალ ბავშვებზე მთელ კაცობრიობასთან ერთად რომ გვიჩუყდება გული!

სწორედ ეს მეორე ცრემლი აქცევს კიჩს კიჩად.

მსოფლიოს ყველა ერის ძმობა მხოლოდ კიჩს შეიძლება ეფუძნებოდეს.

9

პოლიტიკოსებზე უკეთესად ეს არავის გამოსდის: როგორც კი ახლომახლო ფოტოაპარატს შეამჩნევენ, სასწრაფოდ ყველაზე ახლოს მდგომი ბავშვისკენ გარბიან, ხელში იყვანენ და ლოყაზე კოცნიან. კიჩი ყველა პოლიტიკოსის, პოლიტიკური პარტიისა და მოძრაობის ესთეტიკური იდეალია.

საზოგადოებაში, სადაც ერთმანეთის გვერდით განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებები არსებობს და მათი გავლენა ერთმანეთს აწონასწორებს ან გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, ასე თუ ისე შეგვიძლია, კიჩის ინკვიზიციას გავექცეთ. ადამიანს შეუძლია თავისი პიროვნულობა შეინარჩუნოს, ხე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოვანს კი შეუძლია ხელოვნების მოულოდნელი ნიმუშები შექმნას. ხოლო იქ, სადაც ერთადერთ პოლიტიკურ მოძრაობას აქვს მთელი ძალაუფლება, ერთბაშად *ტოტალიტარული* კიჩის სამყაროში აღმოვჩნდებით.

სიტყვა „ტოტალიტარულით“ იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი, რაც კიჩს არღვევს, ცხოვრებიდან გაირიყება: ინდივიდუალურობის ყოველი გამოვლინება (რადგან ყოველგვარი განსხვავებულობა საყოველთაო ძმობისათვის სახეში შეფურთხების ტოლფასია), ყოველგვარი ეჭვი (რადგან ის, ვინც წვრილმანში დაეჭვდება, მერე უკვე თვით სიცოცხლეს შეხედავს ეჭვის თვალით), ირონია (რადგან კიჩის სამყაროში ყველაფერი აბსოლუტურად სერიოზულად უნდა იქნეს მიღებული), მეტიც, დედა, რომელმაც ოჯახი მიატოვა, ან კაცი, რომელიც ქალების ნაცვლად კაცებს ელტვის, რადგან ამით არღვევს მოწოდებას „გიყვარდეთ ერთმანეთი და იმრავლეთ“.

ამ თვალსაზრისით, ეგრეთ წოდებული გულაგი შეგვიძლია ჰიგიენურ ორმოდ ჩავთვალოთ, რომელშიც ტოტალიტარული კიჩი ნაგავს ყრის.

IO

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველი ათწლეული სტალინური ტერორის ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. მაშინ ტერეზას მამა რაღაც სისულელისთვის დაიჭირეს და ათი წლის გოგონა სახლიდან გააგდეს. ამავე წლებში ოცი წლის საბინა ხელოვნებათა აკადემიის სტუდენტი იყო. მარქსიზმის პროფესორი მას და მის თანაკურსელებს სოციალისტური ხელოვნების შემდეგ თეზისს უხსნიდა: საბჭოთა საზოგადოება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისე შორს წავიდა, რომ ძირითადი კონფლიქტი იქ უკვე ბოროტსა და კეთილს შორის კი არა, კარგსა და უკეთესს შორისაა. ამდენად, განავალს (ანუ იმას, რაც, არსებითად, მიუღებელია) შეეძლო მხოლოდ სადღაც „მეორე მხარეს“ (ვთქვათ, ამერიკაში) ეარსება და მხოლოდ იქიდან, ანუ გარედან, როგორც რაღაც უცხოს (ვთქვათ, ჯაშუშის სახით) შემოეღწია „კარგებისა და უკეთესების“ სამყაროში.

მართლაც, საბჭოთა ფილმები, რომელთა მოზღვავებაც კომუნისტურ ქვეყნებში სწორედ იმ დაუნდობელ წლებში დაიწყო, დაუჯერებელი უცოდველობით იყო გამსჭვალული. ყველაზე დიდი კონფლიქტი, რომელიც ორ რუსს შორის შეიძლებოდა მომხდარიყო, გახლდათ სასიყვარულო გაუგებრობა: კაცს ეგონა, რომ ქალს აღარ უყვარს, ქალსაც ეგონა, რომ კაცს აღარ უყვარს. ფილმის დასასრულს კი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ბედნიერების ცრემლებს აფრქვევდნენ.

დღეს ამ ფილმებთან დაკავშირებით საყოველთაოდ მიღებული აზრია: უჩვენებდნენ კომუნისტურ იდეალს, თუმცა კომუნისტური რეალობა სულ სხვა იყო.

ამგვარ შეხედულებას საბინა გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. როდესაც წარმოიდგენდა ხოლმე, რომ საბჭოთა კიჩის სამყარო რეალობად უნდა ქცეულიყო და თვითონაც ამ სამყაროში უნდა ეცხოვრა, თმა ყალყზე უდგებოდა. ადამიანების დევნისა და ხორცის რიგების მიუხედავად, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, უპირატესობას რეალურ კომუნისტურ რეჟიმში ცხოვრებას მიანიჭებდა. ასეთ სამყაროში ცხოვრება შესაძლებელია. მაგრამ რეალიზებული კომუნისტური იდეალის სამყაროში, იმ მცინარე იდიოტების გარემოცვაში, რომლებთან დალაპარაკებასაც კი ვერ შეძლებდა, ერთ კვირაში მოკვდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მგონია, რომ შეგრძნება, რომელსაც საბჭოთა კიჩი იწვევდა საბინაში, წააგავდა ტერეზას ტანჯვას იმ სიზმრით, რომელშიც შიშველ ქალებთან ერთად აუზის ირგვლივ დადიოდა და მღეროდა. წყლის ზედაპირთან გვამები ტივტივებდნენ. ტერეზას არ შეეძლო ამ ქალებთან დალაპარაკება, ერთი უბრალო შეკითხვის დასმაც კი, პასუხად მაინც მხოლოდ სიმღერის მომდევნო სტროფს მიიღებდა. რომელიმესთვის თვალის ჩაკვრაც კი არ შეეძლო. მაშინვე ყველა მისკენ გაიშვერდა თითს, რომ აუზის თავზე დაკიდებულ კალათში მდგომ მამაკაცს მოეკლა.

ტერეზას სიზმარი კიჩის ჭეშმარიტ ფუნქციას ამხელს: კიჩი შირმაა, რომელიც სიკვდილს ფარავს.

II

ტოტალიტარული კიჩის სამყაროში ყველა პასუხი წინასწარაა მოცემული, რაც შეკითხვების საჭიროებას გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარული კიჩის ნამდვილი მოწინააღმდეგე ის არის, ვინც კითხვებს სვამს. კითხვა იმ დანასავითაა, რომელიც დახატული დეკორაციის ტილოს ჭრის, რათა დაგვანახოს, რა ხდება მის უკან. თავისი ნახატების არსი საბინამ სწორედ ასე აუხსნა ოდესღაც ტერეზას: წინ ყველასთვის გასაგები ტყუილია, რომლის იქიდანაც გაუგებარი სიმართლე გამოკრთის.

მაგრამ ისინი, ვინც ტოტალიტარული რეჟიმების წინააღმდეგ იბრძვის, მას შეკითხვებითა და ეჭვებით ვერ შეებრძოლებიან. მათაც სჭირდებათ საკუთარი რწმენა და მარტივი ჭეშმარიტებები, რომლებიც რაც შეიძლება მეტი ადამი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანისათვის იქნება გასაგები და კოლექტიურ ცრემლებს გამოიწვევს.

ერთხელ ერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ საბინას გამოფენა მოუწყო გერმანიაში. საბინამ გამოფენის კატალოგი დაათვალიერა: იქ მისი ფოტო დაებეჭდათ, რომელსაც ზევიდან ეკლებიანი მავთული ეხატა. იქვე იყო მისი ბიოგრაფია, რომელიც უფრო წმინდანებისა და მოწამეთა ბიოგრაფიას მოაგონებდა: ეწვალებოდა, უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, გაუბედურებული სამშობლოს დატოვება მოუხდა და ახლაც აგრძელებს ბრძოლას. ბოლო ფრაზა იყო: „თავისი ნახატებით თავისუფლებისთვის იბრძვის“.

საბინამ პროტესტი გამოთქვა, მაგრამ ვერ გაუგეს.

განა სიმართლე არ არის, რომ კომუნისტურ ქვეყნებში თანამედროვე ხელოვნება იდევნება?

საბინამ გაღიზიანებით განაცხადა: „ჩემი მტერი კომუნიზმი კი არა, კიჩია!“.

ამის მერე საბინა საკუთარ ბიოგრაფიას გამოგონებული ისტორიებით ნიღბავდა. მეტიც, როდესაც ამერიკაში აღმოჩნდა, მოახერხა და საერთოდ დამალა, რომ ჩეხი იყო. ეს იყო მცდელობა, თავი დაეღწია კიჩისთვის, რადაც ადამიანებს მისი ცხოვრების გადაქცევა უნდოდათ.

12

საბინა მოლბერტის წინ იდგა, მოლბერტზე დაწყებული ტილო იყო დამაგრებული. მის ზურგს უკან მოხუცებული მამაკაცი იჯდა სავარძელში და მისი ფუნჯის ყოველ მოძრაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ მამაკაცმა საათს დახედა და თქვა:

– ვფიქრობ, უკვე უნდა წავიდეთ.

საბინამ პალიტრა გადადო და ხელების დასაბანად საბაზანოში გავიდა. მამაკაცი სავარძლიდან წამოდგა და მაგიდაზე მიყუდებული ჯოხის ასაღებად დაიხარა. სახელოსნოს კარი პირდაპირ გაზონზე გადიოდა. საღამოვდებოდა. ოციოდე მეტრის მოშორებით ხის თეთრი სახლი იდგა, პირველი სართული განათებული იყო. ეს ორი განათებული ფანჯარა ბინდის ფონზე საბინას გულს უჩუყებდა.

მთელი ცხოვრება იმას ამტკიცებს, რომ კიჩი მისი მტერია. მაგრამ განა თვითონაც კიჩისკენ არ მიისწრაფვის? მისი კიჩია მყუდრო, ტკბილი და ჰარმონიული ოჯახური გარემო, რომელსაც კეთილი დედა და ბრძენი მამა ქმნიან. ეს ხატი მასში მშობლების გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა. რაც უფრო შორდებოდა მისი ცხოვრება ამ ტკბილ სიზმარს, მით უფრო მგრძნობიარე ხდებოდა ამ კიჩის მომაჯადოებელი ხიბლისადმი. რამდენჯერმე ცრემლებიც კი წასკდა, როდესაც ტელევიზორში სენტიმენტალური ფილმი ნახა, რომელშიც უმადურმა ქალიშვილმა გულში ჩაიკრა მიტოვებული მამა და მერე ბედნიერი ოჯახის ფანჯრები თბილ ნათებას აფრქვევდა საღამოს ბინდში.

მოხუცებული მამაკაცი ნიუ-იორკში გაიცნო. მდიდარი იყო და მხატვრობა უყვარდა. მასავით მოხუცებულ ცოლთან ერთად ქალაქგარეთ ვილაში ცხოვრობდა. ეზოში, ვილის პირდაპირ, ძველი საჯინიბო იდგა. სპეციალურად საბინასთვის საჯინიბო სახელოსნოდ გადააკეთა და მთელი დღეების განმავლობაში მისი ფუნჯის მოძრაობას უყურებდა.

ახლა სამივენი ერთად ვახშმობდნენ. მოხუცი ქალბატონი საბინას „ჩემო შვილიკო!“-ს ეძახის, მაგრამ ყველაფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საპირისპიროზე მეტყველებს: საბინა ორი პატარა ბავშვის დედას ჰგავს, რომლებიც მას ზედ ეკიდებიან, შეჰხარიან და სიამოვნებით შეუსრულებდნენ ყველა თხოვნას, მათთვის დავალებების მიცემა რომ ნდომებოდა.

გამოდის, რომ სიბერის მიჯნაზე საბინამ მშობლები იპოვა, რომლებსაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გაექცა? თუ შვილები იპოვა, რომლებიც არასოდეს ჰყოლია?

მშვენივრად ესმოდა, რომ ეს ილუზიაა, რომ ამ მოხუცებთან მისი ცხოვრება მხოლოდ ხანმოკლე გაჩერებაა. ხნიერი მამაკაცი სერიოზულად ავადმყოფობს და როდესაც მისი ცოლი მარტო დარჩება, შვილთან გაემგზავრება კანადაში. საბინას ღალატის გზა გაგრძელდება და ყოფის აუტანელ სიმსუბუქეში ხანდახან გაიჟღერებს მისი სულის სიღრმიდან ამოსული სასაცილო და სენტიმენტალური სიმღერა ორი განათებული ფანჯრის შესახებ, რომელთა იქითაც ბედნიერი ოჯახი ცხოვრობს.

ეს სიმღერა საბინას გულს უჩუყებს, მაგრამ ის ამ გულის აჩუყებას სერიოზულად არ უყურებს. კარგად იცის, რომ ეს სიმღერა ლამაზი ტყუილია. როგორც კი აღმოჩნდება, რომ კიჩი თავისთავად სიცრუეა, ის არაკიჩის პირობებში ხვდება. კარგავს თავის ავტორიტარულ ძალას და ისეთივე გულის ამაჩუყებელი ხდება, როგორც ადამიანის სხვა ნებისმიერი სისუსტე. რამეთუ არც ერთი ჩვენგანი არ არის ზეკაცი, რომ მთლიანად გაექცეს კიჩს. და რაოდენ ამრეზითაც უნდა ვუყურებდეთ კიჩს, ის მაინც ადამიანის ხვედრის განუყოფელი ნაწილია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიჩის სათავე ყოფის უპირობოდ მიღებაშია.

მაგრამ რა არის ყოფის საფუძველი? ღმერთი? ადამიანი? ბრძოლა? სიყვარული? მამაკაცი? ქალი?

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს და ამიტომ კიჩიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. არსებობს კიჩი კათოლიკური, პროტესტანტული, ებრაული, კომუნისტური, ფაშისტური, დემოკრატიული, ფემინისტური, ევროპული, ამერიკული, ნაციონალური, ინტერნაციონალური.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ევროპის ერთ ნახევარს *მემარცხენეები* ეწოდა, მეორე ნახევარს კი – *მემარჯვენეები.* თითქმის შეუძლებელია, თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით განვსაზღვროთ ეს ცნებები. ამაში გასაკვირი არაფერია: პოლიტიკური მოძრაობები რაციონალურ მიდგომებს კი არა, წარმოდგენებს, ხატებს, სიტყვებს, არქეტიპებს ემყარება, რომლებიც ერთიანობაში ამა თუ იმ პოლიტიკურ კიჩს ქმნიან.

დიდი ლაშქრობის ხატი, რომელსაც ფრანცი თავს ვერ აღწევს, პოლიტიკური კიჩია, რომელიც ყველა დროისა და განშტოების მემარცხენეებს აერთიანებს. დიდი ლაშქრობა ზღაპრული გზაა მომავლისაკენ, გზაა ძმობისაკენ, თანასწორობისაკენ, სამართლიანობისაკენ, და საბედნიეროდ, ის კიდევ უფრო შორს მიდის, დაბრკოლებების მიუხედავად, რადგან თუ გვინდა, რომ დიდი ლაშქრობა მართლაც დიდი იყოს, დაბრკოლებები აუცილებელია.

პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია? მომხმარებლობაზე უარის თქმა თუ წარმოების გაზრდა? გილიოტინა თუ სიკვდილით დასჯის გაუქმება? ეს ყველაფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უმნიშვნელოა. ის, რაც მემარცხენეს ნამდვილ მემარცხენედ აქცევს, ესა თუ ის თეორია კი არაა, არამედ მისი უნარი, ნებისმიერი თეორია დიდ ლაშქრობად წოდებული კიჩის ნაწილად გადააქციოს.

14

ფრანცი ნამდვილად არ არის კიჩის მოყვარული. დიდი ლაშქრობის სახე მის ცხოვრებაში იმავე როლს ასრულებს, რასაც სენტიმენტალური სიმღერა ორი განათებული ფანჯრის შესახებ საბინას ცხოვრებაში. რომელ პოლიტიკურ პარტიას აძლევს ხმას ფრანცი? ვშიშობ, საერთოდ არ დადის არჩევნებზე და არჩევნების დღეს მთებში გასეირნებას არჩევს ხოლმე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დიდი ლაშქრობა მის წარმოსახვას აღარ აღელვებს. ფრანცს მოსწონს ოცნება იმაზე, რომ ჩვენ იმ კოლონის ნაწილი ვართ, რომელიც საუკუნეებია მიაბიჯებს და ეს სიზმარი მას არასდროს დაავიწყდება.

ერთ მშვენიერ დღეს პარიზიდან მეგობრებმა დაურეკეს. აღმოჩნდა, რომ კამბოჯისკენ მსვლელობას აწყობდნენ და მასაც ეპატიჟებოდნენ მონაწილეობის მისაღებად.

კამბოჯას იმ დროისთვის გადატანილი ჰქონდა სამოქალაქო ომი, ამერიკელების დაბომბვები, ადგილობრივი კომუნისტების თარეში და ბოლოს მეზობელი ვიეტნამის მიერ ოკუპაცია, რომელიც იმ დროისთვის მხოლოდ რუსეთის ბრმა იარაღს წარმოადგენდა. კამბოჯაში შიმშილი მძვინვარებდა და ხალხი სამედიცინო დახმარების გარეშე იხოცებოდა. ექიმთა საერთაშორისო ორგანიზაციამ არაერთხელ მოითხოვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ შეეშვათ იქ დასახმარებლად, მაგრამ ვიეტნამელები არ თანხმდებოდნენ. ამიტომ ცნობილმა დასავლელმა ინტელექტუალებმა გადაწყვიტეს, დიდი მსვლელობა მოეწყოთ კამბოჯის საზღვრებისაკენ და მთელი მსოფლიოს თვალწინ მოწყობილი ამ სპექტაკლით ექიმებს ოკუპირებულ ქვეყანაში შელწევაში დახმარებოდნენ.

მეგობარი, რომელმაც ფრანცს დაურეკა, იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც თავის დროზე მასთან ერთად მონაწილეობდა პარიზის ქუჩებში მოწყობილ დემონსტრაციებში. ფრანცი თავიდან აღფრთოვანდა ამ წინადადებით, მაგრამ მერე მისი მზერა დიდსათვალიან სტუდენტზე შეჩერდა. გოგო მის პირდაპირ სავარძელში იჯდა და თვალები ამობურცული შუშების უკან კიდევ უფრო დიდი მოუჩანდა. ფრანცს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ ეს თვალები მას დარჩენას ეხვეწებიან. ამიტომ ბოდიშის მოხდით უარი თქვა მონაწილეობის მიღებაზე.

მაგრამ ყურმილის დაკიდებისთანავე ინანა. მართლაც, თავის მიწიერ სიყვარულს დაემორჩილა, მაგრამ ზეციურ სიყვარულს უღალატა. განა კამბოჯისა და საბინას სამშობლოს ისტორიები ერთმანეთს არ ჰგავს? მეზობელი ქვეყნის კომუნისტური არმიის მიერ ოკუპირებული ქვეყანა! ქვეყანა, რომელსაც რუსეთის მუშტი მოხვდა! ფრანცს უცებ მოეჩვენა, რომ მისი ნახევრად დავიწყებული მეგობარი საბინას საიდუმლო ბრძანებით რეკავდა.

ციური არსებები ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან. ფრანცს ამ ლაშქრობაში მონაწილეობა რომ მიელო, საბინა აუცილებლად დაინახავდა და გაიხარებდა. მიხვდებოდა, რომ ფრანცი მისი ერთგული დარჩა.

– ძალიან გეწყინება, მაინც რომ წავიდე? – ჰკითხა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცმა თავის სათვალიან სტუდენტს, რომელიც უმისოდ გატარებულ ყოველ დღეს დაკარგულად თვლიდა, მაგრამ ფრანცისთვის უარის თქმა არ შეეძლო.

რამდენიმე დღეში ფრანცი პარიზის აეროპორტში ჩამომდგარ დიდ თვითმფრინავში იჯდა. თვითმფრინავში იმყოფებოდნენ აგრეთვე ოცი ექიმი, დაახლოებით ორმოცდაათი ინტელექტუალი (პროფესორები, მწერლები, ელჩები, მომღერლები, მსახიობები, სხვადასხვა ქალაქების მერები) და მათი თანმხლები ოთხასამდე ფოტოგრაფი და ჟურნალისტი.

15

თვითმფრინავი ბანგკოკში დაეშვა. ოთხას სამოცდაათი ექიმი, ინტელექტუალი და ჟურნალისტი საერთაშორისო სასტუმროს დიდ დარბაზში შეიკრიბა, სადაც მათ დახვდნენ სხვა ექიმები, მსახიობები, მომღერლები, ფილოლოგები და, რასაკვირველია, ჟურნალისტები, მომარჯვებული ბლოკნოტებით, მაგნიტოფონებით, ფოტო- და კინოკამერებით. დარბაზის სცენა იყო მოწყობილი, სადაც წაგრძელებული მაგიდა იდგა. მაგიდას ოციოდე ამერიკელი ეჯდა, რომლებსაც უკვე დაწყებული ჰქონდათ შეხვედრის ხელმძღვანელობა.

ფრანგი ინტელექტუალები, რომლებსაც ფრანცი ახლდა, თავს გარიყულად და დამცირებულად გრძნობდნენ. კამბოჯისკენ მსვლელობა მათი იდეა იყო და მოულოდნელად ამერიკელები აბსოლუტურად უცერემონიოდ დაეპატრონნენ სიტუაციას, თანაც მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ რომელიმე ფრანგს ან დანიელს შეიძლება მათი არ ესმოდეს. დანიელებს რახანია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სრულებით დაავიწყდათ, რომ ოდესღაც ერს წარმოადგენ-
დნენ, ამდენად, პროტესტის გამოთქმა მხოლოდ ფრანგებმა
გაბედეს. თან ისე პრინციპულები იყვნენ, რომ პროტესტის
ინგლისურად გამოთქმაზე უარი განაცხადეს და სცენას და-
პატრონებულ ამერიკელებს ფრანგულ ენაზე მიმართეს. ამე-
რიკელებმა მათ სიტყვებს მხოლოდ კეთილგანწყობილი და
თანხმობის გამომხატველი ღიმილი შეაგებეს, რადგან მათი
ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ გაუგიათ. ფრანგებს ისღა
დარჩათ, თავიანთი პრეტენზია ინგლისურად გამოეთქვათ:
„რატომ ლაპარაკობენ ამ შეხვედრაზე მხოლოდ ინგლისურად,
როდესაც აქ ფრანგებიც იმყოფებიან?“

მსგავსი პრეტენზიის გაგონებით ამერიკელები გაკვირ-
ვებულები დარჩნენ, მაგრამ ღიმილი არ მოუშორებიათ და
დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ ყველა გამოსვლა უნდა
თარგმნილიყო. შეხვედრის გასაგრძელებლად თარჯიმნის ძებ-
ნა მოუხდათ. ყოველი ფრაზა ორ ენაზე, ფრანგულსა და
ინგლისურზე, ჟღერდა, ამიტომ შეხვედრა დაგეგმილზე ორ-
ჯერ უფრო ხანგრძლივი გამოვიდა, არა, უფრო ხანგრძლივიც
კი, რადგან ყველა ფრანგმა იცოდა ინგლისური, ამიტომ თარ-
ჯიმანს აწყვეტინებდნენ, უსწორებდნენ და ყოველ წვრილ-
მანზე ეკამათებოდნენ.

შეხვედრამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც სცენაზე ცნო-
ბილი ამერიკელი მსახიობი ქალი ავიდა. მის გამო დარბაზში
ახალი ფოტოგრაფები და კინოოპერატორები შემოცვივდნენ
და მსახიობის წარმოთქმულ ყოველ მარცვალს ფოტოაპარა-
ტის თითო ჩაჩხაკუნება ეხმიანებოდა. მსახიობი გატანჯულ
ბავშვებზე, კომუნისტური დიქტატურის ბარბაროსობაზე, მშვი-
დად ცხოვრების უფლებაზე, ცივილიზებული საზოგადოების
ტრადიციული ფასეულობების გათელვაზე, პირადი ცხოვრების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელშეუხებლობასა და პრეზიდენტ კარტერზე ლაპარაკობდა, რომელიც დამწუხრებული ყოფილა იმით, რაც კამბოჯაში ხდება. ბოლო სიტყვები ტირილით წარმოთქვა.

ამ დროს ჟღალულვაშიანი ახალგაზრდა ფრანგი ექიმი წამოდგა და ყვირილი დაიწყო:

– ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ მომაკვდავ ბავშვებს ვუმკურნალოთ! ჩვენ აქ პრეზიდენტ კარტერისთვის პატივის მისაგებად არ მოვსულვართ! არ გვჭირდება ამერიკული პროპაგანდისტული ცირკი! ჩვენ აქ კომუნიზმის წინააღმდეგ პროტესტის გამოსათქმელად არ შევყრილვართ, ავადმყოფებს უნდა ვუმკურნალოთ!

ულვაშიან ფრანგს დანარჩენი ფრანგებიც შეუერთდნენ. თარჯიმანს შეეშინდა და ველარ ბედავდა მათი სიტყვების თარგმნას. ამიტომაც ამერიკელები სიმპათიით განმსჭვალული ღიმილით უყურებდნენ ფრანგებს სცენიდან და ზოგიერთი მათგანი თანხმობის ნიშნად თავსაც კი უკრავდა მათ. ერთერთმა მუშტიც კი ასწია მაღლა, რადგან იცოდა, რომ კოლექტიური ეიფორიის წუთებში ევროპელებს ამ ჟესტის გამოყენება უყვართ.

16

როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ მემარცხენე ინტელექტუალები (სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ჟღალულვაშიანი ექიმი) კომუნისტური ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მსვლელობაში მონაწილეობენ? კომუნიზმი ხომ ყოველთვის მემარცხენეთა ფლანგის ნაწილად ითვლებოდა?

როდესაც საბჭოთა კავშირად წოდებული ქვეყნის მიერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩადენილმა ბოროტმოქმედებებმა უკიდურესად სკანდალური სახე მიიღო, მემარცხენეებს ორი შესაძლებლობაღა ჰქონდათ დარჩენილი: ან მიეფურთხებინათ თავიანთი წარსული ცხოვრებისთვის და შეეწყვიტათ მსვლელობა, ან (მეტ-ნაკლები ორჭოფობით) საბჭოთა კავშირი დიდი ლაშქრობის ერთ-ერთ დაბრკოლებად ეღიარებინათ და მსვლელობა გაეგრძელებინათ.

ერთხელ ხომ უკვე ვთქვი, რომ, ის, რაც მემარცხენეს მემარცხენედ აქცევს, დიდი ლაშქრობის კიჩია. კიჩის ხასიათი პოლიტიკური სტრატეგიით კი არა, ხატებით, მეტაფორებითა და ლექსიკით განისაზღვრება. ასე რომ, დასაშვებია ჩვეულების დარღვევა და რომელიმე კომუნისტური ქვეყნის წინააღმდეგ მსვლელობის მოწყობა. თუმცა დაუშვებელია სიტყვის სხვა სიტყვებით ჩანაცვლება. შეიძლება მუშტი მოუღერო ვიეტნამის არმიას, მაგრამ დაუშვებელია იყვირო: „სირცხვილი კომუნიზმს!“. „სირცხვილი კომუნიზმს!“ დიდი ლაშქრობის მტრების ლოზუნგია, ამიტომ ის, ვისაც უნდა, ღირსება შეინარჩუნოს, თავისი კიჩის სიწმინდეს უნდა მოუფრთხილდეს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ავხსნა ფრანგ ექიმსა და ამერიკელ მსახიობს შორის მომხდარი გაუგებრობა. ეგოცენტრიზმით დაბრმავებულ მსახიობს ეგონა, რომ შურის ან მიზოგინიზმის მსხვერპლად იქცა, სინამდვილეში კი ფრანგმა ფაქიზი ესთეტიკური ალღო გამოავლინა: სიტყვები „პრეზიდენტი კარტერი“, „ჩვენი ტრადიციული ფასეულობები“, „კომუნიზმის ბარბაროსობა“ ამერიკულ კიჩს ეკუთვნის და დიდი ლაშქრობის კიჩში არა ესაქმებათ რა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე დილას ყველანი ავტობუსებში ჩასხდნენ და მთელი ტაილანდის გავლით კამბოჯისაკენ გაემგზავრნენ. საღამოს პატარა სოფელს მიაღწიეს, სადაც ხის ხიმინჯებზე შემდგარი რამდენიმე სახლი დაიქირავეს. მდინარე, რომელიც მუდმივად ადიდებით იმუქრებოდა, მოსახლეებს მაღლა ცხოვრებას აიძულებდა, დაბლა კი, ხიმინჯებთან, ღორები ბინადრობდნენ. ფრანცს ოთხ სხვა პროფესორთან ერთად ეძინა. ძილში ქვევიდან ღორის ღრუტუნი ჩაესმოდა, გვერდიდან კი – გამოჩენილი მათემატიკოსის ხვრინვა.

დილით ისევ ავტობუსებში ჩასხდნენ. საზღვრიდან ორი კილომეტრის დაშორებით ტრანსპორტით მოძრაობა უკვე აკრძალული იყო, სასაზღვრო პოსტისკენ კი მხოლოდ ვიწრო გზა მიდიოდა, რომელსაც სამხედროები სდარაჯობდნენ. ავტობუსები სწორედ აქ გაჩერდა. ფრანგებმა ჩამოსვლისთანავე აღმოაჩინეს, რომ ამერიკელებს ისევ დაესწროთ და ავანგარდში ჩამწკრივებულიყვნენ. ამჯერად სიტუაცია მართლაც უკიდურესად დაიძაბა. ისევ გამოჩნდა თარჯიმანი და ცხარე კამათი გაიმართა. ბოლოს შეთანხმდნენ: მსვლელობას სათავეში ჩაუდგებიან ერთი ამერიკელი, ერთი ფრანგი და კამბოჯელი თარჯიმანი. მათ უკან ექიმები მიდიოდნენ და შემდეგ ყველა დანარჩენი; ამერიკელი მსახიობი ქალი სულ ბოლოში აღმოჩნდა.

გზა ძალიან ვიწრო იყო, მის გასწვრივ მინდორი კი – დანაღმული. ყოველ წამს ხელოვნურ დაბრკოლებას აწყდებოდნენ: მავთულხლართიან ორ ბეტონის ფილას, შუაში დატოვებული ვიწრო გასასვლელით. ბატებივით ჩამწკრივებულებს მოუხდათ სიარული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცს ხუთიოდე მეტრით უსწრებდა ცნობილი გერმანელი პოეტი და პოპმომღერალი, რომელსაც მშვიდობის თემაზე და ომის საწინააღმდეგოდ ცხრაას ოცდაათი სიმღერა ჰქონდა დაწერილი. ხელში გრძელ ჯოხზე ჩამოცმული თეთრი დროშა ეჭირა, რომელიც ძალიან უხდებოდა მის შავ წვერს და სხვებისგან გამოარჩევდა.

გრძელი კოლონის გასწვრივ ფოტოგრაფები და კინოოპერატორები დარბოდნენ. აჩხაკუნებდნენ და აღმუვლებდნენ თავიანთ მოწყობილობებს, წინ გარბოდნენ, ჩერდებოდნენ, უკან იხევდნენ, ცალ მუხლზე იჩოქებდნენ, შემდეგ სასწრაფოდ დგებოდნენ და ისევ წინ გარბოდნენ. დროდადრო რომელიმე ცნობილი მამაკაცის ან ქალის სახელს დაიძახებდნენ ხოლმე, ისინიც საკუთარი სახელის გაგონებაზე იხედებოდნენ და ამ დროს ფოტოგრაფები აპარატებს აჩხაკუნებდნენ.

18

რაღაც დაძაბულობა იგრძნობოდა. ხალხი ჩერდებოდა და უკან იყურებოდა.

ამერიკელმა მსახიობმა, რომელიც კოლონის ბოლოში მოხვდა, გადაწყვიტა, დამცირება აღარ აეტანა და შეტევაზე გადავიდა: მსვლელობის თავისკენ გაქანდა. ხუთ კილომეტრზე სირბილში შეჯიბრის მონაწილეს მოგაგონებდათ, რომელიც ბოლო წუთამდე ძალას ზოგავს, მერე კი მოულოდნელად წინ იჭრება და ყველას უსწრებს.

კაცები დაბნეული სიცილით ატარებდნენ სახელგანთქმულ მორბენალ ქალს, სამაგიეროდ ქალები გაჰყვიროდნენ:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მწყობრში ჩადექით! ეს კინოვარსკვლავების პარადი კი არ არის!

მსახიობს იოტისოდენადაც არ შეშინებია და ხუთ ფოტოგრაფსა და ორ კინოოპერატორთან ერთად სირბილს განაგრძობდა.

ბოლოს ერთმა ფრანგმა ლინგვისტიკის პროფესორმა ქალმა მსახიობს მაჯაში სტაცა ხელი და უთხრა (საშინელი ინგლისურით):

– ეს იმ ექიმების კოლონაა, რომლებსაც სასიკვდილოდ განწირული კამბოჯელი ავადმყოფების მკურნალობა უნდათ და არა კინოვარსკვლავებისთვის გამართული სპექტაკლი!

ლინგვისტ პროფესორს ისე ძლიერად ეჭირა მსახიობის მაჯა, რომ მას ხელის გასათავისუფლებლად ძალა არ ეყო. ამიტომ მიაძახა (მშვენიერი ინგლისურით):

– გეყოფათ სისულეების როშვა! ასობით ასეთ მსვლელობაში მაქვს მიღებული მონაწილეობა! და ყოველთვის საჭირო იყო, რომ ვარსკვლავები გამოჩენილიყვნენ! ეს ჩვენი საქმეა! ეს ჩვენი მორალური ვალია!

– მძღნერო, – მიაძახა ლინგვისტმა პროფესორმა (არაჩვეულებრივი ფრანგულით).

ამერიკელმა ვარსკვლავმა ნათქვამი გაიგო და ტირილი აუვარდა.

– არ გაინძრეთ, – სთხოვა კინოოპერატორმა და ცალ მუხლზე დაიჩოქა მის წინ. მსახიობმა ხანგრძლივი მზერა მიაპყრო კამერის ობიექტივს, ლოყებზე კი ცრემლები ჩამოსდიოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანგმა პროფესორმა ბოლოს და ბოლოს გაუშვა ხელი ამერიკელ ვარსკვლავს. ამ დროს მას შავწვერიანმა და თეთრ-დროშიანმა გერმანელმა მომღერალმა დაუძახა.

ამერიკელ მსახიობს მასზე არაფერი სმენოდა, მაგრამ დამცირებულ მდგომარეობაში უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დროს იყო, ამიტომ სასწრაფოდ მომღერლისკენ გაქანდა. მომღერალმა დროშის ტარი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა მსახიობს მოხვია მხარზე.

მომღერლისა და მსახიობის ირგვლივ ფოტოგრაფები და კინოოპერატორები დარბოდნენ. ერთი სახელგანთქმული ამერიკელი ფოტოგრაფი ცდილობდა, კადრში დროშიანად მოეხვედრებინა ორივე, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: დროშის ტარი ძალიან გრძელი იყო. ამიტომ უკან-უკან იხევდა ბრინჯის მინდვრისკენ და ამ დროს ნალმს დააბიჯა ფეხი. აფეთქების ხმა გაისმა, მისი სხეულის ნაფლეთები აქეთ-იქით მიმოიფანტა და ევროპელი ინტელექტუალები სისხლით დასვარა.

მომღერალი და მსახიობი ისე შეშინდნენ, რომ ადგილიდან ვერ იძვროდნენ. შემდეგ ორივემ ერთდროულად აიხედა დროშისკენ. ის სისხლის წვეთებით იყო დასვრილი. ამ სურათმა ისევ შეაშინა ორივე. შემდეგ მორიდებით კიდევ რამდენჯერმე აიხედეს ზევით და გაიღიმეს. მათი დროშა სისხლით იყო მონათლული. ამან განსაკუთრებული და აქამდე უცნობი სიამაყით აღავსო ისინი და მათ მსვლელობა განაგრძეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საზღვარს პატარა მდინარე წარმოადგენდა, რომელიც არ ჩანდა, რადგან მის გასწვრივ დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიმაღლის კედელი იყო აშენებული. ტაილანდელი ჯარისკაცების დასაცავად კედელზე ქვიშით სავსე ტომრები ეწყო. კედელი მხოლოდ ერთ ადგილას წყდებოდა, იქ მდინარეზე პატარა ხიდი იყო გადებული. ხიდზე შებიჯების უფლება არავის ჰქონდა. მდინარის მეორე მხარეს ვიეტნამის საოკუპაციო ჯარი იდგა, მაგრამ თვით ჯარისკაცები არ ჩანდნენ: თავიანთი პოზიციები კარგად შეენიღბათ. თუმცა ნათელი იყო: ხიდზე ვინმეს რომ შეებიჯებინა, უხილავი ვიეტნამელები სროლას ატეხდნენ.

მსვლელობის მონაწილეები კედელს მიუახლოვდნენ და თითის წვერებზე დადგნენ. ფრანცი ტომრებს შორის დარჩენილ ნაპრალს აეკრა და სცადა, რამე დაენახა. მაგრამ ვერაფრის დანახვა ვერ მოასწრო, რადგან ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ეს ადგილი მას უფრო ეკუთვნოდა, ფრანცი განზე გასწია.

ფრანცმა უკან მიიხედა. იქვე მდგომ უზარმაზარ ხეზე, ყვავების დიდი გუნდივით, შვიდი ფოტოგრაფი იჯდა, რომლებიც თვალს არ აშორებდნენ მეორე ნაპირს.

ამ დროს თარჯიმანმა, რომელიც კოლონის თავში მიაბიჯებდა, პირთან რუპორი მიიდო და ქმერულ ენაზე მეორე მხარეს გასძახა: აქ ექიმები არიან და კამბოჯის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას ითხოვენ, რათა თავიანთი მოვალეობა შეასრულონ და სამედიცინო დახმარება გაუწიონ ხალხს. მათ აქციას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან. მათ მხოლოდ ადამიანების სიცოცხლე აღელვებთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე მხრიდან სამარისებურმა სიჩუმემ გამოეპასუხათ. სიჩუმე იმდენად აბსოლუტური იყო, რომ ყველას ხასიათი წაუხდა. მას მხოლოდ ფოტოაპარატების ჩხაკუნი არღვევდა, რომელიც რომელიღაცა ეგზოტიკური მწერის სიმღერას ჰგავდა.

ფრანცს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ დიდი ლაშქრობა დასასრულს მიუახლოვდა. ევროპის ირგვლივ სიჩუმის საზღვრები იკვრება და სივრცე, სადაც დიდი ლაშქრობა მიმდინარეობს, მხოლოდ პატარა სცენაა პლანეტის შუაგულში. ბრბომ, რომელიც ოდესღაც სცენასთან ირეოდა, დიდი ხანია ზურგი აქცია მას და დიდი ლაშქრობა მაყურებლის გარეშე გრძელდება. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიომ ინტერესი დაკარგა, დიდი ლაშქრობა მაინც გრძელდება, თუმცა თანდათან ნერვიული და მოუწესრიგებელი ხდება, ფიქრობს ფრანცი. გუშინ ის ამერიკელების წინააღმდეგ იმართებოდა, რომლებიც ვიეტნამს იპყრობდნენ, დღეს ვიეტნამის წინააღმდეგ, რომელიც კამბოჯას იპყრობს, გუშინ ისრაელის მხარდასაჭერად, დღეს პალესტინის მხარდასაჭერად, გუშინ კუბის მხარდასაჭერად, ხვალ კუბის წინააღმდეგ – მუდამ ერთი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ და მეორის მხარდასაჭერად. ევროპა მწყობრად მიაბიჯებს და მოვლენების განვითარებას რომ არ ჩამორჩეს, მისი ნაბიჯი სულ უფრო სწრაფი ხდება, დიდი ლაშქრობა მოხტუნავე და მოჩქარე ხალხის ლაშქრობად იქცა, სცენა კი სულ უფრო და უფრო პატარავდება, სანამ ერთხელაც უმნიშვნელო პაწაწინა წერტილად არ გადაიქცევა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თარჯიმანმა მეორედ ჩაჰყვირა თავისი მიმართვა რუპორში. პასუხად ისევ წარმოუდგენელი და უსაზღვროდ გულგრილი სიჩუმე სუფევდა.

ფრანცმა მიმოიხედა. დუმილი გაწნულ სილასავით მოხვდა მდინარის აქეთ მყოფთ. თეთრდროშიანი მომღერალი და ამერიკელი ვარსკვლავი დაღონებულები და დაბნეულები იყვნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ.

ფრანცი უცებ მიხვდა, რომ ყველანი სასაცილოდ გამოიყურებიან, თვითონაც და სხვებიც, მაგრამ ამის გაცნობიერებას დანარჩენებისგან არ განუცალკევებია, ირონიით არ აღუვსია, პირიქით, ზუსტად ახლა გრძნობდა მათ მიმართ უსასრულო სიყვარულს, ისეთს, როგორსაც სასჯელმისჯილის მიმართ ვგრძნობთ ხოლმე. დიდი ლაშქრობა, მართლაც, დასასრულს უახლოვდება, მაგრამ მერე რა, განა ეს საბაბია, რომ ფრანცმა მას უღალატოს? განა მისი ცხოვრებაც დასასრულს არ უახლოვდება? ნუთუ უნდა დასცინოს თავგანწირული ექიმების თანმხლებთა ექსჰიბიციონიზმს? რა შეუძლია ამ ხალხს, წარმოდგენის გამართვის გარდა? აქვთ კი სხვა შესაძლებლობა?

ფრანცი მართალია. მახსენდება რედაქტორი, რომელიც პოლიტიკური პატიმრების ამნისტიისათვის ხელმოწერებს აგროვებდა პრაღაში. იცოდა, რომ ეს აქცია პატიმრებს არ დაეხმარებოდა. ნამდვილი მიზანი პატიმრების განთავისუფლება კი არ იყო, არამედ იმის ჩვენება, რომ კიდევ არსებობს ხალხი, ვისაც არ ეშინია. ისიც, რასაც რედაქტორი აკეთებდა, უბრალოდ სპექტაკლი იყო და სხვა შესაძლებლობა არც მას ჰქონდა. თეატრალურ წარმოდგენასა და მოქმედებას შორის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არჩევანის გაკეთების საშუალება არ ჰქონია: ან წარმოდგენა უნდა გაემართა, ან გულხელდაკრეფილი მჯდარიყო. არის სიტუაციები, როდესაც ადამიანს მისჯილი აქვს წარმოდგენის გამართვა. მდუმარე ძალასთან მათი ბრძოლა (მდუმარე ძალასთან მდინარის მეორე ნაპირზე, კედელში ჩამალულ მდუმარე მიკროფონებად ქცეულ პოლიციასთან) მოწინააღმდეგის არმიას შერკინებული თეატრალური დასის ბრძოლაა.

ფრანცმა დაინახა, როგორ მოიღერა მისმა სორბონელმა მეგობარმა მუშტი და მდინარის მეორე მხარეს გამეფებულ დუმილს დაემუქრა.

22

თარჯიმანმა მესამედ ჩაჰყვირა თავისი მიმართვა რუპორში.

პასუხად ამჯერადაც დუმილი იყო და ამან ფრანცის ნაღვლიანი განწყობა მოულოდნელ გააფთრებად გადააქცია. ფრანცი ტაილანდისა და კამბოჯის გამყოფ პატარა ხიდთან ახლოს იდგა და უცებ ზედ არბენის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, უნდოდა, საშინელი ლანძღვა-გინებით აეკლო იქაურობა და სროლის გამაყრუებელ ხმაურში მომკვდარიყო.

ფრანცის ეს მოულოდნელი სურვილი რაღაცას გვაგონებს; დიახ, სტალინის შვილს გვახსენებს, რომელიც დენიანი მავთულებისაკენ გაექანა, როდესაც ველარ გაუძლო იმის ყურებას, როგორ მჭიდროდ მიუახლოვდა ერთმანეთს ადამიანის არსებობის საპირისპირო პოლუსები და ამიტომ გაქრა განსხვავება ამაღლებულსა და მდაბალს შორის, ანგელოზსა და ბუზს შორის, ღმერთსა და განავალს შორის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ დიდი ლაშქრობის დიდება მისი მონაწილეების კომიკური პატივმოყვარეობის ტოლფასია, რომ ევროპის ბრწყინვალე, ხმაურიანი ისტორია უსაზღვრო სიჩუმეში კვდება და ამიტომ აღარ არსებობს განსხვავება ისტორიასა და დუმილს შორის. ამ დროს სასწორზე საკუთარი სიცოცხლის დადება მოუნდა, რათა დაემტკიცებინა, რომ დიდი ლაშქრობა განავალზე მეტს იწონის.

მაგრამ ადამიანს მსგავსი არაფრის დამტკიცება არ შეუძლია. სასწორის ერთ თეფშზე განავალი იდო, მეორე თეფშს კი სტალინის შვილი მთელი სიმძიმით დააწვა, მაგრამ სასწორი არც კი შერხეულა.

იმის მაგივრად, რომ თავი ტყვიისთვის შეეშვირა, ფრანცი ჩამწკრივებულ ხალხთან ერთად უკან, ავტობუსებისაკენ, გაემართა თავდახრილი.

23

ყველას სჭირდება, რომ ვინმე უყურებდეს. იმის მიხედვით, როგორი მზერის თანხლებით გვინდა ცხოვრება, შეიძლებოდა ჩვენი ოთხ კატეგორიად დაყოფა.

პირველი კატეგორია უთვალავი ანონიმური თვალის მზერაზე ოცნებობს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პუბლიკის მზერას ელტვის. ეს გერმანელი მომღერლის, ამერიკელი მსახიობისა და დიდნიკაპიანი რედაქტორის შემთხვევაა. მიჩვეული იყო თავის მკითხველებს და როდესაც ერთ მშვენიერ დღეს რუსებმა მისი ჟურნალი აკრძალეს, თავი ასმაგად გაიშვიათებულ ატმოსფეროში იგრძნო. უცნობი თვალების მზერას ვერაფერი უნაზღაურებდა. ეგონა, დაიხრჩობოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნია, რომ მის ყოველ ნაბიჯს პოლიცია აკონტროლებს, სატელეფონო საუბრებს უსმენენ და საიდუმლოდ ფოტოებს უღებენ ქუჩაში. ანონიმური თვალები ისევ ყველგან თან ახლდა და ისიც ისევ სუნთქავდა! ბედნიერი იყო! კედელში ჩამალულ მიკროფონებს თეატრალურად მიმართავდა. პოლიციის სახით დაკარგული პუბლიკა დაიბრუნა.

მეორე კატეგორიას ისინი მიეკუთვნებიან, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ ნაცნობი თვალების მზერა. ეს ის ხალხია, კოქტეილებსა და ვახშმებს რომ აწყობს დაუღალავად. ესენი პირველი კატეგორიის ადამიანებზე უფრო ბედნიერები არიან, რომლებსაც პუბლიკის დაკარგვისთანავე ისეთი შეგრძნება უჩნდებათ, რომ მათი ცხოვრების დარბაზში სინათლე ჩაქრა. თითქმის ყოველ მათგანს ერთხელ მაინც ემართება ეს. მათგან განსხვავებით, მეორე კატეგორიის ადამიანები თავიანთთვის საჭირო ერთ-ორ მზერას ყოველთვის პოულობენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მარი-კლოდი და მისი ქალიშვილი.

შემდეგ მოდის მესამე კატეგორია, რომლებსაც საყვარელი ადამიანის მხედველობის არეში ყოფნა სჭირდებათ. მათი მდგომარეობა ისევე სახიფათოა, როგორც პირველი კატეგორიის ადამიანებისა. ერთხელაც საყვარელი ადამიანის თვალები დაიხუჭება და დარბაზიც ჩაბნელდება. მათ რიცხვს ტერეზა და ტომაში მიეკუთვნებიან.

არსებობს კიდევ მეოთხე – ყველაზე განსაკუთრებული – კატეგორია. ისინი სხვაგან მყოფი ხალხის წარმოსახვითი მზერის თანხლებით ცხოვრობენ. ისინი მეოცნებეები არიან. მაგალითად, ფრანცი. კამბოჯის საზღვრისკენ მხოლოდ საბინას გამო გაეშურა. ავტობუსი ტაილანდის გზაზე მიჯაყჯაყებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცი კი მისკენ მიპყრობილ საბინას ხანგრძლივ მზერას გრძნობს.

ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ტომაშის შვილიც, რომელსაც შიმონს დავარქმევ (ესიამოვნება, რომ მამამისივით ბიბლიური სახელი ვუწოდე). თვალები, რომლებზეც შიმონი ოცნებობს, ტომაშის თვალებია. მას შემდეგ, რაც ხელმოწერების ამბავში გაება, უნივერსიტეტიდან გარიცხეს. გოგო, რომელსაც ხვდებოდა, სოფლის მღვდლის დისშვილი იყო. შიმონმა ის ცოლად შეირთო, სოფლის კოოპერატივში ტრაქტორისტად დაიწყო მუშაობა, მამა გახდა და გულმხურვალე კათოლიკედ იქცა. შემდეგ კი ვილაცისგან შეიტყო, რომ ტომაშიც სოფელში ცხოვრობდა და გაუხარდა: ბედმა მათი ცხოვრება სიმეტრიულად წარმართა! ამით წახალისებულმა, ტომაშს წერილი მისწერა. პასუხს არ მოითხოვდა. მხოლოდ ის უნდოდა, ტომაშს მისი ცხოვრებისთვის მზერა შეევლო.

24

ფრანცი და შიმონი ამ რომანის მეოცნებეები არიან. ფრანცისგან განსხვავებით, შიმონს დედა არ უყვარდა. ბავშვობიდან მამას დაეძებდა. მზად იყო, დაეჯერებინა, რომ უსამართლობა, რომლის მსხვერპლიც მამამისი გახდა, წინ უძღვოდა და გასაგებს ხდიდა იმ ტკივილს, რომელიც მამამ მიაყენა. მასზე არასოდეს ბრაზობდა, რადგან არ უნდოდა დედის თანამზრახველობა, რომელიც ტომაშს გამუდმებით ლანძღავდა.

თვრამეტ წლამდე დედასთან ცხოვრობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ კი სასწავლებლად პრაღაში გაემგზავრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ ტომაში უკვე ფანჯრებს წმენდდა. შიმონი ხშირად ელოდებოდა ტომაშს ქუჩაში, რომ მასთან შემთხვევითი შეხვედრა გაეთამაშებინა. მაგრამ მამა მასთან გამოსალაპარაკებლად არასოდეს გაჩერებულა.

დიდნიკაპიან რედაქტორს მხარში მხოლოდ იმიტომ ამოუდგა, რომ მისი ბედი მამის ბედს აგონებდა. რედაქტორმა არც კი იცოდა ტომაშის არსებობა. ოიდიპოსის შესახებ სტატია დავიწყებას იყო მიცემული და მისი არსებობის შესახებ რედაქტორმა პირველად შიმონისგან შეიტყო. ტომაშისთვის პეტიციაზე ხელის მოწერის თხოვნაც შიმონის იდეა იყო, რედაქტორმა კი გადაწყვიტა, ესიამოვნებინა ყმაწვილისთვის, რომელიც ძალიან ესიმპათიურებოდა.

შიმონი იმ შეხვედრას რომ იხსენებდა, რცხვენოდა თავისი მაშინდელი აღელვების. ცხადია, მამას არ მოეწონა. სამაგიეროდ თვითონ მოეწონა მამა. მისი ყოველი სიტყვა ახსოვდა და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მამა ყველაფერში მართალი იყო. განსაკუთრებით მისი ერთი ფრაზა დაამახსოვრდა: „იმის დასჯა, ვინც არ უწყის, რას სჩადის, ბარბაროსობაა“. როდესაც თავისი მეგობარი გოგოს ბიძამ ხელში ბიბლია მიაჩეჩა, მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქრისტეს სიტყვებმა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ უწყიან, რას სჩადიან“. იცოდა, რომ მამამისი მორწმუნე არ იყო, მაგრამ ამ ორი გამონათქვამის მსგავსებაში საიდუმლო ნიშანს ხედავდა: მამა ეთანხმება მის არჩეულ გზას.

სამი წელი იყო გასული მას მერე, რაც სოფელში საცხოვრებლად გადავიდა, როდესაც წერილი მიიღო. ტომაში მას სტუმრად ეპატიჟებოდა. შეხვედრა თბილი იყო, შიმონი თავს თავისუფლად გრძნობდა და არც ენა ებმოდა. ალბათ, ვერც კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეამჩნია, რომ ერთმანეთის დიდად არ ესმოდათ. ამ შეხვედრიდან სულ მალე შიმონმა მიიღო დეპეშა, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ ტომაში და მისი ცოლი სატვირთო მანქანით გადაიჩეხნენ და დაიღუპნენ.

მაშინ შეიტყო იმ ქალის შესახებ, ოდესღაც მამის საყვარელი რომ იყო და ახლა საფრანგეთში ცხოვრობდა. შიმონმა მისი მისამართი მოძებნა. მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო წარმოსახვითი თვალი, რომელიც მის ცხოვრებას მზერას შეავლებდა ხოლმე, ამიტომ დროგამოშვებით გრძელ წერილებს სწერდა მას.

25

საბინა სიცოცხლის ბოლომდე მიიღებს წერილებს ამ სევდიანი სოფლელი მწერლისაგან. ბევრი მათგანი საერთოდაც წაუკითხავი დარჩება, რადგან ქვეყანა, საიდანაც ეს წერილები იგზავნება, სულ უფრო ნაკლებად აინტერესებს საბინას.

მოხუცებული მამაკაცი გარდაიცვალა და საბინა კალიფორნიაში გადაბარგდა, კიდევ უფრო აღმოსავლეთით, კიდევ უფრო შორს ჩეხეთისაგან.

კარგად ეყიდება ნახატები და უყვარს ამერიკა. მაგრამ მხოლოდ ზედაპირულად. ის, რაც ზედაპირის ქვეშაა, უცხო სამყაროა მისთვის. იქ, ქვევით, არც ერთი ბაბუა და არც ერთი ბიძა არ ჰყავს. ეშინია, რომ კუბოში ჩაკეტავენ და ამერიკულ მიწაში ჩაუშვებენ.

ამიტომ ერთ დღეს ანდერძი დაწერა, რომელშიც მოითხოვდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული დაეწვათ და ფერფლი გაეფანტათ. ტერეზა და ტომაში სიმძიმის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიშნით გარდაიცვალნენ, მას უნდა, რომ სიმსუბუქის ნიშნით გარდაიცვალოს. ჰაერზე უფრო მსუბუქი იქნება. პარმენიდეს მიხედვით, ეს ნეგატიურის პოზიტიურად გადაქცევაა.

26

ავტობუსი ბანგკოკის ერთ-ერთი სასტუმროს წინ გაჩერდა. შეხვედრის ჩატარების სურვილი აღარავის ჰქონდა. მსვლელობის მონაწილეები ჯგუფ-ჯგუფად გაიფანტნენ ქალაქში. ნაწილი ტაძრების დასათვალიერებლად გაემართა, ნაწილმა ბორდელს მიაშურა. სორბონელი მეგობარი საღამოს ერთად გატარებას სთავაზობდა, მაგრამ ფრანცმა მარტო ყოფნა არჩია.

უკვე ბნელდებოდა, როდესაც ფრანცი ქუჩაში გავიდა. განუწყვეტლივ საბინაზე ფიქრობდა და მის გამჭოლ მზერას გრძნობდა, რომელიც ყოველთვის აბნევდა: არასოდეს იცოდა, სინამდვილეში რას ფიქრობდა საბინა. მისმა მზერამ ახლაც დააბნია. ხომ არ დასცინის? მისგან შექმნილ კულტს სიგიჟედ ხომ არ მიიჩნევს? იმის თქმა ხომ არ უნდა, რომ უკვე დროა, გაიზარდოს და თავი მთლიანად იმ საყვარელს მიუძღვნას, რომელიც თვითონვე გამოუგზავნა?

ფრანცმა წარმოიდგინა სახე დიდი მრგვალი სათვალით და მიხვდა, რა ბედნიერი იყო თავის სტუდენტთან ერთად. კამბოჯაში გამგზავრება უცებ სასაცილოდ და უმნიშვნელოდ მოეჩვენა. რამ წამოიყვანა აქ? ახლა უკვე ესმის. აქ იმიტომ აღმოჩნდა, რომ გაეცნობიერებინა: დემონსტრაციები და საბინა კი არა, სათვალიანი სტუდენტია მისი ნამდვილი ცხოვრება, ერთადერთი ნამდვილი ცხოვრება! აქ იმიტომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალმოჩნდა, რომ მიმხვდარიყო: რეალობა მეტია, ვიდრე სიზმარი, ბევრად მეტი!

შემდეგ სიბნელეს ვილაცის ფიგურა გამოეყო და უცხო ენაზე რაღაც უთხრა. ფრანცი თანაგრძნობანარევი გაკვირვებით უყურებდა, როგორ უკრავდა თავს უცნობი მამაკაცი, იღიმებოდა და რაღაცას ეუბნებოდა. ნეტა რას ამბობს? ფრანცმა იფიქრა, სადღაც მეპატიჟებაო. უცნობმა ხელი მოჰკიდა და სადღაც წაიყვანა. პირველი, რამაც ფრანცს თავში გაუელვა, ის იყო, რომ ვილაცას მისი დახმარება სჭირდებოდა. იქნებ ტყუილად არ ჩამოსულა აქ? იქნებ მართლაც შეუძლია, ვინმეს დაეხმაროს?

უცებ კიდევ ორი მამაკაცი გამოჩნდა და ერთ-ერთმა მას ინგლისურად ფული მოსთხოვა.

ამ დროს სათვალიანი გოგო გაქრა მისი ფიქრებიდან და ისევ საბინას მზერა იგრძნო, იმ არარეალური საბინასი, რომელსაც განსაკუთრებული ბედი ჰქონდა და რომლის წინაშეც ფრანცი ყოველთვის ასე პატარად გრძნობდა თავს. საბინას ბრაზიანი და უკმაყოფილო მზერა მიეპყრო ფრანცისთვის: ისევ გაასულელებინე თავი? ისევ შენი სულელური სიკეთით სარგებლობს ვილაც?

მკვეთრი მოძრაობით გამოგლიჯა ხელი მამაკაცს. იცოდა, რომ საბინას ყოველთვის მოსწონდა მისი ძალა. შემდეგ მეორე კაცის გამოწვდილ ხელს სტაცა ხელი, ღონივრად ჩასჭიდა და ძიუდოს უზადო ილეთით ზურგზე გადმოიტარა.

აი ახლა ფრანცი კმაყოფილი იყო საკუთარი თავით. ისევ ხედავდა საბინას თვალებს. ამიერიდან საბინა ველარ ნახავს დამცირებულს! ფრანცი აღარასდროს იქნება რბილი და სენტიმენტალური!

ფრანცმა თითქმის მხიარული სიძულვილი იგრძნო ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცნობებისადმი, რომლებსაც უნდოდათ, მისი გულუბრყვილობით ესარგებლათ. ის ოდნავ მოხრილი იდგა და არც ერთს არ უშვებდა მხედველობის არიდან. მაგრამ ამ დროს თავში რაღაც მძიმე მოხვდა და დაეცა. ბუნდოვნად გააცნობიერა, რომ სადღაც მიათრევდნენ. შემდეგ იგრძნო, რომ სიცარიელეში ვარდებოდა, მერე რაღაცას ძლიერად დაეჯახა და გონება დაკარგა.

მხოლოდ ჟენევის საავადმყოფოში გამოერკვა. მისკენ მარი-კლოდი დახრილიყო. უნდოდა ეთქვა, შენი აქ ყოფნა არ მსიამოვნებსო. უნდოდა, მომხდარი სასწრაფოდ შეეტყობინებინათ სათვალიანი სტუდენტისათვის. მხოლოდ მასზე ფიქრობდა. უნდოდა ეყვირა, რომ მის გარდა, არავის დანახვა არ სურდა, მაგრამ შეშფოთებულმა აღმოაჩინა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო. უსაზღვრო სიძულვილით უყურებდა მარი-კლოდს და კედლისკენ გადაბრუნება უნდოდა, მაგრამ ვერ ინძრეოდა. იქნებ თავი მაინც გადაებრუნებინა? მაგრამ არც ეს შეეძლო. ფრანცმა თვალები დახუჭა, რომ მარი-კლოდი აღარ დაენახა.

27

გარდაცვლილი ფრანცი, როგორც იქნა, მთლიანად თავის კანონიერ ცოლს ეკუთვნის. ყველაფერს მარი-კლოდი წყვეტს: დაკრძალვის ორგანიზაცია თავის თავზე აიღო, აგზავნის შეტყობინებებს, ყიდულობს გვირგვინებს, იკერავს შავ კაბას, რომელიც სინამდვილეში საქორწილო კაბაა. დიახ, მხოლოდ ქმრის დასაფლავებაა ცოლისთვის ნამდვილი ქორწილი; ცხოვრების გზის დასასრული; ჯილდო მთელი გადატანილი ტანჯვისთვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვათა შორის, პასტორს ეს მშვენივრად ესმის და საფლავთან ლაპარაკობს ცოლქმრულ სიყვარულზე, რომელმაც ბევრ გამოცდას გაუძლო, რათა გარდაცვლილისთვის სიცოცხლის ბოლომდე დარჩენილიყო იმ საიმედო ნავსაყუდელად, სადაც მას ბოლო წამს დაბრუნება შეეძლო. ფრანცის კოლეგამაც, რომელსაც მარი-კლოდმა კუბოსთან გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმა სთხოვა, პირველ რიგში, გარდაცვლილის მეუღლის ვაჟკაცობას მიაგო პატივი.

სადღაც უკან დიდსათვალიანი გოგონა იდგა, რომელსაც მეგობრები შესდგომოდნენ მხარში. შეკავებულმა ტირილმა და დალეული წამლების რაოდენობამ თავისი ქნა: ცერემონიის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე აუტანელი მუცლის ტკივილი დაეწყო და ოთხად მოკაკული, მეგობრებმა სასაფლაოდან წაიყვანეს.

28

მიიღო თუ არა კოოპერატივის თავმჯდომარისაგან დეპეშა, მაშინვე მოტოციკლს მოახტა და ჩამოვიდა. დასაფლავებაზე იზრუნა. ძეგლზე, მამის სახელის ქვეშ, წარწერა გააკეთებინა: სურდა ღვთის სასუფეველი მიწაზე.

მშვენივრად იცის, ტომაში თავის ცხოვრებას ასე არ შეაფასებდა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ წარწერა ზუსტად გამოხატავს იმას, რაც მამამისს უნდოდა. ღვთის სასუფეველი მიწაზე სამართლიანობას ნიშნავს. ტომაში ოცნებობდა სამყაროზე, სადაც სამართლიანობა მეფობს. განა არ აქვს შიმონს უფლება, მამის ცხოვრების არსი საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს? ეს ხომ ყველა ჭირისუფლის ოდინდელი უფლებაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანცის ძეგლზე წერია: „დაბრუნება ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ“. წარწერა შეგვიძლია ისე გავიგოთ, როგორც რელიგიური სიმბოლო: ამქვეყნიური ცხოვრებით გართულის დაბრუნება ღმერთთან. მაგრამ გათვითცნობიერებულმა ხალხმა იცის, რომ ამ წარწერას სხვა, სრულიად არარელიგიური, აზრიც აქვს. სხვათა შორის, მარი-კლოდი სულ ამაზე ლაპარაკობს: კეთილმა, ძვირფასმა ფრანცმა ვერ გაუძლო თავისი ორმოცდაათი წლის კრიზისს. ვიღაც საცოდავი გოგოს ბრჭყალებში აღმოჩნდა! ლამაზიც კი არ იყო (გინახავთ ის უზარმაზარი სათვალე, რომლის იქით არც კი ჩანს?), მაგრამ ორმოცდაათი წლის მამაკაცი (ხომ ყველამ ვიცით!) სულს გაყიდის ახალგაზრდა სხეულის დასაუფლებლად. მხოლოდ ცოლმა იცის, როგორ განიცდიდა ამას ფრანცი! როგორ იტანჯებოდა! ის ხომ სულის სიღრმეში კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ეს უაზრო და საბედისწერო გამგზავრება აზიაში? იქ საკუთარი სიკვდილის საპოვნელად წავიდა. დიახ, მარი-კლოდი დარწმუნებულია: ფრანცს სიკვდილი უნდოდა. ბოლო დღეებში, როცა კვდებოდა და ტყუილი აღარ სჭირდებოდა, მარი-კლოდის გარდა, არავის დანახვა არ სურდა. ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ თვალებით ემადლიერებოდა. მზერით პატიებას სთხოვდა და მარი-კლოდმა მას მიუტევა.

29

რა დარჩა კამბოჯაში გარდაცვლილთაგან?

ერთი დიდი ფოტო ამერიკელი მსახიობისა, რომელსაც ყვითელი ბავშვი უჭირავს ხელში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა დარჩა ტომაშისგან?

წარწერა: სურდა ღვთის სასუფეველი მიწაზე.

რა დარჩა ბეთჰოვენისაგან?

წარმოუდგენელფაფრიანი პირქუში მამაკაცი, რომელიც ყრუდ წარმოთქვამს: „Es muss sein!“

რა დარჩა ფრანცისგან?

წარწერა: დაბრუნება ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ.

და ა. შ. და ა. შ.

სანამ დავიწყებას მივეცემით, კიჩად გადავიქცევით. კიჩი გადასაჯდომი სადგურია ყოფნასა და დავიწყებას შორის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეშვიდე ნაწილი

კარენინის ღიმილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

ფანჯარა დაბრეცილი ვაშლის ხეებით მოფენილ ფერდობს გადაჰყურებდა. ფერდობზე შეფენილი ტყის იქით აღარაფერი ჩანდა, ხოლო გორაკების დაკლაკნილი ხაზი სივრცეში იკარგებოდა. საღამო ხანს, როცა მკრთალ ცაზე თეთრი მთვარე გამოჩნდებოდა, ტერეზა გარეთ გამოდიოდა. ჯერ ისევ ნათელ ცაში გამოკიდებული მთვარე ტერეზას ლამპარს აგონებდა, რომლის ჩაქრობაც დილით დაავიწყდათ და რომელიც მთელი დღის განმავლობაში მკვდრების ოთახში ანათებდა.

დაბრეცილი ვაშლის ხეები ფერდობზე იდგა და არც ერთს არ შეეძლო იმ ადგილის დატოვება, რომელშიც ჩაზრდილიყო. ველარც ტერეზა და ტომაში შეძლებენ ამ სოფლიდან წასვლას. გაყიდეს მანქანა, ტელევიზორი, რადიო, რომ გლეხისაგან, რომელიც ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად, ბალიანი პატარა სახლი ეყიდათ.

მათთვის გაქცევის უკანასკნელი საშუალება სოფელში ცხოვრება იყო, რადგან აქ მოსახლეთა მუდმივი უკმარისობა და საცხოვრებლის სიჭარბე იგრძნობოდა. არავის არ აინტე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რესებდა იმათი პოლიტიკური წარსული, ვინც მზად იყო, მინდორში ან ტყეში ემუშავა; მათი არავის შურდა.

ტერეზა ბედნიერი იყო, რომ მიატოვეს ქალაქი, ბარის მთვრალი კლიენტებით და უცნობი ქალებით, რომლებიც ტომაშის თმაში საკუთარ სუნს ტოვებდნენ. პოლიციამ მათ მიმართ ინტერესი დაკარგა, ხოლო ინჟინერთან დაკავშირებული თავგადასავალი ისე შეერწყა პეტრჟინზე მომხდარ სცენას, რომ ტერეზა ველარ არჩევდა, სად სიზმარი იყო და სად ცხადი (მართლა საიდუმლო პოლიციას ემსახურებოდა ინჟინერი? შეიძლება კი და შეიძლება არა. კაცები, რომლებიც ქალებს სხვის ბინაში ხვდებიან და ერთსა და იმავე ქალთან ერთზე მეტჯერ არ წვებიან, არცთუ ისე დიდი იშვიათობაა).

ერთი სიტყვით, ტერეზა ბედნიერი იყო და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მიზანს მიაღწია: ტომაშთან ერთად იყო და თან მარტონი იყვნენ. მარტონი? უფრო ზუსტი უნდა ვიყო: ის, რასაც მარტოობა ვუწოდე, იმას ნიშნავდა, რომ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ძველ მეგობრებთან და ნაცნობებთან, თავიანთი ახლანდელი ყოფა წარსულ ცხოვრებას ჩამოაჭრეს. თუმცა სოფლელების გვერდით, რომლებთან ერთადაც მუშაობდნენ, რომლებსაც ესტუმრებოდნენ ხოლმე და თავისთანაც ხშირად პატიჟებდნენ, თავს კარგად გრძნობდნენ.

იმ დღეს, როდესაც საკურორტო ქალაქში, რომლის ქუჩებსაც რუსული სახელები ერქვა, აქაური კოოპერატივის თავმჯდომარე გაიცნო, ტერეზამ საკუთარ თავში მოულოდნელად სოფლის ხატი აღმოაჩინა, რომელიც მასში წაკითხული წიგნებიდან ჩარჩა ან წინაპრებისგან გადმოეცა. ეს ერთობის სამყარო იყო, საერთო ინტერესებითა და ჩვევებით გაერთიანებული ერთი დიდი ოჯახი: ყოველ კვირადღეს ღვთისმსახურება ეკლესიაში, ტრაქტირი, სადაც კაცები ქალების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარეშე იკრიბებიან ხოლმე და ამ ტრაქტირის დარბაზი, სადაც შაბათობით პატარა ორკესტრი უკრავს და მთელი სოფელი ცეკვავს.

თუმცა კომუნისტების ეპოქის სოფელი ამ ძველისძველ წარმოდგენას აღარ შეესაბამება. ეკლესია გვერდით სოფელში იდგა და იქ აღარავინ არ დადიოდა, ტრაქტირი კანტორად გადააქციეს, ამიტომ კაცებს ლუდის დასალევი, ახალგაზრდებს კი საცეკვაო ადგილი აღარ ჰქონდათ. საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა იკრძალებოდა, სახელმწიფო დღესასწაულები კი არავის აინტერესებდა. კინოთეატრი ოცი კილომეტრით დაშორებულ ქალაქში იყო. სამუშაოზე, შესვენებისას, ხალხი ხუმრობდა და მხიარულად ესაუბრებოდა ერთმანეთს, თუმცა მერე ყველანი თავ-თავიანთ სახლებში იკეტებოდნენ და თვალს არ აშორებდნენ ტელევიზორის ეკრანს. შინ თანამედროვე ავეჯი ედგათ, რომელიც მხოლოდ პატრონების უგემოვნობას წარმოაჩენდა, ერთმანეთს სტუმრად არ ეპატიჟებოდნენ და იშვიათად, ორი სიტყვის გადასალაპარაკებლად თუ შეურბენდნენ ხოლმე მეზობელს ვახშმის წინ. ყველას ოცნება ქალაქში გადასახლება იყო. სოფელი მათ ისეთს არაფერს აძლევდა, რაც ცხოვრებას ოდნავ მაინც შესძენდა ინტერესს.

და, ალბათ, იმიტომაც, რომ აქ არავის უნდოდა ფეხის მოკიდება, სახელმწიფომ დაკარგა სოფელზე გავლენა. გლეხი, რომელსაც მიწა აღარ ეკუთვნის და მხოლოდ მინდორში მომუშავე მუშაა, არც საკუთარ მხარეს უფრთხილდება და არც თავისი საქმე ანაღვლებს, არაფერი აქვს დასაკარგი, არაფერი აქვს საზრუნავი. თუმცა ამ გულგრილობის გამო სოფელმა გარკვეული ავტონომიურობა და თავისუფლება შეინარჩუნა. კოოპერატივის თავმჯდომარეს გარედან არ ნიშნავდნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(როგორც ნებისმიერ ხელმძღვანელს ქალაქში), მას თვით სოფლელები ირჩევდნენ, ის ერთ-ერთი მათგანი იყო.

იმის გამო, რომ ყველას სოფლიდან გაქცევაზე ეჭირა თვალი, ტომაში და ტერეზა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ისინი აქ თავისი ნებით ჩამოვიდნენ. თუკი სხვები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ერთი დღით მაინც წასულიყვნენ უახლოეს ქალაქში, ტერეზას და ტომაშს არსად არ მიუწევდათ გული, ამიტომ სულ მალე თანასოფლელებს უკეთ იცნობდნენ, ვიდრე ისინი ერთმანეთს.

სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე მათ ნამდვილ მეგობრად იქცა. ჰყავდა ცოლი, ოთხი შვილი და ღორი, რომელსაც ძაღლივით წვრთნიდა. ღორს მეფისტო ერქვა და სოფლის სიამაყე და გასართობი იყო. ასრულებდა პატრონის ბრძანებებს, სუფთა და ვარდისფერი, ჩლიქებით ისე დააბიჯებდა, როგორც სქელი ქალი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით.

როდესაც კარენინმა პირველად ნახა მეფისტო, აწრიალდა, დიდხანს უვლიდა გარშემო და ყნოსავდა. მაგრამ მალე დაუმეგობრდა და უპირატესობასაც კი ანიჭებდა სოფლის ძაღლებთან შედარებით, რომლებსაც ზევიდან უყურებდა, რადგან თავიანთ ჯიხურებზე იყვნენ მიბმული და სულელებივით განუწყვეტლივ უმიზეზოდ ყეფდნენ. კარენინმა სათანადოდ შეაფასა ეს განსაკუთრებული არსება და შეიძლება ითქვას, ღორთან მეგობრობას ძალიანაც უფრთხილდებოდა.

კოოპერატივის თავმჯდომარე ბედნიერი იყო, რომ შეეძლო თავის ყოფილ ქირურგს დახმარებოდა, მაგრამ თან წუხდა, რომ მეტს ვერაფერს უკეთებდა. ტომაშმა სატვირთო მანქანის მძღოლად დაიწყო მუშაობა, გლეხები მინდორში გაჰყავდა და სამუშაო იარაღს ეზიდებოდა.

კოოპერატივს ოთხი დიდი ბოსელი ჰქონდა და ორიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომცრო, ორმოცამდე დეკეულით. ტერეზას დეკეულების მოვლა დაევალა და დღეში ორჯერ საძოვარზე ერეკებოდა მათ. რადგან ადვილად მისადგომი საძოვრები სათიბად იყო გამოყოფილი, ტერეზას ახლომდებარე გორაკებზე უწევდა ასვლა. დეკეულები ნელ-ნელა ანადგურებდნენ ბალახს ამ გორაკებზე და ამიტომ ერთი წლის განმავლობაში ტერეზამ სოფლის ირგვლივ მთელი არემარის შემოვლა მოასწრო. როგორც ოდესღაც თავის პატარა ქალაქში, ახლაც სულ წიგნი ეჭირა, რომელსაც მინდორში კითხულობდა.

კარენინი ყოველთვის თან დაჰყვებოდა. ისწავლა ახალგაზრდა და მეტისმეტად მხიარული დეკეულებისთვის ყეფა, როდესაც ისინი დანარჩენებს ძალიან შორდებოდნენ და ამას დიდი კმაყოფილებით აკეთებდა. ტერეზას, ტომაშსა და კარენინს შორის ყველაზე ბედნიერი ძაღლი იყო. მისი სამსახური – „კურანტის მცველობა“ – არასდროს ყოფილა ისე დაფასებული, როგორც აქ, სადაც არავითარი იმპროვიზაცია არ არსებობდა: დრო, რომელშიც ტერეზა და ტომაში ცხოვრობდნენ, თავისი რეგულარულობით კარენინის დროს მიუახლოვდა.

ერთხელ, სადილის შემდეგ (ეს ის ხანმოკლე პერიოდი იყო, როცა ცოტაოდენი თავისუფალი დრო ჰქონდათ ერთმანეთისათვის), სახლის უკან ფერდობზე კარენინთან ერთად სასეირნოდ გავიდნენ.

– არ მომწონს, როგორ დარბის, – თქვა ტერეზამ.

კარენინი კოჭლობდა. ტომაში დაიხარა და თათი გაუსინჯა. ბარძაყზე პატარა გამაგრება აღმოუჩინა.

მეორე დღეს კარენინი სატვირთო მანქანაში გვერდით მოისვა და მეზობელი სოფლისკენ გაემართა, სადაც ვეტერინარი ცხოვრობდა. ერთი კვირის შემდეგ ისევ ესტუმრა ვეტერინარს და შინ ამბავი მოიტანა, რომ კარენინს კიბო აქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამი დღის შემდეგ ვეტერინართან ერთად თვითონვე ჩაუტარა კარენინს ოპერაცია. სახლში რომ მოიყვანა, კარენინი ჯერ კიდევ ნარკოზით იყო გაბრუებული. ტერეზასა და ტომაშის საწოლის გვერდით, ხალიჩაზე იწვა ღია თვალებით და წკმუტუნებდა. გაპარსულ ბარძაყზე ექვსი ნაკერი ედო.

მერე ადგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

ტერეზას გული გაუსკდა. ეგონა, კარენინი ველარასოდეს გაივლისო.

– ნუ გეშინია, – თქვა ტომაშმა, – ჯერ კიდევ ნარკოზით არის გაბრუებული.

ტერეზა მის წამოყენებას შეეცადა, მაგრამ კარენინმა კბილი გაჰკრა. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა!

– არ იცის, ვინ ხარ, – დააწყნარა ტომაშმა, – ვერ გცნობს.

ტომაშმა კარენინი თავიანთ საწოლთან ახლოს მიაჩოჩა და მას სწრაფად ჩაეძინა. ტერეზას და ტომაშსაც დაეძინათ. ღამის სამი საათი იყო, რომ კარენინმა ისინი გააღვიძა. კუდს აქიცინებდა და მათ სხეულებზე დააბიჯებდა, ვერ ძღებოდა მხიარული ლაქუცით.

აქამდე არც ეს მომხდარა: ღამით არასოდეს გაუღვიძებია ტერეზა და ტომაში! ყოველთვის მოთმინებით ელოდებოდა ერთ-ერთის გაღვიძებას და მხოლოდ ამის შემდეგ ბედავდა ლოგინზე შეხტომას.

მაგრამ ამჯერად, როდესაც შუაღამისას მოულოდნელად გონზე მოვიდა, თავი ველარ შეიკავა. ვინ იცის, რა სიშორიდან ბრუნდებოდა! ვინ იცის, რა მოჩვენებებს ებრძოდა! და როდესაც აღმოაჩინა, რომ ისევ შინ იყო და უახლოესი არსებები იცნო, თავისი ხელმეორედ დაბადებისა და შინ დაბრუნების უსაზღვრო სიხარულის გაზიარება მოუნდა მათთვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შესაქმის“ დასაწყისშივე წერია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა ფრინველებზე, თევზებსა და ცხოველებზე ბატონობა მიენიჭებინა მისთვის. მაგრამ „შესაქმე“ ადამიანმა დაწერა და არა ცხენმა. სრულებითაც არ არის უეჭველი ფაქტი, რომ ღმერთმა მართლაც უბოძა ადამიანს სხვა არსებებზე ბატონობა. უფრო საფიქრებელია, რომ ადამიანმა ღმერთი გამოიგონა, რათა ძროხასა და ცხენზე მოპოვებული ძალაუფლება წმინდა საქმედ გამოეცხადებინა. მართლაც, ირმის ან ძროხის მოკვლის უფლება ერთადერთია, რაზეც ყველაზე სისხლისმღვრელი ომების დროსაც კი მთელი კაცობრიობა მშვიდობიანად ეთანხმება ერთმანეთს.

და ეს უფლება ბუნებრივად გვეჩვენება, რადგან იერარქიის სათავეში ჩვენ ვართ. მაგრამ საკმარისია, თამაშში ვინმე მესამე ჩაერთოს, ვთქვათ უცხოპლანეტელი, რომლის ღმერთმაც თქვა: „იბატონებ ყველა სხვა პლანეტის არსებებზე“ და „შესაქმის“ უდავობა მაშინვე სათუო გახდება. მაშინ მარსელის საზიდარში შებმული ან ირმის ნახტომის ბინადართა მიერ შამფურზე შემწვარი ადამიანი, ალბათ, გაიხსენებს ხბოს ბიფშტექსს, რომელსაც, ჩვეულებრივ, თეფშზე წვრილ ნაჭრებად ჭრიდა და მოუბოდიშებს ძროხას (თუმცა დაგვიანებით!).

ტერეზა დეკეულებს მიჰყვება, წინ მიერეკება და ყოველ წამს რომელიმე მათგანის ნახირში შემობრუნება უწევს, რადგან ახალგაზრდა ძროხები მხიარულები არიან და მინდვრისკენ გარბიან. კარენინი ისევ მასთან ერთადაა. უკვე ორი წელია, ყოველდღე დაჰყვება საძოვარზე. კარენინს ყოველთვის ძალიან ართობდა დეკეულების მიმართ სიმკაცრის გამოჩენა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უყეფდა და ლანძღავდა მათ (მისმა ღმერთმა ძროხებზე მიანიჭა ძალაუფლება და კარენინი ამით ამაყობდა). მაგრამ ამჯერად უჭირს სიარული და მხოლოდ სამ ფეხზე დახტის, მეოთხეზე სისხლიანი ჭრილობა აქვს. ტერეზა ყოველ წამს მისკენ იხრება და ზურგზე ეფერება. უკვე ოპერაციიდან ორი კვირის შემდეგ გახდა ნათელი, რომ კიბო არ შეჩერებულა და რომ კარენინის მდგომარეობა ყოველდღე გაუარესდება.

გზად მეზობელი შეხვდათ, რომელსაც რეზინის ჩექმები ეცვა და ბოსლისკენ მიიჩქაროდა. მეზობელი გაჩერდა: „რა მოუვიდა თქვენს ძაღლს? რაღაც კოჭლობს!“ ტერეზამ უპასუხა: „კიბო აქვს, განწირულია!“ და იგრძნო, როგორ წაუჭირა რაღაცამ ყელში და ლაპარაკის უნარი წაერთვა. მეზობელმა შეამჩნია ტერეზას თვალებში ცრემლები და ბრაზნარევი ტონით უთხრა: „ღმერთო, ძაღლის გამო ტირილიღა გაკლიათ!“ არა, ბოროტად არ ეუბნება, პირიქით, ამით ტერეზას ნუგეშისცემა უნდა. ტერეზამ ეს იცის, უკვე კარგა ხანს ცხოვრობს სოფელში და ესმის, სოფლელებს ყოველი კურდღელი ისე რომ უყვარდეთ, როგორც მას კარენინი, ვერც ერთს ვერ დაკლავდნენდა შიმშილით დაიხოცებოდნენ თავიანთ შინაურ ცხოველებთან ერთად. მიუხედავად ამისა, მეზობლის სიტყვები ტერეზას უხეშად ეჩვენება. „მესმის“, – პასუხობს მორჩილად, მაგრამ სწრაფად აქცევს ზურგს და გზას განაგრძობს. გრძნობს, რომ არავინ გაიზიარებს მის სიყვარულს კარენინისადმი. ნაღვლიანი ღიმილით ფიქრობს, რომ ეს სიყვარული უფრო მეტად უნდა დამალოს, ვიდრე ღალატს დამალავდა. ძაღლის ასეთი სიყვარული ადამიანებში პროტესტის გრძნობას იწვევს. მეზობელს ტერეზას ღალატი რომ შეეტყო, ზურგზე ხელს მხიარულად დაჰკრავდა იმის ნიშნად, რომ ფარულად იწონებს ამას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერეზა მიუყვება გზას თავის დეკეულებთან ერთად, რომლებიც სიარულისას ერთმანეთს გვერდებით ეხახუნებიან და გულში ფიქრობს, რომ ძალიან საყვარელები, წყნარები, უეშმაკოები და ხანდახან ბავშვურად მხიარულები არიან. ტერეზას ისინი იმ ორმოცდაათი წლის სქელ ქალებს აგონებდნენ, რომლებმაც თავი თოთხმეტი წლის გოგონებად წარმოიდგინეს. არაფერია ისე გულის ამაჩუყებელი, როგორც ძროხების თამაში. ტერეზა მათ სიმპათიით უყურებს და ფიქრობს (ეს აზრი უკვე ორი წელია თავს არ ანებებს), რომ ადამიანი ისეთივე პარაზიტია ძროხისა, როგორიც სოლიტერი ადამიანისა: წურბელასავითაა მიკრული ძროხის ჯიქანს. ადამიანი ძროხის პარაზიტია – ასე განსაზღვრავდა, ალბათ, ადამიანს თავის ზოოლოგიის სახელმძღვანელოში არაადამიანი.

რა თქმა უნდა, ეს განმარტება შეგვიძლია ხუმრობად ჩავთვალოთ და შემწყნარებლურად გავიღიმოთ. მაგრამ როდესაც ტერეზა ამას სერიოზულად უფიქრდება, ფეხქვეშ საყრდენი ეცლება: მისი აზრები სახიფათო ხდება და ადამიანებისგან აშორებს. „შესაქმეში“ ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამიანს ცხოველებზე ბატონობა უბოძა, მაგრამ ეს შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ ღმერთმა ადამიანს მათზე მზრუნველობა მიანდო. ადამიანი პლანეტის მესაკუთრე კი არა, მხოლოდ მმართველი იყო, რომელსაც თავისი მმართველობისთვის ერთხელაც პასუხისგება მოუწევს. დეკარტმა გაბედული ნაბიჯი გადადგა წინ: მან ადამიანი „ბუნების მბრძანებლად და პატრონად“ გამოაცხადა. თუმცა ეს უდავოდ ღრმა შინაგან კავშირშია იმასთან, რომ სწორედ მან განუცხადა ცხოველებს უარი სულზე: ადამიანი მბრძანებელი და პატრონია, ცხოველი კი, დეკარტის აზრით, მხოლოდ ავტომატია, გაცოცხლებული მანქანა, „machina animata“. თუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოველი კვნესის, ეს კვნესა კი არ არის, ცუდად დაზეთილი მექანიზმის ჭრიალია. როდესაც ეტლის ბორბალი ჭრიალებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბორბალი განიცდის, არამედ იმას, რომ ცუდად არის დაზეთილი. ზუსტად ასე უნდა გავიგოთ ცხოველების ტირილიც, როდესაც მეცნიერები მათ ცოცხლად ფატრავენ ლაბორატორიაში.

დეკეულები ძოვენ, ტერეზა კუნძზე ზის, კარენინს მის მუხლებზე დაუდვია თავი. ტერეზას ათიოდე წლის წინ გაზეთში წაკითხული ორპწკარიანი ცნობა ახსენდება: ცნობაში ეწერა, რომ რუსეთის რომელიღაც ქალაქში ყველა ძაღლი დახოცეს. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო და შეუმჩნეველი ცნობის გამო, პირველად ცხოვრებაში, ტერეზას ამ უზარმაზარი მეზობელი ქვეყნის ძალიან შეეშინდა.

ეს ცნობა ყოველივე იმის მაუწყებელი იყო, რაც მოგვიანებით მოხდა. რუსული ოკუპაციის პირველ წლებში ტერორზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი იყო. რადგან თითქმის მთელი ერი ეწინააღმდეგებოდა საოკუპაციო რეჟიმს, რუსებს ჩეხებს შორის ახალი ხალხი უნდა ეპოვათ და ხელისუფლებაში მოეყვანათ. მაგრამ სად უნდა მოეძებნათ ეს ხალხი, როდესაც კომუნიზმის რწმენა და რუსების სიყვარული უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო? ამ ახალ ხალხს იმათ შორის ეძებდნენ, ვინც ცხოვრებაზე შურისძიების სურვილს ატარებდა გულში. საჭირო იყო ამ ხალხის გაერთიანება, მათი აგრესიის გაზრდა და მისი ამონთხევისათვის მზადყოფნის შენარჩუნება. პირველ რიგში კი საჭირო იყო დროებითი სამიზნე. ასეთ სამიზნე ცხოველები აღმოჩნდნენ.

იმ პერიოდში გაზეთებმა დაიწყეს სტატიათა ციკლებისა და მკითხველთა წერილების ბეჭდვა, რომლებშიც მოითხოვდნენ, რომ ქალაქებში მტრედები ამოეწყვიტათ და ამოწყვიტეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდეც. ძირითადი შეტევა მაინც ძაღლების წინააღმდეგ იყო მიმართული. როდესაც ხალხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადახარშული ოკუპაციის კატასტროფა, გაზეთები, რადიო და ტელევიზია სხვაზე აღარაფერზე ლაპარაკობდა, გარდა ძაღლებისა, რომლებიც აბინძურებენ ტროტუარებსა და ბაღებს, რითაც ბავშვების ჯანმრთელობას ხიფათს უქმნიან, მათგან არავითარი სარგებელი არ არის, სამაგიეროდ უამრავ საჭმელს ნთქავენ. ისეთი ფსიქოზი დაიწყო, რომ ტერეზას ეშინოდა, დაგეშილ ბრბოს კარენინისთვის რამე არ დაეშავებინა. ეს დაგროვებული (და ცხოველებზე გადმონთხეული) ღვარძლი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნა მიმართული ნამდვილი მიზნისკენ, ანუ ადამიანებისკენ. დაიწყო სამსახურებიდან გაყრა, დაპატიმრებები და სასამართლო პროცესები. ცხოველებს შეეძლოთ მშვიდად ამოესუნთქათ.

ტერეზას კარენინის თავი მუხლებზე უდევს და ეფერება, თან საკუთარ თავს ეუბნება: განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ სხვას კარგად მოექცე. ტერეზა თანასოფლელებს კარგად უნდა მოექცეს, თორემ ველარ შეძლებს მათთან ერთად ცხოვრებას. მეტიც, ტომაშსაც სიყვარულით უნდა მოექცეს, რადგან სჭირდება ის. ვერასდროს დავადგენთ შეუცდომლად, არის თუ არა სხვა ადამიანებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი გრძნობების – სიყვარულის, უსიყვარულობის, სიკეთის, ბოროტების – შედეგი და განსაზღვრულია თუ არა ის ჩვენ შორის ძალთა თანაფარდობით.

ადამიანის ჭეშმარიტი სიკეთე მთელი თავისი სიწმინდითა და თავისუფლებით შეიძლება მხოლოდ იმის მიმართ გამოვლინდეს, ვისაც არავითარი ძალა არ აქვს. კაცობრიობის ნამდვილი და უმთავრესი ზნეობრივი გამოცდა (ისე ღრმად ჩამალული, რომ მხედველობიდან გვეპარება) მის დამოკი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დებულებაშია იმათ მიმართ, ვინც მასზეა მინდობილი: ცხოველების მიმართ. და სწორედ აქ განიცდის ადამიანი სრულ მარცხს, იმდენად სრულს, რომ ყველა სხვა მარცხი მისგან მომდინარეობს.

ერთ-ერთი დეკეული ტერეზას მიუახლოვდა, გაჩერდა და დიდხანს უყურებდა თავისი დიდი ყავისფერი თვალებით. ტერეზა მას კარგად იცნობდა და მარკეტას ეძახდა. სიამოვნებით დაარქმევდა ყველა დეკეულს სახელს, მაგრამ არ შეეძლო, ბევრნი იყვნენ. დაახლოებით ორმოცი წლის წინ ამ სოფელში ყველა ძროხას თავისი სახელი ერქვა (და რადგან სახელი სულის ნიშანია, ესე იგი, შემიძლია ვთქვა, რომ დეკარტის ჯიბრზე მათ სული ჰქონდათ). მაგრამ შემდეგ სოფლები დიდ კოოპერატივებად გადააქციეს და ძროხები მთელ ცხოვრებას ბოსლის ორ კვადრატულ მეტრში ატარებდნენ. ახლა მათ სახელებს აღარ არქმევენ და ისინი „machinae animatae"-ს წარმოადგენენ. მსოფლიო დეკარტს დაეთანხმა.

სულ თვალწინ მიდგას ტერეზა, რომელიც კუნძზე ზის, კარენინს თავზე ეფერება და კაცობრიობის სრულ დამარცხებაზე ფიქრობს. ამ დროს სხვა რამე მახსენდება ხოლმე: ნიცშე ტურინის სასტუმროდან გამოდის და ცხენს და მეეტლეს ხედავს, რომელიც მას მათრახით სცემს. ნიცშე ცხენთან მიდის და მეეტლის თვალწინ ტირილით ყელზე ეხვევა მას.

ეს 1889 წელს მოხდა, როდესაც ნიცშე ადამიანებს გაუუცხოვდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ გამომჟღვნდა მისი სულიერი დაავადება. მაგრამ სწორედ ამიტომ მეჩვენება, რომ მის ჟესტს ღრმა შინაარსი აქვს. ნიცშე ცხენს დეკარტის ნაცვლად უხდიდა ბოდიშს. მისი სიგიჟე (ანუ ადამიანებისგან გაუცხოება) მაშინ დაიწყო, როდესაც ცხენს კისერზე მოეხვია და ატირდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ის ნიცშეა, რომელიც, ტერეზასი არ იყოს, ძალიან მიყვარს. მათ მუხლებზე დევს სასიკვდილოდ განწირული ძაღლის თავი. მათ ერთმანეთის გვერდით ვხედავ: ორივემ გადაუხვია იმ გზიდან, რომელსაც „ბუნების მბრძანებელი და პატრონი“ ამაყად მიუყვება.

3

კარენინმა ორი ვანილის როხლიკი და ერთი ფუტკარი შვა. გაკვირვებული უყურებდა თავის უჩვეულო შთამომავლობას. როხლიკები წყნარად იქცეოდნენ, ფუტკარი თავიდან გაბრუებული დაბორიალებდა, მერე კი აფრინდა და თვალს მოეფარა.

ეს ტერეზას სიზმარი იყო. ტერეზამ სიზმარი გაღვიძებისთანავე ტომაშს უამბო და შემდეგ ორივენი ამ სიზმარში რაღაც სანუგეშოს ეძებდნენ: სიზმარმა კარენინის ავადმყოფობა ფეხმძიმობად აქცია, მშობიარობა კი, თავის მხრივ, სასაცილო და თან გულისამაჩუყებელი შედეგით დასრულდა: ორი ვანილის როხლიკით და ერთი ფუტკრით.

ტერეზას უსაფუძვლო იმედი დაეუფლა. ადგა და ჩაიცვა. მისი დღე სოფელშიც იმით იწყებოდა, რომ რძის, პურისა და როხლიკების საყიდლად მიდიოდა მაღაზიაში. მაგრამ ამჯერად, როდესაც კარენინს გასძახა თან წასაყვანად, მან ძლივს წამოსწია თავი. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ უარი თქვა ცერემონიაზე, რომლის უპირობო შესრულებასაც ოდესღაც თვითონვე მოითხოვდა.

საყიდლებზე მარტო წავიდა. „კარენინი სადღაა?“ – იკითხა გამყიდველმა, რომელსაც ჩვეულებისამებრ წინასწარ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა გამზადებული მისთვის როხლიკი. ამჯერად როხლიკი ტერეზას მოჰქონდა. კარშივე ამოიღო ჩანთიდან და კარენინს დაანახვა. უნდოდა, როხლიკის გამოსართმევად მისულიყო, მაგრამ ძაღლი გაუნძრევლად იწვა.

ტომაშმა შეამჩნია, რომ ტერეზა ცუდ ხასიათზე დადგა, როხლიკი პირში ჩაიდო, კარენინის პირდაპირ ოთხზე დადგა და ნელ-ნელა მასთან მიახლოება დაიწყო.

კარენინი უყურებდა, თითქოს ინტერესმაც გაუელვა თვალებში, მაგრამ მაინც არ განძრეულა. ტომაშმა სახე პირდაპირ ცხვირთან მიუტანა ძაღლს. ძაღლი თითქმის არ განძრეულა, ისე ჩაავლო კბილები ტომაშის პირიდან გამოჩრილ როხლიკის ბოლოს. ტომაშმა პირი უშვა როხლიკს, რომ ის მთლიანად კარენინს რგებოდა.

ტომაშმა, ისევ ოთხზე დამდგარმა, უკან დაიხია და ღრენა დაიწყო, თითქოს კარენინისთვის როხლიკის წართმევას აპირებსო. აი მაშინ კი ძაღლმა ღრენითვე უპასუხა პატრონს. როგორც იქნა! სწორედ ამას ელოდნენ! კარენინს კიდევ შერჩა თამაშის სურვილი! კარენინს ჯერ კიდევ უნდა სიცოცხლე!

ეს ღრენა კარენინის ღიმილი იყო და მათ უნდოდათ, ეს ღიმილი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. ამიტომ ტომაში ისევ ოთხზე დამდგარი მიუახლოვდა კარენინს და კარენინის პირიდან გამოშვერილ როხლიკს კბილებით ჩაებღაუჭა. მათი სახეები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს. ტომაში ძაღლის სუნთქვას გრძნობდა და სახეზე გრძელი ბეწვი უღიტინებდა, რომელიც კარენინს ცხვირთან ეზრდებოდა. ძაღლმა კიდევ ერთხელ დაიღრინა და თავი მკვეთრად გააქნია. ორივეს როხლიკის თითო ნახევარი შერჩა კბილებში. მერე კარენინმა ძველი შეცდომა დაუშვა: თავისი ნახევარი გააგდო პირიდან და შეეცადა, პატრონს რომ ედო პირში, ის ნახევარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაეთრია. როგორც ყოველთვის, დაავიწყდა, რომ ტომაში ძაღლი არ არის და ხელები აქვს. ტომაშმა თავის ნახევარს კბილები არ გაუშვა და იატაკიდან კარენინის დაგდებული ნახევარიც აიღო.

– ტომაშ, – დაუყვირა ტერეზამ, – გინდა, მთლიანად წაართვა როხლიკი?!

ტომაშმა როხლიკის ორივე ნახევარი კარენინის წინ იატაკზე დააგდო. ძაღლმა სასწრაფოდ გადაყლაპა ერთი, მეორე კი დემონსტრაციულად ეჭირა პირში, თითქოს ცოლქმრის წინაშე მოგებული ორთაბრძოლით ტრაბახობსო.

უყურებდნენ კარენინს და ისევ ეჩვენებოდათ, რომ ძაღლი იღიმებოდა; და სანამ ის იღიმება, სიცოცხლის საბაბიც აქვს, მიუხედავად თავისი განწირულობისა.

მეორე დღეს მოეჩვენათ, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ისადილეს. ეს ის დრო იყო, როცა ერთმანეთისთვის ეცალათ და კარენინთან ერთად სასეირნოდ მიდიოდნენ ხოლმე. კარენინმა ეს იცოდა და მათ გარშემო მოუსვენრად სირბილს იწყებდა. მაგრამ ამჯერად, როდესაც ტერეზამ მისი საყელური აიღო, ძაღლი მხოლოდ დიდხანს უყურებდა მათ და არც კი განძრეულა. ტერეზა და ტომაში მის წინ იდგნენ და ცდილობდნენ, მხიარულები (მის გამო და მისთვის) ყოფილიყვნენ, რათა მისთვის ცოტაოდენი კარგი განწყობა გადაედოთ. ცოტა ხნის მერე, თითქოს ისინი შეიწყალაო, კარენინმა სამ ფეხზე მიირბინა ტერეზასთან და საყელურის გაკეთების საშუალება მისცა.

– ტერეზა, – თქვა ტომაშმა, – ვიცი, რომ შეძულებული გაქვს ფოტოაპარატი, მაგრამ მოდი დღეს თან წამოიღე!

ტერეზამ დაუჯერა, კარადა გამოაღო და სადღაც შეტენილ და დავიწყებულ აპარატს დაუწყო ძებნა, ტომაშმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი განაგრძო: – ერთხელაც ეს ფოტოები დიდ სიხარულს მოგვანიჭებს. კარენინი ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო.

– რას ნიშნავს – იყო? – გველნაკბენივით შეხტა ტერეზა. ფოტოაპარატი დაბლა იდო, მაგრამ ტერეზა მის ასაღებად აღარ დახრილა: – არ წამოვიღებ. არ მინდა იმაზე ფიქრი, რომ ერთხელაც კარენინი აღარ იქნება. შენ მასზე უკვე წარსულში ლაპარაკობ!

– ნუ ბრაზობ! – უთხრა ტომაშმა.

– არ ვბრაზობ, – მშვიდად თქვა ტერეზამ, – მეც უკვე ბევრჯერ შევამჩნიე საკუთარ თავს, რომ მასზე წარსულში ვფიქრობ. უკვე რამდენჯერ გავუბრაზდი საკუთარ თავს ამისთვის და ზუსტადაც ამიტომ არ წამოვიღებ აპარატს.

გზას ჩუმად მიუყვებოდნენ. ჩუმად ყოფნა ერთადერთი საშუალება იყო, რომ კარენინზე წარსულში არ ელაპარაკათ. თვალს არ აშორებდნენ და სულ გვერდით ედგნენ. მის ღიმილს ელოდნენ. მაგრამ კარენინი არ იღიმებოდა, უბრალოდ გვერდით მიჰყვებოდათ, თუმცა მხოლოდ სამ ფეხზე.

– ჩვენი ხათრით აკეთებს ამას, – თქვა ტერეზამ. – არ უნდოდა გასეირნება. მხოლოდ იმიტომ წამოვიდა, რომ ჩვენთვის ესიამოვნებინა.

ტერეზას სიტყვები ნაღვლიანად ჟღერდა და მიუხედავად ამისა, გაუცნობიერებლად თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ბედნიერები იყვნენ არა მწუხარების გამო, არამედ მწუხარების წყალობით. ერთმანეთისთვის ხელები ჩაეკიდათ და ერთი და იგივე სურათი ედგათ თვალწინ: კოჭლი ძაღლი, რომელიც მათი ცხოვრების ათ წელიწადს განასახიერებდა.

ცოტაც კიდევ გაიარეს. მერე, მათდა სამწუხაროდ, კარენინი გაჩერდა და სახლისკენ შეტრიალდა. დაბრუნება მოუხდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმავე ან, შეიძლება, მეორე დღეს ტერეზა ტომაშთან ოთახში შევიდა მოულოდნელად და დაინახა, რომ ტომაში წერილს კითხულობდა. კარის ხმა გაიგონა თუ არა, ტომაშმა წერილი სხვა ქაღალდებს შორის შეაცურა. ტერეზამ დაინახა ეს. ოთახიდან გასვლისას კი შეამჩნია, რომ ტომაშმა წერილი ჩუმად ჩაიცურა ჯიბეში, თუმცა კონვერტი არ გახსენებია. მარტო დარჩა თუ არა, ტერეზამ კონვერტს დახედა. ტერეზას ხელწერა არ ეცნო, თუმცა ის ძალიან დახვეწილი იყო და ქალის ნაწერს ჰგავდა.

მოგვიანებით, როდესაც ტომაში ნახა, მიღებული ფოსტით დაინტერესდა სხვათა შორის.

– არაფერი არ მოსულა, – უპასუხა ტომაშმა და ტერეზა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო, რადგან გადაჩვეული იყო ამ განცდას. ტერეზას არც უფიქრია, რომ ტომაშს საყვარელი ჰყავდა, ეს აქ შეუძლებელი იყო. ყოველთვის იცოდა, რას აკეთებდა ის თავისუფალ დროს. მაგრამ, შეიძლება, პრაღაში დარჩა საყვარელი, რომელზეც ფიქრობს და რომელიც აღელვებს, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქალს ტომაშის თმაში თავისი საშოს სუნის დატოვება აღარ შეუძლია. არა, სულაც არ ჰგონია, რომ ტომაში იმ ქალის გამო მიატოვებს, მაგრამ სოფლად გატარებული ბოლო ორი წლის ბედნიერება ტყუილით გაუფასურებული ეჩვენება.

ტერეზას ისევ ძველებურად ფიქრობს: მისი კერა ტომაში კი არა, კარენინია. ვინღა მომართავს მათი ცხოვრების კურანტს, როდესაც კარენინი მათთან აღარ იქნება?

ტერეზა მომავალზე ფიქრობდა, უკარენინო მომავალზე და იქ თავს მარტოსულად გრძნობდა.

კარენინი კუთხეში იწვა და კვნესოდა. ტერეზა ბაღში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავიდა. ორ ვაშლის ხეს შორის ბალახი მოათვალიერა და წარმოიდგინა, რომ კარენინს იქ დაასაფლავებენ. ფეხსაცმლის ქუსლით მიწაზე მართკუთხედი შემოხაზა. ეს საფლავის ადგილი იყო.

– რას შვრები? – შეეკითხა ტომაში, რომელმაც ტერეზას ისევე წაასწრო საქმიანობისას, როგორც რამდენიმე საათის წინ ტერეზამ მას წერილის კითხვის დროს.

ტერეზამ არ უპასუხა. ტომაშმა შეამჩნია, რომ პირველად დიდი ხნის შემდეგ მას ისევ უკანკალებდა ხელები. ხელები ჩასჭიდა, მაგრამ ტერეზამ თავი გაითავისუფლა.

– ეს კარენინის საფლავია?

ტერეზა დუმდა.

ამ დუმილმა ტომაშის მოთმინებას ბოლო მოუღო. ის აფეთქდა:

– მე მსაყვედურობ, რომ მასზე წარსულში ვფიქრობ! შენ რალას შვრები? შენ უკვე ასაფლავებ!

ტერეზამ ზურგი შეაქცია და სახლში შებრუნდა.

ტომაში თავის ოთახში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

ტერეზამ კარი შეუღო და უსაყვედურა:

– მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობ, იქნებ ახლა მაინც გეფიქრა ცოტაოდენი კარენინზე. ეძინა და გააღვიძე. ახლა ისევ იწკმუტუნებს.

კარგად იცოდა, რომ ტყუოდა (ძაღლს არ ეძინა), იცოდა, რომ ყველაზე ვულგარული ქალივით იქცეოდა, რომელსაც უნდა კაცს გული ატკინოს და იცის, როგორ მიაღწიოს ამას.

ტომაში თითის წვერებზე შევიდა ოთახში, სადაც კარენინი იწვა. ტერეზას მათი მარტო დატოვება არ უნდოდა. ისინი ერთდროულად დაიხარნენ კარენინისკენ. ამ საერთო მოძრაობაში შერიგება არ იგრძნობოდა. პირიქით, ორივე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარტო იყო: ტერეზა – თავის ძაღლთან, ტომაში – თავის ძაღლთან.

ვშიშობ, რომ ასე თავ-თავისთვის დარჩებიან კარენინის ბოლო წუთამდე.

4

რატომ არის ტერეზასთვის ასე მნიშვნელოვანი სიტყვა „იდილია“?

ჩვენ, ვინც ძველი აღთქმის მითოლოგიაზე აღვიზარდეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდილია არის წარმოდგენა, რომელიც ჩვენში დარჩა, როგორც მოგონება სამოთხეზე: სამოთხეში ცხოვრება არ ჰგავდა იმ სწორ ხაზზე რბენას, რომელსაც შეუცნობლისკენ მივყავართ. ის თავგადასავალი არ იყო, იგი ნაცნობ საგნებს შორის წრეზე მოძრაობდა. მისი ერთფეროვნება მოსაწყენი არ იყო, ის ბედნიერება იყო.

სანამ ადამიანი სოფლად ცხოვრობდა, ბუნებაში, შინაური ცხოველების გარემოცვაში, წელიწადის დროებისა და მათი გამეორების წრეში მოქცეული, მასთან სამოთხის იდილიის ნაპერწკალი მაინც რჩებოდა. ამიტომ, როდესაც ტერეზა საკურორტო ქალაქში სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეს შეხვდა, მოულოდნელად სოფელი წარმოუდგა თვალწინ (სოფელი, რომელშიც არასოდეს უცხოვრია და რომელსაც არ იცნობდა) და ამ წარმოდგენამ მოაჯადოვა. თითქოს უკან, სამოთხისაკენ, იყურებოდა.

როდესაც ადამი სამოთხეში წყაროსკენ დაიხარა, არ იცოდა, რომ წყალში საკუთარ თავს ხედავდა. ის ნამდვილად ვერ გაუგებდა ტერეზას, რომელიც, სრულიად ახალგაზრდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარკის წინ იდგა და საკუთარი სულის დანახვას ცდილობდა. ადამი კარენინივით იყო. ტერეზა ხშირად ერთობოდა იმით, რომ კარენინი სარკესთან მიჰყავდა. ის ვერ ცნობდა საკუთარ გამოსახულებას და მის მიმართ სრულ უინტერესობასა და უყურადღებობას ამჟღავნებდა.

ადამისა და კარენინის შედარებას იმ აზრამდე მივყავარ, რომ სამოთხეში ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი. უფრო ზუსტად: ადამიანი ჯერ არ იყო ადამიანობის გზაზე გამოგდებული. ჩვენ უკვე დიდი ხანია ამ გზაზე გამოგვყარეს და დროის სიცარიელეში მივექანებით, რომელიც სწორხაზოვნად მიედინება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს წვრილი ძაფი, რომელიც შორეულ და ბურუსით მოცულ სამოთხესთან გვაკავშირებს, სადაც ადამი წყაროსთან დახრილა და ნარცისისგან განსხვავებით, არ იცის, რომ ის მკრთალი ყვითელი ლაქა, რომელიც წყაროში გამოჩნდა, თვითონაა. სამოთხის მონატრება ადამიანის ოცნებაა, არ იყოს ადამიანი.

ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც დედამისის მენსტრუალური სისხლით დასვრილ საფენებს აწყდებოდა ხოლმე და წარმოუდგენელი ზიზღი ეუფლებოდა. ვერ იტანდა დედას იმისთვის, რომ მას არ რცხვენოდა, ეს საფენები შვილისთვის დაენახვებინა. მაგრამ კარენინსაც ჰქონდა ხოლმე მენსტრუაცია, რადგან მაინც დედალი იყო. ექვს თვეში ერთხელ ემართებოდა და ორ კვირას გრძელდებოდა. სახლი რომ არ დაესვარა, ტერეზა ფეხებს შორის ბამბის დიდ ნაჭერს უდებდა და თავის ძველ ქვედა საცვალს აცვამდა, რომელსაც ზონრით სხეულზე უმაგრებდა. შემდეგ კი მთელი ორი კვირა იცინოდა მის სასაცილო ჩაცმულობაზე.

რატომ ბადებდა ძაღლის მენსტრუაცია მასში მხიარულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და თბილ დამოკიდებულებას, როცა საკუთარი მენსტრუაცია მხოლოდ ზიზღს იწვევდა? პასუხი ძალიან მარტივი მეჩვენება: ძაღლი არასოდეს გაუგდიათ სამოთხიდან. კარენინმა არაფერი იცის სხეულისა და სულის დუალურობის შესახებ, არ იცის, რას ნიშნავს ზიზღი. ამიტომ გრძნობს ტერეზა მასთან თავს ასე კარგად და მშვიდად (ამიტომ არის ასე სახიფათო ცხოველის machina animata-დ და ძროხის რძის მწარმოებელ მანქანად გადაქცევა: ადამიანი წყვეტს ძაფს, რომელიც მას სამოთხესთან აკავშირებდა და დროის სიცარიელეში მის მოძრაობას ველარაფერი შეაჩერებს, ველარავინ ანუგეშებს).

ფიქრების ამ ქაოსიდან ტერეზაში ერთი მკრეხელური აზრი გამოიკვეთება, რომელსაც ვერაფრით იშორებს თავიდან: სიყვარული, რომელიც მას კარენინთან აკავშირებს, უკეთესია, ვიდრე მასა და ტომაშს შორის არსებული გრძნობა. უკეთესი და არა უფრო დიდი. ტერეზა ამაში არც ტომაშს ადანაშაულებს და არც საკუთარ თავს და არც იმის თქმა უნდა, რომ შეიძლებოდა ერთმანეთი უფრო მეტად ჰყვარებოდათ. უფრო იმ აზრისაკენ იხრება, რომ ქალისა და მამაკაცის წყვილი ისეა შექმნილი, რომ მათი სიყვარული აპრიორულად უფრო მდარეა, ვიდრე სიყვარული, რომელიც ძაღლსა და ადამიანს შორის (ყოველ შემთხვევაში, მისი საუკეთესო გამოვლინებისას) შეიძლება გაჩნდეს, რაც, ეტყობა, შემოქმედის მიერ დაუგეგმავი გაუგებრობაა ადამიანთა ისტორიაში.

ეს სიყვარული უანგაროა: ტერეზას კარენინისაგან არაფერი სჭირდება, არც საპასუხო სიყვარულს მოითხოვს მისგან. არასოდეს დაუსვამს შეკითხვა, რომელიც ადამიანთა წყვილებს აწუხებთ: ვუყვარვარ? ჩემზე მეტად ვინმე ჰყვარებია? მას უფრო ვუყვარვარ თუ მე უფრო მიყვარს? შეიძლება, სწორედ ეს კითხვები, რომლებითაც შეყვარებულები სიყვარულს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზომავენ, იკვლევენ, სწავლობენ და იძიებენ, ანადგურებს მას ჩანასახშივე. ალბათ, იმიტომაც არ შეგვიძლია სიყვარული, რომ დიდი სურვილი გვაქვს, ვინმეს ვუყვარდეთ, ანუ სხვისგან ველით რაღაცას (სიყვარულს), იმის ნაცვლად, რომ უანგაროდ მივუძღვნათ მას თავი და მხოლოდ ჩვენ გვერდით მისი ყოფნით დავკმაყოფილდეთ.

და კიდევ ერთი: ტერეზამ კარენინი მიიღო ისეთი, როგორიც იყო, არ უნდოდა მისი საკუთარი წარმოდგენებისთვის მიმსგავსება, წინასწარ ეთანხმებოდა მის ძაღლურ სამყაროს, არ უნდოდა ამ სამყაროს მისთვის წართმევა და არ ეჭვიანობდა მის ფარულ ხრიკებზე. წვრთნიდა მას არა იმიტომ, რომ გადაკეთება უნდოდა (როგორც მამაკაცს ცოლის გადაკეთება უნდა და ქალს – ქმრის), არამედ იმიტომ, რომ მისთვის ელემენტარული ენა ესწავლებინა, რაც მათ ურთიერთობისა და ერთად ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

და კიდევ: ძაღლის სიყვარული ჩვენი კეთილი ნებაა, ტერეზასთვის არავის დაუძალებია ეს სიყვარული (ტერეზა ისევ დედაზე ფიქრობს და იმას, რაც მათ შორის მოხდა, საშინლად განიცდის: დედამისი ერთ-ერთი უცნობი თანასოფლელი რომ ყოფილიყო, მისი მხიარული უხეშობა იქნებ მოსწონებოდა კიდეც! ეჰ, რა იქნებოდა, რომ დედა უცხო ქალი ყოფილიყო! ტერეზას ბავშვობიდან რცხვენოდა, რომ დედამ მისი სახის ნაკვთების „ოკუპაცია“ მოახდინა და წაართვა მისი „მე“. ყველაზე მძიმე კი ის იყო, რომ ძირძველი ბრძანება „პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ აიძულებდა, ამ ოკუპაციას შეგუებოდა, ამ აგრესიისთვის სიყვარული ეწოდებინა! დედის ბრალი არ იყო, რომ ტერეზამ ის მიატოვა. ტერეზამ იმიტომ კი არ მიატოვა, რომ ის ისეთი იყო, როგორიც იყო, არამედ იმიტომ, რომ დედა იყო).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და რაც მთავარია: არც ერთ ადამიანს არ შეუძლია მეორეს იდილია აჩუქოს. ეს მხოლოდ ცხოველს შეუძლია, რადგან ცხოველი არ გაუგდიათ სამოთხიდან. ადამიანსა და ცხოველს შორის სიყვარული იდილიურია. ამ სიყვარულში არ არის კონფლიქტი, სულის შემძვრელი სცენები, მასში არ არის განვითარება. კარენინმა ტომაშისა და ტერეზას ცხოვრება გამეორებაზე დამყარებული თავისი არსებობით შეავსო და მათგანაც იმავეს მოელოდა.

კარენინი ადამიანი რომ ყოფილიყო და არა ძაღლი, დიდი ხნის წინ ეტყოდა ტერეზას: „ძალიან მომბეზრდა ყოველ დილით პირით როხლიკის თრევა, არ შეგიძლია რამე ახალი მოიფიქრო?“ ამ ერთი ფრაზით ადამიანი ყველანაირადაა განკიცხული. ადამიანის დრო წრეზე კი არ ტრიალებს, სწორხაზოვნად მიედინება. სწორედ ამის გამო ადამიანს არ შეუძლია ბედნიერი იყოს, რადგან ბედნიერება გამეორების წყურვილია.

ნამდვილად, ბედნიერება გამეორების წყურვილია, ფიქრობს ტერეზა.

როდესაც კოოპერატივის თავმჯდომარე სამუშაოს მერე თავის მეფისტოს ასეირნებდა და უცაბედად ტერეზას გადაეყრებოდა ხოლმე, ეუბნებოდა: „ტერეზა, დროზე რატომ არ გავიცანი ეს ღორი? გოგოებში ერთად ვივლიდით! ორი ღრუტუნას ხიბლს ხომ ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებს!“ ღორი კი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ღრუტუნს იწყებდა. ტერეზას გულიანად ეცინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა, რას იტყოდა თავმჯდომარე. გამეორებული ხუმრობა ხიბლს არ კარგავდა. პირიქით. იდილიის არსებობისას იუმორიც გამეორების ტკბილ კანონს ექვემდებარება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძაღლს, ადამიანთან შედარებით, ბევრი უპირატესობა არ აქვს, თუმცა ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ძაღლის შემთხვევაში კანონი ევთანაზიას არ კრძალავს. ცხოველებს გულმოწყალე სიკვდილის უფლება აქვთ. კარენინი სამ ფეხზე დადიოდა და სულ უფრო მეტ ხანს ატარებდა კუთხეში მიყუჟული. კვნესოდა. ცოლ-ქმარი სრულიად ეთანხმებოდა ერთმანეთს იმაში, რომ კარენინს ტყუილად არ უნდა ეწვალა. მაგრამ არ შორდებოდათ ფიქრი: როგორ უნდა მიმხვდარიყვნენ, როდემდე გაგრძელებულიყო მისი ტანჯვა? როგორ უნდა დაედგინათ, როდის შეწყვეტილიყო მისი სიცოცხლე?

ნეტავ ტომაში ექიმი მაინც არ ყოფილიყო! მაშინ სხვა ვინმეს ამოეფარებოდნენ. წავიდოდნენ ვეტერინართან და ნემსის გაკეთებას სთხოვდნენ.

სიკვდილის როლის შესრულება საშინელებაა! ტომაში დიდხანს ამბობდა უარს საკუთარი ხელით ნემსის გაკეთებაზე და ამბობდა, ვეტერინარს დავუძახებო. შემდეგ კი მიხვდა, რომ შეუძლია კარენინს დიდი პრივილეგია მიანიჭოს. პრივილეგია, რომელიც არც ერთ ადამიანს არ ხვდება წილად: სიკვდილს კარენინისთვის იმათი სახე ექნება, ვინც უყვარს.

კარენინი მთელი ღამე კვნესოდა, დილით ტომაშმა გასინჯა და დაასკვნა, რომ ლოდინი აღარ ღირდა.

დილა იყო და სამსახურში ეჩქარებოდათ. ტერეზა კარენინის ოთახში შევიდა. აქამდე ის გაუნძრევლად იწვა (როდესაც ტომაში სინჯავდა, მისთვის ყურადღებაც კი არ მიუქცევია), მაგრამ ახლა, კარის ხმა რომ მოესმა, თავი წამოსწია და ტერეზას შეხედა.

ამ მზერამ ტერეზა ისე შეაშინა, რომ კარენინს თვალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აარიდა. ტომაშისთვის მას ასე არასოდეს შეუხედავს, ასე მხოლოდ ტერეზას უყურებდა. მაგრამ მისი მზერა ასეთი დაძაბული არასოდეს ყოფილა. ეს სასოწარკვეთილი ან ნაღვლიანი გამოხედვა არ იყო. მასში ახლა შიშის მომგვრელი და აუტანელი ნდობა იხატებოდა. ეს მზერა შეკითხვას გამოხატავდა. კარენინი მთელი ცხოვრება ელოდებოდა ტერეზას პასუხს და ახლა ატყობინებდა (იმაზე მეტი დაჟინებით, ვიდრე ოდესმე), რომ მზადაა, მისგან სიმართლე მოისმინოს (ყველაფერი, რასაც ტერეზა ამბობდა, კარენინისთვის სიმართლე იყო. ტერეზას რომ ეთქვა: „დაჯექი“ ან „დაწექიო“, კარენინისთვის ესეც სიმართლე იქნებოდა, რომელსაც ეთანხმებოდა და რომელიც მის ცხოვრებას აზრს სძენდა).

ნდობის გამომხატველი ეს მზერა ხანგრძლივი არ ყოფილა. მალე თავი ისევ თათებზე დადო. ტერეზამ იცოდა, რომ კარენინი მას ასე აღარასოდეს შეხედავდა.

კარენინს ტკბილეულს არასოდეს აჭმევდნენ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ტერეზამ შოკოლადი უყიდა. შოკოლადის ფილას ვერცხლის ქაღალდი შემოაცალა, დაამტვრია და იქვე დაუწყო. შემდეგ წყლიანი ჯამიც მიუდგა, რომ მათი არყოფნისას არაფერი მოჰკლებოდა. იმ მზერამ, რომელიც ცოტა ხნის წინ ტერეზას მიაპყრო, თითქოს დაღალა კარენინი. იწვა და იქვე დაწყობილი შოკოლადის ნატეხების მიუხედავად, არც კი ინძრეოდა.

ტერეზა კარენინს მიუწვა და მიეხუტა. დაღლილმა ძაღლმა ძალიან ნელა დაყნოსა ის და ერთი-ორჯერ აულოკა ლოყა, ტერეზამ კი თვალები დახუჭა, თითქოს ამის სამუდამოდ დამახსოვრება უნდაო. მერე თავი ისე მიატრიალა, რომ კარენინს მეორე ლოყაც აელოკა მისთვის.

მოგვიანებით ტერეზა თავის დეკეულებთან წავიდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შინ მხოლოდ სადილის შემდეგ დაბრუნდა. ტომაში ჯერ არ მოსულიყო. კარენინი ისევ ისე იწვა, შოკოლადის ნატეხებიც ისევ ისე ეწყო. ამჯერად კარის ხმაზე თავიც კი აღარ წამოუწევია. ავადმყოფი თათი გასივებოდა და სიმსივნე ახალ ადგილას გამსკდარიყო. ბეწვში ღია წითელი ფერის წვეთი მოჩანდა (რომელიც სისხლს არ ჰგავდა). ტერეზა ისევ გვერდით მიუწვა, ხელი სხეულზე დაადო და თვალები დახუჭა. შემდეგ კარზე კაკუნის ხმა გაიგონა და მოესმა: – ბატონო ექიმო, ბატონო ექიმო! ღორი და მისი თავმჯდომარე გახლავართ! – ტერეზას არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა. არც განძრეულა და არც თვალები გაუხელია. მერე კიდევ ერთხელ მოისმა: – ბატონო ექიმო, დინგიანები მოგადექით! – და სიჩუმე ჩამოვარდა.

დაახლოებით ნახევარ საათში ტომაშიც დაბრუნდა. ჩუმად გავიდა სამზარეულოში და შპრიცი მოამზადა. ოთახში რომ შევიდა, ტერეზა უკვე ფეხზე იყო, კარენინი კი ადგომას ცდილობდა და ტომაშის დანახვაზე კუდი ოდნავ გააქნია.

– შეხედე, – თქვა ტერეზამ, – ისევ იღიმება!

ეს სიტყვები თხოვნით, მაგრამ ჩუმად წარმოთქვა, თითქოს სიცოცხლის ოდნავ გახანგრძლივებას ითხოვდა, მაგრამ არა დაჟინებით.

ტერეზამ ტახტზე ზეწარი დააფინა. ჩვეულებრივი თეთრი ზეწარი იყო, ზედ მიმოფანტული პატარა იებით. სხვა ყველაფერიც წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული ჰქონდა, თითქოს კარენინის სიკვდილი ბევრად უფრო ადრე ზუსტად ჰქონოდა წარმოდგენილი (რა საშინელებაა, წინასწარ ვოცნებობთ იმათ სიკვდილზე, ვინც გვიყვარს!).

ტახტზე ასახტომად კარენინს ძალა არ ეყო. ხელში ერთად აიყვანეს და დააწვინეს, შემდეგ ტერეზამ გვერდზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადააბრუნა, ტომაშმა კი თათი გაუსინჯა. ეძებდა ადგილს, სადაც ვენა ყველაზე უკეთ ჩანდა და მერე იმ ადგილას მაკრატლით ბეწვი ააჭრა.

ტერეზამ ტახტთან ჩაიჩოქა და კარენინი თავით მიიხუტა. ტომაშმა სთხოვა, უკანა თათზე ვენის ძირში ღონივრად მოეჭრა ხელი, რადგან ვენა ნემსის შესაყვანად ძალიან წვრილი იყო. ხელით კარენინის თათი ეჭირა, სახე კი ისევ კარენინის თავზე ჰქონდა მიდებული. ჩუმად ელაპარაკებოდა და ძაღლიც მხოლოდ მასზე ფიქრობდა. არ ეშინოდა. კიდევ ორჯერ აულოკა ლოყა. ტერეზა კი ეჩურჩულებოდა: – ნუ გეშინია, ნუ გეშინია, იქ არაფერი არ გეტკინება, იქ ციყვები და კურდღლები დაგესიზმრება, ძროხები იქნებიან და მეფისტოც იქ გეყოლება, ნუ გეშინია...

ტომაშმა ნემსი ვენაში შეიყვანა და დგუშს თითი დააჭირა. კარენინმა თათი ოდნავ შეატოკა, რამდენიმე წამს აჩქარებულად სუნთქავდა, მერე კი მისი სუნთქვა მოულოდნელად შეწყდა. ტერეზა ტახტთან იყო ჩაჩოქილი და სახით თავზე ეკვროდა.

მერე ისევ სამუშაოზე წავიდნენ, ძაღლი კი იებიან თეთრ ზეწარზე მწოლიარე დატოვეს.

შინ საღამოს დაბრუნდნენ. ტომაში ბაღში გავიდა. ორ ვაშლის ხეს შორის ოთხი ხაზი მოძებნა, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ტერეზამ ქუსლით მონიშნა და მიწის ამოთხრა დაიწყო. ზუსტად იცავდა წინასწარ განსაზღვრულ ზომებს. უნდოდა, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც ტერეზას სურდა.

ტერეზა სახლში იყო და კარენინს არ შორდებოდა. ეშინოდა, ცოცხალი არ დაემარხათ. ყური ცხვირზე მიადო და მოეჩვენა, თითქოს სუსტი სუნთქვა ესმოდა, მერე უკან დაიხია და მისი მკერდის მსუბუქი მოძრაობა დაინახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(არა, ტერეზას საკუთარი სუნთქვა მოესმა, რომელიც მის სხეულს უმნიშვნელოდ ამოძრავებდა, ამიტომაც მოეჩვენა, რომ კარენინის მკერდი მოძრაობდა).

ჩანთაში სარკე იპოვა და ცხვირთან მიუტანა ძაღლს. სარკე ისეთი ჭუჭყიანი იყო, რომ სუნთქვით დაორთქლილი ეგონა.

– ტომაშ, ცოცხალია! – დაიყვირა მან, როდესაც ტომაშმა ტალახიანი ფეხსაცმელებით შინ შემოაბიჯა.

ის ძაღლისკენ დაიხარა და თავი გააქნია.

ორივე თავ-თავისი მხრიდან ჩაეჭიდა ზეწარს: ტერეზა ფეხების მხრიდან, ტომაში თავის მხრიდან, ასწიეს და ბაღში გაიტანეს.

ზეწარი სველი იყო. პატარა გუბით მოვიდა ჩვენთან და გუბითვე გაგვშორდა, გაიფიქრა ტერეზამ და გაუხარდა, რომ გრძნობს ამ სისველეს, კარენინის უკანასკნელ სალამს.

ვაშლის ხეებთან მიიტანეს და ორმოში ჩაუშვეს. ტერეზა დაიხარა და ზეწარი ისე გაასწორა, რომ ძაღლი მთლიანად დაეფარა. აუტანლად ეჩვენებოდა ის აზრი, რომ მიწა, რომელსაც ახლა დააყრიან, მის შიშველ სხეულს უნდა შეხებოდა.

მერე სახლში შებრუნდა, საყელური, სადრუნჩე და შოკოლადი გამოიტანა, რომელსაც კარენინი არც კი მიჰკარებია და ყველაფერი ორმოში ჩააწყო.

ორმოს გვერდით ახლად ამოთხრილი მიწის გროვა აღმართულიყო. ტომაშმა ნიჩაბი აიღო.

ტერეზას თავისი სიზმარი გაახსენდა: კარენინმა ორი ვანილის როხლიკი და ერთი ფუტკარი გააჩინა. ეს ფრაზა ეპიტაფიასავით ჟღერდა. წარმოიდგინა, რომ აქ, ორ ვაშლის ხეს შორის, დგას ძეგლი წარწერით: „აქ განისვენებს კარენინი. გააჩინა ორი ვანილის როხლიკი და ერთი ფუტკარი“.

ბაღში ბინდი იწვა, დრო დღესა და საღამოს შორის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცაში გაფითრებული მთვარე ეკიდა, მკვდრების ოთახში დავიწყებული ლამპარი.

ისე, რომ ტალახიანი ფეხსაცმელები არ გაუხდიათ, წაიღეს ნიჩბები ფარდულში, სადაც სხვა იარაღიც იყო: ფოცხი, წერაქვი, თოხი.

6

ტომაში თავის ოთახში მაგიდასთან იჯდა, სადაც, როგორც წესი, წიგნს კითხულობდა ხოლმე. ტერეზა, ჩვეულებრივ, უკნიდან უახლოვდებოდა, იხრებოდა და ლოყით ლოყაზე ეკრვოდა. იმ დღესაც ასე მოიქცა და შენიშნა, რომ ტომაშს წინ წიგნი კი არა, წერილი ედო. მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ მანქანით ნაბეჭდი ხუთი პნკარისგან შედგებოდა, ტომაში თვალს ვერ აშორებდა.

– რა არის? – შეძრწუნებულმა იკითხა ტერეზამ.

ისე, რომ ტერეზასკენ არც კი მიტრიალებულა, ტომაშმა წერილი აიღო და მიაწოდა. წერილში ეწერა, რომ იმავე დღეს ტომაში მეზობელი ქალაქის აეროპორტში უნდა გამოცხადებულიყო.

როგორც იქნა, ტომაშმა თავი მოაბრუნა და ტერეზამ მის თვალებში ისეთივე ძრწოლა დაინახა, როგორიც ერთი წამით ადრე თვითონ განიცადა.

– წამოგყვები.

– გამოძახება მხოლოდ მე მეხება, – გააქნია თავი ტომაშმა.

– არა, წამოგყვები, – გაიმეორა ტერეზამ.

მეზობელი ქალაქისკენ ტომაშის სატვირთო მანქანით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაემგზავრნენ. აეროპორტს სწრაფად მიაღწიეს. ნისლიანი დღე იყო. მათ წინ რამდენიმე თვითმფრინავის სილუეტი იკვეთებოდა ბუნდოვნად. ერთი თვითმფრინავიდან მეორისკენ გადადიოდნენ, მაგრამ კარი ყველას ჩაკეტილი ჰქონდა. ბოლოს მიაგნეს თვითმფრინავს ღია შესასვლელით, რომელთანაც კიბე იყო მიდგმული. კიბეებს აუყვნენ, კართან სტიუარდი შეეგებათ და შიგნით შეაცილა. პატარა, დაახლოებით ოცდაათ მგზავრზე გათვალისწინებული თვითმფრინავი ცარიელი იყო. სავარძლების რიგებს შორის დატოვებულ გასასვლელს გაუყვნენ. რა ხდებოდა ირგვლივ, დიდად არ აინტერესებდათ. ერთმანეთის გვერდით დასხდნენ და ტერეზამ ტომაშს მხარზე დაადო თავი. თავდაპირველი ძრწოლა სადღაც გაქრა და ნაღვლიანმა განწყობამ შეცვალა.

ძრწოლა შოკია, სრული დაბრმავების წამი. ძრწოლას სილამაზის ნატამალიც კი არ ახლავს და ამ დროს მოსალოდნელი უცნობი მოვლენისაგან მომდინარე მკვეთრი განათების გარდა ვერაფერს ვხედავთ. ნაღვლიანი განწყობა, პირიქით, მოსალოდნელის ცოდნას გულისხმობს. ძრწოლის სინათლემ სიმკვეთრე დაკარგა და სამყარო ნაზ ცისფერ შუქში გაეხვია, რომელშიც ყველაფერი ადრინდელზე ლამაზი ჩანდა.

როდესაც ტერეზა წერილს კითხულობდა, ტომაშის მიმართ ვერავითარ სიყვარულს ვერ გრძნობდა, მხოლოდ ის იცოდა, რომ მისი წამით დატოვების უფლებაც კი არ ჰქონდა: ძრწოლამ მასში ყველა სხვა გრძნობა და შეგრძნება დათრგუნა. ახლა, მას რომ ეხუტებოდა (თვითმფრინავი ღრუბლებში მიცურავდა), შიშმა ხელი უშვა და ტერეზა საკუთარ სიყვარულს გრძნობდა, იცოდა, რომ ეს უსაზღვრო და უზომო სიყვარულია.

როგორც იქნა, თვითმფრინავი დაეშვა. სტიუარდმა კარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გააღო, წამოდგნენ და კარისკენ გაემართნენ. ხელები წელზე შემოეხვიათ ერთმანეთისთვის და კიბის თავში იდგნენ. ქვევით სამი შეიარაღებული მამაკაცი შენიშნეს, სამივეს ნიღაბი ეკეთა. დაყოვნებას აზრი არ ჰქონდა, გასაქცევი მაინც არსაით იყო. ამიტომ ნელა ჩაუყვნენ კიბეს. შეახეს თუ არა ფეხი მიწას, ერთ-ერთმა მამაკაცმა იარაღი ასწია და დაუმიზნა. ტერეზას გასროლის ხმა არ გაუგონია, მაგრამ იგრძნო, რომ ტომაში, რომელიც ჯერ კიდევ წამის წინ იხუტებდა და ხელი წელზე ჰქონდა მოხვეული, ეცემოდა.

ტერეზა სცადა, დაეჭირა ტომაში, მაგრამ ვერ შეძლო და ის ასაფრენი ბილიკის ბეტონის ფილაზე დაეცა. მისკენ დაიხარა, უნდოდა საკუთარი სხეულით გადაფარებოდა, მაგრამ ამ დროს წარმოუდგენელი რამ მოხდა: ტომაშის სხეულმა დიდი სისწრაფით დაპატარავება დაიწყო. ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ტერეზა ადგილზე გაიყინა. ტომაშის სხეული სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა, უკვე საკუთარ თავსაც კი აღარ ჰგავდა. მისგან მხოლოდ პატარა რაღაც დარჩა, რომელმაც მოძრაობა დაიწყო და ბოლოს აეროდრომის მინდვრისკენ გაიქცა.

კაცმა, რომელმაც ტომაშს ესროლა, ნიღაბი მოიხსნა და ალერსიანად გაუღიმა ტერეზას. შემდეგ მიტრიალდა და იმ პატარა არსების დასაჭერად გაიქცა, რომელიც თავგზააბნეული აქეთ-იქით ისე დარბოდა, თითქოს ვინმეს გაურბის და თავშესაფარს ეძებსო. მამაკაცი ცოტა ხანს დასდევდა, ბოლოს სწრაფი ნახტომით მიწაზე განერთხა და დევნაც დასრულდა.

კაცი წამოდგა და ტერეზასკენ წამოვიდა. ხელში რაღაც პატარა არსება ეჭირა, რომელიც კურდღელი აღმოჩნდა. ტერეზას მიაწოდა და მასაც შიში და ნაღველი გაუქრა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბედნიერი იყო, რომ ხელში პატარა ცხოველი ეჭირა, რომ ეს პატარა ცხოველი მისი იყო და შეეძლო, გულში ჩაეკრა. ბედნიერებისაგან ცრემლები წამოსცვივდა. ტიროდა და ტიროდა, აცრემლებული თვალებით ვერაფერს ხედავდა და კურდღელი იმ შეგრძნებით მიჰყავდა სახლში, რომ ბოლოს და ბოლოს ახლოსაა მიზანთან, რომ იქ არის, სადაც უნდოდა ყოფნა, იქ არის, საიდანაც აღარ გარბიან.

პრალის ქუჩებში მიიკვლევდა გზას, სახლს ადვილად მიაგნო. პატარაობისას დედასთან და მამასთან ერთად ცხოვრობდა ამ სახლში. მაგრამ აქ ახლა არც დედა იყო და არც მამა. მხოლოდ ორი მოხუცი შეეგება, რომლებიც აქამდე არასდროს უნახავს, მაგრამ იცოდა, რომ ისინი დიდი ბებია და ბაბუა იყვნენ. სახეები ხის მერქანივით დანაოჭებული ჰქონდათ და ტერეზას გაუხარდა, რომ მათთან ერთად იცხოვრებდა. მაგრამ ახლა თავის კურდღელთან მარტო ყოფნა უნდოდა. ადვილად მიაგნო ოთახს, რომელშიც ხუთი წლიდან ცხოვრობდა, როდესაც მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ უკვე თავისი ოთახი სჭირდებოდა.

ოთახში დივანი, მაგიდა და სკამი დახვდა. მაგიდაზე ანთებული ნათურა იდგა, რომელიც მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ელოდებოდა. ნათურაზე კი ფრთაგაშლილი პეპელა იჯდა, ფრთებზე ორი დიდი თვალი ეხატა. ტერეზამ იცოდა, რომ მიზანს მიაღწია. დივანზე დაწვა და კურდღელს სახით მიეხუტა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაში მაგიდასთან იჯდა, სადაც, ჩვეულებრივ, წიგნებს კითხულობდა ხოლმე. წინ გახსნილი კონვერტი და წერილი ედო.

– დროდადრო წერილებს ვიღებ, – უთხრა ტერეზას. – შენთვის ამის თქმა არ მინდოდა. შვილი მწერს. ვცდილობდი, ჩემი და მისი ცხოვრება არასდროს არ გადაკვეთილიყო და აი შეხედე, როგორ გადამიხადა ბედმა სამაგიერო. უკვე რამდენიმე წელია, სასწავლებლიდან გამოაგდეს. რომელიღაც სოფელში ტრაქტორისტად მუშაობს. მართალია, ჩემი და მისი ცხოვრება ერთმანეთს არ შეხებია, მაგრამ თურმე პარალელური წრფეებივით ერთი და იმავე მიმართულებით მიექანებოდა.

– რატომ არ გინდოდა ამ წერილებზე ლაპარაკი? – იკითხა ტერეზამ და თან შვებით ამოისუნთქა.

– არ ვიცი. ეს ჩემთვის ცოტა უსიამოვნო იყო.

– ხშირად გწერს?

– დროდადრო.

– რაზე გწერს?

– თავის თავზე.

– მერე, საინტერესოა?

– კი. ხომ იცი, დედამისი მხურვალე კომუნისტი იყო. დიდი ხანია, დაშორდა დედას და იმ ხალხს დაუმეგობრდა, რომლებიც ბოლოს ჩვენს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პოლიტიკაში ჩარევას ცდილობდნენ. ზოგიერთი ახლა ციხეშია. მაგრამ მათთანაც გაწყვიტა კავშირი. ახლა შორიდან ადევნებს თვალყურს და „მუდმივ რევოლუციონერებს“ უწოდებს.

– ანუ შეეგუა რეჟიმს, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სულაც არა. მორწმუნე გახდა და ჰგონია, რომ ესაა უმთავრესი. ფიქრობს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიით დადგენილი ნორმებით უნდა ვიცხოვროთ, რეჟიმის არსებობა კი საერთოდ დავივიწყოთ. თუ ღმერთის გვწამს, როგორც ის ამბობს, ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარი ქცევით შეგვიძლია შევქმნათ ის, რასაც თვითონ „მიწაზე ღვთის სასუფეველს“ ეძახის. მიხსნის, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკლესია ხალხის ერთადერთი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს თავი დააღწია. საინტერესოა, ეკლესიას იმიტომ ეტანება, რომ რეჟიმს უკეთესად შეეწინააღმდეგოს, თუ მართლა სწამს ღმერთის.

– შენც ადექი და ჰკითხე!

– ყოველთვის მშურდა მორწმუნეების, – განაგრძო ტომაშმა. – მეგონა, აღქმის განსაკუთებული, ჩვეულებრივ შეგრძნებებზე მაღლა მდგომი, ნიჭი ჰქონდათ, რომელიც მე არ მარგუნა ბედმა, რაღაც წინასწარმეტყველთა მსგავსი. ახლა კი ჩემი შვილის მაგალითზე მივხვდი, რომ ძალიან ადვილია, გწამდეს. როცა ცუდ დღეში იყო, კათოლიკეები გვერდში ამოუდგნენ და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ღმერთის ეწამა. გამორიცხული არ არის, რომ მორწმუნეობა მადლიერების გრძნობამ გადააწყვეტინა. ადამიანი საოცრად ადვილად იღებს ხოლმე გადაწყვეტილებებს.

– წერილებზე არასოდეს გიპასუხია?

– მისამართი არ მოუცია.

მერე დაუმატა: – საფოსტო ბეჭედზე სოფლის სახელი წერია. შეიძლებოდა, იმ სოფლის კოოპერატივის მისამართზე გამეგზავნა წერილი.

ტერეზას კი ტომაშის წინაშე საკუთარი ეჭვების რცხვენოდა და მისი შვილის მიმართ გამოჩენილი ნაჩქარევი ყუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რადღებით დანაშაულის გამოსყიდვა სცადა: – რატომ არაფერს არ მისწერ? რატომ არ გინდა, მოიპატიჟო?

– მე მგავს, – თქვა ტომაშმა, – ლაპარაკისას ზედა ტუჩს ზუსტად ჩემსავით გრეხს და საკუთარი ტუჩი, რომელიც ღმერთზე ლაპარაკობს, უჩვეულო სანახაობაა.

ტერეზას გაეცინა. სიცილი ტომაშსაც გადაედო.

– ტომაშ, ნუ ბავშვობ! – უთხრა ტერეზამ. – შენი და შენი პირველი ცოლის ურთიერთობა ხომ ძველისძველი ისტორიაა. რაში მაინტერესებს ეს ამბავი? რა მაქვს ამასთან საერთო? რატომ უნდა ატკინო ვინმეს გული იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში ცუდი გემოვნება გქონდა?

– მართალი გითხრა, ამ შეხვედრის ცოტა მეშინია. ამიტომაც ვარიდებ თავს. არ მესმის, ასე ჯიუტად რატომ არ მინდა მისი ნახვა. ზოგჯერ რაღაც გადაწყვეტილებას იღებ ისე, რომ თვითონაც არ გესმის, როგორ მოხდა ეს, მერე კი ეს გადაწყვეტილება ინერციით აგრძელებს არსებობას. და წლიდან წლამდე უფრო და უფრო ძნელდება რამის შეცვლა.

– მოიპატიჟე, – უთხრა ტერეზამ.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ტერეზა ბოსლიდან ბრუნდებოდა, როდესაც გზიდან ხმაური მოესმა. იქაურობას რომ მიუახლოვდა, ტომაშის სატვირთო მანქანა დაინახა. ტომაში დახრილიყო და მანქანას საბურავს ხსნიდა, იქვე რამდენიმე კაცი იდგა, მისჩერებოდნენ და ელოდნენ, როდის მორჩებოდა მანქანის შეკეთებას.

ტერეზა იდგა და თვალს ვერ აშორებდა: ტომაში მობერებული ჩანდა. თმა გასჭალარავებოდა და მოძრაობებიც მოუქნელი ჰქონდა. ეს იმ ექიმის მოუქნელობა კი არ იყო, რომელიც მძღოლად მუშაობს, არამედ იმ ადამიანისა, რომელიც ახალგაზრდა აღარ არის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაახსენდა თავმჯდომარესთან თავისი საუბარი. თავმჯდომარემ დაიჩივლა, რომ ტომაშის მანქანა საცოდავ მდგომარეობაშია. ამას ხუმრობით ამბობდა და მის ხმაში ჩივილზე უფრო მზრუნველობა ისმოდა. „ტომაში ადამიანის მოწყობილობაში ბევრად უკეთ ერკვევა, ვიდრე ძრავაში“, – იცინოდა. შემდეგ კი გამოტყდა, რომ რამდენჯერმე შესაბამის სამსახურს მიაკითხა თხოვნით, ტომაშისთვის მათ რაიონში სამედიცინო პრაქტიკის უფლება მიეცათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ პოლიცია ამას არასდროს დაუშვებს.

ტერეზა ხეს მოეფარა, რომ იქ მდგომ მამაკაცებს არ შეემჩნიათ და თან თვალს არ აცილებდა ტომაშს. გული ეკუმშებოდა სინდისის ქენჯნისგან: მის გამო დატოვა ტომაშმა ციურიხი და პრაღაში ჩამოვიდა, ბოლოს კი, ისევ და ისევ მის გამო, პრაღის მიტოვებაც მოუხდა. ტერეზამ არც აქ აცალა მშვიდად ცხოვრება და მაშინაც კი აწვალებდა თავისი ფარული ეჭვიანობით, როცა კარენინი კვდებოდა.

გულის სიღრმეში ტომაშს ყოველთვის სიყვარულის ნაკლებობას საყვედურობდა. საკუთარ სიყვარულს ეჭვშეუტანლად თვლიდა, ტომაშის სიყვარულს კი მხოლოდ შემწყნარებლობად აღიქვამდა.

ახლა კი ხედავს, რომ ცდებოდა: მართლა დიდი სიყვარულით რომ ჰყვარებოდა ტომაში, მასთან ერთად დარჩებოდა უცხოეთში! იქ ის ბედნიერი იყო და წინ ახალი ცხოვრება ელოდა! და მიუხედავად ამისა, გაექცა! თუმცა მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ამას მხოლოდ დიდსულოვნების გამო აკეთებდა, რათა მძიმე ტვირთად არ დასწოლოდა ტომაშს. მაგრამ ეს დიდსულოვნება თავის დაძვრენის მცდელობა ხომ არ იყო? გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ ტომაში აუცილებლად დაუბრუნდებოდა! სულ უფრო და უფრო ქვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით ითრევდა მას, როგორც ვილები იტყუებენ სოფლელებს ჭაობში და ახრჩობენ. კუჭის ტკივილით გამოწვეული სისუსტე კი იმისთვის გამოიყენა, რომ ტომაშისთვის სოფელში გადასახლების პირობა გამოეტყუებინა. რა ცბიერი ყოფილა! იტყუებდა, თითქოს ამოწმებდა, უყვარდა თუ არა; იმდენ ხანს იტყუებდა, სანამ ტომაში აქ არ აღმოჩნდა: ჭაღარა და დაღლილი, დამახინჯებული ხელებით, რომლებიც ველარასოდეს შეძლებენ სკალპელის დაჭერას.

იქ აღმოჩნდნენ, საიდანაც ველარსად წავიდოდნენ. ან სად უნდა წავიდნენ? საზღვარგარეთ მათ არავინ გაუშვებს. პრაღისკენ გზა მოჭრილი აქვთ, იქ ტომაშს სამსახურს აღარ მისცემენ. სხვა სოფელში გადასასახლებლად კი არავითარი მიზეზი არ არის.

ღმერთო, ნუთუ მართლა აქამდე უნდა მოსულიყვნენ იმის დასაჯერებლად, რომ ტომაშს ის მართლა უყვარს?

ბოლოს და ბოლოს, ტომაშმა საბურავი დააყენა. საჭეს მიუჯდა, კაცები ძარაზე ავიდნენ და ძრავას ხმაც გაისმა.

შინ დაბრუნებულმა ტერეზამ აბაზანა წყლით აავსო. ცხელ წყალში იწვა და ფიქრობდა, რომ მთელი ცხოვრება ტომაშის წინააღმდეგ საკუთარ სისუსტეს იყენებდა. მიჩვეული ვართ, ყველაფერი ძალას დავაბრალოთ და სისუსტე უდანაშაულო მსხვერპლად გამოვაცხადოთ. მაგრამ ახლა ტერეზა ხვდება: მათ ცხოვრებაში ყველაფერი პირიქით იყო! თითქოს მისმა სიზმრებმა იცოდნენ ამ ძლიერი მამაკაცის ერთადერთი სისუსტე, ამიტომაც ტერეზას ტანჯვას თვალსაჩინოს ხდიდნენ მისთვის და ამით ფარ-ხმალს აყრევინებდნენ! ტერეზას სისუსტე აგრესიული იყო და ტომაშს ყოველთვის უკან დახევა უხდებოდა, სანამ ბოლოს და ბოლოს არ დაუძლურდა და კურდღლად არ გადაიქცა, რომელიც ტერეზას ჰყავდა ატატებული. ტერეზა ვერ ივიწყებდა იმ სიზმარს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სააბაზანოდან გამოსულმა გადაწყვიტა, ყველაზე ლამაზი კაბა ჩაეცვა, რომ ტომაშს მოსწონებოდა, რომ მისთვის ესიამოვნებინა.

ძლივს მოასწო ბოლო ღილის შეკვრა, რომ ტომაში თავმჯდომარესთან და საშინლად გაფითრებულ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ხმაურით შემოიჭრა სახლში.

– ჩქარა, ჩქარა, – იძახდა ტომაში, – არაყი!

ტერეზა გაიქცა, ერთი ბოთლი სლივოვიცე მოიტანა და პატარა ჭიქაში დაასხა. სტუმარმა სასმელი ერთ ყლუპად გადაკრა.

ამ დროს გაიგო ტერეზამ, რომ ახალგაზრდას მუშაობისას ხელი ამოეგდო და ტკივილისაგან ღმუოდა. არავინ იცოდა, რა ექნათ და ტომაშს დაუძახეს, რომელმაც ამოგდებული მხარი ერთი მოძრაობით ჩაუსვა თავის ადგილას.

ყმაწვილმა კიდევ ერთი ჭიქა გადაკრა და ტომაშს მიმართა:

– შენი ქალბატონი დღეს ძალიან ლამაზია!

– სულელო, – მიაძახა თავმჯდომარემ, – ქალბატონი ტერეზა ყოველთვის ლამაზია.

– ვიცი, რომ ყოველთვის ლამაზია, – თქვა ყმაწვილმა, – მაგრამ დღეს ლამაზადაც აცვია. ასე გამოწყობილი არასოდეს გვინახიხართ, სადმე მიბრძანდებით?

– არა, არსად არ მივდივარ, ასე ტომაშისთვის ჩავიცვი.

– ექიმო, ქალიც ასეთი უნდა, – იცინოდა თავმჯდომარე. – ჩემი ბებერი ჩემთვის ასე არასოდეს იპრანჭება.

– ჰოდა იმიტომაც სეირნობ ღორთან ერთად და არა ცოლთან ერთად, – თქვა ახალგაზრდამ და მერე დიდხანს იცინოდა.

– მეფისტო როგორ არის? – იკითხა ტომაშმა. – თითქმის... – ჩაფიქრდა: – თითქმის ერთი საათია არ მინახავს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ალბათ, ვენატრები ახლა, – გაიცინა თავმჯდომარემ.

– ასე ჩაცმულს რომ გხედავთ, თქვენთან ცეკვა მინდება, – უთხრა ახალგაზრდამ ტერეზას. – ექიმო, გამოუშვებდით ჩემთან საცეკვაოდ?

– მოდი ყველანი ერთად წავიდეთ საცეკვაოდ, – თქვა ტერეზამ.

– წამოხვიდოდით? – შეეკითხა ახალგაზრდა ტომაშს.

– წამოვიდოდი, მაგრამ სად? – დაინტერესდა ტომაში.

ყმაწვილმა გაიხსენა ერთი სასტუმრო მეზობელ სოფელში, სადაც ბარი იყო თავისი საცეკვაო მოედნით.

– ჩვენთან ერთად წამოხვალ! – მბრძანებლურად მიმართა ახალგაზრდამ თავმჯდომარეს და რადგან უკვე სამი ჭიქა სლივოვიცე ჰქონდა დალეული, დააყოლა: – და თუ მეფისტო მოწყენილია, ისიც თან წავიყვანოთ! ორ ღრუტუნას მივიყვანთ! ქალები აღფრთოვანდებიან, მათ რომ დაინახავენ! – და ისევ დიდხანს იცინოდა.

– თუ მეფისტოსი არ შეგრცხვებათ, მაშინ მოვდივარ, – თქვა თავმჯდომარემ და ყველანი ტომაშის სატვირთო მანქანისკენ წავიდნენ. ტომაში საჭეს მუჯდა, ტერეზა მის გვერდით მოთავსდა, მამაკაცები ძარაზე ავიდნენ და სლივოვიცეს ნახევრად დაცლილი ბოთლიც თან წაიღეს. უკვე სოფლიდან იყვნენ გასული, როდესაც თავმჯდომარეს გაახსენდა, რომ მეფისტოს წამოყვანა დაავიწყდათ და ტომაშს დაბრუნება სთხოვა. – არ არის საჭირო, ერთი ღრუტუნაც საკმარისია, – უთხრა ახალგაზრდამ და თავმჯდომარეც დაწყნარდა.

ბინდდებოდა, მიხვეულ-მოხვეული გზა მაღლა მიიწევდა.

მალე ქალაქსაც მიაღწიეს და მანქანა სასტუმროს წინ დატოვეს. ტერეზა და ტომაში აქ არასოდეს ყოფილან. კიბით სარდაფში ჩავიდნენ, სადაც ბარი იყო თავისი საცეკვაო მოედ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნითა და რამდენიმე მაგიდით. ბარში დაახლოებით სამოცი წლის მამაკაცი უკრავდა პიანინოზე და დაახლოებით იმავე ასაკის ქალი – ვიოლინოზე. ორმოცი წლის წინანდელ შლაგერებს უკრავდნენ, მოედანზე კი სულ ხუთი წყვილი ცეკვავდა.

ახალგაზრდამ მიმოიხედა და დაასკვნა: – საჩემოს აქ ვერავის ვხედავ, – და სასწრაფოდ ტერეზა გაიწვია საცეკვაოდ.

თავმჯდომარე ტომაშთან ერთად თავისუფალ მაგიდას მიუჯდა და ერთი ბოთლი ღვინო შეუკვეთა.

– ვერ დავლევ, საჭესთან ვარ, – შეახსენა ტომაშმა.

– რა სისულელეა, – თქვა თავმჯდომარემ, – ღამეს აქ გავათევთ, – და სასტუმროს მისაღებისკენ გაემართა ნომრების შესაკვეთად.

მალე ტერეზაც მობრუნდა ახალგაზრდასთან ერთად, საცეკვაოდ კი ამჯერად თავმჯდომარემ გაიწვია. მხოლოდ ამის შემდეგ იცეკვეს ტერეზამ და ტომაშმა.

ცეკვისას ტერეზამ უთხრა: – ტომაშ, რაც კი ცუდია შენს ცხოვრებაში, ჩემი ბრალია. აქაც კი ჩემ გამო მოხვდი, ამ ფსკერზე, საიდანაც გასაქცევი აღარ არის.

– რას სულელობ? – გაიკვირვა ტომაშმა. – რომელ ფსკერზე მელაპარაკები?

– ციურიხში რომ დავრჩენილიყავით, ოპერაციებს გააკეთებდი.

– შენ კი ფოტოებს გადაიღებდი.

– სულელური შედარებაა, – თქვა ტერეზამ. – შენი სამუშაო შენთვის ყველაფერი იყო, მე კი შემიძლია ნებისმიერი საქმე ვაკეთო და ჩემთვის სულერთია, რას ვაკეთებ. მე არაფერი დამიკარგავს, შენ კი ყველაფერი დაკარგე.

– ტერეზა, – თქვა ტომაშმა, – ნუთუ ვერ ხედავ, რომ აქ ბედნიერი ვარ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ქირურგობა შენი მოწოდება იყო.

– ტერეზა, მოწოდება სისულელეა, არავითარი მოწოდება არ მაქვს. არავის არ აქვს მოწოდება და ვერ წარმოიდგენ, რამხელა შვებაა, როდესაც მიხვდები, რომ თავისუფალი ხარ, რომ არავითარი მოწოდება არ გაგაჩნია.

შეუძლებელი იყო, მისი გულწრფელი ხმისთვის არ დაგეჯერებინა. მოაგონდა, როგორ უყურებდა ნაშუადღევს ტომაშს, რომელიც სატვირთო მანქანას აკეთებდა და რომელიც ასე დაბერებული მოეჩვენა. იმას მიაღწია, რისკენაც მიისწრაფოდა: ტერეზას ხომ ყოველთვის უნდოდა, ტომაში მოხუცებული ყოფილიყო. ისევ ის კურდღელი გაახსენდა, რომელსაც თავის ბავშვობის დროინდელ ოთახში სახით ეხუტებოდა.

რას ნიშნავს კურდღლად გადაქცევა? ეს ძალის დაკარგვას ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ერთი მეორეზე ძლიერი აღარ არის.

ფორტეპიანოსა და ვიოლინოს ხმაზე ცეკვით უვლიდნენ დარბაზს. ტერეზას თავი ტომაშის მხარზე ედო. ზუსტად ასე ედო თავი მის მხარზე, როდესაც თვითმფრინავში ისხდნენ, რომელიც მათ ნისლში მიაქანებდა. ახლაც ისეთსავე უცნაურ ბედნიერებასა და სევდას გრძნობდა, როგორსაც მაშინ. სევდა ნიშნავდა: ბოლო გაჩერებაზე ვართ, ბედნიერება ნიშნავდა: ჩვენ ერთად ვართ. სევდა ფორმა იყო, ბედნიერება – შინაარსი. ბედნიერება ავსებდა სევდიანი განწყობილების სივრცეს.

მაგიდასთან დაბრუნდნენ. ორჯერ თავმჯდომარესთან იცეკვა და ერთხელაც ახალგაზრდასთან, რომელიც უკვე ისეთი მთვრალი იყო, რომ ბოლოს ტერეზასთან ერთად საცეკვაო მოედანზე დაეცა.

მერე ყველანი ზევით ავიდნენ და თავ-თავიანთი ოთახებისკენ გაეშურნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაშმა გასაღები გადაატრიალა და ჭაღი აანთო. ტერეზამ ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ორი საწოლი დაინახა. ერთ-ერთთან პატარა მაგიდა იდგა ნათურით, რომლის აბაჟურსაც სინათლით შეშინებული უზარმაზარი ღამის პეპელა მოსწყდა და ოთახში ფრენა დაიწყო. ქვევიდან ფორტეპიანოსა და ვიოლინოს ხმა აღწევდა ყრუდ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE